საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

№40

2 – 8 დეკემბერი, 2009

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

გამოდის ოთხშაბათობით

info@geworld.net

6



„Washington Times“-ის ჟურნალისტთან საუბარში ამერიკელმა დიპლომატებმა აღიარეს, რომ აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობები თავს არიდებენ სახელმწიფო დეპარტამენტისთვის მოკავშირეებზე უარყოფითი ინფორმაციის მიწოდებას და ამით აკლებენ ჩინოვნიკებს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას, რომელიც სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად სჭირდებათ. ერთ-ერთი ყოფილი დიპლომატის თქმით: „მისიის ხელმძღვანელი საერთოდ გვიკრძალავდა ნებისმიერი ცუდი ამბების გადაცემას“ და საჯაროდ ამბობდა, „რომ ჩვენ უნდა მოგვემზადებინა მხოლოდ დადებითი მოხსენებები ქვეყანაზე, რომელშიც ვმუშაობდით“.

**ბოლო მოვლენების შემხედვარე, ოპტიმიზმს ზოოპარკში გამოკეტილი პავიანები თუ შეინარჩუნებენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტელევიზიის გარდა ინფორმაციის სხვა წყარო არ ექნებათ.**

# გაიღვიძე, ძია სემ, დეპოში ვართ!

# სურსათსა და საყოფაცხოვრებო პროდუქტზე ფასები კიდევ უფრო გაიზრდება 11

10

## რომ იძახიან, აჭარა დევიბრუნეთო, ვისგან დეიბრუნეს და რისთვის? –



## სომხებისა და თურქებისთვის რომ მიეცათ?!

16-17

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## ქართულ ციხეებში საკონცენტრაციო ბანაკების მსგავსი მდგომარეობაა, ათასობით დაავადებული პატიმარი ციხეში უკანონოდ იხდის სასჯელს

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი 12.12.75.470.230.000.11.119.005.741

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 72/ნ

იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ" რომლებიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს

## დოკუმენტი, რომელსაც, 6 წელიწადია, მალავენ!

ერისკაცი //

ზურაბ ქაფიანიძე:

## არ მეგონა, ამერიკა ასეთი გახრწნილი, უკეთური და 2 ბოროტი ქვეყანა თუ იყო

ნარკოტრაფიკი //

გიორგი გაჩეჩილაძე:

## ნარკომანები ხელისუფლების პოლიტიკურ 5 დასაყრდენს წარმოადგენენ

განათლება //

## სასკოლო განათლების დონით საქართველო ლიბანისა და იორდანიის 8 გვერდითაა

ეს უნდა ვიცოდეთ //

ქეთევან ნემსაძე:

## მოსალოდნელია ჩვეულებრივი და H1N1 გრიპის ეპიდემიების ერთდროულად 13 დაწყება

ადამიანის უფლებები //

მარიამ საყვარელიძე:

## ხელისუფლება მაიძულებს, ჩემი შვილის მკვლელებს პირადად 22 გავუსწორდე

წერილი საპყრობილედან //

მერაб რატიშვილი:

## 26 რევოლუციით ორსული ქვეყანა

20

# Да пошли все они...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



## ბერნარ კუშნერი: ეუთოს ფიასკო საქართველოში მხედველობაში უნდა მივიღოთ

**საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბერნარ კუშნერის განცხადებით, ეუთომ ევროპაში არსებული „გაყინული კონფლიქტების“ მოსაგვარებლად ძალისხმევა უნდა გაააქტიუროს.**

ეს განცხადება კუშნერმა საბერძნეთში მიმდინარე ეუთოს მე-7 საგარეო საქმეთა მინისტერიალზე გააკეთა, რომელსაც საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი გრიგოლ ვაშაძეც ესწრება.

„ჩვენ აუცილებლად უნდა გავააქტიუროთ ჩვენი როლი „გაყინული კონფლიქტების“ მოგვარების საკითხში და უნდა გავითვალისწინოთ ბოლოდროინდელი მოვლენებისას საქართველოში ეუთოს ძალისხმევის ფიასკო“, — განაცხადა კუშნერმა. მისი თქმით, საფრანგეთი მხარს დაუჭერს ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რუსეთის ახალ ინიციატივას, რომლის ერთ-ერთი პუნქტი რეგიონში არსებული კონფლქიტების მოგვარებასაც ითვალისწინებს.

## მუხიანის ფერდობის მოსახლეობა გაუსაძლის პირობებში

**გზების, კანალიზაციის, სანიაღვრეების არარსებობა, აგრეთვე, ნაგვის გატანის, წყალმომარაგების, გაზისა და დენის შეფერხებით მიწოდება, ტრანსპორტის გაუმართავი მუშაობა ის პრობლემებია, რომლებიც მუხიანის ფერდობის მოსახლეობას აწუხებს.**

როგორც მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრმა გიორგი მაღლაკელიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მუხიანი-2-ის დასახლების პრობლემები მოსახლეობის უიმედობის მიზეზად კვლავაც რჩება, რადგან მათ თბილისის მერიას, პროკურატურას, ასევე, გლდანი-ნაძალადევის გამგეობას არაერთხელ მიმართეს, თუმცა უშედეგოდ. „მინდა მივმართო მერიას მუხიანის მოსახლეობის სახელით, აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით დაუყოვნელივ მიიღოს გადამჭრელი ზომები და ბიუჯეტიდან გამოყოს საჭირო თანხა“, — განაცხადა გიორგი მაღლაკელიძემ. მუხიანის ფერდობის დასახლება 3600 ჰექტარზეა გადაჭიმული, სადაც ორიათას ხუთასამდე ოჯახი ცხოვრობს.

## ოპოზიცია სხვის ტრაგედიას საკუთარი მიზნებისთვის იყენებს

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი მინაშვილი აცხადებს, რომ ოპოზიცია სხვის ტრაგედიას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებს, როცა გახმაურებულ მკვლელობებზე საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს.**

ეს განცხადება აკაკი მინაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მას შემდეგ გააკეთა, რაც ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრებმა ბოლო წლებში მომხდარ გახმაურებულ მკვლელობებზე საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვეს. მისი თქმით, ეს საქმეები უკვე გამოძიებულია და დამნაშავეებიც ადეკვატურად დაისაჯნენ. მინაშვილის აზრით, თუ „ქრისტიან-დემოკრატებს“ რამის გამოძიება ნამდვილად სურთ, მაშინ ისინი აჭარაში არსებულ დარღვევებსა და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის ფინანსურ მაქინაციებს გამოიძიებდნენ.

## ზურაბ ქაფიანიძე: მტრის საქმე იყოს ისე «კარგად», ჩვენი საქმე რომ იქნება სააკაშვილის ხელში

**ვერსალში არასდროს ყოფილა, არც კატის მოალერსე ლუი XIV უნახავს და არც ქართველი ყრმა, სტამბულის ტყვეთა ბაზარზე გასაყიდად გაყვანილი... თანამედროვე საქართველოში ცხოვრობს და საქართველოა მისთვის „თოვლიც, წვიმაც და ყინვაც...“ სამოცამდე კინოროლი ითამაშა.**
**მას შემდეგ, რაც ქართული კინო „გაჩერდა“, ზურა ქაფიანიძემ ვერც კინოში და, ნაწილობრივ, ვერც ცხოვრებაში ველარ შეძლო თავისი როლის შესრულება...**
**მას, როგორც ჭეშმარიტ მსახიობს, ყველა როლი თავისებურად უყვარს, თუმცა, თუ იმ კინოგმირზე მიდგება საქმე, რომელსაც ცხოვრებაშიც ითავისებს, ეს ივანე კოტორაშვილი და პაპაი არიან...**



**ზურაბ ქაფიანიძე:**

— ეგეთ საზიზღარ, ცუდ დღეში, როგორშიც დღეს საქართველოა, არასდროს ვყოფილვართ! ბევრჯერ დავმარცხებულვართ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, მაგრამ ის დამარცხებული ქართველიც კი თანამედროვე ქართველზე ბევრად უფრო ძლიერი და ზნეობრივი იყო! დღეს ქართველებს ისეთი საშინელი ომი გამოგვიცხადეს, რომლის წინაშეც ქართველი ერი უმწეო და სუსტი აღმოჩნდა...

**— შარშანდელ აგვისტოს გულისხმობთ?**

— შარშანდელ აგვისტოს კი არა, იმ ომს ვგულისხმობ, რომელიც ქართულ აზროვნებასა და ცნობიერებას ანგრევს; რომელიც, წლებია, მიმდინარეობს და ქართველი ერის გადაშენებისა და ქართული სახელმწიფოს ნგრევისკენაა მიმართული. აგვისტოს ომიც მაგის შედეგია, ერთ-ერთი შედეგი...

**— პრეზიდენტი ამბობს, რომ მაგ ომში ჩვენ გავიმარჯვეთ...**

**— ჩემთვის ეგ თქვენი პრეზიდენტი არც დავით აღმაშენებელია და არც ილია ჭავჭავაძე. მაგას მე ყურს არ ვუგდებ, ვისაც მაგისი ტყუილების სჯერა, ყურიც იმან დაუგდოს. როგორც სააკაშვილმა გაიმარჯვა ამ ომში, სულ ეგრე „გამარჯვებულს“ ევლოს მთელი ცხოვრება! მე მხოლოდ ის მინდა, ამ წყევლაში ქართველები არ მოხვდნენ...**

გიჟივით რომ დაუჟინია, „გავიმარჯვეო“, ჩვენ რა, ბრმები ვართ, ყრუები თუ დებილები? გამარჯვებასა და დამარცხებას ერთმანეთისგან ვერ ვარჩევთ?! ოცი წლის მანძილზე ყველა ომი კი წავაგეთ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ისტორიაც ვიცით და გენეტიკური მეხსიერებაც გვაქვს!

**— ბრძანებთ, ცუდ დღეში ვართო. თქვენთვის ეს საზიზღარი ყოფა რაში გამოიხატება?**

## არ მეგონა, ამერიკა ასეთი გახრწნილი, უკეთური და ბოროტი ქვეყანა თუ იყო

— ჩემი და შენი რას გაუყვია საქართველოში და ქართველი კაცისთვის... ოთხი მილიონი ქართველიდან ორი მილიონი ქართველი რომ საქართველოდანაა გასული და მონებად უდგას გადამთიელებს, ეს მთელი ერის ტკივილი არაა?! მთელი ერის საწუხარი არაა, ამ ამაყ და მამაც ქართველებს მონების, ქურდბაცაცებისა და ლატაკების სახელი რომ გვაქვს მთელ ევროპაში გავარდნილი?!

**რუსებს რომ დღედაღამ დედას აგინებენ და ომს უცხადებენ, მაშინ, როცა მილიონ-ნახევარი ქართველი რუსეთშია ლუკმაპურის საშოვნელად, ეს დანაშაული არაა, თუნდაც იმ გაუბედურებული ქართველების წინაშე?!**

**ამ ზამთარს, ან გასულ ზამთარს, ან სულაც მომავალში, ვინმე დაფიქრებულა ან დაფიქრდება, რა ეშველებათ საბრალო მოხევეებს?.. აქეთ სავალ გზას რომ თოვლი გადაუკეტავთ, იქით, ვლადიკავკაზისკენ გზა კი ამ მთავრობის უგნურობამ უკვე გადაუკეტა...**

არანაირი სამუშაო ადგილი რომ არ არსებობს — არა ფაბრიკა, არა ქარხანა და არც არანაირი პერსპექტივა დასაქმების, ეს მთელი ქვეყნის უბედურება არაა?!

**— გვაიმედებენ, პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის ეს პროცესები ბუნებრივია და მტკივნეული რეფორმების შემდეგ ყველაფერი კარგად იქნებაო...**

— მტრის საქმე იყოს ისე „კარგად“, ჩვენი საქმე რომ კარგად იქნება სააკაშვილის ხელში, თუ დროზე არ ვუშველეთ ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც! რა შუაშია საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა, ან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ქართლის დედის შეგინებასთან?! ყველა სიწმინდეს თავიანთი ბინძური ხელებითა და აზროვნებით რომ შეეხნენ და წაბილწვას უპირებენ, ამით ააშენებენ ცივილიზებულ სახელმწიფოს?! მაჩვენეთ ერთი, რომელმა ევროპულმა ქვეყანამ გალანძღა თავისი წინაპრები, რომელმა მოსცხო საკუთარი ქვეყნის ისტორიასა და გმირებს ჩირქი?

**ვიდრე ცოცხალი ვარ, როგორც დუშმან მტერს არ**

## საქართველოში ნებისმიერი არჩევნები ისე ჩატარდება და ისე გაყალბდება, როგორც ეს ამერიკელებს უნდათ

## შვეიცარიაში მინარეთების აღდგენის საკითხს რეფერენდუმი გადაწყვეტს

**შვეიცარიაში საერთო ეროვნული რეფერენდუმის შედეგები გადაწყვეტს, აიკრძალოს თუ არა ქვეყნის ტერიტორიაზე მინარეთების მშენებლობა.**



მსგავსი კონსტიტუციური შეზღუდვის ინიციატივით შვეიცარიაში სახალხო პარტია გამოვიდა. ულტრამემარჯვენე პარტია, რომელიც შვეიცარიის პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენს და მთავრობაშიც ჰყავს წარმომადგენლები, თვლის, რომ ქვეყნის მოქალაქეები მტკიცე უარს იტყვიან ქვეყნის ისლამიზაციაზე.

შვეიცარიის პრეზიდენტმა ჰანს-რუდოლფ მერცმა მოქალაქეებს მოუწოდა, უარყონ ზემოხსენებული პარტიის ინიციატივა და დაამტკიცონ, რომ კონფედერაციაში რელიგიური შემწყნარებლობის „მყარი ტრადიციებია“. ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების ფაქტი გააკრიტიკეს ქვეყნის მემარცხენე პარტიებმა, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

სახალხო პარტიის ინიციატორთა კამპანია საკმაოდ აგრესიული ფორმით მიმდინარეობდა. მთელ ქვეყენაში გამოფენილ პლაკატებზე შავ ფარაჯაში გამოწყობილი ქალი მუქარით სავსე თვალებით იყურება და მის უკან კი საბრძოლო რაკეტების მსგავსი შავი მინარეთები შვეიცარიის დროშას ფარავს. როგორც რეფერენდუმის წინ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებმა აჩვენა, შვეიცარიელთა 53 პროცენტს არ სურს კონსტიტუციის სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობებთან დაკავშირებულ 72-ე მუხლში რაიმე ცვლილებების შეტანა, 37 პროცენტი მინარეთების მშენებლობის წინააღმდეგია.

7-მილიონიან შვეიცარიაში 400 ათასი მუსლიმანია. ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებს 4 მინარეთი და კიდევ ერთი შენდება. მაგრამ შვეიცარიის კანონების თანახმად, მოსახლეობა დაცულია ხმაურისგან, ამიტომ იქაური მინარეთებიდან მორწმუნეებს ლოცვისკენ არ მოუწოდებენ.

## იაპონიამ მეხუთე ჯაშუში-თანამგზავრი გაუშვა

**იაპონიის კუნძულ ტანეგასიმას კოსმოდრომიდან მეხუთე ჯაშუში-თანამგზავრის რაკეტა წარმატებით გაუშვეს.**



თანამგზავრი თავდაცვისა და დიპლომატიური მიზნებისთვის შეაგროვებს ინფორმაციას. მას საშუალება ექნება მაღალხარისხიანი გამოსახულება მიიღოს რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებულ ორბიტაზე. თანამგზავრი დაახლოებით ხუთ წელიწადს იმუშავებს. კოსმოსში უკვე მუშაობს სამი იაპონური ჯაშუში, რომელთაგან ორი 2003 წელს გაიგზავნა. მეოთხე ამგვარი თანამგზავრი ელექტროაღჭურვილობის დაზიანების გამო 2007 წლიდან კავშირზე აღარ გამოდის. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს იაპონიის პარლამენტმა ეროვნული კოსმოსური პროგრამის თავდაცვის მიზნით გამოყენებას დაუჭირა მხარი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## პრეზიდენტს ნამუსი არ აქვს, გინდა ნიფხავჩახდილი უძახე და გინდა — მშიშარა კურდღელი, არ მიდის მაინც

## კოტორაშვილის კომბლის მოქნევა ამ საუკუნეშიც შეიძლება

## ოდესღაც ამაყ და მამაც ქართველებს მონების, ქურდბაცაცებისა და ლაჩრების სახელი გვაქვს მთელ ევროპაში

## მაჩვენეთ ერთი, რომელმა ევროპულმა ქვეყანამ გალანძღა თავისი წინაპრები, რომელმა მოსცხო საკუთარ ისტორიასა და გმირებს ჩირქი

**დავინებდები, ისე ამათ არ დავანებებ ჩემი სამშობლოს გაბითურებასა და გაპარტახებას, მაგრამ ამას მარტო მე და ჩემისთანები არ ვეყოფით. თქვენც, ახალგაზრდებმაც, უნდა ამოიღოთ ხმა...**

**— ხმა ოპოზიციამ რომ ამოიღო, ისე უნდა, მაგრამ...**

— ხმის ამოღება მარტო „მიშა, წადის“ ძახილი არაა. მთავრობა რომ ყრუ და ბრმა გვყავს, ვიცით უკვე, მაგრამ ესენიც ყრუები და ბრმები არიან? რით ვერ მიხვდნენ, რომ ამ კაცს ნამუსი არ აქვს, გინდა ნიფხავჩახდილი უძახე და გინდა მშიშარა კურდრელი, არ მიდის მაინც... ესე იგი რაღაც სხვა გზაა მოსაძებნი, რისი ოპოზიცია ხარ, თუ გამოსავალს ვერც ხედავ და ვერც პოულობ!

**— გამოსავალი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაში დაინახა ზოგიერთმა...**

— საქართველოში ნებისმიერი არჩევნები ისე ჩატარდება და ისე გაყალბდება, როგორც ეს ამერიკელებს უნდათ. **აქამდე რომ ორი არჩევნები გაუყალბეს ოპოზიციას, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ ამოიღო ხმა? არც მესამეზე ამოიღებენ ეგენი ხმას და არც — მეოთხეზე...**

**— არც მანიფესტაციებსა და არც არჩევნებს თუ არ აქვს აზრი, მესამე გზას შესაძლოა სისხლისღვრა მოჰყვეს, ამაზე წასვლა კი, ბუნებრივია, არავის უნდა...**

— **ჩემგან ნუ ითხოვთ ამ მესამე გზის მოძებნას და გახმოვანებას. მესამე იქნება თუ მეოთხე, ეს გზა ოპოზიციის მოსაძებნია და, თუ ამის თავი არ აქვს, მაშინ დაანებოს ამ ხალხს თავი და ხალხი თვითონ მიხედავს ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც. მე რომ ოპოზიციაში ვიყო, ვიცი, რასაც ვიზამდი...**

**— რა გიშლით ხელს?**

— მე მივედი ოპოზიციასთან, მაგრამ იქ ისე არ დამხვდნენ, როგორც ველოდი. ვიფიქრე, მივალ, საერთო საქვეყნო საქმეა და მეც აქტიურად ჩავერთვები პროცესებში-მეთქი. ოპოზიციაშიც მოხარულები იქნებიან, მეტყვიან, აბა, რას იტყვით, ბატონო ზურაბ, აბა, რას გვირჩევთ, მაგრამ შენც არ მომიკვდე... მე თავპატიჟი კი არ გამომიდია და რევერანსებს კი არ ვითხოვდი, საქმის კეთება მინდოდა, საერთო საერო საქმის.

მაგათ კიდევ ზურა ქაფიანიძე და მსგავსი კაცები მარტო მიტინგზე გამოსაჩენად და იმის დასამტკიცებლად სჭირდებოდათ, — სააკაშვილის „ჩარეცხილი“ ინტელიგენცია ჩვენს გვერდით დგასო... **მე არც არავის „ჩავურეცხივარ“ და არც არავის გვერდით არ ვდგავარ საქართველოსა და ქართველი ხალხის გარდა. მოკლედ, ოპოზიციის დახვედრით პირველივე დღეს მივხვდი, რომ არც მაგათ უძგერთ მთლად ქვეყნის სასიკეთოდ გული და ეგრეც გამოჩნდა ბოლოს.**

**— თუ არც ხელისუფლება გვივარგა, არც ოპოზიცია და დავით აღმაშენებელიც მხოლოდ ისტორიაში გვყავს, როგორ უნდა მოვიქცეთ?**

— ტვინი ხომ გვაქვს და აზროვნების უნარი... თუ პროცესები თავის ნებაზე მივუშვით, მე შეიძლება მაგ დაწყევლილ დროს არ მოვესწრო, მაგრამ თქვენ, ახალგაზრდებს, მართლა მოგიწევთ უსამშობლო ტერიტორიაზე ცხოვრება. მანამდე კი ასე ნელ-ნელა ისე გაგითახსირებენ ქვეყანასაც და ერსაც, აზრზე ვერ მოხვალთ!..

**მერე ჩამოვლენ სომხები, რუსები, აფხაზები, აზერბაიჯანელები და ოსები და გეტყვიან, რომ მათ სახელმწიფო აქვთ, თქვენ კი, რაც იმ დროისთვის დარჩენილი ტერიტორია გექნებათ, იმასაც ვერ დაიცავთ; იეღოველებივით თუ პაციფისტებივით იარაღს ხელში ვერ აიღებთ, მტერს ვერ მოკლავთ და მორჩა, აღარც ქართველები იქნებით და აღარც სამშობლო გექნებათ...**

**— აპოკალიფსურ სურათს ხატავთ...**

— ჰოდა, რეალობად რომ არ გექცეთ, გონს მოდით! მე არ ვიცი, სად, რა ხერხებითა და მექანიზმით უნდა ვუჩივლო საქართველოს ხელისუფლებას! რომ ვიცოდე, ვუჩივლებდი მასაც და ამერიკის ხელისუფლებასაც, ორივეს ერთად!

არ მეგონა, ამერიკა ასეთი გახრწნილი, უკეთური და ბოროტი ქვეყანა თუ იყო. ჩვენი მთავრობა მუდამ იმას ამტკიცებს, რუსეთი ჩვენი მტერია, ამერიკა — მოკეთეო. სინამდვილეში რუსეთს არ სძულს საქართველო, ადრე თუ გვაინ ამას ქართველი ხალხიც მიხვდება და რუსიც. ამერიკა კი ბოროტების იმპერიაა, რომელსაც სძულს ქართული სახემწიფოცა და ქართველი ერიც...

**— რა გაძლევთ ასეთი „ბრალდების“ საფუძველს?**

— ამაზე მეტი საფუძველი რა გინდათ, რაც შარშან აგვისტოში მოხდა. **ჯერ გააგიჟეს ეს ჩვენი ისედაც გიჟი პრეზიდენტი, შენ გვერდით ვართო, გაახელეს, ომი დააწყებინეს და მერე მიგვატოვეს. შეიძლება, ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მარიონეტივით მართო რუსეთის გასაღიზიანებლად და მერე სამართლიანად თუ უსამართლოდ გაღიზიანებულ რუსეთს შეატოვო? თუ ბარბაროსი არ ხარ, ამაში უნდა გამოიყენო ეს უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის ერი? რატომ გააღიზიანეს რუსეთი, რა უნდოდათ ფოთში ამერიკის გემებს ომის დროს? წყალი შემოგვიტანესო? ჯერ მაგას ვინ დაიჯერებდა და, ასეც რომ ყოფილიყო, ვის რა ჯანდაბად უნდოდა მაგათი წყალი, წყალს მიაქვს საქართველო...**

ან რა გჭირს ამაერიკის საშველი. ამერიკა სულ არ არსებობდა, მაგრამ დიდგორიც მოგვიგია და ბასიანიც!

**— ახლა სხვა მოცემულობა და სხვა რეალობაა, ბატონო ზურაბ...**

— **ჰოდა, ამ მოცემულობაში და რეალობაში, გონიერი ხელისუფლება რომ გვყავდეს, ერთ წელიწადში აფხაზეთსაც დავიბრუნებდით, ოსეთსაც, რუსეთთანაც დავალაგებდით ურთიერთობას და მილიონობით ქართველსაც დავაბრუნებდით საქართველოში...**

როგორ? — ამას ნუ მკითხავთ, მე ჭორიკანა დედაკაცი არ ვარ, გაზეთები ლაყბობით რომ ავაჭრელო. რეალურად უნდა მოგვეცეს და მოვიპოვოთ სახალხო, საერო საქმის კეთების საშუალება.

**მხოლოდ ერთს გეტყვით, კოტორაშვილის კომბლის მოქნევა ამ საუკუნეშიც შეიძლება! მთავარია, კომბლის მომქნევი აღმოჩნდეს საქართველოში და იმ კომბლის მომქნევს გამბედაობის გარდა, საიმისო ჭკუაც აღმოაჩნდეს, რომ სწორად განსაზღვროს, კომბალი რა მიმართულებით მოიქნიოს...**

ესაუბრა
**ელგა ფოლადიშვილი**

## ზუგდიდში შიმშილობის დაწყებით იმუქრებიან

**საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ სამეგრელოს რეგიონული ბიუროს წარმომადგენლები ადგილობრივი ხელისუფლებისგან მოითხოვენ, რომ 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღონისძიებების გასამართად ზუგდიდის ცენტრში მათ რომელიმე დარბაზი დაუთმონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ზუგდიდის ცენტრში საკნის განთავსებითა და შიმშილობის აქციის დაწყებით იმუქრებიან.**

როგორც „მედიანიუსს“ „დაიცავი საქართველოს“ წევრმა კახა მიქაიამ განუცხადა, ისინი 10 დეკემბრის აღნიშვნას გეგმავენ. სწორედ ამის გამო თხოვნით მიმართეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტს, რათა ამ ღონისძიების ჩასატარებლად ზუგდიდის ცენტრში გამოეყოთ დარბაზი.

მისივე თქმით, მუნიციპალიტეტმა ამაზე უარი უთხრა, მიზეზად კი დაგეგმილი ღონისძიებები დაასახელა. სამაგიეროდ, როგორც მიქაია აღნიშნავს, მათ ღონისძიების გასამართად შესთავაზეს „ენგურქალალდკომბინატი“.

„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე ზუგდიდის საზოგადოებამ ქალაქის ცენტრში უნდა აღნიშნოს. ამიტომ ადგილობრივ ხელისუფლებას კიდევ ვაძლევთ ორ დღეს მოსაფიქრებლად, რათა კეთილგონიერება გამოიჩინოს და რომელიმე დარბაზი დაგვითმოს ან თეატრის, ან კინოთეტარ „ატრიუმის“ ან მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში პარასკევს, დილით ზუგდიდის ცენტრში, გამგეობის შენობის მიმდებარე სკვერში, დავდგამთ საკანს და დავიწყებთ შიმშილობას. ჩემთან ერთად შიმშილობას დაიწყებს დავით სორდიაც. ეს სიმბოლური იქნება, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს ზუგდიდის ოპოზიცია და საზოგადოება შიმშილობის აქციით შეხვდება, ხოლო ხელისუფლება — ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევით“, — განაცხადა კახა მიქაიამ.

აღნიშნულთან დაკავშირებით დღეს კახა მიქაიამ სამეგრელოს რეგიონულ ბიუროში საგანგებო ბრიფინგი გამართა.

## უკრაინელი ბიზნესმენები გუდაურის კომპლექსს ყიდულობენ

**— დადასტურებული ინფორმაციით, უკრაინული „პრივატ ჯგუფი“ გუდაურის სამთო-სათხილამურო კომპლექსით დაინტერესდა და მის ყიდვაზე ეკონომიკის სამინისტროსთან მოლაპარაკებას აწარმოებს,— იუწყება რადიო „კომერსანტი“.**



გუდაურის კომპლექსის აქციების 85%-ის 5 მილიონ ევროდ გაყიდვას მთავრობა ჯერ კიდევ 2008 წლის მაისში გეგმავდა, თუმცა მაშინ გაყიდვა ვერ მოხერხდა. მიმდინარე წლის ზაფხულში კი ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა ლაშა ჟვანიამ განაცხადა, რომ სააქციო საზოგადოება „გუდაური“ პრივატიზაციის მეორე ტალღაში მოხვდებოდა, რომელიც სექტემბერში უნდა დაწყებულიყო. მაგრამ პრივატიზაციის ახალი ტალღა, ამჟამინდელი მინისტრის გადაწყვეტილებით, გაისად, იანვარში დაიწყება.

**ცნობისთვის: საკურორტო კომპლექსი „გუდაურის“ აქტივებში შედის 4-ვარსკვლავიანი 122-ნომრიანი სასტუმრო „გუდაური“, 12 კოტეჯი, 5 საბაგირო გზა, სამთო-სათხილამურო ტრასები, მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, სპეცტექნიკა. სააქციო საზოგადოება „გუდაურის“ აქტივების ღირებულება 35 მილიონი ლარია, კომპანიის აქციების 85% საწარმოების მართვის სააგენტოს ეკუთვნის, 10% — „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“. პრივატიზაციის პირობების თანახმად, ინვესტორს ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 30 დღის განმავლობაში კომპლექსის 6 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო ვალი, ასევე, ამ თანხის პროცენტები — 582 ათასი ევრო უნდა დაეფარა.**

## ბრიტანეთის დედოფალმა ფურორი მოახდინა

**ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II ტრინიდადსა და ტობაგოში ვიზიტისას ოფიციალურ მიღებაზე მოდის სამყაროში ნამდვილ სენსაციას ახდენს. მისი მაქმანებიანი, გრძელი, თეთრი კაბა მთლიანად მოქარგული იყო ეგზოტიკური ფრინველებითა და ყვავილებით. გაზეთებმა მონარქის ჩაცმულობას უმალ უწოდეს „სარისკო და მოულოდნელად თამამი“ გადაწყვეტილება.**



ვიზიტის მიზეზი გახდა თანამეგობრობის სამიტი, რომელშიც ბრიტანეთთან ისტორიულად მჭიდრო კავშირების მქონე მსოფლიოს 53 ქვეყნის ხელისუფლებათა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, მრავალი ქვეყნის ლიდერი გაოგნებული დარჩა, როდესაც საზეიმო ვახშამზე ელისაბედ II მონარქისთვის უჩვეულოდ გამოწყობილი მივიდა. კაბის კალთებზე გამოსახული ორი ფრინველი მასპინძელი ქვეყნის სიმბოლოდ ითვლება. დედოფალმა ლალისა და ალმასების კოლიე აირჩია, თავზე კი, როგორც საქმის მცოდნენი ირწმუნებიან, მონარქს ედგა თავისი საქორწინო გვირგვინი, რომელსაც იშვიათად იკეთებს. როგორც სპეციალისტებმა აღნიშნეს, 83 წლის დედოფალს მოდისადმი ინტერესი არ დაუკარგავს და დღესაც მისი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კანონმდებელია. მის ჩაცმულობაზე დიზაინერი ენჟელა კელი ზრუნავს. ფურორის გამომწვევი კაბაც სწორედ მისი შექმნილია.

## ინდოეთში რადიაციით 55 ადამიანი მოიწამლა

**ინდოეთში ატომურ ელექტროსადგურ „კაიგას“ თანამშრომლებმა სასმელი წყლის ავტომატიდან დასხივება მიიღეს. სადგურის რეაქტორიდან რადიაციის გაჟონვა არ დაფიქსირებულა, გარემოსა და ხალხს საფრთხე არ ელის. სპეციალური შემოწმების შედეგად ირკვევა, თუ როგორ მოხვდა სასმელ წყალში წყალბადის რადიაქტიური იზოტოპი.**



რადიაქტიურობის დონის მომატება მთელ რიგ თანამშრომლებს ჯერ კიდევ 25 ნოემბერს ჩვეულებრივი შემოწმების დროს გამოუვლინდათ. შემდგომმა გამოძიებამ აჩვენა, რომ ამის მიზეზი ერთ-ერთ ავტომატში წყლის მოწამვლა გახდა. როგორც ინდოეთის პრესა იუწყება, ამ ავტომატიდან წყლის დალევის შედეგად 55 ადამიანი დაზარალდა. ინდოეთის ატომური ენერგიის კომისიის ყოფილმა ხელმძღვანელმა ანილ კაკოდკარმა ტელეინტერვიუში აღნიშნა, რომ ყველაფრის მიზეზი სადგურის ჯერჯერობით უცნობი თანამშრომლის „მავნებლობა“ გახდა.

ატომურ ელექტროსადგურ „კაიგაში“ 220-მეგავატიანი სამი ენერგობლოკი მუშაობს, მეოთხის ექსპლოატაციაში გაშვება უახლოეს მომავალში იგეგმება.

2 – 8 დეკემბერი, 2009 წელი. №40
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «ჭიათურმანგანუმის» მუშას პარლამენტში მოსახვედრად კემბრიჯის სერთიფიკატი დაეხმარა

**საქართველოს საზრიანი პრეზიდენტის წყალობით, ქართველი პარლამენტარები ინგლისურ ენასაც შესანიშნავად ფლობენ და ევროპის წამყვანი ქვეყნების უნივერსიტეტების საზაფხულო კურსების სერთიფიკატების სიმცირესაც არ უჩივიან, თუმცა მთავარი რამ არ იციან — როგორ გახდნენ წარმატებული პოლიტიკოსები და ლიდერები; როგორ დაიმკვიდრონ ადგილი საპარლამენტო უმრავლესობის რიგებში ისე, რომ კანონშემოქმედებითი საქმიანობის ოთხი წელი პავლე კუბლაშვილის, გოკა გაბაშვილის ან ნუგზარ წიკლაურის ჩრდილში არ გაატარონ.**


კადრი ფილმიდან „მიმინო“



წარმატების ფორმულას მე-7 მოწვევის პარლამენტარების უმრავლესობამ ვერაფრით მიაგნო და ამიტომ მათი სახელი და გვარი საზოგადოებისთვის არაფრისმთქმელია.

მამუკა გოგატიშვილი „ღირსეული“ სახელისუფლო გუნდის „ღირსეული“ წევრია. მისი მონაცემები მიშას სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს; 37 წლის კაცია. ამ ასაკში მის მიღწევებს თუ გავითვალისწინებთ, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ მიზანმიმართული, ენერგიული და ნიჭიერი ადამიანია. მან თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა მაკროეკონომიკის სპეციალობით. კვალიფიკაციით ეკონომისტია, თუმცა საქართველოში მიღებულ განათლებას არ დასჯერდა. ევროპულ დიპლომს სულ სხვა ფასი აქვს და კემბრიჯის ინტერნაციონალურ კოლეჯში გაიღრმავა ცოდნა. კონკრეტულად რა შეისწავლა კემბრიჯში, ბიოგრაფიაში მითითებული არ აქვს. რაც მთავარია, კემბრიჯში სწავლობდა და ამით ყველაფერია ნათქვამი.

მკითხველმა არ იფიქროს, რომ ამ ახალგაზრდა, ნიჭიერ და განათლებულ კაცს, როგორც კი უნივერსიტეტი დაამთავრა, მაშინვე დეპუტატობა მიართვეს. არა, ბატონებო, მან ქართველი პარლამენტარების ერთი ნაწილის მსგავსად, კარიერა უბრალო მუშის რანგში დაიწყო — 1989-1990 წლებში ს/გ „ჭიათურმანგანუმში“ ფიზიკურად მუშაობდა.

მამუკა გოგატიშვილის კარიერაში სერიოზული გარდატეხა 1994 წლის მიწურულს მოხდა, როცა ჭიათურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში პედაგოგად მიიწვიეს. მალე ჭიათურის მერის მრჩეველი გახდა და ამასთან, მერიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელიც.

1999 წელს მერიიდან გამგეობაში გადაინაცვლა, გახდა გამგებლის პირველი მოადგილე. 2000 წელს ჭიათურის საგადასახადო ინსპექციაში ინსპექციის უფროსად იწყებს მუშაობას. 2004 წელს კი დიდ ავიაციაში გადადის და ქუთაისის საგადასახადო ინსპექციაში გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს ჭიათურის განყოფილების უფროსად გვევლინება. 2006 წელს კვლავ მშობლიურ ჭიათურას უბრუნდება და 2008 წლამდე ჭიათურის გამგებელია. 2008 წლიდან პრეზიდენტი მას საქართველოს მომავალს ანდობს. ის მე-7 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, საფინანსო-საბიუჯეტო და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტების წევრი ხდება.

მისი სახით ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს კიდევ ერთი გამოცდილი და თავისი საქმის კარგი მცოდნე დეპუტატი შეემატა, რაზეც მისი შრომითი ბიოგრაფიაც მეტყველებს. სამწუხაროდ, ჭიათურაში მიღებულ გამოცდილებას დედაქალაქში წარმატებით ვერ იყენებს. იმ ორი კომიტეტის სხდომების ოქმებს თუ გადავხედავთ, რომელთა წევრიც ბატონი მამუკა ბრძანდება, ვნახავთ, რომ არც ერთი საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორი არ გახლავთ. უფრო მეტიც, მას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომებზე ახალი კანონ-პროექტების განხილვისას საკუთარი მოსაზრება ერთხელაც არ გამოუთქვამს. პროფესიით ეკონომისტს საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროსაც კი არ ჰქონია შენიშვნები.

მამუკა გოგატიშვილი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომებზე სანიმუშო დასწრებით გამოირჩევა. მან მხოლოდ ერთხელ გააცდინა სხდომა და ისიც საპატიო მიზეზით. სამაგიეროდ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის სხდომებს ხშირად აცდენს. ჩანს, ამ კომიტეტის დანიშნულებას სათანადოდ არ აფასებს და კომიტეტის თავმჯდომარის — გიორგი ასანიძის მოსაზრებასაც არ იზიარებს, რომ გონიერი და ჯანსაღი ახალგაზრდა თაობის აღზრდაში პარლამენტმა უშუალოდ უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ბატონი მამუკა იმდენადაა დაკავებული ჭიათურის პრობლემების გადაწყვეტით, რომ არც ერთი მუდმივმოქმედი კომისიის წევრი არ გახლავთ. რაც შეეხება სხვა ქვეყნების პარლამენტებთან მეგობრობის ჯგუფებს, ის იტალიის, ლიტვისა და საბერძნეთის პარლამენტებთან ცდილობს მეგობრული ხიდის გადებას. მისი მზერა ევროპისკენაა მიმართული.

იმედია, მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნა ჭიათურის მაჟორიტარ დეპუტატზე და ახლა ცნობილი ადამიანების მოსაზრებებს გავეცნოთ.

**კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი** პარლამენტის წევრ მამუკა გოგატიშვილს არ იცნობს და თვლის, რომ საკანონმდებლო ორგანოში მისი მსგავსი მრავალი დეპუტატია. ისინი არაფერს აკეთებენ, არ ცდილობენ საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლას, ამის მიზეზის ახსნას თავად ამ დეპუტატებისგან ელის.

**პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილის** აზრით, პარლამენტარის უპირველესი დანიშნულებაა, მოსახლეობა ცნობდეს. „როდესაც არიან ისეთი დეპუტატები, როგორიც მამუკა გოგატიშვილია, ეს იმას ნიშნავს, რომ არც საზოგადოებამ იცის მათ შესახებ რამე და არც თავად არიან მოწოდებულნი, საზოგადოებას გაეცნონ. ამ პარლამენტში გოგატიშვილის მსგავსი ძალიან ბევრი დეპუტატია, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც საზოგადოება ცუდი საქმითა და განცხადებებით იცნობს. მე თუ მკითხავთ, ისეთი დეპუტატები მირჩევნია, რომლებიც ცუდი საქმეების კეთების ნაცვლად წყნარად მაინც არიან“, — განაცხადა ბატონმა ჰამლეტმა ჩვენთან საუბრისას.

**— როდესაც პარლამენტის წევრს არ იცნობს საზოგადოება, ეს იმ პარტიის პრობლემაა, ვისი სიითაც მოხვდა საკანონმდებლო ორგანოში თუ თავად დეპუტატის?**

— „ნაციონალური მოძრაობა“ არაფერ შუაშია, ეს საზოგადოების დანაშაულია. საზოგადოება არ არის სათანადო დონეზე და იმიტომ გვყავს ისეთი პარლამენტარები, რომელთაც, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდია ხალხიც და ამომრჩეველიც. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ამომრჩევლის შეცდომა და დანაშაული.

**ნათია ქადაგიშვილი**

# გერმანიის უმსხვილესი ფოლადსასხმელი კორპორაცია 20 ათას თანამშრომელს ამცირებს

**აღმასრულებელი დირექტორის ეკენჰარდ შულცის განცხადებით, ფოლადსასხმელი კორპორაცია „ThyssenKrupp“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით 20 ათასამდე თანამშრომელს შეამცირებს. მისივე თქმით, 2009 წლის 30 სექტემბერს კონცერნის შტატი 187 ათას თანამშრომელს მოიცავდა, მიმდინარე ფინანსური წლის დასასრულისთვის (რომელიც 2010 წლის 30 სექტემბერს მთავრდება), კომპანიაში დაახლოებით 167 ათასი თანამშრომელი დარჩება.**

ამის მიზეზი კრიზისის პერიოდებში დანახარჯების შემცირებაა. ახლახან კომპანიამ 2008-2009 ფინანსური წლის განმავლობაში რეკორდული დანახარჯის 2,36 მილიარდი ევროს შესახებ განაცხადა. ევროკავშირის უმსხვილესი ეკონომიკის მქონე გერმანიის ხელისუფლება 2009 წელს საერთო შიდა პროდუქტის 5%-ით შემცირებას, 2010 წელს კი 1,2%-ით გაზრდას ელის. ბოლო ორი კვარტლის მაჩვენებლებით ითვლება, რომ გერმანია უკვე გამოვიდა რეცესიიდან.

# მოსკოვს ლეგენდარული ძეგლი დაუბრუნეს

**ვერა მუხინას ლეგენდარული სკულპტურა „მუშა და კოლმეურნე“, რომელიც ხუთ წელიწადზე მეტ ხანს რესტავრირდებოდა, მოსკოვის საგამოფენო ცენტრს დაუბრუნდა. ის სპეციალურ დახურულ პავილიონში დამონტაჟდა, რათა კონსტრუქციის შიგნით ნესტმა არ შეაღწიოს.**



მისთვის ახალი პოსტამენტი მზადდება, რომელიც წინანდელზე 10 მეტრით მაღალი იქნება. ეპოქის სიმბოლოს საზეიმო გახსნა 4 დეკემბრისთვისაა დაგეგმილი.

სკულპტურა უჟანგავი ფოლადისგან 1937 წელს შეიქმნა სპეციალურად პარიზის საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა პავილიონისთვის. საფრანგეთის დედაქალაქიდან მოსკოვამდე ტრანსპორტირებისას მონუმენტი დაზიანდა, მაგრამ რეკონსტრუქციის შემდეგ, 1939 წელს, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ჩრდილო შესასვლელთან დაიდგა.

# საფრანგეთი „სამხრეთ ნაკადს“ შეუერთდა

**ფრანგული სახელმწიფო კომპანია „Electricite de France“ (EdF) გაზსადენ „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობის პროექტს შეუერთდა. ამის თაობაზე პარიზში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა.**

აქამდე პროექტი პარიტეტულ საწყისებზე „გაზპრომსა“ და იტალიურ „ენი“-ს ეკუთვნოდა. საფრანგეთის ჩართვა, სავარაუდოდ, იტალიური წილის შემცირების ხარჯზე მოხდება. თავდაპირველად მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია „EdF“-ი, „სამხრეთ ნაკადის“ მთავარი კონკურენტი, პროექტ ნაბუკოში (შუააზიური გაზით ევროპის უზრუნველყოფა რუსეთის გვერდის ავლით) აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ ამ პროექტის აქციონერებმა გერმანული „RWE“ ამჯობინეს. 47-63 მილიარდი კუბური მეტრი გაზის სიმძლავრის „სამხრეთ ნაკადის“ დასრულებას „გაზპრომი“ 2013 წლისთვის გეგმავს.

# კუბა ამერიკის მოგერიებაში ვარჯიშობს

**კუბაში გაიმართა სამხედრო სწავლებები, რომელთა მიზანიც აშშ-ის მხრიდან შესაძლო აგრესიის მოგერიება იყო. მანევრებში ათასობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის იყვნენ როგორც სამხედრო მოსამსახურეები, ასევე სამოქალაქო პირები.**



ეს 2004 წლისა და ფიდელ კასტროს კომანდანტეობიდან გადადგომის შემდეგ ყველაზე მასშტაბური სამხედრო სწავლებები იყო, რომელზე დასწრების უფლებაც უცხოელ ჟურნალისტებს არ მისცეს. სახელმწიფოს მეთაურმა და შეიარაღებული ძალების უმაღლესმა სარდალმა რაულ კასტრომ ქვეყნის ჯარის საბრძოლო მზადყოფნასთან დაკავშირებით კმაყოფილება გამოთქვა.

კუბის ხელისუფლება აცხადებს, რომ რესპუბლიკა მზად უნდა იყოს აშშ-ის მხრიდან შესაძლო აგრესიისთვის. თეთრი სახლი ამ მტკიცებებს აბსურდულს უწოდებს და ბოლო დროს ვაშინგტონსა და ჰავანას შორის გაუმჯობესებულ ურთიერთობებზე ლაპარაკობს.

კუბის ჯარი საყოველთაო საჯარო ვალდებულების საფუძველზე ყალიბდება. ჯარში გაწვევა 17 წლის ასაკიდან იწყება და მსახურება 3 წელს გრძელდება. გარდა ამისა, ქვეყანაში არის ტერიტორიალური მილიციის გასამხედროებული ფორმირებები, რომლებიც სამოქალაქო პირებისაგან კომპლექტდება.

# პოლონელებს კომუნისტური სიმბოლოების გამო დააპატიმრებენ

**პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც კომუნისტური სიმბოლოების ყიდვის ან ფლობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.**

ყველას, ვისაც აქვს, ყიდის ან ავრცელებს კომუნიზმის სიმბოლიკის შემცველ ნივთებს ან ჩანაწერებს, ჯარიმა ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის. სასჯელს გადაურჩებიან მხოლოდ კოლექციონერები და ისინი, ვინც აღნიშნულ სიმბოლიკას სასწავლო ან მხატვრული დანიშნულებით იყენებს. დოკუმენტში რატომღაც არაა ჩამოთვლილი, კონკრეტულად რომელი სიმბოლოები იკრძალება. პოლონეთში ზოგიერთი დეპუტატი თვლის, რომ კომუნიზმისადმი ზუსტად ისეთივე დამოკიდებულება უნდა იყოს, როგორიც ფაშიზმის მიმართაა. შეგახსენებთ, რომ პოლონეთში კომუნისტური რეჟიმი 1947 წელს, მისი საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მოქცევის შემდეგ, დამყარდა და 1989 წელს მშვიდობიანად დაემხო.



საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დედამიწა მეტეორს გადაურჩა



**დედამიწა მეტეორიტის შეჯახებისგან სასწაულმა იხსნა. ამ დღეებში, ღამით ციურმა სხეულმა ჩვენს პლანეტას ზედაპირიდან სულ რაღაც 90 კილომეტრის დაშორებით ჩაუქროლა.**

სამხრეთაფრიკული ქალაქების პრეტორიისა და იოჰანესბურგის მოსახლეობას შეეძლო, ეხილა უზარმაზარი მანათობელი ბურთი. მეცნიერების მტკიცებით, მეტეორიტი ისეთი სიჩქარით მოძრაობდა, რომ, სავარაუდოდ, ატმოსფეროში შემოჭრამდე აალდა. დედამიწასთან შეჯახების შემთხვევაში კი ის პლანეტას დიდ ზიანს ვერ მიაყენებდა. „NASA“-ს სპეციალისტებს კი მარსზე სიცოცხლის არსებობის დამადასტურებელი ახალი მტკიცებულებები აქვთ. დედამიწაზე 13 ათასი წლის წინათ ჩამოვარდნილი მარსიანული მეტეორიტის — „ALH 84001“-ის ნამსხვრევებში აღმოჩენილი წარმონაქმნები გაქვავებული ბაქტერიები აღმოჩნდა.

# ოჰაიოში სიკვდილით დასჯა აღდგება

**აშშ-ის ფედერაციულმა სააპელაციო სასამართლომ შტატ ოჰაიოს მთავრობას ნება დართო, განაახლოს სასიკვდილო განაჩენების აღსრულება.**

სექტემბერში გუბერნატორმა ტედ სტრიკლენდმა და ფედერალურმა მოსამართლეებმა რამდენიმე დასჯა გადადეს იმის გამო, რომ მკვლელ რომელ ბრუმის მიმართ განაჩენის აღსრულება უშედეგოდ დასრულდა. სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულება განახლდება სასიკვდილო ინექციის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შემდეგ.

14 წლის გოგონას მკვლელობისთვის გასამართლებული ბრუმის განაჩენის აღმსრულებლებმა კარგა ხანს ვერ იპოვეს მის სხეულზე ინექციისთვის შესაფერისი ადგილი. ამის გამო პროცედურას „სასტიკი და უჩვეულო“, შესაბამისად, ანტიკონსტიტუციური ეწოდა. პროცედურის შეცვლის ფარგლები სასიკვდილო ინექციის სახით სამი პრეპარატის ნაცვლად გამოიყენება მხოლოდ ერთი, ოღონდ დიდი დოზით. ნატრიუმის ტრიოპენტალი აქამდე ცხოველების დასაძინებლად გამოიყენებოდა, ადამიანების მოსაკლავად მას აქამდე მხოლოდ სხვა პრეპარატთან ერთად იყენებდნენ. დაზღვევის მიზნით გაკეთდება კიდე ორი მედიკამენტის ინექცია.

# ამერიკელები საჭმლის 40 პროცენტს ნაგავში ყრიან

**ჟურნალ „PLoS ONE“-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, აშშ-ის მოქალაქეები ქვეყანაში წარმოებული საკვების 40%-ს ნაგავში ყრიან.**



მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ 1974 წლიდან დღემდე ერთი ამერიკელის მიერ გადაყრილი საჭმლის რაოდენობა 50%-ით გაიზარდა. ყოველდღიურად აშშ-ის ერთი მოქალაქე დაახლოებით 1400 კილოკალორიას ყრის, წელიწადში ამერიკაში 150 ტრილიონი კილოკალორია ქრება.

ამავე დროს აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, უკანასკნელ ორ წელიწადში იმ ოჯახების რაოდენობა, რომელთაც გემოვნება უფულობის გამო შეიცვალეს, 4,7 მილიონიდან 6,7 მილიონამდე გაიზარდა. მსოფლიოში სულ დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი შიმშილობს.

## გიორგი გაჩეჩილაძე:

# ამ რაოდენობის ნარკოტიკების ბრუნვა საქართველოში ხელისუფლების უშუალო მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარშემო სკანდალი არ ცხრება. რამდენიმე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ ეროვნული ნაკრების წევრები ნარკოტიკებსაც კი მოიხმარენ. ნაკრების ორმა ფეხბურთელმა: რატი ალექსიძემ და ლევან ცქიტიშვილმა ჰეროინის მოხმარებისთვის 500-ლარიანი ჯარიმა ოფიციალურად გადაიხადეს. ნარკოტიკების მომხმარებელთა ნუსხაში ფიგურირებს ფეხბურთის პროფესიული ლიგის პრეზიდენტის — დიმიტრი რამიშვილის გვარიც. მწვანეთა პარტიის ლიდერმა — გიორგი გაჩეჩილაძემ კი გაეროს კვლევებზე დაყრდნობით შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელა, ჰეროინის მოხმარებით საქართველო თურმე მსოფლიოში პირველ ადგილზეა.**



**ნარკომანები ხელისუფლების პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენენ**

**გიორგი გაჩეჩილაძე:**

— გაეროს მონაცემებით, ამიერკავკასიაში წელიწადში 11 ტონა ჰეროინი ორი ძირითადი მარშრუტით შემოდის: ავღანეთი-ირანი-აზერბაიჯანი (9 ტონა) და ავღანეთი-შუა აზია-კასპიის ზღვა-აზერბაიჯანი (2 ტონა); აქედან 7 ტონა საქართველოს ნავსადგურებიდან ევროპაში გადის; რეგიონში რჩება 4 ტონა. აშშ-ის ადმინისტრაციის მონაცემების გათვალისწინებით ადვილი საანგარიშოა, რომ საქართველოზე მოდის რეგიონში მოხმარებული ნარკოტიკების მინიმუმ 59%, ანუ 2,4 ტონა ჰეროინი. **თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში 1 ნარკომანი წელიწადში მოიხმარს მინიმუმ 30 გრამ ჰეროინს, საქართველოში კონკრეტულად ჰეროინის მომხმარებელთა რაოდენობა 80 000 აღემატება (ზოგადად, ნარკოდამოკიდებულთა რიცხვი გაცილებით მეტია), რაც ემთხვევა ექსპერტულ მონაცემებსაც. საქართველო 1000 მოსახლეზე ჰეროინის მოხმარებით მსოფლიოში პირველ ადგილზეა** (17 მომხმარებელი 1000-ზე) და გაცილებით უსწრებს რუსეთს (11), ესტონეთს (10), დიდ ბრიტანეთს (5), იტალიას (5), უკრაინას (2,9), საფრანგეთს (2,6), გერმანიას (1,4), თურქეთს (0,3) და ა.შ.

**— ბატონო გიორგი, როგორ ხვდება ნარკოტიკების ასეთი დიდი რაოდენობა საქართველოდან ევროპაში?**

— გაეროს „ნარკოტიკებისა და კრიმინალის ოფისის“ მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან 7 ტონა ჰეროინი შედის. საქართველოდან ევროპაში ჰეროინი შემდეგი მარშრუტებით ხვდება — საქართველო-ბულგარეთი (6 ტონა) და საქართველო-უკრაინა (1 ტონა) შავი ზღვის პორტების (ძირითადად, ფოთის პორტი) მეშვეობით. ნიშანდობლივია, რომ ფოთის პორტს პირდაპირი საბორნე მიმოსვლა აქვს ილიჩევსკის (უკრაინა) და ვარნის (ბულგარეთი) პორტებთან. **ეჭვი გვაქვს, რომ ასეთი დიდი რაოდენობის ნარკოტიკების ბრუნვა ასეთი პატარა ქვეყნის ტერიტორიაზე შეუძლებელია ხელისუფლების უშუალო მონაწილეობის გარეშე.**

**— საქართველოს ხელისუფლება ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლას ჯანდაცვის სფეროში პრიორიტეტად მიიჩნევს; რა გიქმნით ამ ეჭვის საფუძველს?**

— რომელ ბრძოლაზეა საუბარი, როდესაც ნარკომანია არა მარტო დიდი შემოსავლის წყაროა, არამედ, როგორც 2008 წლის არჩევნებმა ცხადყო, ნარკომანები ხელისუფლების მნიშვნელოვან პოლიტიკურ დასაყრდენსაც წარმოადგენენ. როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები აცხადებდნენ, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კრიმინალური წარმოშობისა იყო. **ნაციონალური მოძრაობის დამხმარე კატეგორიას ამ არჩევნებზე წარმოადგენდნენ კრიმინალური ელემენტები, რომლებისგანაც პოლიცია მოითხოვდა მათი ავტორიტეტისა და გავლენის გამოყენებას ამომრჩევლებზე. სამაგიეროდ, მათ სთავაზობდნენ სხვადასხვა შეღავათებს მათ მიერ ნარკოტიკების მოხმარებაზე ან სხვა დანაშაულზე თვალის დახუჭვის ან მათი მეგობარი ავტორიტეტის ციხიდან გათავისუფლების სახით. მათ მუშაობას აკონტროლებდნენ სოდ-ის თანამშრომლები, ნარკომანებს ამ სამსახურის სანაცვლოდ ნარკოტიკებსაც კი ურიგებდნენ...**

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებამდე ციხეებიდან ასობით პატიმარი საპროცესო შეთანხმებისა და შეწყალების საფუძველზე სწორედ იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიაში აქტიურ და გადამწყვეტ მონაწილეობას მიიღებდნენ. გათავისუფლებულთა შორის აღმოჩნდნენ მძიმე დანაშაულებისთვის, ნასამართლევი პირები და კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებიც.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ ნარკომანები სერიოზულ შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. თუ გაქვთ დაანგარიშებული, დაახლოებით რა თანხა ტრიალებს ქართულ ნარკომაფიაში?**

— ქართული „ნარკოკარტელის“ შემოსავლის შეფასება რთულია, მაგრამ შესაძლებელია. **გაეროს მონაცემებით, საქართველოში 1 გრამი სუფთა ჰეროინის „ქუჩის“ საშუალო ფასი 350 აშშ დოლარია, ანუ რეალიზებული 2,4 ტონის ღირებულება 840 მილიონი დოლარია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ევროპაში ჰეროინის რეალიზაცია 240%-იან მოგებას იძლევა, მაშინ საქართველოს „ნარკოკარტელის“ წლიური მოგება 0,5 მილიარდი აშშ დოლარი მაინცაა.** ნიშანდობლივია, რომ ჰეროინის „ქუჩის“ ფასით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა, რაც პირდაპირ მიანიშნებს ამ კრიმინალური ბიზნესის მონოპოლიურობაზე. ჰეროინის ტრანზიტიდან (7 ტონა) შემოსავლის ანგარიში შეუძლებელია. თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ ასეთი რაოდენობის ნარკოტიკების საზღვარზე გადატანა კორუფციული გარიგების გარეშე ვერ მოხდება. სავარაუდოა, რომ ტრანზიტის განხორციელების ფასი ქვეყანაში დატოვებული ჰეროინია. **ასე რომ, ქართული „ნარკოკარტელის“ შემოსავალი შეიძლება არ მარტო ჰეროინის გაყიდვით მიღებული მოგება იყოს, არამედ მისი მთლიანი ღირებულება — 840 მილიონი აშშ დოლარი წელიწადში.**

**— თქვენი ინფორმაციით, ჰეროინის მომხმარებლების რაოდენობით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა. რაც საგანგაშოა და, შეიძლება ითქვას, კატასტროფის ზღვარზე ვიმყოფებით.**

— ეს აშშ-ს „ნარკოტიკებთან ბრძოლის ბიუროს“ მონაცემებია. **საქართველოში დღეისთვის 240 000 დან 350 000-მდე ადამიანი მოიხმარს სხვადასხვა ნარკოტიკს; 2003 წელს კი მათი რაოდენობა 150 000 იყო. ჰეროინი საქართველოსთვის კატასტროფად იქცა. სამედიცინო დაწესებულებებში აღრიცხული ე. წ. პრობლემური ნარკომანების 78% სწორედ ჰეროინის მომხმარებელია. ნარკომანების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება ნარკომანიასთან დაკავშირებული უმძიმესი დაავადებების რაოდენობაც — შიდსით დაავადებულთა 70% ნარკომანია, ხოლო C ჰეპატიტით ნარკომანთა 50%-ია დაავადებული. იზრდება ნარკოტიკებით გამოწვეული ფსიქიური და ქცევითი აშლილობები. საგანგაშოა, რომ ნარკოტიკების მოხმარება ყველაზე ხშირია საზოგადოების ყველაზე შრომისუნარიან ნაწილში — 21-დან 40 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სწორედ ეს ასაკობრივი ჯგუფი განაპირობებს ერის გამრავლებას, შეიძლება ითქვას, რომ ქართული გენოფონდი გადაგვარების რეალური საფრთხის წინაშე დგას. ეს კი მართლაც კატასტროფის ტოლფასია.**

**ესაუბრა**
**ნანა ლაღაძიშვილი**

# აფრიკაში ალბინოსებზე ნადირობენ

**აფრიკის 10 ათასზე მეტი ალბინოსი იძულებულია, მთელი ცხოვრების მანძილზე იმალებოდეს, რათა კანის ფერის გამო დასახიჩრებასა და მოკვლას გადაურჩეს. გავრცელებულია ცრურწმენა, რომ აფრიკელი ალბინოსების სხეულის ნაწილებს აქვთ მაგიური თვისებები და ამგვარი „არტეფაქტებით“ ვაჭრობა თანდათან აქტიურდება.**



მდიდარი ადამიანები ალბინოსების სხეულის ნაწილებს სიმდიდრისა და კეთილდღეობის თილისმების სახით ყიდულობენ. ბოლო პერიოდში „სუვენირების“ დასამზადებლად სულ უფრო და უფრო მეტ ალბინოსს კლავენ. აფრიკის ქვეყნებში „უჩვეულო ადამიანური მასალებით“ მოვაჭრეებს აფრიკელი ალბინოსის „სრული ნაკრებისთვის“ 75 ათასი დოლარის გამომუშავება შეუძლიათ. ნაკრებში აუცილებლად უნდა შედიოდეს კიდურები, გენიტალიები, ყურები, ენა და ცხვირი.

სტატისტიკის თანახმად, 2007 წლიდან დღემდე ტანზანიაში 44 ალბინოსი მოკლეს, ბურუნდში — 14. ამ ფაქტებმა აღმოსავლეთ აფრიკაში მცხოვრები სულ მცირე 10 ათასი ადამიანი, რომელთაც კანის პიგმენტაცია აქვთ დარღვეული, იძულებული გახადა, შედარებით მშვიდ გარემოში გადასახლებულიყო ან მთელი ცხოვრება მათზე მონადირეთა შიშში გაეტარებინა. აფრიკელი ალბინოსის უკანასკნელი მკვლელობა ტანზანიაში ოქტომბერში მოხდა. მაშინ ადამიანის ხორცით მოვაჭრეებმა 10 წლის ბავშვს მოაჭრეს ფეხი და თავი.

შეგახსენებთ, რომ ადამიანებში ალბინოსობა ჰქვია კანის პიგმენტის თანდაყოლილ არქონას. ალბინოსები იბადებიან მაშინ, როდესაც ორივე მშობელს აქვს შესაბამისი გენი. აფრიკის კონტინენტზე ალბინოსი ბავშვების 90% უმამოდ იზრდება, რადგან მათი მამები, დაინახავენ რა თეთრკანიან ბავშვს, თვლიან, რომ ცოლმა უღალატა და ოჯახს ტოვებენ.

# ბაიკონურის კოსმოდრომიდან სამ თანამგზავრს გაუშვებენ

**რუსეთის გლობალური სანავიგაციო სისტემის კოსმოსური თანამგზავრების სერიის — „ГЛОНАСС-М“-ის ბოლო, მესამე თანამგზავრი 2009 წლის 28 ნოემბერს ბაიკონურის კოსმოდრომზე გაუშვეს. წინამორბედი ორი თანამგზავრი 17 და 23 ნოემბერს უკვე ადგილზე იყო. 14 დეკემბრისთვის თანამგზავრების გაშვება იგეგმება.**

თანამგზავრები ორბიტაზე გასულ სექტემბერს უნდა გაეყვანათ, მაგრამ ისინი მწარმოებელ ქარხანაში საბორტო აღჭურვილობის დამატებითი შემოწმებისთვის დააბრუნეს. ამის მიზეზი შესაძლო დეფექტებზე დაეჭვება გახდა.

ადრე ორბიტაზე ერთ-ერთი თანამგზავრის მუშაობის პროცესი ჩაიშალა.

„ГЛОНАСС“-ი სულ 16 თანამგზავრს მოიცავს. აპარატები ციმბირს სრულად დაფარავს, შორეული აღმოსავლეთი და რუსეთის ევროპული ნაწილი 92-97 პროცენტითაა სიგნალით უზრუნველყოფილი.

ადრე იგეგმებოდა, რომ 2009 წლის დასასრულისთვის „ГЛОНАСС“-ის 24 თანამგზავრი გავიდოდა ორბიტაზე, ამასთან, მრავალჯერ აღინიშნა, რომ საიმედოობისთვის 30-მდე აპარატია საჭირო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბრაზილიამ «გრინგოებს» ამაზონის ტყეებისთვის ფული მოსთხოვა



**ბრაზილიის პრეზიდენტმა ლუის ინასიუ ლულა და სილვამ ამაზონის აუზის 26 ქვეყნის წარმომადგენელთა სამიტის წინ მოითხოვა, რომ ტროპიკული ტყეების გადარჩენის მათეული ძალისხმევა „გრინგოებმა“ აანაზღაურონ. ამ მეთოდით ბრაზილიის ხელისუფლება რეგიონში ეკოლოგიის მხარდასაჭერად 21 მილიარდი დოლარის მოგროვებას იმედოვნებს.**

ჯერჯერობით ამგვარი გადაწყვეტილება მხოლოდ ნორვეგიასთანაა მიღწეული. ის ბრაზილიას 2015 წლამდე 1 მილიარდი დოლარის გადარიცხვას დაჰპირდა. აღნიშნულ საკითხზე ჯერ კიდევ ფიქრობენ შვედეთი, გერმანია, შვეიცარია, იაპონია და სამხრეთი კორეა.

7-დან 18 დეკემბრამდე კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილ გაეროს საერთაშორისო კონფერენციაზე, სავარაუდოდ, ხელი მოეწერება ტყეების დაცვის ხელშეკრულებას. ეს დოკუმენტი გაითვალისწინებს ფულად ჯილდოებსა და საერთაშორისო ბაზარზე მნიშვნელოვან ფასდაკლებებს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც თავიანთ ტერიტორიებზე მდებარე ტყის მასივებს გაჩეხვისაგან დაიცავენ. ამაზონის ტროპიკული ტყეები ნახშირმჟავა გაზის ბუნებრივი მშთანთქმელია. ბრაზილიის ხელისუფლების ძალისხმევის შედეგად 2008-2009 წლებში ტყის მხოლოდ 7 ათასი კვადრატული კილომეტრი განადგურდა, რაც უკანასკნელი 21 წლის მაჩვენებლებით რეკორდულად მცირეა.

# გაიღვიძე, ძია სემ,

**თუ 2010 წლის მაისამდე მშვიდობით მივაღწევთ, რის გარანტიაც ნამდვილად არ გვაქვს, ადგილობრივ არჩევნებსაც მოვესწრებით. ხელისუფლება მათ 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების სტილში თუ ჩაატარებს, ქვეყანაში კვლავ მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება დაიწყება. პესიმისტურად კი ჟღერს, თუმცა, ბოლო მოვლენების შემხედვარე, ოპტიმიზმს ზოოპარკში გამოკეტილი პავიანები თუ შეინარჩუნებდნენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ტელევიზიის გარდა ინფორმაციის სხვა წყარო არ ექნებოდათ.**

## ორპირობა და სიცრუე

**ვის შეუძლია განმუხტოს მოსალოდნელი კრიზისი ან ხელი შეუწყოს მის გაღვივებას? ვინაიდან შეერთებული შტატების ხელისუფლება ქართულ პოლიტიკაში ისე ჩაეფლო, როგორც ვიეტნამის ჭაობებში დაუვიწყარ 1968-ში, ალბათ, აჯობებს, მისი პოზიციის ანალიზით დავიწყოთ.** როდესაც ვამბობთ, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებს ვაშინგტონი აკონტროლებს, როგორც წესი, მაშინვე ვიწყებთ მსჯელობას იმაზე, რას, როგორ და რისთვის აკეთებს თეთრი სახლი; და ძალიან იშვიათად ვკითხულობთ, თუ რამდენადაა გათვლილი მისი ნაბიჯები? **რატომღაც იგულისხმება, რომ ვაშინგტონის ინფორმირებულობა აბსოლუტურია, ხოლო ცდომილება — ნულოვანი. ამ ხედვას რეალობასთან იმდენივე აქვს საერთო, რამდენიც პალიკო კუბლაშვილს ლუდვიგ ფოიერბახთან.**

„Washington Times“-ის ჟურნალისტთან საუბარში (16.09.09) ამერიკელმა დიპლომატებმა აღიარეს, რომ **აშშ-ის დიპლომატიური წარმომადგენლობები თავს არიდებენ სახელმწიფო დეპარტამენტისთვის მოკავშირეებზე უარყოფითი ინფორმაციის მიწოდებას და ამით აკლებენ ჩინოვნიკებს უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას, რომელიც სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად სჭირდებათ. ერთ-ერთი ყოფილი დიპლომატის თქმით: „მისიის ხელმძღვანელი საერთოდ გვიკრძალავდა ნებისმიერი ცუდი ამბების გადაცემას“ და საჯაროდ ამბობდა, „რომ ჩვენ უნდა მოგვემზადებინა მხოლოდ დადებითი მოხსენებები ქვეყანაზე, რომელშიც ვმუშაობდით“. ნეგატიურ ინფორმაციას იმ ქვეყნებიდან, რომელთანაც აშშ-ს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, მსგავსი წინაღობები არ შექმნია.**

დიპლომატების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ უმცროსი ბუშის პრეზიდენტობის დროს შემოღებულ ამ პრაქტიკას, შემცირებული მასშტაბით ადგილი დღესაც აქვს. **სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ფილიპ კროულიმ კი განაცხადა, რომ გამოგზავნილი შეტყობინება „უნდა ასახავდეს მისიის ხელმძღვანელის აზრს“, ამიტომ მას უფლება აქვს ხელქვეითების მიერ შედგენილ ტექსტში შესწორება შეიტანოს. მან, აგრეთვე, მადლიერება გამოხატა იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც მოვლენებს ობიექტურად, „კეთილსინდისიერად“ აფასებენ. მანვე დასძინა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტს „ინფორმაციის სხვა წყაროებიც აქვს“.**

ობიექტური თანამშრომლების ცალკე გამოყოფა და მათთვის მადლობის გადახდა საგულისხმოა, რადგან თავის თავში, სხვა, ნაკლებად კეთილსინდისიერი, თანამშრომლების არსებობას გულისხმობს, თანაც, სავარაუდოდ, დიდი რაოდენობით. **რაც შეეხება „სხვა წყაროებს“, ამერიკული დიპლომატიის ვეტერანის, ტომას პიკერინგისა და დიპლომატიური ასოციაციის პრეზიდენტის, სიუზენ ჯონსონის მიერ „Washington Times“-ისთვის მიცემული ინტერვიუების თანახმად,**

**უშუალო ხელმძღვანელების გვერდის ავლით მიწოდებული ინფორმაცია ისეთივე მწირია, როგორც გავლენა, რომელსაც იგი გადაწყვეტილებების მიღებაზე ახდენს.**

ხოლო თუ ფილიპ კროულიმ „სხვა წყაროების“ ხსენებისას იგულისხმა უწყებათაშორისი თანამშრომლობა, კერძოდ ის, რომ მზვერავებისგან ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელია ობიექტური ინფორმაციის მიღება; ამ შემთხვევაშიც ვითარება იდეალურისგან ერთობ შორს დგას. თავი დავანებოთ ბრალდებებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიმართ, რომელსაც, უილიამ კეისის დირექტორობის პერიოდიდან (1981-87), ამერიკელი მიმომხილველები მუდმივად ადანაშაულებენ ინფორმაციით მანიპულირებაში პოლიტიკური კონიუქტურის მოთხოვნებიდან გამომდინარე. უბრალოდ, დავაკვირდეთ კიდევ ერთ, ამჯერად „Washington Post“-ის პუბლიკაციას (15.09.09), სადაც ბრუკინგსის ინსტიტუტის კვლევაზე დაყრდნობით, მიდის მსჯელობა იმაზე, რომ ობამას წინამორბედის პრეზიდენტობის დროს ხელისუფლებისათვის სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდების მეთოდებმა შესაბამისი უწყებებისთვის უარყოფითი შედეგი გამოიღო და გამოიწვია „გადასვლა ღრმა კვლევებიდან ზედაპირულ ანალიზზე“. ბრუკინგსის ინსტიტუტის მოხსენების სათაური „აშშ-ის სადაზვერვო საზოგადოება და საგარეო პოლიტიკა: როგორ მივაღწიოთ სწორ ანალიზს“ თავისთავად საგულისხმოა.

## ჰასტა სიემპრე, კომანდანტე

**დამახინჯებული ინფორმაცია და ზედაპირული ანალიზი პოლიტიკაში დაახლოებით ისეთ ეფექტს იწვევს, როგორც თაფლის კასრში ჩაწვეთებული კალიუმის ციანიდის წვეთი. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, ობამას ადმინისტრაცია რომც ესწრაფოდეს წინამორბედის შეცდომების აღმოფხვრას, უზარმაზარი ბიუროკრატიული მანქანის გადაწყობა ინფორმაციასთან მოპყრობის სხვა წესზე დიდ ძალისხმევასა და ხანგრძლივ დროს მოითხოვს.**

საინტერესოა, 2007-2009 წლების ქართული კრიზისის ნებისმიერი ეპიზოდი ამ ფაქტორების გათვალისწინებით განვიხილოთ. ჩვენში ორი მიდგომა გამოიყენება **„ამერიკელებმა ყველაფერი იცოდნენ და უბიძგებდნენ სააკაშვილს სწორედ ასე ემოქმედა“** და **„ამერიკელებმა არაფერი იცოდნენ და სააკაშვილის მოქმედება მათთვის სიურპრიზი იყო“.** ორივე ამ მიდგომას ღრმა კონსპიროლოგიამდე და ზედაპირულ შიზოფრენიამდე მივყავართ. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტორს, რომ თეთრი სახლი მოქმედებდა დამახინჯებული ინფორმაციისა და უხარისხო ანალიზის საფუძველზე, რაც დიდი ალბათობით გამომდინარეობს ზემოთ განხილული ორი პუბლიკაციიდან, 2007 წლის ნოემბრის, 2008 წლის აგვისტოსა და სხვა მოვლენების არსი შეიძლება ჩვენთვის უფრო გასაგები გახდეს.

**ერთია აშშ-ის პოლიტიკის ცდომილება მშვიდ რეგიონში მდებარე, ძველ მოკავშირე ავსტრალიასთან მიმართებაში, იგი შეიძლება შევადაროთ იქაურ გაშლილ სივრცეზე მიმავალი მანქანის მძღოლის მიერ საჭის უხერხულ დატრიალებას. ეს მაქსიმუმ, ოდნავ შეცვლის კურსს, სწორ მიმართულებას ააცდენს, რომელსაც, ადრე თუ გვიან, კვლავ დაუბრუნდება. საქართველო სულ სხვა, მთაგორიანი ქვეყანაა, საჭეს ოდნავ უყურადღებოდ დაატრიალებ და სერპანტინიდან უფსკრულში გადაეშვები.**

იმ მოტივების დადგენა, რომელიც ამერიკელ დიპლომატებსა და მზვერავებს სამსახურებრივ ინფორმაციასთან ესოდენ უცნაური მოპყრობის დროს ამოძრავებდათ, ძალზე საინტერესოა, თუმცა ჩვენ საშინაო საქმეებს სცილდება. ალბათ, ძალიან მარტივია, იპოვო მის მიღმა პირადი დაინტერესება და ძალიან რთული — გავლენიანი ნეოკონების ჯგუფის შეთქმულება, რომლებმაც გადაწყვიტეს აშშ-ის სახელმწიფო მანქანის გამოყენება საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, რეალობის გათვალისწინების გარეშე. ეს თავად ამერიკელებმა უნდა გაარკვიონ, თუმცა ეს მათთვის, სავარაუდოდ, ისეთივე რთული იქნება, როგორც დენვერის აეროპორტის მოხატულობის სიმბოლური დატვირთვის გააზრება (თვალი შეავლეთ, საკმაოდ საინტერესოა) **და ისეთივე მარტივი, როგორც ჯონდი ბაღათურიას ვარცხნილობა. ფაქტია: თბილისელების 2/3-ს (მინიმუმ!) არ სურს, რომ თავზე კვლავ ხელისუფლების მიერ შერჩეული**

# აშშ-ს ბენ ლადენი თვალსა და ხელს შუა დაუსხლტა

**ამერიკელმა სამხედროებმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს და ბენ ლადენი ხელიდან გაუშვეს. ეს 2001 წლის დეკემბერში აღმოსავლეთავღანურ პროვინცია ნანგარხარში, ტორა-ბორას მთებში მოხდა. შედეგად ავღანური კამპანია „ბლანტ ომად“ იქცა. სწორედ ასეთ დასკვნას შეიცავს აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის მოხსენება.**



ვაშინგტონი აშშ-ის მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული უამრავი ტერაქტისთვის პასუხისმგებლობას პირადად ბენ ლადენს აკისრებს. „პაკისტანში გაქცევამ ბენ ლადენს საშუალება მისცა, გამხდარიყო სიმბოლური ფიგურა, რომელიც იზიდავს ფულად სახსრებს და შთააგონებს ფანატიკოსებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დავალების შეუსრულებლობა აისახა ავღანეთის კონფლიქტის სცენარის შეცვლის შესაძლებლობის სამუდამოდ დაკარგვასა და საერთაშორისო ტერორიზმის მომავალზე“, — ნათქვამია მოხსენებაში. ახლა, მსოფლიოს „ნომერ პირველი ტერორისტის“ ავღანეთიდან პაკისტანში გაქცევიდან და ავღანეთის კამპანიის დაწყებიდან რვა წლის შემდეგ, ქვეყანაში სიტუაცია კონტროლს აღარ ექვემდებარება, არასტაბილურობა შესაძლოა მეზობელ პაკისტანსაც გადასწვდეს და მთელ რეგიონს მოედოს.

# ცივი ომის წლებში აშშ-ის დაზვერვა ოინბაზებს იყენებდა

**XX საუკუნის 50-იან წლებში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ცნობილი ოინბაზის მომსახურებას იყენებდა. ილუზიონისტისა და ოინბაზის ჟურნალ „სფინქსის“ რედაქტორის — ჯონ მალჰოლანდის რჩევები საფუძვლად დაედო ამერიკაში 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ წიგნს „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიციალური სახელმძღვანელო თაღლითობასა და გაიძვერობაში“.**



ილუზიონისტს მსხვერპლის შეუმჩნევლად მოწამვლის, ფეხსაცმლის ზონრის განსაკუთრებული კვანძებით შეკვრისას სიგნალის გადაცემისა და ქალების მიერ სამხილების დაფარვის მეთოდების სწავლებისთვის იმ დროის მნიშვნელოვანი თანხა — 3 ათასი დოლარი გადაუხადეს. ავტორთა თქმით, წიგნს საფუძვლად დაედო მალჰოლანდის ერთადერთი ანგარიში, რომელიც 1973 წლის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სკანდალური პროექტის „MK-ULTRA“-ს დოკუმენტების განადგურების შემდეგ გადარჩა. ამ კოდური სახელწოდების ქვეშ იმალებოდა პროგრამა, რომელიც ცნობიერების მანიპულირებისა და პსიქოტროპული პრეპარატების გამოყენების მეთოდებს იყენებდა. ეს პროგრამა ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან ამოქმედდა და ქვეყნის მოქალაქეების მათი ნებართვის გარეშე ცდის ობიექტებად გამოყენებას ითვალისწინებდა. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში გამოიცადა ფსიქოტროპული საშუალება „LSD“ ადამიანებზე. მასალების უდიდესი ნაწილი 1973 წელს განადგურდა, მაგრამ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სკანდალს მაინც ვერ გადაურჩა. ყველაფერი 1974 წლის დეკემბერში „New York Times“-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციით დაიწყო. მაშინ ჟურნალისტებმა პირველად ამხილეს დაზვერვა ამერიკის მოქალაქეებზე უკანონო ექსპერიმენტების ჩატარების გამო. 1976 წლიდან წერილობითი თანხმობის გარეშე ადამიანებზე ცდები პრეზიდენტ ფორდის ოფიციალური ბრძანებულებით აიკრძალა.

# კოლორადოს გუბერნატორს ეზო ტუალეტის ქაღალდებით მოურთეს

**უცნობმა პირებმა კოლორადოს შტატის გუბერნატორის ოფიციალური რეზიდენციის ეზოში ხეებზე ტუალეტის ქაღალდის გრაგნილები ჩამოჰკიდეს.**



როგორც გუბერნატორმა — ბილ რიტერმა ჟურნალისტებს უამბო, გარიჟრაჟზე თვალი გაახილა თუ არა, მაშინვე ორიგინალურად გაფორმებული ხეები დაინახა, მაგრამ ჩათვალა, რომ ასე თავის არასრულწლოვან შვილებს ეხუმრნენ თანატოლები და არა — მას.

კოლორადოს შტატის გუბერნატორის რეზიდენცია 1908 წელსაა აშენებული და 1960 წლიდან გუბერნატორთა ოჯახების საცხოვრებელია.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დეპოში ვართ...



**მერი დაასვან, მიუხედავად იმისა, თუ რა ტექნოლოგიური ჯაჭვის გამოყენებით შეეცდება ხელისუფლება ამის გაკეთებას. ეს მომავალი კრიზისის ამოსავალი წერტილია. არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, საქართველოსთვის ძალიან დიდი ალბათობით აქტუალობას ჯონ კენედის სიტყვები შეიძენს: „ის, ვინც მშვიდობიანი რევოლუციის შესაძლებლობას სპობს, ძალადობრივს გარდაუვალს ხდის“.** ამასთანავე, თუ ოპოზიცია ფეხს ვერ აუბამს მოვლენების ლოგიკას და ჩათვლის, რომ ეს მორიგი კარნავალია, რომლის დროსაც შეიძლება ხელისუფლებასთან თანამშრომლობით სარგებელიც იშოვო და მკერდზე ერთიორი მაისურიც შემოიხიო, იგი, სავარაუდოდ, თავის უკანასკნელ შეცდომას დაუშვებს.

**ამ შემთხვევაში წინა პლანზე შეიძლება გამოვიდნენ აუგუსტო სანდინოს და ფიდელ კასტროს მსგავსი ადამიანები. დღეს ეს ძნელად წარმოსადგენია, შესაძლოა — ღიმილის მომგვრელიც კი, მაგრამ, როგორც წესი, ასეთი ლიდერები ძალიან სწრაფად, თითქოს არსაიდან, ჩნდებიან და ფრიად ეფექტურ მოქმედებას იწყებენ.** ვინ — ვინ და ამერიკელებმა ეს კარგად იციან, ისიც ემახსოვრებათ, რომ მეამბოხეების მიერ მათი მარიონეტების ჩამოგდებას ყოველთვის წინ მათივე შეცდომა უძღოდა. მოქმედების გაგრძელება ძველი შაბლონით, მაშინ, როდესაც მდგომარეობა სწრაფ არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს მოითხოვდა. აქამდე საქმის მიყვანა არ ღირს და სამართლიანი არჩევნების ჩატარება ნამდვილად ჯობს, მაგრამ შესაძლებელია თუ არა ეს საერთოდ დღევანდელ საქართველოში?

### მარიონეტებად არ იბადებიან

**კომპიუტერულ თამაშს, და არა ჩვენს სამშობლოს, რომ ეხებოდეს, ვიტყოდით, რომ ამერიკელების წინაშე საინტერესო ამოცანა დგას. ქართული შიდაპოლიტიკური კონფლიქტის შემდგომი გაყინვა აიძულებთ, მალევე დაუბრუნდნენ იმავე პრობლემების გადაწყვეტას, თუნდაც ძლიერ გართულებულ პირობებში. თუმცა სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის ხელისუფლების თანდათანობითი ჩამორთმევის პროცესის დაწყების ხელშეწყობაც გარკვეულ რისკს უკავშირდება.**

ქვეყანაც და რეგიონიც (მსოფლიოს თავი რომ დავანებოთ) არასტაბილურია, ყველა ფაქტორის გათვალისწინება — შეუძლებელი, ნებისმიერმა მკვეთრმა მოძრაობამ შეიძლება აფეთქება გამოიწვიოს. **დღეს ამერიკელი წარმომადგენლები გამნაღმველებივით მუშაობენ ჰოლივუდურ ბლოკბასტერში იმ განსხვავებით, რომ მეორე დუბლის გადაღების შესაძლებლობა არ აქვთ.**

### აფეთქების შემთხვევაში პროამერიკული საქართველოსგან ქვა ქვაზე არ დარჩება.

**ისევ კენედის თუ დავესესხებით: „დიპლომატს პროფესიონალი ჯიბის ქურდის რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს“. ცხადია, ერთი მავთული უნდა გადაიჭრას, გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა — წითელი თუ ლურჯი? ლურჯი თუ წითელი?**

რა მდგომარეობა გვაქვს დღეისთვის: ირაკლი ალასანიას ფიგურა აქტივირებულია. ყველა პარტია, რომელთათვისაც ვაშინგტონის აზრი განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს, შეყრილია ერთ ალიანსში, მათი პოპულარიზაციის კამპანიაში არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებისა და სხვა ნაკლებად ხილული ძალების მთელი ქსელი ჩაება (საკვანძო სიტყვა ამ შემთხვევაში **ქსელია**). ამ მომენტიდან შესაძლებელია მხოლოდ თანმიმდევრული წინსვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში „ალიანსი ალასანიასთვის“, უბრალოდ, გაიჭყლიტება — ერთი მხრივ, ხელისუფლების წინააღმდეგობით; მეორე მხრივ, საპროტესტო ელექტორატის ზეწოლით, რომელიც ყოველი გამარჯვების შემდეგ ახალს, უფრო შთამბეჭდავს მოითხოვს და, სავარაუდოდ, არ დამშვიდდება, ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტის სავარძელშია (არც შემდეგ დამშვიდდება, თუმცა ეს უკვე სხვა ისტორიაა). ამასთანავე, არსებობენ სხვა ოპოზიციური ძალებიც, რომლებიც მასშტაბიდან გამომდინარე, ან ინიციატივის საკუთარ ხელში აღებას, ან მომცრო სვავებივით მსუყე ლუკმის წაგლეჯას შეეცდებიან.

**უახლოესი პოლიტიკური ისტორიიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დამოუკიდებლად წარმატების მისაღწევად ალასანიას ირგვლივ გაერთიანებულ კონგლომერატს ისევე გაუჭირდებოდა, როგორც კახა ბენდუქიძეს კილიმანჯაროს დაპყრობა. თუმცა ამერიკელების დახმარებას შეუძლია მისი გადაქცევა სერიოზულ ძალად, რომელიც თანდათან (ან სწრაფად, თუ საჭიროება მოითხოვს) ხელისუფლებას გადაიბარებს.** არსებობს ყველა წინასწარი ნიშანი იმისა, რომ საქმე სწორედ ხელისუფლების კონტროლირებად ტრანზიტთან გვაქვს, მაგრამ გავითვალისწინოთ ისიც, რაც თავიდანვე აღვნიშნეთ, (სავარაუდო) ოპერაციის მსვლელობაზე სხვადასხვა შემაფერხებელი ფაქტორები მოქმედებს და უცაბედად, თითქოს და ლოგიკის საწინააღმდეგოდ, იგი შეიძლება შეჩერებულ იქნას ან სულაც გაუქმდეს.

**ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ**

### სრულიად საქართველო მხოლოდ მაყურებელია მარიონეტების თეატრში და მორჩილად უნდა დაელოდოს მომენტს, როდესაც სცენაზე არლეკინს პიერო ჩაენაცვლება.

**დიმიტრი მონიავა**

## სამხრეთ კორეამ ხუთი ათასი მოქალაქის დახვრეტა აღიარა



**სიმართლისა და შერიგების კომისიის ანგარიშში ნათქვამია, რომ სამხრეთ კორეის ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა კორეის ომის პირველ თვეებში ხუთ ათასამდე თავიანთი მოქალაქე დახვრიტეს. სავარაუდოდ, დახვრეტის ბრძანებებს სცემდა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება. იმავე დოკუმენტის მიხედვით, დახოცილთა უმეტესობა მემარცხენე შეხედულებების იყო, სამხრეთ კორეის ხელისუფლება კი შიშობდა, რომ კომუნიზმის მომხრეები ჩრდილოეთ კორეის ჯარებთან ითანამშრომლებდნენ.**

1950 წლის ივნისიდან სექტემბრამდე სულ 4 934 ადამიანი მოკლეს. მასიური დახვრეტების შესახებ ინფორმაცია ადრეც არსებობდა, მაგრამ სხვერპლთა ზუსტი რაოდენობა ამ დრომდე არ სახელდებოდა. „The Times“-ის მონაცემებით, 50-იანი წლების დასაწყისში მშვიდობიან მოსახლეობას შორის მსხვერპლმა შესაძლოა 200 ათას ადამიანს მიაღწიოს. სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ უკვე მიიღო რეკომენდაცია, ოფიციალურად მოუხადოს ბოდიში და კომპენსაცია გადაუხადოს დახვრეტილი ადამიანების ნათესავებს. ჩრდილო და სამხრეთ კორეას შორის შეიარაღებული კონფლიქტი 1950 წლის 25 ივნისს დაიწყო, როდესაც ჩრდილოეთ კორეის ჯარები მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. მოგვიანებით ომში ჩაებნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და საბჭოთა კავშირი. კონფლიქტის დასრულების ოფიციალური თარიღი 1953 წლის 27 ივლისია. ამ ომში მხარეების საერთო დანაკარგებმა ორ მილიონ ადამიანს გადააჭარბა.

## აშშ-ში წელს მილიონზე მეტი ორგანიზაცია გაკოტრდა

**2009 წლის მესამე კვარტალში აშშ-ის ეკონომიკაში გაკოტრების შემთხვევების რაოდენობა 33%-ით გაიზარდა და 2005 წლიდან დღემდე რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. კრედიტორებისაგან დაცვის განცხადება სამი თვის მანძილზე შესაბამის ინსტიტუტებში 388 ათასმა ორგანიზაციამ შეიტანა.**

ცხრა თვის მანძილზე გაკოტრების მაჩვენებელი 35%-ით გაიზარდა და 1,1 მილიონს მიაღწია. შედარებისთვის, მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში გაკოტრების საერთო მაჩვენებელი 1,117 მილიონს შეადგენდა. 2005 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგინა 2 მილიონზე მეტმა სარჩელმა, მაგრამ შემდეგ კონგრესმა გაკოტრების შესახებ კოდექსში ცვლილებები შეიტანა და მიმართვების რაოდენობამაც იკლო.

გაკოტრების შემთხვევათა უმრავლესობა აშშ-ის ეკონომიკაში რეცესიასა და მის შე-




დეგად გაზრდილ უმუშევრობას უკავშირდება. უკანასკნელი მონაცემებით, ამერიკაში უმუშევრობის მაჩვენებელმა 10-პროცენტიან ნიშნულს გადააჭარბა.

## საზღვაო ქვეითი ჯარი 2015 წლისთვის გადაიარაღდება



**რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყველა შენაერთი და საჯარისო ნაწილი 2015 წლისთვის სრულად გადაიარაღებული იქნება.**

გადაიარაღების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს „Т-90“-ის ტიპის ტანკების, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანების „БМП-3“, ჯავშანტრანსპორტერების „БТР-82А“, საბრძოლო სადაზვერვო მანქანების „БРДМ-3“, 120-მილიმეტრიანი თვითმავალი საარტილერიო იარაღის „2С31“, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოდერნიზებული საშუალებებისა და ყუმბარმტყორცნების მიწოდებას. საზღვაო ქვეითი ჯარის გადაიარაღება რუსული ჯარის საერთო მოდერნიზაციის ფარგლებში ხორციელდება. როგორც რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა 2009 წლის 18 ნოემბერს განაცხადა, 2020 წლისათვის რუსეთის ჯარის შეიარაღებაში თანამედროვე იარაღი 70-80%-ს უნდა შეადგენდეს.

უფრო ადრე, 12 ნოემბერს, ფედერალური ყრილობისადმი ყოველწლიური მიმართვისას პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ 2010 წლისათვის რუსეთის ჯარი თანამედროვე შეიარაღებას მიიღებს. მას გადაეცემა 300 ერთეული ჯავშანტექნიკა, ხუთი სარაკეტო კომპლექსი „ისკანდერი“, 30 ვერტმფრენი, 28 საბრძოლო თვითმფრინავი, სამი წყალქვეშა ნავი, ერთი საბრძოლო გემი და 11 კოსმოსური აპარატი. 2009-2011 წლებში ჯარის გადაიარაღებაზე რუსეთი ოთხი ტრილიონი რუბლის დახარჯვას აპირებს.

## რუსების 44% სამყაროს ღვთაებრივ წარმოშობას აღიარებს



**რუსების დაახლოებით ნახევარი — 44% კრეაციონიზმის კონცეფციის, ანუ სამყაროს ღვთაებრივი წარმომავლობის ერთგულია. ამგვარი შედეგი მიიღო საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა 20-21 ნოემბერს ჩატარებული გამოკითხვის შედეგების შეჯამებისას.**

ქვეყნის მოსახლეობის 35 პროცენტი ჩარლზ დარვინის ევოლუციური თეორიის მომხრეა. რუსების 22 პროცენტს კი აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ცალსახა დამოკიდებულება არ გააჩნია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ კრეაციონისტთა შორის ადამიანის ღვთაებრივი წარმომავლობის მხოლოდ 86 პროცენტს სჯერა. დარვინიზმის მომხრეთა 77% და კრეაციონისტთა 8% თვლის, რომ ადამიანსა და მაიმუნს საერთო წინაპარი ჰყავთ. დარვინისტთა 12%-ის აზრით კი, ადამიანი უფალმა შექმნა. სულ ადამიანის ღვთისმიერ წარმომავლობას რუსების 48 პროცენტი ემხრობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციამ ანალოგიური კვლევა გაზაფხულზეც ჩაატარა. მაშინ ევოლუციის თეორიას რესპოდენტთა 19% ემხრობოდა, ადამიანის ღვთაებრივ წარმომავლობას კი — 23%.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ხელგაწვდილი ჯინსების თაობა

**ერთ დღეს ფიქრებში გართული სამსახურში მივდიოდი. მეტრო „რუსთაველს“ რომ გავუსწორდი, გოგონას ხმამ გამომაფხიზლა: „უკაცრავად, ხურდა ხომ არ გექნებათ?“ მივბრუნდი და ჰოი, საოცრებავ, დაბეჩავებული ხელგაწვდილი გოგონას ნაცვლად, ორი კარგად ჩაცმული, როგორც თინეიჯერები იტყვიან, „მაგარ ზმანებში“ მყოფი გოგონები შემრჩნენ ხელში. ერთ-ერთმა ხელი გამომიწოდა და ისევ გამიმეორა, ხომ ვერ დამეხმარებითო. როდესაც მიუსაფარი ბავშვი გეუბნება, დამეხმარეო, ეს არავის უკვირს და მათ შორის — არც მე, მაგრამ, როდესაც გამოპრანჭული გოგონა გეუბნება, ფული მომეციო, მართლაც დამაბნეველია. ამ სიტუაციამ მეც დამაბნია, რადგან ამ „სვეცკი“ გოგონებისგან მსგავს საქციელს არ ველოდი.**

მათაც შემატყვეს დაბნეულობა, ერთმანეთს ღიმილით გადახედეს და გამეცალნენ. გაოცებული უკან ავედევნე. შეჩერდნენ და რატომ მოგვყვებიო, მკითხეს. ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვიყავი და მაინტერესებდა, ასე რატომ იქცეოდნენ. ჯერ ჩემი თავიდან მოშორება დააპირეს, მაგრამ დაჟინებული თხოვნის თუ მოთხოვნის შემდეგ ერთ-ერთი დამთანხმდა ეთქვა, თუ რატომ თხოულობდა ქუჩაში ფულს. ვინაობის გამხელაზე თავი შეიკავა, მაგრამ ამ შემთხვევაში, მათი ვინაობა არც მჭირდებოდა. მთავარი იყო, გამეგო მიზეზი, რის გამოც მათხოვრობდნენ. ჩემმა „მათხოვარმა“ რესპოდენტმა 16 წლის ნინიმ აი, რა მითხრა: „ვარ თბილისელი, შეძლებული ოჯახიდან. ფულის პრობლემა ნამდვილად არ მაქვს, მშობლები არაფერს მაკლებენ, თუმცა რაღაც უკმარისობის გრძნობა ყოველთვის მქონდა. მეგობრები ყოველღამ დავდიოდით დისკოთეკებსა თუ ღამის კლუბებში, თუმცა იქ ვერ ვერთობოდი, „კაიფს“ ვერ ვიჭერდი (ჟარგონისთვის მკითხველებს ბოდიშს მოვუხდი. — ავტ.). შემდეგ ერთ-ერთ ფორუმში ვნახე თემა თინეიჯერებზე, რომლებიც ქუჩაში ფულს თხოულობენ და ამით ერთობიან. მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ჩვენც გვეცადა გართობის ეს ხერხი.

— **და დაიწყეთ ქუჩაში მათხოვრობა?**

— ამას მათხოვრობას ვერ დავარქმევ, ეს გართობაა.

— **ფულის თხოვნით განა შეიძლება გართობა?**

— მშვენივრად შეიძლება. ვიკრიბებით მეგობრები და თბილისის პრესტიჟულ ადგილებში ვნაწილდებით. უფრო მეტად მეტრო „თავისუფლებისა“ და „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიებზე. მე და ჩემი დაქალი (რომელიც ახლდა) ყოველთვის მეტრო „რუსთაველთან“ „ვაბირჟავებთ“, ვდგავართ და ვარჩევთ ადამიანებს, რომლებზეც შეიძლება „კაიფი“.

— **როგორ არჩევთ „საკაიფო“ ადამიანებს, თუნდაც მე როგორ ამირჩიეთ?**

— საერთოდ, იმის მიხედვით ვარჩევთ, თუ როგორია ადამიანი. სოფლელებსა და „გოიმებს“ სახეზე და ჩაცმაზე ვცნობთ. მივდივართ მათთან და ფულს ვთხოვთ. ისინი ჩვენგან ამას არ მოელიან და იბნევიან, უცებ, ჯიბიდან ფულს იღებენ და დაბნეული სახით გვაძლევენ. ამ შემთხვევაში ის უკვე „დაგოიმდა“ და მაგაზე ძალიან ვხალისობთ. შენს შემთხვევაში სხვა მიზეზი იყო. იმიტომ მოვედით შენთან, რომ ჩაფიქრებული მოდიოდი, მივხვდით, რომ ჩვენი თხოვნა აუცილებლად დაგაბნევდა (ეს ჩემთვის დიდი პატივია. — ავტ).

— **ვისთანაც მიდიხართ, ფულს ყველა გაძლევთ?**

— არა, ზოგიერთი არ გვაძლევს, ხვდებიან, რომ ვატყუებთ და მიდიან.

— **ანუ, ამ შემთხვევაში, სათანადოდ ვერ შეარჩიეთ „მსხვერპლი“?**

— ალბათ, ზოგიერთმა იცის ჩვენი გართობის შესახებ და ამიტომ არ გვაძლევს ფულს ან, შეიძლება, ჩაცმულობა „ბანძი“ აქვს, მაგრამ ჭკვიანია და ხვდება.

— **ნუთუ თბილისში სხვა გასართობი არაფერია?**

— მოგვბეზრდა ამ დისკოთეკებსა და კაფეებში სიარული. ეს კი გართობის საუკეთესო საშუალებაა. საღამოს მეგობრები ვიკრიბებით, ვიხსენებთ ყველა იმ ადამიანს, რომლებიც „დავაგოიმეთ“ და ამაზე ძალიან ვხალისობთ.

**ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ მათხოვრობით თუ გართობა შეიძლებოდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ღარიბი და მოწყალების მთხოვნელი ადამიანი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება, ამათ კიდევ შეძლებული ოჯახის შვილები დაემატნენ.**

**ალექსანდრე აკობია**

## ავთანდილ არაბული:

# შემთხვევითი და არაკვალიფიციური ავტორის სახელმძღვანელო ფალსიფიცირებული წამლის ტოლფასია

**სასკოლო განათლება უმღლესი სკოლისა და მეცნიერების ფუნდამენტია. როგორია ეს ფუნდამენტი დღევანდელ საქართველოში მსოფლიო სასკოლო განათლების ფონზე? —ამ კითხვაზე პასუხს მსოფლიო განათლების კვლევის საერთაშორისო ცენტრის მიერ მსოფლიოს 60 ქვეყანაში მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და მშობლიურ ენაში ჩატარებული კვლევები იძლევა. შედეგები ჩვენთვის სავალალო აღმოჩნდა. „პირველად საქართველოში“, სასკოლო განათლების თვალსაზრისით, ბოლოდან პირველ ჯგუფში ლიბანის, ტაილანდის, იორდანიის, ბახრეინის, ეგვიპტის, სირიისა და ალჟირის გვერდით აღმოვჩნდით. სასკოლო სახელმძღვანელოების ხარისხისა და შინაარსის შესახებ თავისი მოსაზრება გაგვიზიარა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ავთანდილ არაბულმა.**



## სასკოლო განათლების დონით საქართველო ლიბანისა და იორდანიის გვერდითაა

— მშობლიური ენის გრამატიკა უნდა იყოს ბავშვისთვის ადვილად ასათვისებელი. დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოებში გაუმართლებელია ლიტერატურული ტექსტისა და ენობრივი ამოცანების გამიჯვნა. ფაქტობრივად, ჩვენ 70-იან წლებამდე არსებულ ტრადიციას დავუბრუნდით.

განათლების სისტემა პირამიდას შეიძლება შევადაროთ, რომლის წვეროც ჩვენი აღსაზრდელია. იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მყარ განათლებას, თუ განათლების სისტემა საფუძვლიდან მკვიდრად იქნება აგებული.

ჩვენი განათლების სისტემა კი უფრო ბაბილონის გოდოლის მშენებლობას ჰგავს, ვიდრე პირამიდისას. მას არ აქვს არავითარი კონცეფცია, ანუ ფუნდამენტი. **არ არის გააზრებული ცალკეული „მოქმედებების“ ადგილი ერთიან სისტემაში. რეფორმისა და ცვლილებების გზა იყო ცდებისა და შეცდომების მეთოდი, რომელმაც შეცდომების კასკადთან მიგვიყვანა**. ერთ დროს, არც თუ სათაკილო ქართული სკოლა, 3-4 წელიწადში სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა... მოშლილი სასკოლო პროცესი, გაქსუებული ბავშვი, ცოდნის, წიგნიერების კატასტროფული კლება... **ახალმა სისტემამ ვერ „იმუშავა“.** როდესაც გოგებაშვილისა და უზნაძის მშობელი ქვეყანა საგანმანათლებლო გზებს სხვაგან ეძებს, ეს ან „შინაური მღვდლის“, ან „თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასო“-ს სინდრომს გვაგონებს.

**სასიხარულოა, რომ წელს „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების“ მცდელობით მოხერხდა, „დედა ენას“ თავისი ადგილი დაებრუნებინა სკოლაში. თუმცა მაღალი დონის სახელმძღვანელოთა გვერდით ისეთი სახელმძღვანელოებიც გვაქვს, რომელთა სკოლაში შეტანა საგანგაშოც კია.**

2003 წლამდე ალტერნატიულ სახელმძღვანელოთა ვიზირება თავისუფალ, დემოკრატიულ გარემოს იყო მინდობილი და შერჩევა ობიექტურად მიმდინარეობდა. შემდეგ კი ადრე გამარჯვებული ბევრი სახელმძღვანელო უსამართლოდ იქნა გაძევებული სკოლიდან. **ექსპერტთა ჯგუფი ახლა სამინისტროსთან არსებობს და ისეც მომხდარა, რომ ამ ჯგუფის მიერ დაწუნებული სახელმძღვანელოსთვის სამინისტროს მიუცია ვიზა. სპეციალური მექანიზმებით ოფიციოზმა თავად დაიწყო სახელმძღვანელოთა შერჩევა-დანერგვის მართვა.** ამ სფეროში პრობლემაწარმომქმნელ კიდევ რამდენიმე რგოლს გამოვყოფდი:

**1. გამომცემლობა და არა ავტორი, აღიჭურვა სახელმძღვანელოს „შემოქმედის“ უფლებით. ამან განაპირობა ავტორთა დაკაბალება გამომცემელთა მიერ, მათი გაუნკითხავი მონოპოლია სახელმძღვანელოთა ბაზარზე, მათი აქტიური ჩარევა არა მარტო კომერციაში, არამედ პოლიტიკურ გარიგებებშიც;**

**2. რეფორმის პერიოდში შექმნილ ტრენერთა ინსტიტუტი, რომელიც რეფორმისტული სიახლეების მასწავლებლებამდე მიტანის ნაცვლად, ავტორის უფლებით აღიჭურვა. ინტერესთა კონფლიქტი „ინტერესთა ჰარმონიად“ გადაიქცა. ამან დიდწილად განაპირობა გაწაღმართებული სასწავლო პროცესის საბოლოო ამღვრევა.**

**3. რესურსცენტრები (ყოფილი განათლების განყოფილებები), რომელთა ფუნქცია მასწავლებლისთვის სახელმძღვანელოს შერჩევაში დახმარებაა. და ისინიც ეხმარებიან მასწავლებლებს ურჩევენ ხელისუფლების ფავორიტი გამომცემლების (ავტორების) სახელმძღვანელოებს. ამრიგად, ეს რგოლიც მოხერხებულად გამოიყენება პროცესების ზემდგომთა სასარგებლოდ მართვისთვის.**

მე ვნახე ყვარლის რაიონის სკოლაში დაფაზე ჯერ კიდევ ივლისის თვეში გამოკრულ სახელმძღვანელოთა სია, რომელიც რესურს ცენტრის მიერ იყო რეკომენდირებული (ასე განაცხადეს იქმყოფებმა). ზარალდება მოსწავლე, ზარალდება მასწავლებელი, რომელიც ვერ ახერხებს სახელმძღვანელოს არჩევას. ზარალდება კვალიფიციური ავტორი. ზოგიეთი ავტორი კი საკუთარ საგანში გამოცდას დამაკმაყოფილებლადაც კი ვერ ჩააბარებს, რომ გამოცადო.

**გამომცემელთა მომძლავრებით აღზევებული შემთხვევითი არაკვალიფიციური ავტორების ქმედებას მე „ფალსიფიცირებული წამლების“ დამამზადებლების ქმედებას ვუთანაბრებ.**

ისინი იღებენ მათივე დონის ავტორთა წიგნებს და იწყებენ გადახატვას. **მათ არც კონცეფცია აქვთ, არც თანამედროვე სკოლის მოთხოვნები იციან. ამ ავტორმა მხოლოდ ის იცის, რომ, „თუ ქვას არ ისვრის“, სახელმძღვანელოს დაუმტკიცებენ. დანარჩენი საქმოსნობის საქმეა, რასაც მრავალნაცადი გამომცემელი ახერხებს.**

**ერთი ავტორი, მაგალითად, წერს: მოქმედებითი გვარისაა ზმნა, რომელსაც მოქმედი სუბიექტი აქვს (წერს), მაგრამ ქართულ ენაში ვნებითი გვარის ზმნების უმრავლესობას მოქმედი სუბიექტი მოეპოვება (ომობს).**

**როცა ძველი ქართული ლიტერატურა და სასულიერო მწერლობა „მკვდარ მწერლობად“ გამოცხადდა, საზოგადოებამ, მასწავლებელთა კორპუსმა არ მიიღო ისტორიზმის უგულებელყოფა და რეფორმატორებმაც უკან დაიხიეს. თუმცა ეროვნულ-ისტორიული მუხტის შემცირება წელსაც მოხდა, კონკრეტულად კი, ეროვნული გამოცდების პროგრამიდან ამოღებულია ალ. ყაზბეგი.**

ბავშვი უნდა დაუბრუნდეს სკოლას, სკოლა კი — ქართველ ერს. სკოლას უნდა დაუბრუნდეს ცოდნის შემოწმების საშუალება — გამოცდები. მასწავლებელი თავისუფალი უნდა გახდეს სახელმძღვანელოს არჩევანში და მას უნდა დაუფასდეს შრომა.

ყოველივე ეს კი არსებული სისტემის პირობებში რამდენად შესაძლებელია, ძნელი სათქმელია.

ჩაიწერა **დალი ქვირიამ**

**P.S. გოგებაშვილი დავიბრუნეთ, ყაზბეგი კი დავკარგეთ. რა იქნება შემდგომ? შემდგომ, ანუ სანამ ჩვენი ინტერესები მხოლოდ პოლიტიკით შემოიფარგლება და განათლების ნგრევას საზოგადოება შეგუებულია, იქნება საყოველთაო დაჩლუნგება (ამის ნიშანი ისიც არის, რომ ეროვნულგამოცდებგამოვლილმა ზოგიერთმა პირველკურსელმა გამრავლების ტაბულაც არ იცის წესიერად). გამოვფხიზლდეთ, ქართველებო, მივცეთ „ნიჭსა გზა ფართო“, როგორც გრიგოლ ორბელიანი, ბოდიში, რუსთაველი ბრძანებდა (აქ მე, ჩემთვის უჩვეულოდ, ვქილიკობ, მაპატიეთ.).**

# უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატი დახვრეტს და ჩამოახრჩობს...

**უჟგოროდის მოქმედმა მერმა და უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატმა სერგეი რატუშნიაკმა BBC-ის ადგილობრივ წარმომადგენლობას განუცხადა, რომ ქვეყანას „ყველაზე დიქტატორული მეთოდით“ სჭირდება გადარჩენა.**

„მექრთამე-მოსამართლე — კედელთან, პროკურორი — კედელთან, მებაჟე, საგადასახადო სამსახურის თანამშრომელი — კედელთან“ — ასე წარმოუდგენია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა პოტენციურ პრეზიდენტს. მისი აზრით, ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს უნდა ჰქონდეს არჩევანი — ან კეთილსინდისიერად მუშაობა და კარგი ანაზღაურება, ან გილიოტინა. „ან სახრჩობელა, როგორც გნებავთ“, — დასძინა მან.

„მხოლოდ ამას შეუძლია გადარჩენა, უკვე აღარ არსებობს ქვეყანა“, — შეაჯამა კანდიდატმა.

გარდა ამისა, რატუშნიაკმა განაცხადა, რომ იდეოლოგიურად ნებისმიერ შემთხვევაში გაიმარჯვებს. „ჩვენთან ხომ ხალხი არ ირჩევს. ჩვენთან ირჩევენ ტელეარხები, რომლებიც ბოროტმოქმედ კლანებს ეკუთვნის. ამ კლანებს ეკუთვნის ფინანსური სისტემა, წარმოება, ენერგეტიკა. ისინი ირჩევენ“, — დაიჩივლა კანდიდატმა და დასძინა, რომ ანტისემიტი არ არის და, თუ ყველა ამგვარი კლანი ებრაელებს ეკუთვნის, არც ესაა მისი ბრალი.



სერგეი რატუშნიაკი

რატუშნიაკს უკრაინაში ბევრი მიიჩნევს ანტისემიტად, ისრაელში კი სერიოზულად შეშფოთდნენ იმის გამო, რომ მას საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის საშუალება მისცეს.

# ევროკავშირის ჩინოვნიკებს ხელფასს უზრდიან

**ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც ინფლაციის საკომპენსაციოდ მმართველი აპარატის თანამშრომლებს ხელფასი უნდა გაეზარდოთ.**

ჩინოვნიკებისთვის ხელფასის 3,5 პროცენტით გაზრდას ევროპაში უკვე უწოდეს სიგიჟე. ათი ათასობით თანამშრომლისგან შემდგარი ბიუროკრატიული აპარატის საინფლაციო დანაკარგების ანაზღაურება, ჩვეულებრივ, გადასახადების გადამხდელებს მოუწევთ, არადა, ფინანსური კრიზისის გამო ისინი უამისოდაც მძიმე მდგომარეობაში არიან. ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლატვია, ესტონეთი, ლიტვა, საბერძნეთი, ირლანდია, უნგრეთი, ხელფასები, როგორც წესი, გაყინულია, სამუშაო ადგილების შემცირებას კი ბოლო არ უჩანს. ამ დროს ევროკავშირის ჩინოვნიკის მინიმალური ხელფასი თვეში 20 ათასი ევროა. ევროსაბჭოს ახალი თავმჯდომარე — ჰერმან ვან რომპე კი წელიწადში 350 ათას ევროს იღებს (შედარებისათვის, აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას წლიური ანაზღაურება 292 ათას ევროს შეადგენს).

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მძიმე სახელმძღვანელოების გამო ათიდან ცხრა ბავშვი სქოლიოზითაა დაავადებული

**მოსწავლეებს ყოველდღიურად საშუალოდ შვიდი საგნის სახელმძღვანელოს ტარება უხდებათ, რაც განსაკუთრებით დაწყებით კლასებში უჭირთ. ეს ყველაფერი მოზარდებში სქოლიოზისა და ხერხემლის სხვადასხვა დაავადებათა განვითარებას უწყობს ხელს. მისი მკურნალობა სამკურნალო ფიზკულტურასა და ფიზიოთერაპიულ პროცედურებს ითვალისწინებს. „საქართველო და მსოფლიომ" დედაქალაქის რამდენიმე სკოლა მოინახულა და დაწყებითი კლასის მოსწავლეების ჩანთები აწონა. მათი წონა 5-დან 10 კილოგრამამდე მერყეობდა. მედიკოსების აზრით, მე-6 კლასამდე ბავშვის ჩანთა არ უნდა აღემატებოდეს 3 კილოგრამს, დანარჩენ კლასებში კი — 5 კილოგრამს. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში მოსწავლეებს სკოლამდე მისასვლელად ფეხით 3-4 კილომეტრის გავლა უწევთ. რამდენად საშიშია მძიმე წონის ჩანთის ტარება მოზარდებისთვის და რა დაავადებას იწვევს ის, ამ საკითხთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო" ვაჟა-ფშაველას №1 პროფილაქტიკური ცენტრის სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის განყოფილების ექიმ-მეთოდისტ ირინე ტეტელაშვილს ესაუბრა.**

— სკოლის ასაკში ბავშვი ჩამოყალიბებული არ არის და, როგორც სპეციალისტი, კატეგორიულად ვაცხადებ — მოზარდის ხერხემლისთვის მძიმე ჩანთით გამოწვეული ინტენსიური დატვირთვა საზიანოა. ყველა მშობელს არ აქვს დრო და შესაძლებლობა, უზრუნველყოს შვილის ტრანსპორტირება სკოლაში. წარმოიდგინეთ რაიონში მცხოვრები ბავშვები, რომლებსაც ამ მძიმე ჩანთით სკოლამდე მისასვლელად 3-4 კილომეტრის გავლა უწევთ, რაც აუცილებლად დაავადების სახით იჩენს თავს. ყველა ბავშვი განხვავებული აღნაგობისაა. არიან ბავშვები, რომლებსაც აქვთ დიდი წონა, არიან მასიურები და ნავარჯიშები, მაგრამ, ასევე, არიან გამხდარი ბავშვები, ძალიან უსუსურები, რომლებიც არ არიან ფიზიკურად მომზადებულები. ამ კატეგორიის ბავშვებისთვის მძიმე ჩანთის ტარება და ამ გზით ხერხემლის ინტენსიური არაჯანსაღი დატვირთვა განსაკუთრებით საზიანოა.

**— როგორც გამომცემლობებში გვითხრეს, წიგნების სიმძიმე მისი ხარისხის გაზრდამ გამოიწვია. დღეს ყველა სახელმძღვანელო ფერადი და ილუსტრირებულია.**

— მესმის, რომ დღევანდელი სახელმძღვანელოები ძალიან ლამაზია, მაგრამ არ შეიძლება, ამხელა წიგნები ატარონ ბავშვებმა. წიგნი უნდა იყოს გათვლილი ბავშვის ფიზიკურ შესაძლებლობაზე. არის წიგნები, რომელშიც ორი საგანია გაერთიანებული. ხომ არ ჯობია, ეს წიგნი გაიყოს, ცალკე იყოს ისტორია და ცალკე — გეოგრაფია? შესაბამისად ფასიც შუაზე გაყონ, რათა არ დაზარალდნენ არც მშობლები, არც განათლების სამინისტრო და არც ბავშვი. ეს ხომ ბავშვთა უფლებების დარღვევაა. ამაზე ყურადღება განათლების სამინისტრომ უნდა გაამხვილოს.

**— რამდენად გახშირდა ბავშვებში სქოლიოზი და ხერხემლის სხვა დაავადებები?**

— ბოლო წლებში სქოლიოზით დაავადებულთა რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა. ათიდან ცხრა ბავშვი სხვადასხვა სიმძიმის სქოლიოზითაა დაავადებული. ამას იწვევს ფიზკულტურის გაკვეთილების არასწორი გათვლა, არასწორი ჯდომის მანერა და, რა თქმა უნდა, მძიმე ჩანთა.

**— ალბათ, პრობლემა ისიცაა, რომ სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები არ ტარდება.**

— რა თქმა უნდა, ბავშვებს რომ ვეკითხები, ფიზკულტურაში რა ვარჯიშებს აკეთებთმეთქი, იცით, რას მეუბნებიან? — ვთამაშობთ და ვჭორაობთო. ასე არ შეიძლება! ფიზკულტურის სრულფასოვანი გაკვეთილები მათი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი ატრიბუტია. ასევე, მნიშვნელოვანია, პედაგოგმა ყურადღება მიაქციოს მოსწავლის ჯდომის მანერას. აუცილებელია ბავშვი მერხთან გამართული იჯდეს და არა — წამოწოლილი.

**— რა ასაკშია საშიში მძიმე წონის ჩანთის ტარება?**

— განსაკუთრებით საშიშია 6 დან 12 წლამდე, როცა ბავშვის ხერხემალი ძალიან სათუთია. ამ ასაკში ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის სწორი ფიზიკური აღზრდა. ასევე, აუცილებელია ბავშვს ფსიქოლოგიურად ჩავუნერგოთ, რომ ის სწორად უნდა იდგეს და მხრებში არ მოიხაროს. ამ პრობლემის მოგვარება არათუ სკოლიდან, ჩემი აზრით, ბაღიდან უნდა დაიწყოს.

**— ზოგიერთ ბავშვს გორგოლაჭებიანი ჩანთა დააქვს, ესეც საშიშია?**

— საშიში არ არის, თუმცა ყველას ვერ მოვთხოვთ, იარონ გორგოლაჭებიანი ჩანთებით, მით უმეტეს — ბიჭებს. სანამ ეს პრობლემა არ მოგვარდება, მანამდე რეკომენდაციას მაინც ზურგჩანთებს მივანიჭებ. არ შეიძლება ზურგჩანთის ცალ მხარზე დაკიდება, ეს სქოლიოზისთვის სერიოზული მაპროვოცირებელი ფაქტორია.

**— ეს პრობლემა თუ მოგვარდება, თქვენ ხომ პაციენტებს დაკარგავთ...**

— მე მირჩევნია, მყავდეს ნაკლები პაციენტი, მაგრამ — ჯანმრთელი მომავალი თაობა. ასევე, აუცილებელია, რომ რეაბილიტაცია იაფი ღირდეს. მშობელს უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ბავშვი ექიმთან ატაროს და გამოასწოროს მისი მდგომარეობა.

**ამ თემასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო" განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს მარიამ გერსამიას ესაუბრა. მისი თქმით, განათლების სამინისტროსთვის ეს პრობლემა ცნობილია და მიმდინარეობს მუშაობა მის მოსაგვარებლად.**

**მარიამ გერსამია**:

— სკოლის სახელმძღვანელოებს გამომცემლობები ბეჭდავენ და ხარჯსაც და წონასაც ისინი არეგულირებენ. გეთანხმებით, რომ სწორად უნდა იყოს შერჩეული წიგნების წონა. ჩვენ ვიცით არსებული პრობლემის შესახებ და ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემა აუცილებლად უნდა მოგვარდეს. რაც შეეხება წიგნების ორ ნაწილად გაყოფას, თუ წიგნები ნაწილ-ნაწილ გაიყოფა, ფასი აუცილებლად გაიზრდება, ანუ ერთი პრობლემის აღმოფხვრით, ვიღებთ მეორეს. კარგი იქნება, თუ გამომცემლობებსაც დაუკავშირდებით და მათგან მიიღებთ დამატებით ინფორმაციას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გამომცემლობებსაც დავუკავშირდით და მათთან ვცადეთ იმის გარკვევა, თუ რა კრიტერიუმებით ხდება სახელმძღვანელოების დაბეჭდვა.

**თინათინ კუხიანიძე, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის" პროექტების მართვის მენეჯერი:**

— გააჩნია, სასწავლო პროგრამის მიხედვით რა მასალა უნდა გაიარონ წელიწადში. აქედან გამომდინარე გვერდების რაოდენობის შემცირება ვერ მოხდება. და თუ წიგნის ფურცელი ძალიან თხელი (შესაბამისად, წიგნი მსუბუქი) იქნა, მას ლანდი გაუვა და ნაწერის ამოკითხვაც გაჭირდება. ცალკეული წიგნი ბევრს არ იწონის, მაგრამ, ბავშვს თუ დღეში 6-7 გაკვეთილი აქვს, რა თქმა უნდა, მისი ჩანთა უკვე მძიმდება. ახალი სტანდარტების მიხედვით, მომავალ წელს ორ საგანს ერთ წიგნში აღარ გავაერთიანებთ. თუმცა საათების რაოდენობა ისეა განაწილებული, რომ მოსწავლეს ერთდროულად ორივე წიგნის ტარება მაინც მოუწევს.

**კახაბერ რუსიძე, გამომცემლობა „მერიდიანის" დირექტორის მოადგილე:**

— ჩვენი წიგნები მაქსიმალურად პატარაა, რათა არ ჰქონდეს დიდი წონა. თხელ ქაღალდზე წიგნი ვერ დაიბეჭდება, რადგან ცუდი ხარისხის იქნება, ამიტომ ვიყენებთ 70 გრამი სიმკვრივის ქაღალდს, ეს არის ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი, რათა წიგნი შედარებით მსუბუქიც იყოს და ხარისხიანიც.

ესაუბრა
**ალექსანდრე აკობია**

**P.S. იმედია, ამ პრობლემას განათლების სამინისტრო და გამომცემლობები გულდასმით მოეკიდებიან და ეცდებიან მის გამოსწორებას, რადგან, ეს თუ ასე არ მოხდა, უახლოეს მომავალში სქოლიოზი და ხერხემლის სხვა დაავადებები გახშირდება, რაც პირველ რიგში მომავალ თაობაზე აისახება. ხოლო რაც შეეხება არგუმენტს — მსუბუქი წიგნი ნიშნავს მშობლებისთვის სახელმძღვანელოს საერთო ღირებულების გაძვირებას. ვფიქრობთ, რომ მოზარდის ჯანმრთელობის ხარჯზე თანხის დაზოგვა გამოსავალი არც მშობლისთვისაა და არც — განათლების სამინისტროსთვის...**

# 2009 წელს ვირუსულმა ინფექციამ საქართველოში ათი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა

**შარშან საქართველოში მენინგიტის 170 შემთხვევა დაფიქსირდა, წელს – 102, აქედან მენინგოკოქცემიის 27 შემთხვევა გამოვლინდა. მენინგიტით დაავადების ყველაზე მეტი შემთხვევა 2006 წელს გამოვლინდა — 195 ინფიცირებულიდან 142 14 წლამდე ასაკის ბავშვი იყო.**

მენინგიტი თავის ტვინის გარსის ანთებაა, იგი ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება. თუ ადამიანის იმუნური სისტემა სუსტია, ბაქტერია სისხლით ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ხვდება და მენინგიტს იწვევს. დაავადების შემთხვევაში ადამიანის სისხლი მენინგოკოკური მიკრობით იწამლება, რაც, მკურნალობის დაგვიანებისას, როგორც წესი, ლეტალური შედეგით სრულდება. მედიკოსების განმარტებით, დაავადების გამომწვევი მენინგოკოკი გარემოში ნაკლებად გამძლეა და ის სადეზინფექციო ხსნარების ზემოქმედებით ადვილად იღუპება. დაავადების ძირითადი გადამტანი ადამიანის ორგანიზმია.

მცირე ხნის წინ მენინგოკოქცემიით ინფექციური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში 6 თვის ბავშვი გარდაიცვალა. დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომების გაჩენის შემდეგ ჩვილი საავადმყოფოში მალევე გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

რამდენად საშიშია ეს დაავადება და რა სიმპტომები ახასიათებს მას, ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიო" **ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ექიმ-ნეიროინფექციონისტ დალი ფოცხიშვილის ესაუბრა.**

— მენინგოკოკი საშიში მიკრობია. იგი ორი სახის დაავადებას იწვევს — მენინგიტსა და მენინგოკოქცემიას. იგი მნიშვნელოვანი კლინიკური პოლიმორფიზმით, ანუ მრავალფეროვნებით ხასიათდება.

**— რა სიმპტომები ახასიათებს ამ დაავადებას?**

— მაღალი ტემპერატურა, საერთო სისუსტე, ცხვირტუჩის არის ციანოზი (გალურჯება), სუნთქვის გაძნელება, ტკივილი გულმკერდის არეში, გამონაყარი. მენინგოკოკური ინფიცირების შედეგად ლეტალური შედეგი ყველაზე ხშირად დაგვიანებული ჰოსპიტალიზაციის გამო ხდება, ამიტომ ასეთი სიმპტომებისას სახლის პირობებში მკურნალობა დაუშვებელია.

**— ყველაზე ხშირად რა ასაკის ადამიანები ინფიცირდებიან?**

— მიმღებლობა საყოველთაოა, ავად ხდება ყველა ასაკის ადამიანი, მაგრამ შემთხვევათა 70-75% 14 წლამდე ასაკის ბავშვებში ფიქსირდება.

**— ბოლო დროს ამ დაავადების შემთხვევები გახშირდა. ხომ არ არის ეპიდემიის საფრთხე?**

— ეს დაავადება მსოფლიოს ყველა კონტინენტზე გვხვდება. XX საუკუნეში აღინიშნა რამდენიმე ეპიდემიური ტალღა, 50-იანი წლებიდან კი — მხოლოდ ცალკეული შემთხვევები. გამონაკლისია აფრიკის ქვეყნები, სადაც დაავადებას მუდმივად ეპიდემიური ხასიათი აქვს, რის გამოც ამ ზონას „მენინგიტის სარტყელს" უწოდებენ.

**— თუ არსებობს რაიმე პრევენციული ღონისძიებები, რომლებიც, შესაძლოა, გამოვიყენოთ ამ დაავადებისგან თავის დასაცავად?**

— მენინგოკოკური ინფექციის აფეთქებები ხშირია დახურულ კოლექტივებში; მაგ., სამხედრო ყაზარმებში, სკოლებში, საბავშვო ბაღებში...

**ალექსანდრე აკობია**

**P.S. რამდენად გვემუქრება მენინგიტით დაავადება და არის თუ არა ეპიდემიის საფრთხე საქართველოში? — ამ კითხვით დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ეპიდზედამხედველობის სამსახურის უფროსს — ხათუნა ზახაშვილს მივმართეთ. მისი თქმით, 2009 წლის მონაცემებით, მენინგიტითა და მენინგოკოქცემიით 102 ადამიანი დაავადდა, აქედან მენინგოკოქცემიით — 27; აქედან 10 შემთხვევა ლეტალურად დასრულდა.**

**ქართველი მედიკოსების ოპტიმიზმის მიუხედავად, მოსახლეობაში პანიკა და დაავადება ერთდროულად ვრცელდება. ამერიკელ მკვლევარებს თუ დავუჯერებთ, მენინგიტის დაავადების 400 შემთხვევიდან 100 (ანუ 25 პროცენტი) ლეტალურად მთავრდება. ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ექიმების ოპტიმიზმი გამართლდება და ჩვენში ეს დაავადება ეპიდემიის სახეს არ მიიღებს.**

# საფრანგეთმა მეღვინეობის ლიდერობა დაიბრუნა

**2009 წელს საფრანგეთმა დაიბრუნა მსოფლიოში ღვინის უმსხვილესი მწარმოებლის ტიტული, რომელიც 2007 წელს იტალიას დაუთმო.**



„International Organisation of Vine and Wine"-ის (OIV) მონაცემებით, 2009 წელს საფრანგეთში აწარმოეს 45,7 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინო, რაც 0,2 მილიონი ჰექტოლიტრით აღემატება იტალიის იმავე მაჩვენებელს. შარშანდელი მონაცემებით, იტალიამ 47 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინო აწარმოა და ამით თავისსავე მაჩვენებელს აჯობა. სულ მსოფლიოში 2009 წელს „OIV"-ის მონაცემებით 268 მილიონი ჰექტოლიტრი ღვინო იწარმოება, რაც, ფაქტიურად, არ განსხვავდება შარშანდელი მაჩვენებლისგან. ევროპაში ღვინის მწარმოებელთა პირველ სამეულში საფრანგეთსა და იტალიასთან ერთად ესპანეთიც შედის. შემდეგია პორტუგალია, რუმინეთი და საბერძნეთი.

# მალე „პირველად საქართველოში"

**პაკისტანის პრეზიდენტმა ასიფ ალი ზარდარიმ ქვეყნის ბირთვული არსენალის კონტროლი ქვეყნის პრემიერ-მინისტრ იუსუფ რეზე გილანს გადასცა.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციის სპიკერ ფარჰატულ ბაბარას აზრით, ამ ქმედებით ზარდარი პრემიერისა და, მთლიანობაში, მთავრობის უფლებამოსილებას ზრდის, რითაც საბოლოოდ ამბობს უარს ქვეყნის წინა პრეზიდენტის პერვეზ მუშარაფისეული მმართველობის ავტორიტარულ სტილზე. კრიტიკოსები კი თვლიან, რომ პრეზიდენტი ხელისუფლების შენარჩუნებას და საკუთარი რეიტინგის გაზრდას ცდილობს. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში ზარდარიმ განაცხადა, რომ წლის დასასრულამდე უარს იტყვის პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის დათხოვნის უფლებებზე.

გასულ შაბათს ზარდარის მიმართ კორუფციის გამო ადრე აღძრული სამართლებრივი დევნის მორატორიუმს ვადა გაუვიდა. პრეზიდენტმა იმუნიტეტი მიიღო თავისი წინამორბედის მიერ ეროვნული შერიგების შესახებ 2007 წელს გამოცემული ბრძანების შესაბამისად, რომელიც ქვეყნის 8



ასიფ ალი ზარდარი

ათასზე მეტ ჩინოვნიკსა და პოლიტიკოსს შეეხო, მათ შორის ზარდარისა და მის გარდაცვლილ მეუღლეს — ბენაზირ ბჰუტოსაც. თუ ქვეყნის უმაღლესი სასამართლო მუშარაფის მიერ მიღებულ დოკუმენტს არალეგიტიმურად ჩათვლის, იმის გამო, რომ მისთვის პარლამენტს კენჭი არ უყრია, მაშინ ზარდარის მიმართ ადრე აღძრული ყველა საქმე განახლდება. თავად ზარდარის, რომლის რეიტინგიც სწრაფი ტემპით ეცემა, საპრეზიდენტო იმუნიტეტის იმედი აქვს. კორუფციითა და გადასახადების გაზრდით აღშფოთებული მოსახლეობა ზარდარიზე იმდენ ანეგდოტს იგონებს, რომ პრეზიდენტმა საჭიროდ ჩათვალა, 2009 წლის ივლისში გამოეცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მეთაურზე ნებისმიერი ხუმრობისთვის პაკისტანის მოქალაქეებს 14 წლამდე პატიმრობა ელით.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რომ იძახიან, აჭარა დევიბრუნეთო, ვისგან დეიბრუნეს და რისთვის? — სომხებისა და თურქებისთვის რომ მიეცათ?!

**ბათუმი ქათქათა აღარაა, ბათუმი ჭრელია... მართალია, ზღვა და თოლიები მიშას არ „შეუფერადებია“, მაგრამ ქალაქს აშკარად ეტყობა „რევოლუციური ხელისუფლების“ გემოვნების „კვალი“... ეტყობა პოლიტიკის „კვალიც“, ნოემბრის მიწურულს სუბტროპიკული ქალაქის ქუჩების გადათხრის სურვილი მხოლოდ იმ ხელისუფლებას თუ გაუჩნდება, რომელსაც სჯერა, რომ „დარია თუ ავდარია, მიშა მაგარია“(!) ჰოდა, ამ ავდარში, რომელშიც „მიშა მაგარია“, ბათუმის თითქმის ყველა ცენტრალური ქუჩა გადათხრილია... ასევე „მაგარი“ ან ნაკლებად მაგარი ბათუმელები თხრილიდან თხრილს, გუბიდან გუბეს ახტებიან – ვინ „დანესტილი“ წარსულის ნოსტალგიით და, ვინ „სირისტიანი“ აწმყოს შიშით.**



## რისთვის გამოგვიხსნეს თურქებისგან და რისთვის გაგვაქრისტიანეს, თუ ისევ თურქს უნდა ვემსახუროთ და ისევ თურქმა უნდა იბატონოს ჩვენზე?!

„ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო რომ არ არის“, ბათუმშიც იციან. იციან ისიც, რომ მოცეკვავე შადრევნები, მასობრივი მხიარულება, განათებული ქუჩები და ხმაურიანი კაფე-ბარები, უკეთეს შემთხვევაში, თორმეტიდან შესაძლოა ორი-სამი თვე გაგრძელდეს, ისიც მაშინ, თუკი შარშანდელი ზაფხულის მსგავსად, პრეზიდენტი მორიგ სამხედრო ავანტიურას არ წამოიწყებს(!)

მერე კი, როცა **უკანასკნელი დამსვენებელიც დატოვებს აჭარის ტერიტორიას, აქაურობა ყველასგან მიტოვებულ „უკაცრიელ“ არემარეს ემსგავსება, სადაც „მოცეკვავე შადრევნები“ გასტროლიორი „ტანცოვშიცებივით“ მომავალ ზაფხულამდე სადღაც „მიდიან“...**

**ჟღალი ფერებით გადაღებილი კორკუსების საძირკვლებში წყალი დგება, კედლებიდან ბათქაში ცვივა... ჩაბნელებულ ქუჩებში კი მხოლოდ წვიმა და სარჩო-საბადებელზე ფიქრით, წვიმაზე მეტად „დასევდიანებული“ ადამიანები დადიან...**

მოკლედ, ბათუმი მხოლოდ ორი თვე „ცხოვრობს“ და მაშინაც იგი ბულვარიდან „იწყება“ და ბულვარზევე „მთავრდება“(!).

**დასმენის შიში, ისევე როგორც სრულიად საქართველოსთვის, არც აჭარელებისთვისაა უცხო. მითუფრო, რომ ასლან აბაშიძის მომხრეებზე აქ დღესაც ისევე „ნადირობენ“, როგორც შუასაუკუნოვანი ინკვიზიტორები კუდიანებზე. ამდენად, აუტკივარ თავს არავინ იტკიებს იოლად. „არ მეშინია, მაგრამ გვარ-სახელს მაინც ნუ მათქმევინებ, ისე დაწერე გაზეთში, რომ ასლან ბაბუს სურათი ახლაც კედელზე მაქვს გაკრული“,** — მითანხმდება ტაქსის მძღოლი. **„მანქანიდან რო გადახვალ ნომერს თუ არ დაუწყებ ჭვრიტინს, უფრო მეტსაც გეტყვი“,** – მაძლევს პირობას. პირობა პირობაა და ვთანხმდებით. **„ვინ არაინ ესენი?! ვაი, ამათ პატრონს, აბაშიძის დროს ვიყავით მონები და ახლა ვართ თავისუფლები? მაშინ ის მაინც ვიცოდი, აჭარელი რომ ვიყავი და აჭარაში ვცხოვრობდი, ჩემი სახლ-კარი მქონდა და, მთავრობაში თუ არ ვიყავი, ორ კაპიკს ვშოულობდი და ვცხოვრობდი კაცურად. ახლა მთელი აჭარა იმაზეა დამოკიდებული, თურქებს როდის რისი აშენება მოუნდებათ ჩვენ მიწა-წყალზე და რამდენი სომეხი დამსვენებელი ჩამოვა ზაფხულში. ესაა თავისუფლება? რომ გაიძახიან „აჭარა დავიბრუნეთო“, ვისგან დაიბრუნეს ან რა ჰქონდა აჭარას დასაბრუნებელი? და თუ დეიბრუნეს, რისთვის მერე??? სომხებისთვის და თურქებისთვის რომ მიეცათ?! ბაბუს თათარს ეძახდნენ, არადა ნახევარი აჭარა მაგან გააქრისტიანა! Eესენი, კი მოვიდნენ თუ არა, ეცნენ ფერიას მთას, დაიწყეს ეკლესიების ნგრევა. აგერ ა, ჩემო ბატონო, ახლად აშენებული მეჩეთი... მეორე ცოტა მოშორებით შენდება... რისთვის გამოგვიხსნეს თურქებისგან და რისთვის გაგვაქრისტიანეს, თუ ისევ თურქებს უნდა ვემსახუროთ და თუ ისევ თურქმა უნდა იბატონოს ჩვენზე?“**

„ინვესტიციების მოზიდვას ბატონობას რატომ არქმევთ, ქალაქი შენდება, მუშახელი დასაქმებულია...“ — ვიფიქრე ამ ჩართვით მძღოლის მრისხანებას შევაჩერებდი, მაგრამ ისეთი მძაფრი რეაქციით დაამუხრუჭა ტაქსი, ლამის აქეთ შეაჩერა მოძრაობა. „შენც ამათიანი ხარ ხო?“ — მეკითხება განრისხებული და ეჭვნარევი მზერით მათვალიერებს. „არავისიანი არ ვარ“, — ვუკონკრეტებ პროფესიას, ეროვნებას, მგზავრობის საფასურს ვუხდი და ტაქსიდან გადმოვდივარ ისე, რომ პირობისამებრ „ნომერს არ ვუჭვრიტინებ“...

გზას ფეხით ვაგრძელებ და იქვე, ახლომდებარე მაღაზიაში შევდივარ. კაცმა რომ თქვას, არაფრის ყიდვას არ ვაპირებ, მაგრამ მაინც... გამყიდველი გოგონა მოწყენილობისა და უსაქმურობისგან ამთქნარებს. საუბარში იოლად მყვება. „დამთავრდა დღე და პირველი ხარ, ვინც დღეს შემოვიდა“, – მეუბნება და კაბის არჩევაში მეხმარება. მე თემის შერჩევას ვცდილობ... „მაღაზიის მფლობელი ხართ, თუ გამყიდველი?“ — „გამყიდველი, ამდენი „ტავარის“ ფული რომ მქონდეს, აქ ვიჯდებოდი?“ რას იზამდი — ვეკითხები ინტერესით და ვცდილობ, საკუთარი თავიც წარმოვიდგინო მაღაზიის მფლობელის ამპლუაში. **„რას ვიზამდი და მოვკიდებდი ჩემს შვილს ხელს და წავიდოდი ამ ქვეყნიდან. მე რა ვნახე აქ კარგი, ჩემმა შვილმა რა უნდა ნახოს. ასლანის დროს თუ აბაშიძე ან გოგიტიზე არ იყავი, ვერფერს მიაღწევდი. მერე მოვიდნენ ეს „რევოლუციონერები“, ვიფიქრე, ახლა მაინც დაგვადგება საშველითქო და შენს მტერს ეშველოს ისე, ჩვენ რომ გვეშველა... მერე ოპოზიციის იმედი შეგვექმნა, მიტინგებზეც ვიარე, მაგრამ რად გინდა, დეიშალენ და წევიდენ სახლებში. მაგათ რა უჭირს, ჩვენ ვიკითხოთ, წასასვლელი სადაც გვქონდა, ისიც რომ დავკარგეთ მაგათ ჭკუაზე სიარულში...“**

„ისე თამამად საუბრობ, წასასვლელი მოძებნილი გექნება უკვე“, — ვეუბნები გამომცდელად.

**„კი, ვიზა ჩამირტყეს უკვე, მაგრამ ორი წელი, ალბათ, პროცენტიანი ვალის გადახდას მოვუნდები, კიდო ორი წელი — ბავშვის წასაყვანი ფულის მოგროვებას...“**

მაღაზიიდან ხელცარიელი, მაგრამ უფრო დამძიმებული გულით გამოვდივარ. რამდენიმე თხრილს ვახტები, რამდენიმე ორმოს გარს ვუვლი და ახლომდებარე კაფეში შევდივარ. ზაფხულში აქ ტევა არაა, ახლა სამარისებული სიჩუმეა. მომსახურე პერსონალი აქაც ამთქნარებს. გარეთ ისევ წვიმს... **„მენიუ სომხურ ენაზე არ გაქვთ?“** — ვეკითხები მიმტანს, რომელიც ჯერ გაკვირდა და შეცბუნდა, მერე კი მკვახედ მპასუხობს: **„ჩვენ არა, მაი, ქობულეთში აქვთ, ზაფხულობით“.** მისი გულის მოგებას ვერც მენიუს შეკვეთით და ვერც თავაზიანი სიტყვა-პასუხით ველარ ვახერხებ. აშკარად შეურაცხყოფილია, მე კი, კმაყოფილი იმით, რომ მისთვისაც შეურაცხმყოფელია ქართულ-სომხური მენიუთი მაგიდებს შორის სირბილი...

**მართალია, ხელისუფლებისთვის ბათუმი ბულვარიდან იწყება და ბულვარზევე მთავრდება, მაგრამ მე ქალაქიდან გავდივარ. მანამდე გარეუბანი უნდა გავიარო. ჟოლოსფრად, ფორთოხლისფრად და ლილისფრად გადაღებილი გარეუბანი, დაჟანგული სახურავებითა და ჩამორეცხილი აივნებით, უსახური „ჟეშტით“ კუსტარულად შეკეთებული... რაც არ უნდა დიდი ოპტიმისტი იყო, ძნელი დასაჯერებელია, რომ ის ბულვარი და ეს გარეუბანი, ორივე ერთი ქალაქის კუთვნილებაა... როდესაც სავაჭრო ფარდულებში შეყუჟულ გარემოვაჭრეებს უყურებ, ხელისუფლების მტკიცების მიუხედავად, ძნელი წარმოსადგენია ისიც, რომ ეს ქალაქი ოდესმე „პირველი გახდება მთელ ევროპაში“.**

გზაგასაყარიდან ორი მიმართულებით შემიძლია გზის გაგრძელება. მარცხნივ ხელვაჩაურის სამკერვალო ფაბრიკაა. რასაკვირველია, ისევე, როგორც მახინჯაურის სამკერვალო ფაბრიკა, ესეც თურქების საკუთრებაა, მეპატრონე აქაც თურქია, მუშახელი, თანაც იაფი, აქაც ქართველი, წარმოებული პროდუქცია კი — თურქული „მარკის“. **მოკლედ, აქ ქართული მხოლოდ თურქებზე იაფად გაყიდული ქართული მიწაა და ასევე, იაფად დაქირავებული ქართველი მუშახელი...**

გონიოსკენ მიმავალ გზაზე თეთრ „ბრეზენტგადაფარებული“ ბაზრობა გვხვდება. რაღაცით (რასაკვირველია, მასშტაბებით არა) „სეფაში“ გადახდილი ქორწილის ასოციაციას იწვევს. მაყარისა, რა მოგახსენოთ, მაგრამ ყაყანი და ნეფე-პატარძალივით „გამოჭიმული“ საქართველოს და თურქეთის დროშები, ყურსაც ჭრის და თვალსაც. ხოფას ბაზრობის დახურვის შემდეგ ამ ბაზრობას პრაქტიკულად აჭარის ტერიტორიაზე კონკურენტი არ ჰყავს. ბაზრობას ოფიციალურად თურქები განაგებენ, მაგრამ ჩვენში ახლა ბავშვმაც კი იცის, რომ ნებისმიერი ე.წ. უცხოური ინვესტიციის უკან საქართველოს ხელისუფლების ფინანსური ინტერესები დგას.

საზღვრის იქეთ „ქემელფაშაა“... გასაკვირია, მაგრამ იქ მისასვლელად, თურქეთის ტერიტორიაზეც კი, ქართული ლარებით შეგიძლიათ გადაადგილება და მგზავრობა.

მოკლედ, გაიოლებული სავიზო მიმოსვლა ვაჭრობასაც აიოლებს და, ალბათ, ამიტომაცაა, რომ აჭარის მოსახლეობა ძირითადად სამ კატეგორიად იყოფა დასაქმების თვალსაზრისით.

**პირველ კატეგორაში „ზეპური“ საზოგადოება შედის – ვაშალომიძეებითა და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებით დაკომპლექტებული, რომლებსაც სამთავრობო ლოჟებიც დაკავებული აქვთ და აჭარის ტერიტორიაზე არსებული ყველა მომგებიანი ობიექტის ფინანსებსაც განაგებენ.**

**მეორე კატეგორია ან თურქულ კომპანიებს ემსახურება, როგორც იაფი მუშახელი, ან ბაზრობებზე და გარევაჭრობაშია დასაქმებული.**

**მესამე კატეგორია კი, უსაქმურად და უსახსროდ დარჩენილი, ზის და ელოდება, როდის გაიყვანენ ავტობანს მათ კუთვნილ საკარმიდამო ნაკვეთზე და სანაცვლოდ როდის უწყალობებენ გროშებს.**

**მას შედეგ, რაც ცენტრალური ავტობანის მშენებლობა დაიწყო, აჭარის მოსახლეობის დიდ ნაწილს მშვიდად აღარ ძინავს. ეს, რასაკვირველია, მთიანი აჭარის მოსახლეობას არ ეხება, სადაც ავტობანი კი არა, რიგიანი საცალფეხო ბილიკიც არ გადის და მუდმივად სტიქიური უბედურების მოლოდინში არიან. მოარული ჭორებისა და „ქილა ერბოს“ იმედად დარჩენილი აჭარელებისთვის, ამ ზაფხულს ავტობანის საიდუმლი პროექტი ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა.**

თავის დროზე, ალბათ, ამდენი მკითხველი „სახარებას“ და „ვეფხისტყაოსნსაც“ არ ჰყოლია აჭარაში. ერი და ბერი მარაქაში გაერია და ყველამ საკუთარი კარ-მიდამოს აზომვასა და რუკაზე მის მოძებნას მიჰყო ხელი. ყველას თავისი პრობლემა გამოუჩნდა – ზოგს, თუმცა ასეთები ძალიან მცირენი არიან, მილიონადაც არ ულირს მამაპაპისეული სახლ-კარის დანგრევა; ზოგი იმას ჩივის, რომ ოჯახების კომლებად დაყოფა გაურკვეველი მიზეზითაა შეჩერებული ადგილობრივ გამგეობებში; ზოგს უფრო მეტი კომპენსაციის მიღება უნდა, ვიდრე სთავაზობენ; ზოგი უფრო მეტ წინდახედულებას იჩენს და მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფაზე წინასწარ დარდობს...

**მოკლედ, რაც არ უნდა იბჭონ და იდარდონ აჭარლებმა საკუთარ კერიასთან, სახელმწიფოს ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი აქვს: ჩოლოქი-გონიოს მონაკვეთზე ასობით ოჯახს მოუწევს საკუთარი კარ-მიდამოდან აყრა, ექვსი გვირაბის გარდა ააშენებენ რამდენიმე ესტაკადასაც. მოსალოდნელ რისკფაქტორებზე და ეკოლოგიურ კატასტროფებზე კი არავინ საუბრობს... ხმამაღლა.**

**P.S.** არც ხმამაღლა „ფიქრობს“ ვინმე, არადა დასაფიქრებლად მართლაც ღირს... **აღარსად არის ბათუმური ოპერა, კამერული ორკესტრი, ფოლკლორული ფესტივალები, ქართველ ხელოვანთა გამოფენები, ზოგადად, ქართული კულტურის პროპაგანდა... ეს ყველაფერი აბაშიძის „ფეოდალურ“ მართველობასთან ერთად დამთავრდა...**

**ახლა ბათუმში ისვენებენ სომხები, მდიდრდებიან თურქები, ცეკვავენ შადრევნები, როკავენ ქართველი „თინეიჯერები“ მათ ჭკუას აყოლილ რევოლუციონერ პრეზიდენტთან ერთად! გამდიდრებული თურქები და მიწვეული მომღერლები ბათუმში მიშას უმღერიან და ამ ყველაფერს მარტივი „ლოგიკა“ აქვს – ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს...**

**მარტივი „ლოგიკა“ ჰქონდა იმ ტაქსის მძღოლსაც – რაღას გვაქრისტიანებდით, თქვე დალოცვილებო, თუ მერე ეკლესიები უნდა დაგენგრიათ და მეჩეთები აგეშენებინათ?!. რაღას გვაბრუნებდით საქართველოს ტერიტორიაზე, თუ მერე ისევ თურქებს უნდა ებატონათ ჩვენზე და ისევ თურქების მონები უნდა ვყოფილიყავით?! ვისგან დაიბრუნეთ აჭარა, და თუ „დაიბრუნეთ“, ვისთვის???**

**ელგა ფოლადიშვილი**

# თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, საპენსიო ასაკმა 35 წლამდე დაიწიოს

**ფინანსური პოლიცია დაბრუნდა, ბიზნესი ტერორის ახალი ტალღის მოლოდინშია. მცირე ხნის წინათ დატერორებულთა სიაში მოხვდა „ელიტ ელექტრონიქსი". ამას წინ უსწრებდა ფირმა „ნიკორასათვის" დაკისრებული დიდძალი ჯარიმა. ბოლოს კი „ჯეოსელი" მოხვდა „გასაპარსთა" სიაში. ეს ყველაფერი კი „ნაცებმა" ფინანსური პოლიციის დახმარებით შეასრულეს. „საქართველო და მსოფლიო" დაინტერესდა კანონით, რომელიც ფინანსურ პოლიციაში მუშაობის მსურველთათვის 35-წლიან ასაკობრივ ცენზს აწესებს.**

## გელა ნიკოლეიშვილი: ეს კანონი ადამიანის უფლებების დისკრიმინაციაა!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ კანონის პირველი თავის მეორე მუხლის თანახმად, სამსახური არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით შემავალი სპეციალური სამართალდამცავი ორგანო, რომელის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

კანონი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ, ერთი შეხედვით, ყველა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის გათვალისწინებითაა შედგენილი, რომელიც ადამიანის უფლებებს კი არ ზღუდავს, პირიქით, ყველა პირობას უქმნის მოქალაქეს, დაიწყოს საჯარო სამსახურში მუშაობა, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე.

კანონში შავით თეთრზე წერია, რომ სამსახურის (იგულისხმება ფინანსური პოლიცია) საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, ჰუმანიზმისა და საჯაროობის პრინციპებს.

სად არის ამ კანონში ჰუმანიზმი? იმაში, რომ 35 წლის მერე ადამიანმა ქუდი უნდა დაიხუროს და სახლში წავიდეს?

როგორც ჩანს, 2007 წლის ნოემბრის მოვლენებმა და მიმდინარე წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციებმა მმართველი გუნდი ძალიან შეაშინა და დისკომფორტიც შეუქმნა, ამიტომ კანონში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ფინანსური პოლიციის თანამშრომელს არ აქვს უფლება, შექმნას ან მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური გაერთიანების საქმიანობაში. მოქალაქეს, რომელიც დაკავებული იქნება ფინანსურ სამსახურში, არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს შეკრებებსა და მანიფესტაციებში, რაც თავისთავად უზღუდავს მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვის თავისუფლებას.

სადაო არავისთვისაა, რომ მოქალაქე, რომელიც ფინანსურ პოლიციაში იმსახურებს, ფიზიკურად მომზადებული და ნარკოტიკების არამომხმარებელი უნდა იყოს, მაგრამ გაუგებარია, ვინ და რატომ დაასკვნა, რომ, რასაც გააკეთებს 21, 25 ან 30 წლის ახალგაზრდა, იმავეს ვერ გააკეთებს 36, 38, ან 40 წლის ადამიანი?

ამ კანონის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ იურისტებსაც. სპეციალისტებისა და უფლებადაცვითი ორგანიზაციების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამ კანონით ადამიანის უფლებების დისკრიმინაცია ხდება.

დამსაქმებელთა ასოციაციის ადვოკატის, მიხეილ კორძაიას მტკიცებით, თუ სამსახური სპეციალური მისიით არის შექმნილი, სახელმწიფოს უფლება აქვს, ამ სამსახურში დასაქმებულ პირებს აუკრძალოს საპროტესტო აქციებში მონაწილეობა, მაგრამ მას აქვს არჩევანი — თუ სურს პროტესტის გამოხატვა, უნდა გააკეთოს არჩევანი ფინანსურ პოლიციაში სამსახურსა და მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებას შორის.

საპირისპირო მოსაზრება აქვს უფლებადამცველ გელა ნიკოლეიშვილს. იგი კანონში ადამიანის უფლებების დისკრიმინაციის აშკარა ფაქტს ხედავს და აცხადებს, რომ არავითარი ცენზი არ შეიძლება არსებობდეს.

**გელა ნიკოლაიშვილი:**

— ვფიქრობ, რომ ეს კანონი შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ხელისუფლების მიერ საკუთარი მოქალაქეების ასაკის მიხედვით დისკრიმინაცია. ამ კანონში შავით თეთრზე წერია, რომ 35 წლის ზემოთ მოქალაქეებს არ აქვთ უფლება, დაიკავონ თანამდებობა საჯარო სამსახურში; კერძოდ, საგადასახადო პოლიციაში. ეს რომ იყოს დაკავშირებული მოხელის ფიზიკურ მომზადებასთან, სისწრაფესთან, რასაც სიტყვაზე 23-25 წლის ადამიანი უკეთესად გააკეთებს, ვიდრე 40 წლის, ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ შეიძლება გამომძიებელი იყოს 35 წელზე მეტი ასაკის?! გამოძიებასთან ასაკი არაფერ შუაშია და ეს არის ადამიანის უფლებების დისკრიმინაცია.

რაც შეეხება კიდევ ერთ არასწორად შედგენილ პუნქტს, რომელიც საჯარო მოხელეს უკრძალავს შეკრებებსა და მანიფესტაციებში მონაწილეობის მიღებას. თუ ეს არ არის ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი, მაშინ კონსტიტუცია მას აძლევს ამის საშუალებას, აღნიშნული კანონი კი უზღუდავს კონსტიტუციის მიერ მინიჭებულ უფლებას, რაც ანტიკონსტიტუციურია.

**შორენა გოგოლაძე**

**P.S. დამეთანხმებით, რომ პრეზიდენტის საქმიანობა გაცილებით საპასუხიმგებლოა, ვიდრე ერთი რიგითი გამომძიებლისა. ჰოდა, თუ ამ კანონის მესვეურთა ლოგიკას გავყვებით, პრეზიდენტი სააკაშვილი, კარგა ხანია, გადაცდა 35 წლის ასაკს. ასე რომ, ცოტა წინდახედულობა თუ არ გამოიჩინა, შესაძლოა, 2013 წლის შემდეგ სულაც უმუშევარი დარჩეს...**

# სურსათსა და საყოფაცხოვრებო პროდუქტზე ფასები კიდევ უფრო გაიზრდება

**მოსახლეობას რთული ზამთარი ელის. შემოსავლების შემცირების პარალელურად მოსალოდნელია პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა, რაც მოსახლეობის უამისოდაც რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო გააუარესებს.**

**დავით ნარმანია, ეკონომიკის ექსპერტი:**

— ზამთრის განმავლობაში მოსალოდნელია სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასების ზრდა. სურსათსა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პროდუქციაზე ფასები 20-30%-ით მოიმატებს. ეს თვალშისაცემი გახდება წინა საახალწლო პერიოდში, მაღალი ფასები ახალი წლის შემდეგაც შენარჩუნდება. არ დაიკლებს იმ დონემდე, რაც არის დღეს. ამას იგრძნობს თითოეული მომხმარებელი. შეიძლება ოფიციალური სტატისტიკა სხვას გვეუბნებოდეს და სხვა ციფრები დადოს, მაგრამ ყველაზე კარგი ბარომეტრი ამ შემთხვევაში მომხმარებელია. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბევრი ადამიანი 2008-2009 წლებში სამსახურის გარეშე დარჩა, ბევრს ხელფასი შეუმცირდა, რამაც ქვეყანაში საერთო მსყიდველუნარიანობა საგრძნობლად შეამცირა, რა თქმა უნდა, ადამიანები უფრო ცუდ პირობებში იცხოვრებენ, ვიდრე წინა წლებში.

**—ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკა შიდაპროდუქტების წარმოების მიხედვით იზომება. როგორია მისი მაჩვენებელი ქართულ ეკონომიკაში?**

—წინასწარი პროგნოზით, მიმდინარე წელს შიდაპროდუქტების წარმოების 4%-იანი შემცირება დაფიქსირდება. რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ წინა წელს შიდაპროდუქტის მაჩვენებელი 19 მილიარდი ლარი იყო, წელს ეს დაახლოებით 17 მილიარდ-ნახევარი ლარით განისაზღვრება.

**—ხელისუფლება ყოველდღიურად საუბრობს ეკონომიკური წინსვლის შესახებ. რეალურად რა ვითარებაა ქართულ ეკონომიკაში?**

— ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა რთულია. დღეს უკვე დღის წესრიგში დგას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში კორექტირების შეტანის აუცილებლობა. ექსპორტის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული. ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტი არის გაუარესებული და 40%-ზე მეტია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა, ძირითადად, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ექსპორტს ეწეოდა და ეს მაჩვენებელი შემცირდა. იმპორტის სახით ყველა კატეგორიის პროდუქცია შემოდის, მათ შორის ისეთი, რაც იწარმოება საქართველოში. სოფლის მეურნეობის პროდუქციას ვგულისხმობ. ამას ემატება ქვეყნის საგარეო ვალი, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ ორმილიარდ-ნახევარი დოლარით გაიზარდა. ამდენად, ძალიან მძიმე ეკონომიკური პირობებით უწევს ქვეყანას 2010 წლის შეხვედრა. თუ არ გაიზარდა ქვეყანაში რეალური ეკონომიკური აქტივობა ასეთ პირობებში შესაძლოა 2010 წელი უფრო მძიმე იყოს, ვიდრე 2009 წელი. არის პროგნოზი, რომ ეკონომიკური მდგომარეობა 2010 წლის მეორე ნახევარში გარკვეულწილად გაუმჯობესდება, თუმცა ეს არის წინასწარი შეფასებები.

**თუ ხელისუფლებამ ეკონომიკური კურსი არ შეცვალა, ეკონომიკურ წინსვლას გამორიცხავს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძეც:**

—საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლები მაღალი არასდროს ყოფილა. ეკონომიკა ძალიან მწირია. ჩვენი შიდა პროდუქტის წარმოება გასულ წელს მაინცდამაინც შთამბეჭდავი არ იყო. წელს იქნება დაახლოებით 4% კლება. რაც ასეთი პატარა ეკონომიკის ქვეყნისთვის ძალიან სერიოზული კლებაა. ინფრასტრუქტურული, ანუ სახელმწიფო პროგრამებით იმ დანაკარგების გადაფარვა, რაც ამ ორ წელიწადში კერძო სექტორმა განიცადა, შეუძლებელია. ინფრასტრუქტურული პროექტები მალე დასრულდება და შესაძლოა, ჩვენ აბსოლუტურად გაჩერებული ეკონომიკის წინაშე აღმოვჩნდეთ.

**—არსებული მძიმე ვითარების ფონზე, ხომ არ არის მოსალოდნელი ლარის კურსის ინფლაცია?**

— ხელისუფლება ლარის კურსს ხელოვნურად ინარჩუნებს. ერთი კვირის უკან 166 მილიონი ლარი იქნა ამოღებული. ეს აჩერებს ლარის კურსს, მაგრამ არ უწყობს ხელს ქართული ეკონომიკის განვითარებას. იმიტომ რომ ეკონომიკაში არის ფულის საშინელი შიმშილი, უზარმაზარი დეფიციტი. ბანკებში შემცირებულია საკრედიტო აქტივები და საქმიან ადამიანებს უჭირთ საბანკო სესხების აღება.

**ნანა ლაღაძიშვილი**

## ექსპერტების პროგნოზით, 2010 წელი გაცილებით მძიმე იქნება

# გოგი თოფაძე: ქარხანას გავაჩერებ, მაგრამ აბსურდულ გადასახადს პრინციპულად არ გადავიხდი

**წლის ბოლო მოახლოვდა და შემოსავლების სამსახურიც გააქტიურდა. საგადასახადო ბიზნესმენებს დაერია. იგი რამდენიმე კვირის განმავლობაში ამოწმებდა ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ჯეოსელს". ვრცელდება ინფორმაცია, რომ კომპანია „მაგთისაც" სტუმრობენ, თუმცა კომპანიის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ ამ ფაქტს. საგადასახადოსთან არსებულ უთანხმოებაზე ხმამაღლა საუბრობს „ყაზბეგის" დამფუძნებელი გოგი თოფაძე. მისი კომპანიის რუსთავის ქარხანა ფინანსთა სამინისტრომ 3,5 მილიონი ლარით დააჯარიმა. საგადასახადო მას ქარხნის თანამშრომლების კვების, ასევე, იმ მაცივრებისა და დანადგარების დაბეგვრას სთხოვს, რომლებსაც სუპერმარკეტებსა და რესტორნებს უსასყიდლოდ აძლევენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო" გოგი თოფაძეს ესაუბრა.**



**— ბატონო გოგი, „ყაზბეგის" რუსთავის ქარხანაში გარკვეული პრობლემებია, უარს ამბობთ გადასახადის გადახდაზე, რა არის ამის მიზეზი?**

— ყველა მეწარმე ცდილობს, მომუშავე პერსონალს გარკვეული შეღავათი გაუწიოს. მთელ მსოფლიოში მიღებულია, დღეში ერთხელ კალორიული საკვები მიაწოდო მუშას. ჩვენს ყველა ობიექტზე ეს სისტემა მოქმედებს. ამიტომ არ მიმაჩნია მისაღებად ამ სახის დაბეგვრა. ეს აბსურდია.

**— ფაქტია, რომ ქარხანას ეს გადასახადი დააკისრეს, ამ თანხის გადახდას აპირებთ?**

— როგორც ქარხნის მთავარი მოწილე, მზად ვარ, ეს ქარხანა მსხვერპლად გავიღო. მეწარმეებმა უნდა გავიგოთ, რომ საჭიროა გარკვეული პროტესტის გამოხატვა. არ შეიძლება, მეწარმე ისეთი მეწველი ძროხა გახდეს, რომელსაც წარმოების განვითარებისა და გაფართოებისთვის, ახალი პროდუქციის შექმნისთვის არაფერს უტოვებენ...

**— ანუ ქარხანა ფუნქციონირებას შეწყვეტს?**

— პრინციპულად არ გადავიხდი ამ გადასახადს და ქარხანას გავაჩერებ. უმუშევრობა ისედაც დიდი პრობლემაა რუსთავში. დამატებით უმუშევარი დარჩება კიდევ 350 კაცი, მაგრამ ახლა თუ დავთმე, ხვალ უფრო მეტს მომთხოვენ.

**— თუ გადასახადების დარიცხვა არასწორად მოხდა, არ გიფიქრიათ, რომ სასამართლოს მიმართოთ, იქნებ, დავა თქვენს სასარგებლოდ გადაწყდეს?**

— რომელ სასამართლოს? საქართველოში არსებობს სასამართლო? ადეიშვილის სასამართლოში რამეს მოვიგებ?

**— ბატონო გოგი, პრეზიდენტის დღგ-ს გადასახადის უკან დაბრუნების პარალელურად, მიმდინარეობს სხვადასხვა ობიექტის შემოწმებაც. თქვენს ქარხანაში არსებული ვითარებაც ხომ არ უკავშირდება ფინანსური პოლიციის აღდგენას?**

— დღგ-ს უკან დაბრუნების ინიციატივა, უბრალოდ, პრეზიდენტის მორიგი პიარგანცხადებაა. არავინ არაფერს დაგვიბრუნებს. არც გვინდა ასეთი დახმარება. ხელისუფლება არ არის დაინტერესებული, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა და ადგილობრივი წარმოება განვითარდეს; პირიქით, ყველაფერს აკეთებენ ქართული კომპანიების გასაკოტრებლად. ჩემი კომპანია 100 პროცენტით ქართულია, 19 ობიექტი გვაქვს, ბევრ უცხოელს უნდა მათი შეძენა, მაგრამ არ ვყიდი და პრობლემებსაც ამიტომ გვიქმნიან. მაქვს ჩემი შეზღუდული საშუალებები. ჯერ ვუძლებ ზეწოლას, თუმცა როდემდე შევძლებ, ამის თქმა მიჭირს. ახლა იძულებული ვარ, მსხვერპლი გავიღო რუსთავის ქარხნის სახით. ეს იქნება იმის თვალსაჩინო მაგალითი, რომ ქართულ ბიზნესს შველა სჭირდება.

**ნანა ლაღაძიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ზურაბ გაგნიძე: გია არსენიშვილი «სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირის» არხეინ თეორიაზე მდგომი კაცია

**თელავის მაჟორიტარი დეპუტატის, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ყოფილი სახელმწიფო მინისტრის გია არსენიშვილის ფსიქოპორტრეტის შესახებ გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით გია არსენიშვილის ფსიქოსტრუქტურის ძირითად შტრიხებზე, რა თვისებები დომინირებს მის სულიერ სამყაროში?**

— გია არსენიშვილი ქართულ პოლიტიკაში მეცნიერებიდან მოვიდა და თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ მწვავე, მტკივნეულ საკითხებზე თევზივით დუმდა ან ორფოქობდა. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა სანუგეშოს ვერაფერს აძლევდა ხალხსა და ქვეყანას. ბატონი გია იმ ფსიქოტიპთა არმიას მიეკუთვნება, რომელსაც გამიზნულად სურს, ქვეყანაში დანთებულ ცეცხლზე ხელი მოითბოს. მას არ გააჩნია ინდივიდუალობა და შენელებულ ბიორიტმს ატარებს. საუბრის კულტურით, სიტყვათა ღეჭვატკეპნით ფლეგმატურ ტემპერამენტს ატარებს.

**გია არსენიშვილის ფსიქე გავლენიან პირებთან მიკედლებით ქარიზმით დატვირთულ პოლიტიკოსთა ენერგეტიკული ველის უკიდურეს ზეგავლენას განიცდის. ეს სუბიექტი იდეებისგან გამოფიტულია.** ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ფაქტი, რომ მეცნიერი კაცი 1995 წლიდან პოლიტიკის ბინძური ლაბირინთების სათავეში აღმოჩნდა. ამ წლების განმავლობაში იმდენი კულუარული ინტრიგისა და პოლიტიკური შანტაჟების მოწმე გახდა, რომ სულიერებაში ვაკუუმი განუვითარდა. მის პიროვნებაში ნებელობა დაეცა, ხოლო სულიერი უნარების კარი ჩაირაზა. ის გახდა ინდეფერენტული, რასაც ადამიანები გულარხეინობას ეძახიან. არ ეყო გონებრივი და სულიერი უნარების სიმაღლე და ძალა, პოლიტიკურ სირთულეებს გამკლავებოდა. კატეგორიულობას მუდმივად ერიდება, ეშინია შეფასებაში არ შევცდეო.

**— პიროვნული თვისებების წყალობით თუ შეუძლია თავისი მიზანსწრაფვის ორგანიზებული განხორციელება?**

— დიახ, ამ თვისებების გამო გახდა ჯერ პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში, 2000 წელს კი საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. ამ სტატუსზე მიბმული იყო უსაზღვრო ძალაუფლება. ამ პოსტებზე მისი დანიშვნის მოტივირება მისსავე ფსიქიკაში დევს. ამგვარი პერსონა ქვეყანაში გამეფებულ რუტინულ პირობებში თამაშგარე მდგომარეობაში დარჩებოდა. მართლაც, ინერტულობითა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, შეზღუდული მიდგომებით, მოუმზადებელი გამოსვლებით, ტრაფარეტული აზროვნებით, ჩინოვნიკ-ადმინისტრაციული, პრივილეგირებული კასტის დაცვით ბატონმა გიამ მოახერხა სახელმწიფო მინისტრის სტატუსის გაუბრალოება.

**სახელმწიფო მინისტრობა გია არსენიშვილის ფსიქიკური წყობის გამოცდა იყო, რომელიც ამ ფსიქოტიპმა წარმატებით ჩააბარა. მან სავსებით დააკმაყოფილა ის მოთხოვნები, რასაც ზემდგომნი მისგან მოითხოვდნენ და ამის გამო დღესაც პოლიტიკაშია.** ანალიზის პასუხი კი მარტივია — ქვეყანას არც მისი სახელმწიფო მინისტრობით შემატებია რამე და არც მისი ამ პოსტის დატოვებით დაკლებია არაფერი.

ეთნოტიპი ფსიქოლოგიური ანალიზის წარმართვისას უცხო ცნება არაა. პარლამენტში მისი კანდიდატურის დამტკიცებისას ითქვა — „ქართველ პოლიტიკოსთა შერიგებას მხოლოდ კახელი თუ შეძლებდა“. მის ფსიქოშტრიხებში დომინირებს ლიბერალიზმი, ანუ უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობა, მავნე შემწყნარებლობა. **პოლიტიკურ არენაზე იმ დოზით აქტიურობს, რამდენიც სჭირდება პირადი კარიერისა და მდგომარეობის შესანარჩუნებლად.** თავისი ფსიქოწყობით არაა საქვეყნო კაცი, ის თავის ჯამსჩაჩერებული შეზღუდული უნარების მქონე პოლიტიკოსია.

**— ერთგვარი დაქვეითებაა მისი დიპლომატიურ სამსახურში გადასვლა, ტელეკომისა და რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარეობა, ამ კარიერულ ეპიზოდს როგორ ახსნით?**

— ენერგიულ რეფორმატორებს მობეზრდათ ამ სიტყვაღეჭია, ნამინისტრალი კაცის „სალათას ძილი“ ახალი, სახოტბო მლიქვნელობისა და ალტაცების ფონზე. გია არსენიშვილის ეთნოფსიქიკა ვერ ახერხებს პოლიტიკურ თამაშებში ლაზათიანად შენიღბვას; ქვეცნობიერში ჩაკეტილი უტიფრობა, ფლეგმა ტიპის ტემპერამენტი, შეუფერადებელი მაამებლობა, განწყობილებების უშუალობა, დაუხვეწავი ინტონაცია ყურს სჭრიდა პოლიტიკურ მემკვიდრეებს; იგი ერთგულ, მაგრამ ყავლგასულ პოლიტიკოსად მიიჩნიეს და, როგორც წესი, ელჩად გააგზავნეს. მაგრამ განვითარებულმა მოვლენებმა მოითხოვა ერთგულ და უპრეტენზიო კაცთა გარემოცვა და გია არსენიშვილი 2008 წელს პარლამენტში „დააბრუნეს“, თანაც ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. სიტუაციამ ისევ მოითხოვა ბატონი გიას ფსიქიკის კაცი და, რადგან იგი „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირის“ არხეინ თეორიაზე მდგომი კაცია, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხი მიანდეს, რაც გაუმართლებელი გადაწყვეტილებაა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გია არსენიშვილს არ გაუპროტესტებია „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილებები (ადმინისტრაციული სასჯელის გაზრდა, მანიფესტაციების შეზღუდვა). რადგან ადამიანის უფლებათა დამცველი „შემგუებლური სინდრომითაა“ დაავადებული, რომელიც როყიოდ აცხადებს, „ეს ცვლილებები მსჯელობას არ ექვემდებარება“. პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი მმართველი პარტიის ინტერესების დამცველია.

პატიმრების კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით პატიმარს უფლება ეძლევა 5 დღე ოჯახში გაატაროს. პატიმართა დიდი ნაწილი კი ამ სიკეთით ვერ ისარგებლებს. ხანგრძლივი პაემნების მუხლი, რომლის მიხედვით პატიმრები ციხეშივე მოწყობილ სპეციალურ ოთახებში 2-3 დღის გატარებას ოჯახთან ერთად შეძლებენ, კოდექსის მიღმა დარჩნენ. ამის მიზეზად გია არსენიშვილი სახელმწიფო მინისტრის არგუმენტს იმეორებს: „შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის ხარჯები ქვეყანას არ აქვს“, რითაც სახელმწიფოს იცავს და არა — პატიმართა უფლებებს. უფრო მეტიც, გია არსენიშვილმა არ იცის, რამდენი პატიმარია საქართველოში, უფრო უარესი — არც აინტერესებს. აი, მისი ნათავხედარი განაცხადი: „წი**წილები იმან დაითვალოს, ვისაც ეს ევალება; სადაც არიან, საუკეთესო პირობებში არიან“.**

ამგვარ ფსიქოტიპებს უჭირთ ფსიქიკის ურთულეს შრეებში შეუმცდარი ორიენტირება. ავადმყოფურად თვალთმაქცებს უეცრად ჩართული ქვეცნობიერი ააშკარავებთ და მათ სულიერ სიბინძურეს ამზეურებს. ამის დასტურია გია არსენიშვილის სიტყვები: „ბევრი კანონია შესაცვლელი... ამას ჩემი კომიტეტის წევრებიც მოვითხოვთ, პარლამენტში მყოფთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ამ კანონების შეცვლა ქვეყნის ნგრევას გამოიწვევს“ ან „მე ვერავის ჭკუის დამრიგებლად ვერ გამოვდგები“; დავუმატებ — ვერც ვერავის დამცველად.

**მგლური კანონის ქვეყანაში გია არსენიშვილის ფსიქოწყობა შერჩევის სისასტიკეს ემორჩილება. ვერშეგუების პრინციპს შეგუება და გულარხეინობა ურჩევნია, რადგან მისი პირადი კეთილდღეობა, მგლური კანონის თანახმად, „არ დაიკბინოს“. ამის გამო არც ყალბ ალტაცებასა და არც უნიჭო მეხოტბეობას გაურბის. აცხადებს, რომ მოხიბლულია სააკაშვილის დიპლომატიური ნიჭითა და უნარით. მოხიბლულია იმით, რამაც ტერიტორიები დაგვაკარგვინა და მსოფლიოს თვალში საქართველოს იმიჯი შელახა.**

ანალიზის თანახმად, გამოიკვეთა მისი ფსიქოს სტრუქტურის წამყვანი შტრიხი — კომპრომისი საკუთარ სინდისთან, შემრიგებლობა და თანამშრომლობა ყველა ჯურის თავკაცებთან, მაღალ სკამებზე შემოსკუპებულ ავანტიურისტკარიერისტებთან. ცდილობს მათი ნაკლოვანებები და შემარცხვენელი მიდრეკილებები დაფაროს. მხილებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იცის, დუმილისთვის ჯილდოა დაწესებული. უფრო შორს წავიდოდა, მაგრამ აკლია არტისტიზმი, გარდასახვის უნარი, რომანტიული მგზნებარება, აზრობრივი სიცხადე, ემოციურობა, საკუთარი ფერები, შინაგანი ექსპრესია. თავის ლიქნს სარკაზმით ვერ ამძაფრებს.

**— ბატონო ზურაბ, არსენიშვილი თავისი მშობლიური ქალაქის თელავის მაჟორიტარი დეპუტატია, მას ნდობა გამოუცხადეს, ამაზე რას იტყვით?**

— გია არსენიშვილმა თელაველებს განუცხადა: „მიულებელია, თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მეგობრობისა და ნათესაური ნიშნის მიხედვით. ეს თემა უნდა დავამთავროთ, ასე არ შეიძლება“. ამავე დროს თელავში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსად თავისი ძმა ზურაბ არსენიშვილი დანიშნა, რომელიც ბიუჯეტიდან სოლიდურ ანაზღაურებას იღებს.

მართალია, არსენიშვილი კოდორის ხეობიდან დევნილ მოსახლეობას შეხვდა, 300 ოჯახს საცხოვრებელი ფართითა და საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილებას შეჰპირდა; „იუნისეფს“ დახმარება სთხოვა ტირძნისიდან გატაცებული მოზარდების გათავისუფლებაში, გაილაშქრა არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტების წინააღმდეგ და ამ მიმართულებით (ინიციატორი თვითონ იყო) კანონში ცვლილებები შეიტანა. მაგრამ მისი გადადგმული ყოველი ნაბიჯი მხოლოდ მთავრობისა და ნაციონალური მოძრაობის წინასწარ დაპროექტებული პროგრამების სიტყვიერი გაჟღერებაა.

**არსენიშვილს ბევრჯერ გააწითლებს კახელებისგან პირდაპირ წამოსული სიმართლის ქარცეცხლი.** ამგვარ ფსიქოტიპთა უსიტყვო მხარდაჭერით ინგრევა და პარტახდება ქვეყანა, ზეიმობს სიცრუე. ხალხი ამგვარ სუბიექტებზე ამბობს: „მგელს მგელი ერქვა და ტურამ ქვეყანა ამოაგდოო“.

## შორია გურჯისტანამდე

# ვაჟა ჯოხაძე: გაიძვერა თურქმა მიზანს მიაღწია, სასახლის რემონტი მუქთად შერჩა

**სანამ ხელისუფლება დემაგოგიური პიარტექნოლოგიებით ქვეყანაში საყოველთაო კეთილდღეობის ილუზიას ქმნის, 2 მილიონამდე ქართველი სიცოცხლის გადასარჩენად ქვეყნიდან გაიქცა. ყველა ემიგრანტი ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ ემიგრაციაში ყოფნას ქართველი კაცი ყველაზე ნაკლებად ეგუება. აი, რას მოგვითხრობს ემიგრაციიდან სულ ახლახან დაბრუნებული ვაჟა ჯოხაძე.**

**— ბატონო ვაჟა, თურქეთში წასვლა რამ გადაგაწყვეტინათ?**

— პოლიტექნიკური ინსტიტუტი დავამთავრე, „მიონში“ ვმუშაობდი, კარგ სპეციალისტად ვითვლებოდი, მაღალი ხელფასი მქონდა და პრემიებსაც ვიღებდი. კომუნისტებიც ძუნწად და იშვიათად აფასებდნენ პროფესიონალებს, მაგრამ დღეს სრული განუკითხაობაა. ქვეყნის არევამ ისეთ ასაკში მომისწრო, სამი ბიჭი მყავდა ფეხზე დასაყენებელი. დედასა და მეუღლეს კი არასოდეს უმუშავიათ. ოჯახს მე ვარჩენდი. სამსახურიდან რომ წამოვედი, უსახსრობისგან ისეთ დეპრესიაში ჩავვარდი, თვითმკვლელობამდე ერთი ნაბიჯიღა დამრჩა. ასე უსაქმურად არასოდეს ვმჯდარვარ... ერთხელ ყოფილ თანამშრომელს — ბიძინას შევხვდი. ერთმანეთს შევჩივლეთ ჩვენს მდგომარეობაზე. ბიძინამ მითხრა, კარგი იდეა მაქვსო. მას სურდა 5-კაციანი ბრიგადის შექმნა, თურქეთში გადასვლა და იქაურ ფასებთან შედარებით იაფად სარემონტო სამუშაოების წარმოება. ბიძინას იდეა ჭკუაში დამიჯდა, მოვიხმეთ სამი მეგობარი, ჩვენი გეგმა გასაგებად ავუხსენით და თურქეთში წასვლა გადავწყვიტეთ. ამის განხორციელება კი არც ისე იოლი აღმოჩნდა. წასასვლელი საბუთებისა და ფულის შოვნის პრობლემამაც კარგა ხანს დაგვაყოვნა. საზღვარზე გადასვლის საეჭვო ორომტრიალს გადავურჩით და ქალაქ რიზეში ჩავედით.

თურქები ჩვენთან შედარებით უფრო ნაციონალისტები და ეჭვიანები არიან. უცხოებს არც თუ თავაზიანად იღებენ, განსაკუთრებით ამრეზით მამაკაცებს ექცევიან. უცხო ტომელთა მსახურება უსაზღვრო თავშეკავებასა და რკინის ნებისყოფას მოითხოვს. ისინიც გამომცდელად გიყურებენ და ყურით მოთრეული მიზეზებით ცდილობენ შენი გამძლეობის შემოწმებას, რათა მომსახურება რაც შეიძლება იაფი დაუჯდეთ.

ყოველდღე ბირჟაზე ვიკრიბებოდით, რათა რომელიმე „ბობოლას“ სახლის გასარემონტებლად მივქირავებოდით. სანამ მასთან მუშაობ, თავდაუზოგავ სამსახურს გთხოვენ, თვალთმაქცური მაამებლობით გექცევიან, ბოლოს კი ნაკლის აღმოჩენას ცდილობენ. მუშახელის ძარცვის საკმაოდ დახვეწილ არსენალს ფლობენ. შემგუებლური ცხოვრება, მოუწესრიგებელი პირობებით ჩამოყალიბებული სულისშემძვრელი ურთიერთობები, მონური, თითქმის 18-საათიანი ფიზიკური შრომა არაქათს გვაცლიდა. ამის ერთადერთი გამართლება ისაა, რომ შენი მონობით შენს სისხლსა და ხორცს აღარ შია.

**— ბატონო ვაჟა, ვიცი, თურქეთის ციხეს ძლივს გადაურჩით, მიამბეთ რამ გამოიწვია თქვენი ამბოხი?**

— მოთმინებასაც აქვს საზღვარი, ადრე თუ გვიან „მონაც“ მიდის უკიდურესობამდე. ჩემი აფეთქება იმ დამცირებამ გამოიწვია, რასაც წლების მანძილზე შემკვეთებიდან ვიტანდი. რადგან ფულს გვიხდიდნენ, ბრიყვული თვითკმაყოფილებით ფიქრობდნენ, რომ მათი ყველა ხუშტური უნდა შეგვესრულებინა. ზუსტად ასეთ ეფენდისთან მოვხვდით. ყოველდღე ცვლიდა გეგმებსა და სახლის შეკეთების კონსტრუქციებს, რითაც წინა დღეების ჭაპანწყვეტა წყალში გვეყრებოდა. საქმეში ყელამდე ჩაფლულნი ამაოდ ვცდილობდით მისი კაპრიზების დაკმაყოფილებას. ვერაფერი მოვაწონეთ. ყავის დალევისა და ლუკმის გალეჭვის საშუალებას არ გვაძლევდა. ბიჭებს ვთხოვე, ამ ახირებულ ბობოლას გავცლოდით, თორემ შემომელახებოდა. მიპასუხეს: „გაგიჟდი, საქმე სანახევროდ გაკეთებული გვაქვს. მასაც ეგ უნდა, ფულს აღარ მოგვცემს, რადგან შეთანხმებას ჩვენ დავარღვევთო“. ძალიან ძუნწი, ანგარიშიანი ხალხია. 5 წელი ვიმუშავე და არც ერთ დამქირავებელს ფული დროზე და დაუყვედრებლად არ მოუცია.

საქმეს ვამთავრებდით. ეფენდი თავზე გვადგა. უკმაყოფილო გამომეტყველებით ათვალიერებდა უზარმაზარი სახლის ყველა კუნჭულს, რაღაც ხელჩასაჭიდს ეძებდა. ბოლოს ბიძინას (ბრიგადირს) უთხრა, რომ სამ- ▶

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქეთევან ნემსაძე: მოსალოდნელია ჩვეულებრივი და H1N1 გრიპის ეპიდემიების ერთდროულად დაწყება

**უკრაინაში H1N1 მძვინვარებს. მართალია, იმედიანი ქართველი კაცი ამბობს: „როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო“, რის მაგალითადაც ჯანმრთელობის ექსმინისტრის, ლადო ჭიპაშვილის ამ ორიოდე წლისწინანდელი სატელევიზიო გამოსვლა მოჰყავთ, როდესაც ბედობის დღეს, ყველა ქართველს საახალწლო სუფრაზე ინდაური რომ ედო, ბრძანა:**
**— „ქათმის გრიპი“ საქართველოში შემოდის და მოსახლეობა განახევრდებაო...**
**სპეციალისტების თქმით, H1N1 ეპიდემიურ ხასიათს დეკემბრის შუა რიცხვებიდან მიიღებს. დღეისათვის კი საქართველოში 100-მდე შემთხვევაა გამოვლენილი. H1N1 ვირუსის შესახებ გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს კლინიკური დირექტორი ქეთევან ნემსაძე.**


ქეთევან ნემსაძე

**— ქალბატონო ქეთევან, რით განსხვავდება სხვა სახის ვირუსული დაავადებებისგან „ღორის გრიპი“ და როგორ უნდა ვუმკურნალოთ ამ ახალი ტიპის ვირუსით დაინფიცირებულ ადამიანს?**

— ნუ დავარქმევთ ამ ვირუსს „ღორის გრიპს“ და ვთქვათ H1N1. იგი ჩვეულებრივი A და B ტიპის ვირუსებისგან, ანუ ჩვეულებრივი გრიპისგან მხოლოდ ერთი ნიშნით განსხვავდება. ბუნებრივი A და B ტიპის გრიპის მიმართ ჩვენი მოსახლეობის ნაწილს იმუნიტეტი გააჩნია, H1N1 კი პირველად ვრცელდება და სრულიად მოსალოდნელია, რომ მისი საწინააღმდეგო იმუნიტეტი ნაკლებად ჰქონდეთ ადამიანებს. ავადმყოფობის მიმდინარეობა არ განსხვავდება A და B ტიპის გრიპებისგან, რომელიც სეზონზე ყოველწლიურად ხვდება საქართველოს მოსახლეობას. შესაძლებელია, H1N1-მა ეპიდემიის ხასიათი მიიღოს და თანაც ეს დეკემბრის მეორე ნახევრიდან მოხდეს.

დროის ამ მონაკვეთში, ანუ დეკემბრის შუა რიცხვებში, როგორც წესი, ადგილი აქვს რესპირატორული ვირუსების აფეთქებას, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ ორივე, ანუ ჩვეულებრივი და H1N1 გრიპის ეპიდემია ერთდროულად დაიწყოს.

როგორც ცნობილია, გრიპი ჰაერწვეთოვანი გზით გადადის. წვეთი კი ერთ მეტრ დისტანციამდე არ მიდის. ამიტომ კარგი იქნება, თუ ადამიანები ერთი მეტრის დაშორებით ისაუბრებენ, მოერიდებიან ერთმანეთის შეხებასა და ამბორს. თუ კონტაქტი მაინც მოხდა, აუცილებელია ხელების დაბანა ანტისეპტიკური საპნით ან დამუშავება სამედიცინო სპირტით. H1N1 საწყის ეტაპზე იწვევს ისეთივე ზოგად სიმპტომებს, როგორსაც ჩვეულებრივი გრიპის ვირუსი: ტემპერატურის აწევას, კუნთებისა და ყელის ტკივილს. არ არის აუცილებელი სიცხის სწრაფად დაწევა, რადგან ვირუსი მაღალ ტემპერატურას ვერ უძლებს. ეს არის დადებითი ფარმაკოლოგიური რეაქცია. ამასთან ერთად, აუცილებელია სიმპტომების მართვა, რათა არ მოხდეს ტემპერატურის უკონტროლო აწევა.




თუ დაიწყო სუნთქვის გაძნელება, აუცილებლად უნდა მივმართოთ ექიმს. ამ შემთხვევაში უნდა დაინიშნოს ანტივირუსული პრეპარატები: **ტამი-ფლუ** — ბავშვებთან, **რელიზი** — ფეხმძიმე ქალებთან. ორივე პრეპარატის მიღება აუცილებელია მხოლოდ ექიმის დანიშნულებით და არავითარ შემთხვევაში — თვითნებურად, პროფილაქტიკის მიზნით.




H1N1 ვირუსი

მსურს, თქვენი გაზეთიდან გავაფრთხილო მოსახლეობა, თუ ადამიანმა **ტამიფლუ** პროფილაქტიკის მიზნით მიიღო და მას H1N1 მაინც დაემართა, ის უკვე ხდება დაავადების გამავრცელებელი. ტამიფლუსა და სხვა ანტივირუსული პრეპარატების მიმართ რეზისტენტულობა, ანუ არამგრძნობიარობა მეტად ართულებს მკურნალობის პროცესს და შესაძლოა, მძიმე შედეგით დასრულდეს.

ასევე, მინდა, ვთხოვო საზოგადოებას, რომ ეპიდემიის საშიშროებას მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით მოეკიდონ. ვირუსის მატარებლებმა უნდა ატარონ დოლბანდი და თავი აარიდონ საზოგადოების თავშეყრის ადგილებს. დაცემინებისას გამოიყენონ ერთჯერადი ცხვირსახოცი, თუ იმ წუთში ცხვირსახოცი ვერ მონახა, ვურჩევთ, ხელის ნაცვლად სახელო აიფაროს, რადგან ცოცხალ სხეულზე მიკრობები უფრო დიდხანს რჩება.

H1N1 ტოვებს თუ არა რაიმე სახის გართულებას, ამაზე პასუხი ინდივიდუალურია, როგორც ნებისმიერ ვირუსულ ინფექციაზე, და ეს დიდადაა დამოკიდებული ორგანიზმის სარეზერვო ძალებზე. როგორ წარიმართება ვირუსი ორგანიზმში, ექიმმა უნდა აკონტროლოს.

იმუნიტეტის გასაძლიერებლად კი ვერაფერს გირჩევთ, ადეკვატური კვების, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ფიზიკური აქტივობისა და სითბოს რეგულაციის ნორმალური რეჟიმის გარდა.

---

ზარეულოში საოჯახო ტექნიკის დამონტაჟება უნდოდა და, თუ ვინმე ჩვენგანს შეეძლო, ფულს ერთიანად გადაგვიხდიდა. ეს მხოლოდ მე შემეძლო, მაგრამ ბოლმით გული ყელში მებჯინებოდა და ერთი სული მქონდა, ამ უხეირო კაცს გავცლოდი, ამიტომ სამუშაოს აღება არ ვინდომე. ამას ეფენდის მხრიდან სარკასტული დაცინვა მოჰყვა და მათხოვარი მიწოდა, მაგრამ მის სიტყვებს ბიჭების ზიზღჩამდგარი მზერა დახვდა. იმ დღეს კი გაგვეცალა, მაგრამ მომდევნო დღეებში გაბოროტებული დარაჯობდა ჩვენს თითოეულ ქმედებას. **სულ თვალს გვადევნებდა. ხშირად უმიზეზოდ ლიზიანდებოდა და მტვრის დადგომისას იგინებოდა. ეს იყო მისი გამოწვევა, რომლის თავიდან აცილებისთვის დაძაბული ვმუშაობდით, მთელი გულისყური საქმეზე გადაგვქონდა, ის კი სკანდალს აწყობდა, რადგან ჩვენთვის გასამრჯელოს მოცემა არ ნებავდა.**

საღამოს, უკვე ხარაჩოებს ვხსნიდით, ამის გაკეთება სწრაფად არ ხერხდებოდა და ნოდარიც ფრთხილად ირჯებოდა. ეფენდი გაბრაზებული, ვითომ საქმის ზოზინით, მივარდა გინებით მთელი დღის ნამუშევარ კაცს და წიხლი ჰკრა. მაშინვე გადმოვხტი საკმაოდ მაღალი ხარაჩოდან, სიბრაზისგან გონგადასული ვეცი და ისე ვურტყამდი, მეგობრების ხვეწნამუდარა აღარ მესმოდა. მის ყვირილს გამოეხმაურნენ. ტრასაზე გიჟებივით გამოვცვივდით. მუშის დასვრილი ტანსაცმლით პირდაპირ ავტოსადგურში გამაქანეს, შეკრებილი ფულით ბილეთი ამიღეს და თბილისის ავტობუსში ჩამსვეს. თვითონაც იმავე საღამოს დატოვეს რიზე. სავალალო სიტუაციაში აღმოვჩნდი. ჩემმა საქციელმა ბიჭები აზარალა. სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ ის არაკაცი გვიჩივლებდა, მაგრამ დრო გავიდა და... მას სიჩუმე არ დაურღვევია. გაიძვერა თურქმა მიზანს მიაღწია, იმხელა სასახლის რემონტი მუქთად შერჩა. იციან, გურჯები ქილიკსა და აბუჩად აგდებას ვერ ვიტანთ და ამას თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ. მაშინ კიდევ არ ვიცოდი, თურქეთში წასვლით რა მძიმე ტვირთი მოვიგდე ბეჭებზე, რა მონური სამსახური ვიკისრე. შრომას არ ვთაკილობდი, მაგრამ ადამიანად ხომ უნდა დარჩე?!

**— ბატონო ვაჟა, თქვენი აზრით, რამ მიიყვანა ქართველი კაცი ამგვარ მდგომარეობამდე?**

— საუკუნეები დასჭირდება იმის გამოსწორებას, რაც ამ უკანასკნელ 20 წელიწადში დავკარგეთ. რა ღირსება უნდა შეინარჩუნო პატივაყრილმა, ეროვნება და ტერიტორიადაკარგულმა, მშიერმა და გაჩანაგებულმა ადამიანმა?! პრეზიდენტმა ქარში თითის აწევით კი არ უნდა დაადგინოს ჭეშმარიტება, არამედ რიგითი მოქალაქის პრობლემებს უნდა მიაყურადოს. დღეს საქართველოში ჩამკვდარია ეროვნული მაჯისცემა. სწორედ ამას მოჰყვა ქართველთა უმისამართოდ ხეტიალი მსოფლიო გზებზე.

---

# ჩემი «ქორწილი» უჩემოდ

**ჰოლივუდელ რენე ჰარლის აგვისტოს მოვლენების შესახებ ერთ-ერთ ეპიზოდად ქორწილია წარმოდგენილი, რომელიც ემთხვევა ჩემი სტატიის შინაარსს.**

**რეჟისორ ზაზა კოლელიშვილის ფილმის „ომი და ქორწილი“ დახურული ჩვენება კინოს სახლში უკვე გაიმართა. როგორც ფილმის ტიტრები იუწყებოდა, ფილმი გადაღებულია ჟურნალ „მედიატორში“ გამოქვეყნებული, ჟურნალისტ ლალი შაშიაშვილის სტატიის „ძევერელებმა გაგანია ომში იქორწინეს“ მიხედვით.**

„ომი და ქორწილის“ რეკლამირება კი ტელეარხებზე გაცილებით ადრე დაიწყო და ყურადღებით ვადევნებდით თვალს როგორც „მედიატორის“ თანამშრომლები, ასევე, ჩემი საახლობლო წრეც. „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტ თენგიზ გოგოტიშვილის განცხადება, რომ ფილმის პირველწყარო რომელიღაც ჟურნალში ვილაც ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებული სტატიაა, ჩემთვის სილის გაწვნის ტოლფასი იყო. ბატონ ზაზას დავურეკე და ვკითხე, რა მჭირდა ასეთი უხსენებელი. მან მიპასუხა, რომ ჟურნალის დასახელებაც და სტატიის ავტორის გვარიც მონტაჟის დროს ამოჭრეს. ამის შემდეგ კვლავ გრძელდებოდა სტატიისა და მისი ავტორის იგნორირება. ჟურნალ „მედიატორის“ რედაქტორმა, ცნობილმა ჟურნალისტმა ნინო გოძიაშვილმა ბატონ ზაზას მორალური და ზნეობრივი პასუხისმგებლობა შეახსენა როგორც ჟურნალის, ისე ავტორის მიმართ. მხოლოდ ამის შემდეგ ახსენეს ერთხელ „რუსთავი 2“-ის ეთერში სტატიის ავტორი.

**ორიოდე კვირის წინათ „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პროფილში“ მიწვეული იყო ფილმის „ომი და ქორწილი“ გადამღები ჯგუფი. ჩემთვის ეს არ უცნობებიათ, თუმცა იმ დღეებში ზაზა კოლელიშვილმა დამირეკა და ძმობას მეფიცებოდა.** გადაცემის დროს ბატონმა ზაზამ განაცხადა, რომ სტატიას, რომელიც ფილმის შთაგონების წყაროდ იქცა, ხელს აწერდა **ნანა არჩვაძე**. უპირველესად, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნანა კი არა **ნელი არჩვაძე** აწერდა, რომელიც ჩემი ჟურნალისტური ფსევდონიმია. ეს საკითხი ბატონმა ზაზამ კინოსტუდიაში ჩემი პირველი ვიზიტისთანავე გაარკვია და რაღა საჭირო იყო ამის გახსენება ან რატომ არ განმარტა, რომ ეს იყო ჟურნალისტ ლალი შაშიაშვილის ფსევდონიმი. განმარტებისას კი მითხრა, რომ სახელი ნელი ნანაში შეეშალა. კოლელიშვილს ჩემი ფსევდონიმით მოხსენიება არ სჭირდებოდა — იგი წელიწადზე მეტია, მიცნობს. მაგრამ მანამდეც არაერთგზის მოახდინა ჩემი იგნორირება; იფიცა, რომ ჟურნალიც ახსენა, სტატიის სათაურიც და ისიც აღნიშნა, რომ ნანა არჩვაძე ჟურნალისტ ლალი შაშიაშვილის ფსევდონიმია, მაგრამ ეს სიტყვები ამოჭრესო. დავუკავშირდი სტუდია „პროფილის“ პროდიუსერს **მაია გონაშვილს**. მან რეჟისორ კოლელიშვილის ნათქვამი დამიდასტურა და განაცხადა, რომ ქრონომეტრაჟში ტექსტი არ ეტეოდა და შეამოკლა.

არანაკლებ გამაოცა ამბავმა, რომ აგვისტოს მოვლენების შესახებ ფილმის, რომელსაც ჰოლივუდის ცნობილი რეჟისორი რენე ჰარლინი იღებს, ერთ ეპიზოდად ქორწილია წარმოდგენილი. დიქტორმა აღნიშნა, რომ საქორწილო სუფრაზე ყუმბარები ცვივა, რაც სიტყვა-სიტყვით ემთხვევა ჩემს მიერ დაწერილი სტატიის შინაარსს. ვესტუმრე ბატონ ზაზა კოლელიშვილს და ამერიკულ ფილმზე ვკითხე. მან მითხრა, რომ ფილმი „ომი და ქორწილი“ დაპატენტებული აქვს და, თუ ამერიკელები იქიდან რამეს გამოიყენებენ, გადაიხდიან კიდეც.

**ჩემს იგნორირებას, იქნებ, ის ფაქტი უდევს საფუძვლად, რომ ჰოლივუდიდან ფულის გადახდის შემთხვევაში თავიდან მომიშორონ და თემის მიგნების სახელი თვითონ მიიწებონ,** ხოლო ფილმის პირველწყარო — სტატია ძევერელთა ქორწილზე — დავიწყებას მისცენ. მალე ფილმი „ომი და ქორწილის“ დიდი პრეზენტაცია გაიმართება. იქნებ, მაშინ მაინც გაიხსენონ სტატიის ავტორი, რომელიც ამ შემოქმედებითი პროცესის სათავეშია.

**ცხადია, რენე ჰარლინის ფილმს საერთაშორისო მასშტაბით უფრო ფართო გამოხმაურება მოჰყვება, მაგრამ ჰოლივუდური სტანდარტებით გადაღებული ფილმი ერის გმირობასა და მის მაღალ სულიერებას ნაკლებ წარმოაჩენს, იმ ამერიკელი ჟურნალისტის „გმირობასთან“ შედარებით, რომელიც ძევერელთა ქორწილის უნებლიე სტუმარი გახდა. ამ ორივე ფილმის შთაგონების წყარო — სტატია „ძევერელებმა გაგანია ომში იქორწინეს“ და მისი ავტორი, სამწუხაროდ, ამჯერადაც ჩრდილში დარჩება. ასეთია ღარიბი ქვეყნის შვილთა შემოქმედების ხვედრი და ეს ჩემი გულის ამონარიდია, საზოგადოებისთვის აუცილებლად სათქმელი.**

გვერდები მოამზადა ლალი შაშიაშვილმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# არნო ხიდირბეგიშვილი: არ გამიკვირდება, თუ მომავალ თბილისობაზე ვლადიმერ პუტინს თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩევენ და ოქროს საწმისის ორდენით დააჯილდოებენ!

*„მიხეილს სააკაშვილმა ბევრი კედელი დაანგრია: დაამარცხა კორუფცია, აღკვეთა კანონიერ ქურდთა თარეში, შექმნა საპატრულო პოლიცია, გაზარდა პენსიები, შემოიღო ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა... მაგრამ ერთი კედლის ნგრევისას სააკაშვილი მეორეს აწყდება, რადგან კედლები, რომლებსაც ის ანგრევს, ციხის შიდა კედლებია და ამიტომ ერთი საკნიდან მეორეში ხვდება!* ***მან თავი უნდა ანებოს კრემლის კედლებზე თავისხლას მათი გარღვევის მიზნით — იქ ხომ მრავალი ალაყაფის კარია!“*** — ვაფრთხილებდი **2009 წლის 15 ივნისს** პუბლიკაციაში „კედელი“.

4 თვის შემდეგ კი — **2009 წლის 10 ოქტომბერს**, საშუალო სკოლების მასწავლებლებთან შეხვედრაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაადასტურა, რომ არ ვცდებოდი: *„რაც მოხდა საქართველოში — აფხაზეთში, ცხინვალში, მეტად დამთრგუნველია ჩვენი ხალხისთვის. ეს არ უნდა მომხდარიყო და ეს შეიძლებოდა არ მომხდარიყო. ჩვენ გვქონდა იმის საშუალება, რომ აგვერიდებინა თავი მაგ პრობლემებისთვის... გემი როცა მიდის ზღვაში, ხელმძღვანელმა, გემის კაპიტანმა უნდა იცოდეს, სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს.* ***ჩვენ გვხვდება კედელი და თავით ვეხეთქებით ამ კედელს. იმ დროს, როცა შეიძლება ამ კედელს გვერდი აუარო, კარები იპოვო და იქიდან გახვიდე.“***

რა ვითარება გვაქვს დღეს? **Forbes**-ის ვერსიის მიხედვით, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანის რეიტინგი, სადაც პირველი ადგილი უკავია აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას,** რომლის მეტოქესაც საპრეზიდენტო არჩევნებში (ჯონ მაკკეინს) მხარს უჭერდა მიხეილ სააკაშვილი და საქართველოს მთელი ამჟამინდელი ხელისუფლება. მეორე ადგილზეა რუსეთის უძველესი პარტნიორი ქვეყნის (ი. ბ. სტალინის ხანიდან და მისივე წყალობით) — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი **ჰუ ძინტაო.** შეგახსენებთ, რომ ვლადიმერ პუტინმა ა. წ. 20 ოქტომბერს ჩინეთში ვიზიტისას, ერთიანად 20 დოკუმენტს მოაწერა ხელი, მათ შორის — სამოკავშირეო ხელშეკრულებას 20 წლის ვადით და 3.5 მლრდ დოლარის ღირებულების გაზისა და ნავთობის მიწოდების კონტრაქტსაც. რეიტინგში მესამე ადგილზე თავად რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი **ვლადიმერ პუტინია**... მე-12-ზე — პუტინის მეგობარი და იტალიის პრემიერ-მინისტრი **სილვიო ბერლუსკონი,** ხოლო მე-15 ადგილი გერმანიის კანცლერს, **ანგელა მერკელს** უკავია, რომელმაც სააკაშვილის მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა იმისათვის, რომ ა. წ. 9 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტი დ. ა. მედვედევი გერმანიაში მიიწვია ბერლინის კედლის დანგრევის მე-20 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებაზე. მე-17 ადგილი ერგო აშშ-ის სახელმწიფო მდივანს, **ჰილარი კლინტონს,** რომლის ძმებიც სააკაშვილმა აჭარიდან იმის გამო გააძევა, რომ მათ ბიზნესს (თხილის შესყიდვა და გატანა) ხელს უწყობდა ავტონომიის მაშინდელი ხელმძღვანელი ასლან აბაშიძე, რომელზეც საქართველოს ხელისუფლებას ამჟამად ძებნა აქვს გამოცხადებული (რაც, კაცმა რომ თქვას, სულაც არ უშლის ხელს იმაში, რომ მოსკოვში ბედნიერად ცხოვრობდეს). ***„მე მომწონს პრეზიდენტი მედვედევი. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მან და იმანაც, რის გაკეთებასაც ცდილობს. ასე რომ, თავს არ მოვიკატუნებ, თითქოს ვიცოდე, როგორაა გადანაწილებული ძალაუფლება რუსეთში, მაგრამ იგი თანამედროვე ადამიანად მიმაჩნია იმ სურვილის მკაფიო და დამაჯერებელი გაგებით, თუ რას უნდა მიაღწიოს მისმა ქვეყანამ,“*** — განუცხადა კლინტონმა ამერიკულ ტელეკომპანია **NBC** -ს ამა წლის 10 ნოემბერს.

ასე და ამგვარად: 31-ე ადგილზეა ჰილარის მეუღლე, აშშ-ის ექს-პრეზიდენტი **ბილ კლინტონი,** 42-ზე — პუტინის მოადგილე, რფ-ის ვიცე-პრემიერი **იგორ სეჩინი,** 43-ე ადგილი უკავია პუტინის ერთგულ მეგობარს (მიუხედავად მათი წაკიდების ათასგვარი მცდელობისა!) — რფ-ის პრეზიდენტს **დიმიტრი მედვედევს,** 56-ე ადგილზეა საფრანგეთის პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი,** რომელიც სააკაშვილმა ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო, როცა საკუთარი ხელით გადაწერა 2008 წლის 12 აგვისტოს — 8 სექტემბრის ე. წ. მედვედევ-სარკოზის გეგმა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დარეგულირების შესახებ. იმ საფრანგეთის პრეზიდენტი, რომელთანაც რუსეთი სამხედრო თანამშრომლობის ახალ ეტაპს „მისტრალის“ კლასის მრავალმიზნობრივი სადესანტო შვეულმფრენმზიდის შესყიდვით იწყებს.

67-ე ადგილი ერგო რუსეთის პარტნიორ ვენესუელის პრეზიდენტს, **უგო ჩავესს,** რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

არ **შემიძლია აქვე არ გაგიზიაროთ ჩემთვის ცნობილი ინფორმაცია, რომელიც სანდო წყაროებმა მომაწოდეს: რუსეთის უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა ზებრძნულად იქცევა და უცხო ქვეყნებში თავისი საელჩოების მეშვეობით ფარულად ბლოკავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტებისა და მთავრობების მხრიდან!**



რუსეთის მზაობაზე, აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა ამა თუ იმ ფორმით და გარკვეული პირობებით, აგრეთვე, მიანიშნებს ა.წ. 16 ნოემბერს **ევგენი პრიმაკოვის** 80 წლის იუბილეზე **ვ. ვ. პუტინის** მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოც **(ორპირი, არაშორსმჭვრეტელი, მერკანტილური და ყოყლოჩინა ქართველი ელიტისთვის, „რატომღაც“ მოულოდნელ-გამაოგნებელი!)** იმის შესახებ, რომ ***„საქართველოს გაერთიანების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია!“.***

რაც შეეხება ნიკარაგუისა და ვენესუელის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის უწინდელ აღიარებას, ეს პრეცედენტები შეგნებულად, საქართველოს ხელისუფლების ჭკუის სასწავლებლად იქნა დაშვებული და გამოწვეული ამ ქვეყნების ხელისუფალთა მგზნებარე სურვილით — სოლიდარობა გამოეცხადებინათ რუსეთისთვის, მისი მხრიდან მრავალწლიანი და მრავალმხრივი მხარდაჭერისთვის მადლიერების ნიშნად.

ამის შესახებ, ეტყობა, ჩვენმა საგარეო დაზვერვამ პრეზიდენტ **სააკაშვილს** არ მოახსენა, ისევე, როგორც იმის შესახებ, რომ ნამდვილ **რუს ადამიანებს, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველო უყვართ და მომხდარში ქართველებს კი არა, მათ თავგზააბნევ, აშშ-ის ყოფილ ადმინისტრაციას ადანაშაულებენ!**

და მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში **სააკაშვილის** გარდა პოლიტიკოსების ხსენებაც არ არის (თუ მხდეველობაში არ მივიღებთ შს მინისტრ **ვ. მერაბიშვილსა** და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს **გ. ბოკერიას**), საქართველოს პრეზიდენტი „ჯიქურ“ ვერაფერს ამჩნევს და ისევ ორიანს იღებს დიპლომატიაშიც, გეოპოლიტიკაშიც და ისტორიაშიც, ისევე, როგორც თავის დროზე მისი წინამორბედები — საქართველოს პრეზიდენტები **ზ. გამსახურდია** და **ე. შევარდნაძე**, რის შედეგადაც კვლავ ვაწყდებით პარადიგმას, **როცა საქართველოს პრეზიდენტი, უბრალოდ, უინტერესო ხდება ორი მსოფლიო ცენტრის — ვაშინგტონისა და მოსკოვისთვის.**

თუმცა **სააკაშვილი** ვერ მალავს, რომ განაწყენებულია „ბებერ“ ევროპაზე, რომელმაც სამარადისოდ დაასამარა მისი ოცნებები ნატოში საქართველოს გაწევრებაზე და, ასევე, ამერიკაზე, რომელმაც გასული წლის აგვისტოში იგი გასაჭირში ჩააგდო და მიატოვა, ხოლო დღეს ურთიერთობების „გადატვირთვა“ დაიწყო რუსეთთან: ***„მე არ მესმის იმათი, ვინც დღეს ხელს ართმევს ადამიანებს, რომლებიც აპატიმრებენ და ციხეში ყრიან ბავშვებს! ასეთებთან საქმე არასდროს მექნებოდა!“*** — განაცხადა მან ა. წ. 23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციის“ **6** წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გამოსვლისას, ცხინვალის ხელისუფლების მიერ საზღვრის უკანონო გადაკვეთის გამო 4 ტირძნისელი ქართველი მოზარდის დაკავების კომენტირებისას. ისევ ორიანი! — ბავშვები, რასაკვირველია, უნდა გაათავისუფლონ, მაგრამ **მიხეილ ნიკოლოზის ძეს**, ეტყობა, დაავიწყდა, რომ თავად ჰყავს ციხეში გამოკეტილი **30.000**-მდე პატიმარი — **6**-ჯერ იმაზე მეტი, ვიდრე მის მიერ ყოველ ნაბიჯზე ნახსენები **კომუნისტების**, ასევე, წინამორბედების — **ზ.გამსახურდიას** (**5.000** პატიმარი) და **ე. შევარდნაძის** (**7.000** პატიმარი) მმართველობისას... და რომ ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრობისას, ქართულ პოლიტიკურ ოლიმპზე აღმასვლა სწორედ სატუსაღოების მშენებლობით დაიწყო, რაც, უკვე **6** წელია, გრძელდება და ბოლო სიახლეს — **1000**-ადგილიან ქალთა ციხეს — მისი, და არა ცხინვალის, ხელისუფლება აშენებს!

გვითხარით, გეთაყვა, **განა საქართველოში მწვავე დემოგრაფიული პრობლემა აღარ დგას და ეს 1000 ქალი დედა არ არის (ნამდვილი ან პოტენციური)?! განა ამ 30.000 პატიმარს არ ჰყავს ოჯახის წევრები – შვილები, ცოლები, მშობლები, ნათესავები, რომლებიც მათზე წუხან, მატერიალურ სიდუხჭირეში ცხოვრობენ (თორემ გამოსასყიდს შეიტანდნენ ახალი ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების გაფორმებით!) და არ მიაქვთ მათთვის „ამანათები“?! მინიმუმ 10 ახლობელი რომ დავითვალოთ ამ 30.000-დან, თითოეულზე ეს უკვე 300.000 უბედური და უკმაყოფილო ადამიანია!..** სწორად გამიგეთ — ქურდები, მკვლელები, ნარკომოვაჭრეები, მოძალადეები და ხულიგნები, უდავოდ, ციხეში უნდა ისხდნენ! **მაგრამ განა საკნებში არ სხედან ისინი, ვისი დანაშაულიც, კომუნისტური წარსულის ქრესტომათიული მაგალითის ანალოგიით, სამი თავთავის მოპარვას ჰგავს?!**

ჰოდა, **ვინ ააგო ციხე, რომელშიც დღეს ჩვენი ბავშვები აღმოჩნდნენ? 08.08.08 ომი რომ არ ყოფილიყო, განა ჩვენი მოზარდები ცხინვალში, საპყრობილის საკანში აღმოჩნდებოდნენ?! განა მიხეილ სააკაშვილმა თავად არ აღმართა იმ ციხის კედლები, რომლებსაც ახლა თავით ეხლება?!**

ეგებ, უჯობს, უბრალო სამოსი გადაიცვას (ზღაპრიდან იმ აღმოსავლელი მმართველის დარად), მალულად დატოვოს თავისი მდიდრული სასახლე და ქალაქის ქუჩებში გაიაროს – მოუსმინოს, რას ამბობს უბრალო ხალხი? **ამის შემდეგ, ალბათ, არ გაუკვირდება, თუ მომავალ „თბილისობაზე“ ვლადიმერ პუტინს თბილისის საპატიო მოქალაქედ გამოაცხადებენ და ოქროს ორდენით დააჯილდოებენ,** რომლითაც უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები ჯილდოვდებიან, ***„რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს სახელმწიფო აღმშენებლობაში, მისი ეროვნული უშიშროების ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში,***

**საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვაში“**... შესაძლოა, ეს ორდენი პირადად არ გადასცეს, მაგრამ **სწორედაც რომ ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს იმისათვის, რომ ეს დაჯილდოება შედგეს!** აი, დაუფასებს თუ არა რუსეთის პრემიერი გაწეულ ღვაწლს, ამას ნუღარ მკითხავთ...

დიახ, **სააკაშვილს** დღესაც ჰყავს საქართველოში მგზნებარე მომხრეები, მაგრამ ამავე დროს — ძალიან ბევრი მოწინააღმდეგეც. **ამ ორ ბანაკს შორის უფსკრულია, რომელიც ქართველ საზოგადოებაში განხეთქილებასა და სამოქალაქო დაპირისპირებაზე მიუთითებს!** აი, რა არ უნდა დაეშვა პრეზიდენტს, რომელიც ხელისუფლების სათავეში „ვარდების რევოლუციის“ დემოკრატიული ღირებულებებისა ტალღაზე მოვიდა! მას, ეტყობა, დაავიწყდა სიტყვები, რომლებიც იმ დღეებში, პარლამენტის შენობის წინ გამართულ მიტინგზე პირში მიახალა **ედუარდ შევარდნაძეს:** ***„თუ ჩემს ხალხს არ ვუნდივარ, რა ნამუსით უნდა დავრჩე ხელისუფლების სათავეში?! მე მაშინვე წავიდოდი!“;*** დაავიწყდა, რომ მის გვერდით მდგომი უახლოესი თანამოაზრეები დღეს ან მტრულ ბანაკში **(ბურჯანაძე, ოქრუაშვილი, ალასანია, ძმები გაჩეჩილაძეები)**, ანდა იმქვეყნად (**ჟვანია**) არიან. ვფიქრობ, ეს ორმაგად არ სიამოვნებს, რადგან (**საკაშვილს ეს უნდა დავუფასოთ**!) მათ წინაშე ცამდე მართალია, მათთვის არ ულალატია — **ყველამ, ვინც 2003 წლის ნოემბერში უერთგულა, მაღალი პოსტები მიიღო და, თუ თავი ვერ გაართვა სამუშაოს, მაინც არ უწყენინებია, სხვა თანამდებობაზე გადაჰყავდა, ხოლო თუ პოლიტიკიდან გააცილებდა, — პატივით, მადლიერებითა და აგარაკების ჩუქებით!**

**ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ სააკაშვილი ვერა და ვერ მიხვდა, რომ მისი გარემომცველი პანოპტიკუმი უფრო სახიფათოა მისთვის, ვიდრე რუსეთის მთელი ბირთვული არსენალი!** აი, ორი კონკრეტული მაგალითი:

1) **2008 წლის 17 სექტემბერს**, საინფორმაციო სააგენტო **„Новости-Азербайджан“**-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, კორესპონდენტის კითხვაზე: *როგორ შეაფასებ-*

*დით რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტას, მოახერხა თუ არა საქართველომ 5-დღიანი ომის შედეგებით რუსეთის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევა? —* ვუპასუხე: ***„ეს ველურობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს: ჩვენს ქვეყნებს არ შეუძლიათ ურთიერთობის გაწყვეტა, როცა რუსეთში მილიონნახევრიანი ქართული დიასპორა ცხოვრობს! თვით აშშ-მა და ევროპამ, მიუხედავად რუსეთის კრიტიკისა, არ მოახდინეს მისი იზოლაცია, რადგან, რაც მეტ იზოლაციაში არიან მხარეები, მით უფრო გამოუცნობი ხდება მათი მოქმედება...***

საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში, პირველი, რასაც ისინი გააკეთებენ, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა იქნება. **რუსეთის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევა იმქვეყნიური ცხოვრების მითის ტოლფასია!**

ევროპა რუსეთის იზოლაციას არ მოახდენს, რადგან მეტისმეტად დამოკიდებულია მასზე და არა მხოლოდ ენერგორესურსების გამო, ხოლო აშშ-ს პრობლემები აქვს ავღანეთთან, ერაყთან, ირანთან, ჩრდილოეთ კორეასთან, ჩინეთთან... საერთაშორისო არენაზე ახლა, სავარაუდოდ, მოლაპარაკებები გაიმართება ნეიტრალური ფიგურის გამოსაძებნად, რომელიც გარკვეულწილად მაინც შეარბილებს საქართველო გარშემო არსებულ სიტუაციას“. **განა მართალი არ აღმოვჩნდი?!**

2) **2009 წლის 7 ნოემბერს** ***„Аргументы и факты“***-ს საინფორმაციო მოედანზე გაიმართა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიას** ონლაინ-კონფერენცია — **ერთადერთი ადამიანისა, ვისაც დღეს რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი და სამეცნიერო წრეებში აღიარებული საქართველოს რეინტეგრაციის პროექტი აქვს. თავდაპირველად ჭაჭიას პროექტის ფარგლებში უნდა გადაიჭრას ჯერ ეკონომიკური, შემდეგ პოლიტიკური ხასიათის ამოცანები. თანაც ამ ახალი პროექტის სუბიექტები უნდა იყვნენ რუსეთი, აფხაზეთი, საქართველო, სამხრეთ ოსეთი.** შემდეგ ის შეიძლება გაფართოვდეს სხვა ქვეყნების ხარჯზე. უფრო მეტიც — როგორც **ჭაჭია** ირწმუნება, ეს პროექტი, შესაძლოა, ისეთი ეფექტური აღმოჩნდეს, რომ მთელი რიგი სხვა, იმავე დნესტრისპირეთის, კონფლიქტების გადაჭრისთვის მისაბაძ მაგალითად იქცეს. *„ქართველმა საზოგადოებამ უნდა შეწყვიტოს რაღაც მითოლოგიურ ძალთა მოხმობა, სიმართლეს თვალი გაუსწოროს და არსებული რეალიებიდან ამოვიდეს.* ***ჩვენი მთავარი ამოცანა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ლტოლვილების დაბრუნება, მათთვის ნორმალური საარსებო პირობების უზრუნველყოფაა, რის მერეც აუცილებელია ახალი ეროვნული პროექტის ფარგლებში ინტეგრაციის პროცესებზე გადასვლა.***

დარწმუნებული ვარ, ყველაფერი გამოვა, თუმცა ურთიერთპატივისცემის აღდგენა ხანგრძლივი პროცესია, შესაძლოა, 5 და 10 წელიც არ ეყოს: ბევრი სისხლი დაიღვარა, პასუხი კი არავინ აგო. შევარდნაძე მშვიდად აგრძელებს ცხოვრებას, ჩაის მიირთმევს აგარაკზე და ესეც ხელს უშლის სხვა ამგვარ პოლიტიკურ მოღვაწეებს, სიფრთხილე გამოიჩინონ და სისხლისმღვრელ ავანტიურებს მოერიდონ. **ურთიერთობების აღდგენის პროცესი საქართველოში ეროვნულ თვითშეგნებაზე ორიენტირებული ძალის ჩამოყალიბებით უნდა დაიწყოს, რომელიც რეალურად შეცვლის პოლიტიკურ ვითარებას ქვეყანაში. საქართველოს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. უნდა მოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც ხელები სისხლში არ გაუსვრიათ, რეალურად აზროვნებენ და აფასებენ ფაქტებს და ეროვნული ინტერესების რეალიზაციაზე არიან ორიენტირებული.**

აი, რა გვაკლდა 15 წლის განმავლობაში! ეს ქვეყნის განვითარების აუცილებელი ფაქტორია. აქედან უნდა დავიწყოთ. **თუ საქართველოში ეროვნულად ორიენტირებული ხელისუფლება იქნება, ის საერთო ენას გამონახავს რუსეთის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობებთანაც. რუსეთის ხელისუფლება დღეს ეროვნულ თვითშეგნებაზეა ორიენტირებული, ხოლო რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები საქართველოსას სავსებით ემთხვევა. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ 200 წელზე მეტხანს მჭიდრო ურთიერთკავშირი გვქონდა, ამიტომ ეროვნულად ორიენტირებული ძალები ყოველთვის გამონახავენ საერთო ენას“.**

მაგრამ **სააკაშვილის** (ისევ ორიანი!) სმენას პატრიოტთა ხმა არ სწვდება, სამაგიეროდ, საამოდ ჩაესმის ადგილობრივ პოლიტოლოგ-პროქტოლოგთა (პირფერების: **ცინცაძის, რონდელის, ნოდიას, დარჩიაშვილის**) დითირამბები და მათ უცხოელ თანამოძმეთა (მაქციების: **ფელგენგაუერის, პანფილოვის, ლატინინას, ნოვოდვორსკაიას**) პანეგირიკები: პირველნი ხომ ნატოში საქართველოს მოახლოებულ გაწევრებაზე ჭიკჭიკებენ, ხოლო მეორენი მოკლე ხანში რუსეთის დანგრევას წინასწარმეტყველებენ.

**ამიტომაც საქართველოში გონჯების აღლუმი გრძელდება!**

***პანოპტიკუმი** (ბერძნ. ***პან*** — ყველაფერი და ***ოპტიკოს*** — მხედველობითი) — მუზეუმი, მრავალფეროვანი უჩვეულო ნივთების კოლექცია (მაგალითად, ცვილის ფიგურების, უცნაური ცოცხალი არსებებისა და ა. შ.). გადატანითი მნიშვნელობით — რაიმე, რაც ასეთ შეკრებას გვახსენებს. **პანოპტიკუმს ასევე უწოდებენ იერემია ბენტამის იდეალური ციხის პროექტსაც, როცა ერთ ზედამხედველს შეუძლია ერთდროულად თვალყური ადევნოს ყველა პატიმარს.** პროექტში ციხე წარმოადგენს ცილინდრულ ნაგებობას მინის შიდა ტიხრებით. ზედამხედველი ცენტრში იმყოფება, მაგრამ უჩინარია ტუსაღებისთვის. პატიმრებმა ზუსტად არ იციან, როდის ადევნებენ თვალს და ამიტომ გამუდმებული კონტროლის შთაბეჭდილება ექმნებათ. **ამგვარად, ისინი იდეალურ პატიმრებად იქცევიან.**

## თემურ შაშიაშვილი:

# რუსეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საერთაშორისო აღიარება რომ უნდოდეს, ამას დიდი ხნის წინათ გააკეთებინებდა 60-ზე მეტ სახელმწიფოს

**გვესაუბრება მოძრაობა „თეთრების“ ხელმძღვანელი თეიმურაზ შაშიაშვილი**



**თელავივში ჩავედი და გამაფრთხილეს — საქართველოში სომხური ფრთა ძალიან გაძლიერდაო, ერევანში ჩავედი და მისაყვედურეს — საქართველოში ებრაული ფრთა ძლიერდებაო...**

**— ბატონო თემურ, დღეს ხელისუფლებაში განაციონალებული მოქკავშირელები სხედან, რომელთა ნახევარზე მეტი გვარგამოცვლილი სომეხია.**

— დღეს ტყუილი სახელმწიფო პოლიტიკად არის გამოცხადებული... ნახეთ, ვინ არის დღეს „ოპოზიციაში“ — ნახევარზე მეტი მოქკავშირელია, შემდგომ გადემოკრატებულ-განაციონალებული... დღეს იგივე ხდება, რაც 2003 წელს — ისევ მოქკავშირელებს უნდათ ქვეყნის სათავეში მოსვლა, მე მათ არასოდეს შევუერთდები.

იმიტომ, რომ ორ ვითომ დაპირისპირებულ მხარეს, მაშინაც და დღესაც, წარმოადგენდა ერთი გუნდის — მოქკავშირის ორი ფრთა.

დღესაც იგივე სახეებია — ერთნი ხელისუფლებაში, მეორენი — ოპოზიციაში და, თუ ასე გაგრძელდა, სულ ესენი იქნებიან.

ნახეთ, ვინ იყვნენ მაშინდელი „პოზიციისა“ და „ოპოზიციის“ სახეები — ზურაბ ჟვანია, მიხეილ მაჭავარიანი, გიორგი ბარამიძე, გიგი წერეთელი, ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი და სხვები.

**ვინ მოუძღოდა 2003 წელს რევოლუციის სახელით წინ ხალხს? — ესენი; ვინ არიან ხელისუფლებაში? — ესენი; ვინ იბრძვის ხელისუფლებისთვის? — ისევ ესენი.**

დღეს, ჩვენგან დამოუკიდებლად, ქვეყნის გარეთ პოლიტიკური პროცესები ჩვენს სასარგებლოდ ვითარდება, შიგნით კი — ქვეყნის საზიანოდ.

დღეს პოლიტიკოსების უმრავლესობას ეშინია, ხმამაღლა განაცხადოს — რუსეთში მივდივარო, არადა, ყველა, მართლაც, იქით მირბის.

დღეს რუსეთი არის უდიდესი კულტურისა და უდიდესი სამხედრო ძალის ქვეყანა. დღეს კულტურულ რუსეთს ღვიძავს, სამხედრო რუსეთს, ანუ დათვს ძინავს. რაღა დათვს მიადექი და აღვიძებ, აქვეა უდიდესი კულტურა და იქით წარმართე შენი ძალისხმევა. მაგრამ პრაგმატულ პოლიტიკაზე როგორ ვისაუბრო, როცა ქვეყნიდან მოსახლეობის ნახევარი გაგექცა, ხოლო მეორე ნახევარი ნარდის თამაშით ერთობა. დღეს აშშ-შიც კი, სადაც მინიმალური ხელფასი 3000 დოლარია, 1 გალონი, ანუ 4 ლიტრი ბენზინი 2,5 დოლარი ღირს. რა დონეზე შეიძლება ლაპარაკი! შვეიცარიაში 1 კვტ. ელექტროენერგია ჩვენს ფულზე 7 თეთრია; რუსეთში — უფრო იაფი, აღარაფერს ვამბობ აზერბაიჯანსა და სხვა ქვეყნებზე. ეს კი ერთადერთ რამეზე მეტყველებს — ხელისუფლება მიზანმიმართულად გვანადგურებს ქართველებს...

**— მაგრამ გზები, ბატონო თემურ, სკვერები, შადრევნები, ტრანსპორტი, კრიმინოგენული ვითარება?**

— ყველაფერში ფულს აკეთებენ, ფულს და ახლავე დაგიმტკიცებთ. გაესაუბრეთ ჟურნალისტები მეგზევეებს, ისინი გაკოტრდნენ. ვინც ეყმო შს სამინისტროსა და დეპუტატებს, სულს ითქვამენ. ვის გაყავს გზები? — უცხოელებს. გავიყვანთ გზებს და ავშენდებით. გზებით აშენებული ეკონომიკა არავის უნახავს. აი, ეკონომიკა კი ააშენებს გზებს. ჩვენთან გზების მშენებლობა 2-3-ჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ევროპაში. ბითუმის მწარმოებელმა აზერბაიჯანმა ახლა დაიწყო გზებზე ზრუნვა, მას შემდეგ, რაც ეკონომიკას მიხედა. გამოდიან ჩვენი ბრიოლინით თმაგაჟღენთილი მინისტრები კი მხოლოდ გაყიდვაზე მუშაობენ. ბიზნესის 80 პროცენტი პარლამენტარების ხელშია და თვით პარლამენტი ბიზნესკლუბადაა ქცეული.

ახლა რაც შეეხება სკვერებს. სამი სკვერის მშენებლობა 65 მილიონი ლარი დაჯდა. მაშინ, როდესაც სახელმწიფომ ამდენივეთი დააფინანსა 110 000 სტუდენტი, რომლებიც სწავლის საფასურის 80-85 პროცენტს ჯიბიდან იხდიან. ერთი ვარდის დარგვა, იცით, რა უჯდება ქვეყანას? — 120 ლარი, არადა ვარდის ნერგი 15 ლარამდე ღირს და 105 ლარს დარგვაში იხდიან?

კრიმინოგენული სიტუაციის გამოსასწორებლად საქართველოს ბიუჯეტიდან 1,1 მილიარდი შს სამინისტროზე მიდის. ეს არის კლასიკური დიქტატურის ქვეყანა...

ანგრევენ ეს სოროსელი და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ანტიქართველები საქართველოს. იმდენი იკადრეს, პატრიარქს და საპატრიარქოსაც შეეხნენ.

**— ფაქტები დაასახელეთ, ბატონო თემურ, თორემ ჩვენი საუბარი უსაგნო ხდება.**

— კი ბატონო. აი, სულ ახალი დოკუმენტი:

**ტაბახმელაში 1 მილიონი კვ.მ მიწა შპს „რაკიინ დეველოპმენტმა“ ქალაქის მერის ხელმოწერით 27 მილიონი ლარის ნაცვლად 5 მილიონ ლარად იყიდა.**

მეორე დოკუმენტი ფუნიკულიორის შესახებ: **შპს „ლინქმა“ თავისი ქონება განცხადებით აჩუქა მერიას — 149 333 კვ.მ. ფართზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც შემდეგ გადასცეს არაბებს, ისევე, როგორც ტელეკომპანია „იმედი“, ბანკი, ქარხანა და სხვ.**

ვინ დაინიშნა „მედიაჰოლდინგის“, მათ შორის — ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელად — გიორგი არველაძე? ეს ის გიორგი არველაძეა, ციხის უფროსი რომ იყო ქუთაისში სააკაშვილის მინისტრობის დროს.

**— ახლა მოდაშია ფრთიანი ფრაზა საგარეო საფრთხეების შესახებ?**

— ჯერ შიდა საფრთხეები მოვათაოთ. მაგალითად: გოდერძის უღელტეხილის გზა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები და სხვა. ამ გზის გაყვანა და ეს ზონები ჩვენ ძალიან ძვირი დაგვიჯდება და ყველამ ვიცით, რატომაც. ესპანეთისა და პორტუგალიის დედაქალაქებს შორის სარკინიგზო ხაზის გაყვანა პორტუგალიის პრემიერს ამომრჩეველთა ხმების 20 პროცენტი დაუჯდა. ჩვენთან დაივიწყეს ყოველივე ქართული და აკეთებენ სომხურ საქმეს.

**შეხედეთ სააკაშვილის გარემოცვას — უმეტესობა გვარშეცვლილი სომეხია ან რჯულდაკარგული სოროსელ-თავისუფლების ინსტიტუტელი.**

***— პრივატულ საუბარში უფრო კონკრეტული იყავით...***

— სრულებითაც არა. ისრაელში ჩავედი, შალვა მარდი მმასპინძლობდა. იქაურ პოლიტიკოსებს შევხვდი და მისაყვედურეს, ორი მინისტრის მეტი პორტფელი ვერ გაიმეტეთ ჩვენთვისო და თან დაუმატეს, ჩვენს ქვეყანაში სხვა ეროვნების ადამიანის გამინისტრება შეუძლებელიაო. ისრაელში გამაფრთხილეს თქვენთან სომხური ფრთა ძლიერდებაო. სომხეთში ჩავედი და არ დაუმალავთ, რომ სახელისუფლო ვერტიკალი სომხურია, მაგრამ შეშფოთდნენ, ებრაელების ფრთა ძლიერდებაო. თანაც დაამატეს, ერევანში მთავრობა მხოლოდ სომხურიაო. დავფიქრდი. ერთიც მართალია და მეორეც, საქართველოში ქართველებისთვის ადგილი აღარ რჩება. პირველი ფინანსისტიც გვარშეცვლილი სომეხი გყავს და მისი შემმოწმებელიც. საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელიც, ახლა რომ ბეჟუაშვილია, მამამისს სხვა გვარით ვიცნობდი. მთელი საქართველო გადასცა მიშამ საკუთრებაში: ქუთაისის ავტოქარხანა, ტყიბულის ნახშირის საბადოები, ენერგეტიკა, რუსთაველის პროსპექტი და სხვა. ახლა სწორედ ამიტომ უნდა აშენდეს გოდერძის უღელტეხილზე რკინიგზა და სხვა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეც კი სომეხია. პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი შემხვდა: — კაცო, ლამისაა გვარი შევიცვალო, რას გვერჩიო. —კიდევ კარგი გვარი რომ არ შეიცვალე, მაგიტომ გცემ პატივს-მეთქი, — ვუპასუხე.

**— ბატონო თემურ, შიდა საფრთხეები უფრო მეტი გვქონია, ვიდრე გარე...**

— გარე საფრთხეები ჩვენი ხელისუფლების მიერ არის ინსპირირებული. რუსეთს რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საერთაშორისო აღიარება უნდოდეს, ამას დიდი ხნის წინათ გააკეთებინებდა სამოცამდე სახელმწიფოს...

**— ბატონო თემურ, ვერ გავიგე?**

— მწერალმა რეზო ჭეიშვილმა ბრძანა, მოდი ჩვენ ვაღიაროთ აფხაზეთი და მერე გავერთიანდეთო. რა, მასზე დიდი ქართველია ვინმე დღეს საქართველოში? მე, შესაძლოა, სხვა შეხედულება მქონდეს ამ საკითხზე, მაგრამ არ არის გონივრული, დიპლომატიური შინაარსი და ჭვრეტა მის სიტყვებში? — არის!

კიდევ ვიმეორებ — რუსეთის გარეშე შეუძლებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. რუსეთს აქვს ძალაც, რესურსიც და პოტენციალიც, აწარმოოს დამოუკიდებელი თამაში.

ესაუბრა
**გიორგი ჟორჟოლიანი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




# დიმიტრი ლორთქიფანიძე: ქართულ ციხეებში საკონცენტრაციო ბანაკების მსგავსი მდგომარეობაა, ათასობით დაავადებული პატიმარი ციხეში უკანონოდ იხდის სასჯელს

**პენიტენციალურ სისტემაში შექმნილ მძიმე ვითარებაზე გვესაუბრება პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე. მან „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციას მოაწოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება, რომლის თანახმადაც მძიმე ავადმყოფი პატიმრები, შესაბამისი კომისიის გავლის შემდეგ, ავტომატურად და დაუყოვნებლივ თავისუფლდებიან პატიმრობიდან.**

**— ბატონო დიმიტრი, თქვენი სეხნია დიმა შაშკინი ხელისუფლების მიერ მართული ტელევიზიებით ხშირად იწონებს თავს და ისეთ სურათს ხატავს, თითქოს ციხეებში პატიმრები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე გარეთ დარჩენილი საქართველოს მოქალაქეები. იქნებ, გვესაუბრა, რეალურად რა ვითარებაა შექმნილი პენიტენციალურ სისტემაში, თუნდაც პატიმრების ჯანმრთელობის კუთხით?**

— ჩემთან ყოველდღიურად მოდიან პატიმრების ოჯახების წევრები და მიყვებიან იმ ალმაშფოთებელ პირობებზე, რომელშიც მათი ოჯახის წევრებს უხდებათ პატიმრობის ვადის მოხდა. ქართულ ციხეებში საკონცენტრაციო ბანაკების მსგავსი მდგომარეობაა, ამის დასტურად გამოდგება 2008 წლის დეკემბერში პარლამენტში ომბუდსმენის მიერ წარმოდგენილი 1700-გვერდიანი დასკვნა, რომელიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ ცნობად მიიღო! მინდა, თქვენი გაზეთის მკითხველის ყურადღება ამ დასკვნის ერთ-ერთ უმძიმეს ნაწილზე შევაჩერო, სადაც სახალხო დამცველმა ნახევარ წელიწადში 107 პატიმრის გარდაცვალებაზე ისაუბრა. ამ ისტორიაში ყველაზე შემზარავი ის არის, რომ გარდაცვლილი პატიმრებიდან 41 გაუსაძლისი პირობებით სიგამხდრის უკიდურეს ფორმამდე — კახექსიამდე მიიყვანეს!

**— თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, რა არის კახექსია?**

— **კახექსია არის სრული განლევა, გამოფიტვა, ადამიანის სხეულის ჩონჩხად ქცევა, რაც ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკებში გადაღებულ დოკუმენტურ ქრონიკებში გვიხილავს!** იგივე ხდება საქართველოს პენიტენციალურ სისტემაშიც! სამწუხაროდ, ქართული მედია მოკლებულია შესაძლებლობას, ასახოს ის, რაც დღეს ციხეებში ხდება. მედიაში არ ვგულისხმობ ხელისუფლებასთან დაახლოებულ ტელევიზიებს, მათ ამ ყველაფრის ასახვისა და გაშუქების სურვილიც კი არ აქვთ. კახექსიით გარდაცვლილი 41 პატიმრის თაობაზე პარლამენტისგან მოვითხოვე, შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელიც შეისწავლიდა ამ შემზარავი ფაქტის გამომწვევ გარემოებებს და, შესაბამისად, დადგებოდა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც ეს არაადამიანური, ვანდალური, ანტიჰუმანური ქმედება ჩაიდინა. ხელისუფლებამ და საპარლამენტო უმრავლესობამ, რა თქმა უნდა, დაბლოკეს ამ ფაქტის გამოძიების ინიციატივა, მაგრამ ჯანდაცვის სამინისტრომ სპეციალური ტენდერით პატიმრების სამედიცინო დაზღვევის საქმე სადაზღვევო კომპანია „ალდაგს" მიანდო! **„ალდაგმა" სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღო 3 მილიონი ლარი და პატიმრების სამედიცინო დაზღვევაზე პასუხისმგებლობა აიღო. როდესაც შევამოწმეთ, თუ რა ხარისხის სამედიცინო მომსახურება ჰქონდათ პატიმრებს, აღმოჩნდა, რომ რუსთავის I, II დაწესებულებებში, მკაცრი რეჟიმის თბილისის მე-7 დაწესებულებაში, ავჭალის მეათე დაწესებულებაში და „კრიტში" ამ მხრივ არათუ კრიტიკული, კატასტროფული მდგომარეობა იყო.** მაგალითისთვის ქალთა №5 კოლონიაში მომხდარი ფაქტიც იკმარებს — შემოწმებისას მთელ კოლონიაზე მხოლოდ 5 აბი **კეტანოლი** იყო გამოყოფილი, 7 აბი — **ომეპრაზოლი**.

ალარ ვსაუბრობ იმაზე, რომ არ ტარდება გეგმიური ოპერაციები, სასწრაფო სტაციონარული მკურნალობა, კბილის სტომატოლოგიურ კაბინეტებში მკურნალობა და ა.შ. **თუკი პატიმარს კბილი ასტკივდა, კი არ მკურნალობენ, ექსტრაციას უკეთებენ, ანუ კბილს აძრობენ, რაც წამების ტოლფასია! არის სტერილური სამედიცინო იარაღების დეფიციტიც, რაც ჰეპატიტის, შიდსისა და სხვა ინფექციური თუ ვირუსული დაავადებების გავრცელებას უწყობს ხელს.**

**— საპატიმროებში ტუბერკულოზის ეპიდემიურ მაჩვენებლებზე საგანგაშო ინფორმაციები გამოდის, მაგრამ პატიმართა მასიურად დაავადების მიზეზებზე ცოტა ვინმე თუ საუბრობს...**

— ქსნის სამკურნალო საპატიმროში პატიმრები დაყოფილი ჰყავთ 3 ჯგუფად, ესენი არიან „მინუსიანი", „პლიუსიანი" და „ქრონიკები". როდესაც ტუსაღის მიმართ გარკვეული სკრინინგის შედეგით ჩნდება ეჭვი, რომ შესაძლოა, ტუბერკულოზი ჰქონდეს, იგი მიჰყავთ „ტუბზონაში", მას, პირველ რიგში, ათავსებენ „პლიუსიანებში". იმ შემთხვევაში, თუ დაუდასტურდა ტუბერკულოზი, გადაჰყავთ „მინუსიანებში", ანუ შანსი, რომ ადამიანმა, რომელიც ტუბერკულოზით არ არის დაავადებული, მაგრამ ორი-სამი კვირა მძიმე ფორმის ტუბერკულოზიანებთან გაატარა, შესაძლოა დაავადება აიკიდოს, ძალიან დიდია! სამწუხაროდ, „ტუბზონაში" გადატვირთულობის პრობლემაა და ამ საკითხების მოგვარება დღემდე ვერ ხერხდება! ასევე დღემდე ვერ მოგვარდა ასეთი ტიპის დაწესებულებებში ერთ ადგილზე 17-18 პატიმარის საკითხიც... ე. წ. „ქრონიკებში" კი, სადაც 49 პატიმარია, საგანგაშო მდგომარეობაა. ამ პატიმართაგან უკლებლივ ყველას კომბინირებული დაავადებები აქვს, როგორიცაა შიდსი, „C" ჰეპატიტი და ტუბერკულოზის უკურნებელი ფორმა! არადა, მოქმედი კანონმდებლობით, ამ ტიპის პატიმრები სასწრაფო წესით პატიმრობის ვადის ამოწურვამდე განთავისუფლებას ექვემდებარებიან! რამდენჯერმე მივმართე სასჯელაღსრულების სამინისტროს, რომ ამ ტიპის პატიმრები სპეციალურ კომისიაზე შემოწმდნენ, მაგრამ საქმე, სამწუხაროდ, დაპირებების იქეთ არ მიდის! აი, ამ წუთში ციხის სამკურნალო დაწესებულებაში წევს სრულიად პარალიზებული მურად თოდუა, რომელსაც აქვს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ჯანმრთელობის შესახებ, მაგრამ მას არ ათავისუფლებენ! როდესაც ვიკითხე მიზეზი, განმიმარტეს, რომ პატიმარი მურად თოდუა ხასიათდება უარყოფითად! არადა, ეს პატიმარი გაუნძრევლად წევს, მომაკვდავია და, რაში გამოიხატება მისი უარყოფითი ქმედებები, გაუგებარია! არ მინდა, ყურადღების მიღმა დამრჩეს პატიმარი ონისე ხვინგია, რომელიც, 5 წელია, ორივე თვალით ბრმაა და დღემდე იხდის სასჯელს! შემიძლია ათეულობით პატიმარი დაგისახელოთ, რომლებიც უიმედოდ ელიან კომისიაზე გასვლასა და გათავისუფლებას.

**— სულ ახლახან, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, შეწყალების გზით 142 პატიმარი გათავისუფლდა, თუმცა თქვენ მიერ ჩამოთვლილი მძიმე დაავადებებით დასნეულებული პატიმრები ამ სიაში არ მოხვედრილან!**

— არა, ისინი ამ სიაში არ მოხვდნენ, ეს მაშინ, როცა სრულიად ლეგიტიმური სტრუქტურის, ანუ შეწყალების კომისიის მიერ მხოლოდ 12 პატიმარი გათავისუფლდა! როცა ჩვენ ვსვამთ შეკითხვას — რატომ ხდება შეწყალების კომისიის გვერდის ავლით პატიმართა გათავისუფლება — ნაცმოძრაობიდან გვპასუხობენ: „რა, თქვენ არ გიხარიათ და წინააღმდეგი ხართ პატიმრების განთავისუფლებისო?" როგორ არ გვიხარია, ბატონებო, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ეს მოექცეს ლეგალურ ჩარჩოებში და შეწყალებულ პატიმართა საქმეები იყოს გამჭვირვალე.

**— ბატონო დიმიტრი, სულ ახლახან პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც უმძიმესი დაავადებებით შეპყრობილი პატიმრები სპეციალური კომისიების გავლის შემდეგ საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდებიან, ანუ პატიმრობიდან გათავისუფლდებიან. თუ შეიძლება, ამ კანონის შესახებ გვესაუბრეთ და თუ არის უკვე პრეცედენტი იმისა, რომ თუნდაც ერთი პატიმარი განთავისუფლდა?**

— თქვენს გაზეთს ვაწვდი 2003 წლის 27 მარტის ბრძანებას, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ჯერ არ არის ცნობილი. იმედს ვიტოვებ, რომ ის ოჯახები, რომელთა წევრებიც დღეს მძიმე დაავადებების ფონზე იხდიან სასჯელს, სასწრაფოდ დაიწყებენ ინფორმაციების მოპოვებას, რომელ სტრუქტურებს მიმართონ და როგორ უშველონ გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდნილ თავიანთ პატიმრებს! მე კი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ამ საკითხისადმი გამოჩენილი ყურადღების გამო. აქვე დავძენ, რომ მთელი რიგი დიაგნოზების მქონე პატიმრების ციხიდან გათავისუფლების კანონიერი მექანიზმი 2003 წლიდან არსებობს, მაგრამ ამ ხელისუფლების ხელში ეს მექანიზმი არ მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ ათასობით ადამიანი, ვინც თავისი ჯანმრთელობის გამო კანონის შესაბამისად გათავისუფლებული უნდა იყოს, ციხეში უკანონო პატიმრის სტატუსითაა გამოკეტილი.

ესაუბრა
**ირინე გოგოსაშვილი**

**რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში**
**სარეგისტრაციო კოდი 12.12.75.470.230.000.11.119.005.741**

## საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბრძანება №72/6

**2003 წლის 27 მარტი** **ქ. თბილისი**

**იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომლებიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს**

**„პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:**

**1. დამტკიცდეს იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალი, რომლებიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს.**

**2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

**ა. გამყრელიძე**

# სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებლად წარდგენის საფუძველს წარმოადგენს შემდეგი დაავადებები:

**მუხლი 1.**
**ტუბერკულოზი**

2. რესპირატორული ტუბერკულოზი ბაქტერიოლოგიურად ან ჰისტოლოგიურად დადასტურებული:

— ფილტვების დესტრუქციული (ფიბროზულ-კავერნული, დისემინირებული, ციროზული), პროგრესირებადი ტუბერკულოზი;

— პროგრესირებადი კაზეოზური პნევმონია;

— ფილტვების პოლი ან მულტირეზისტული ტუბერკულოზი;

— პლევრის ქრონიკული ტოტალური ემპიემა, პლევრო-ბრონქული მარგულით.

2. სხვა ორგანოების ტუბერკულოზი:

— თირკმლების ორმხრივი კავერნული ტუბერკულოზი, სპეციფიური პროცესის გავრცელებით საშარდე გზებში;

— ხერხემლის, მსხვილი ძვლებისა და სახსრების პროგრესირებადი დესტრუქციული ტუბერკულოზი.

3. მილიარული ტუბერკულოზი.

რესპირატორული, სხვა ორგანოების და მილიარული ტუბერკულოზი, გართულებული ქრონიკული ფილტვისმიერი გულით დეკომპენსაციის სტადიაში სუნთქვითი უკმარისობა IIIხ. ან/და თირკმლის ქრონიკული უკმარისობა ტერმინალურ სტადიაში, ამილოიდოზი.

**მუხლი 2.**
**ავთვისებიანი სიმსივნეები**

1. ნებისმიერი ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულნი, რომელთა მდგომარეობაც შეესაბამება IV კლინიკური ჯგუფით განსაზღვრულ კატეგორიას;

2. ლიმფური და სისხლმბადი ქსოვილების ავთვისებიანი დაავადებები. მიოლოპროოლიფერაციული სიმსივნეები.

კლინიკური დიაგნოზი დადასტურებული უნდა იყოს მორფოლოგიური გამოკვლევებით:

ა) მწვავე ლეიკემია (ყველა ფორმა);

ბ) (№57/6, 11.03.2004) ქრონიკული მიელოიდური ლეიკემია — აქსელერაციის სტადია, ბლასტური კრიზი, კახექსიით, ანემიით ან ჰემორაგიული სინდრომით;

გ) ქრონიკული ერითრომიელოზი — ტერმინალური სტადია;

დ) ერითრემია — გართულებული სისხლჩაქცევებით ან თავის ტვინის სისხლძარღვების თრომბოზებით;

ე) ქრონიკული ლიმფოიდური ლეიკემია — გართულებუ-

ლი ანემიით, თრომბოციტოპენიით ან მორეციდივე ინფექციებით;

ვ) (№57/ნ, 11.03.2004) ქრონიკული მონოციტური ლეიკემია — აქსელერაციის ტერმინალური სტადია ანემიით ან ჰემორაგიული სინდრომით;

ზ) მრავლობითი მიელომა — ყველა ფორმა (№57/ნ, 11.03.2004);

თ) ლიმფოგრანულომატოზი — ყველა სტადია (№57/ნ, 11.03.2004);

ი) (№57/ნ, 11.03.2004) არაჰოჯკინის ავთვისებიანი ან არადიფერენცირებულ უჯრედოვანი ლიმფომები — ყველა ფორმა.

**მუხლი 3.**
**სხივური დაავადება**

1. მწვავე სხივური დაავადება:

ა) III-IV ხარისხის მწვავე სხივური დაავადება;

ბ) გართულებული კანის III-IV ხარისხის ადგილობრივი სხივური დაზიანებებით;

2. მწვავე სხივური დაავადებების შედეგები:

ა) ასტენიური სინდრომი რეგულატორული სისტემების (უპირატესად ნერვული და სისხლძარღვოვანი) უკიდურესი გამოფიტვითა და ფუნქციური უკმარისობით;

ბ) ნერვული და სისხლის მიმოქცევის სისტემების ორგანული დაზიანებები თავის ტვინისა და პერიფერიული სისხლისმიმოქცევის მძიმე მოშლით;

გ) პერიფერიული სისხლის მაჩვენებლების არასტაბილურობა გამოხატული პანციტოპენიური სინდრომით, ძვლის ჰიპოპლაზიის ნიშნებით;

დ) ღრმა ტროფიკული, დეგენერაციული და სკლეროზული მოგვიანებითი რადიაციული წყლულები;

ე) სხივური კატარაქტა III სტადიის, უკეთმხედველ თვალში მხედველობის სიმახვილით 0,05;

ვ) მოგვიანებითი სხივური ეფექტები (ღვიძლის, ფილტვების, ძვლოვანი და სისხლმბადი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები).

3. ქრონიკული სხივური დაავადება:

ა) ქრონიკული სხივური დაავადება III-IV ხარისხის სიმძიმის ფორმირების პერიოდში, აგრეთვე, შორეული პერიოდის პროგრესირების სტადიაში;

ბ) მოგვიანებითი სხივური ეფექტები (ღვიძლის, ფილტვების, ძვლოვანი და სისხლმბადი ქსოვილების ავთვისებიანი სიმსივნეები).

**მუხლი 4.**
**ენდოკრინული სისტემის დაავადებები**

1. ტიპი 1 შაქრიანი დიაბეტი (ინსულინდამოკიდებული) მძიმე ფორმა, კეტოაციდოზისადმი მიდრეკილებით, მკურნალობისადმი რეზისტენტული — მძიმე გართულებებით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების (გული, ცენტრალური ნერვული სისტემა, თირკმლები) მხრივ.

2. ჰიპოპარათირეოზის ინოპერაბელური, მძიმე ფორმა, ლულოვანი ძვლებისა და ხერხემლის მრავლობითი პათოლოგიური მოტეხილობებით და/ან თირკმლების ქრონიკული, ტერმინალური, მკურნალობისადმი რეზისტენტული უკმარისობით.

3. იცენკო-კუშინგის დაავადება ან სინდრომი, ინოპერაბელური მძიმე ფორმა, მკურნალობისადმი რეზისტენტული, ლულოვანი ძვლებისა და ხერხემლის მრავლობითი პათოლოგიური მოტეხილობებით. კუნთების ატროფიით, კარდიომიოპათიითა და გულსისხლძარღვთა სისტემის მძიმე, მკურნალობისადმი რეზისტენტული უკმარისობით, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით, ორი ან მეტი კიდურის პლეგიით ან პარეზით.

4. ჰიპოთალამო-ჰიპოფიზური კახექსია (სიმონდისის დაავადება) მკურნალობისადმი რეზისტენტული მძიმე, ტერმინალური გართულებებით შინაგანი ორგანოებისა და ნერვული სისტემის მხრივ.

**მუხლი 5.**
**ფსიქიკური აშლილობანი**

1. უწყვეტი და წყვეტილი (შეტევის მაგვარი) პროგრედიენტულად მიმდინარე მძიმე კლინიკური პროგნოზის მქონე შიზოფრენიის ყველა ფორმა.

2. გუნება-განწყობის აფექტური აშლილობანი: მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი ხშირი მანიაკალური და დეპრესიული ფაზებით.

3. თავის ტვინის ორგანული დაზიანებით გამოწვეული ჭკუასუსტობის (დემენციის) ყველა ფორმა:

ა) სენილური დემენციის ყველა ფორმა (მარტივი ტიპის; გალუცინატორულ-ბოდვითი გამოვლინებებით; სენილური დემენციის ადრეული პრესენილური ვარიანტი; ალცეიმერის დაავადება; პიკის დაავადება);

ბ) ათეროსკლეროზული ჭკუასუსტობა (ფსიქოზის გარეშე; დეპრესიით; გალუცინატორულ-ბოდვითი დარღვევებით; პიროვნების ქცევის მწვავე აშლილობით — აზნევით);

გ) კორსაკოვის ფსიქოზი (ალკოჰოლური, სიფილისური, ტრავმული გენეზის);

დ) ორგანული ჭკუასუსტობა (ენცეფალიტური, მენინგოენცეფალიტური, სიფილისური, ეპილეფსიური, თავის ტვინის ტრავმული გენეზის).

4. გახანგრძლივებული რეაქტიული ფსიქოზები პროგრედიენტული მიმდინარეობის, რომელიც დინამიკაში ღებულობს ქრონიკული ფსიქიკური დაავადებების ეკვივალენტურ ხასიათს.

5. გახანგრძლივებული, პროგრედინტულად მიმდინარე ფსიქოზები, დისოციაციური (კონვერსიული).

6. მძიმე კლინიკური გამოსავლის (პროგნოზის) მქონე სხვადასხვა ეტიოლოგიის პროგრედიენტულად მიმდინარე ფსიქოზები.

7. პიროვნების მძიმე ქცევითი აშლილობანი მიდრეკილი ხშირი დეკომპენსაციებისადმი: პიროვნების პათოლოგიური განვითარება (პარანოიალური, პარანოიდული და სხვა ტიპის ფსიქოპათიები).

დიაგნოზის გამოტანა ხდება კომისიური წესით არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 6.**
**ნერვული სისტემისა და გრძნობათა ორგანოების დაავადებანი**

1. ამოღებულია (9.03.2006 №78).

2. ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციური, მადემიელინიზებელი და დეგენერაციული დაავადებანი, რომლებთაც თან ახლავს თავის და ზურგის ტვინის ორგანული დაზიანებები ფუნქციის ღრმა მყარი მოშლილობებით (დამბლები, ღრმა ჰემიპარეზები, მგრძნობელობის გავრცელებული მოშლით, მენჯის ორგანოების ფუნქციის მოშლით, ტროფიკული მოშლილობებით; გამოხატული აკინეტიკო-რიგიდული სინდრომი) და პათოლოგიური პროცესის პროგრესული მიმდინარეობით:

ა) მეორადი ჩირქოვანი მენინგიტები;

ბ) ენცეფალიტები;

გ) თავის ტვინის აბსცესები;

დ) სპინალური ეპიდურული აბსცესები და არატუბერკულოზური წარმოშობის გრანულომები;

ე) ნეიროსიფილისი;

ვ) ნერვული სისტემის დაზიანება ტუბერკულოზის დროს;

ზ) ნერვული სისტემის დაზიანება შიდსის დროს;

თ) გაფანტული სკლეროზი და გაფანტული ენცეფალომიელიტი;

ი) მწვავე და ქრონიკული ანთებადი მადემიელინიზებული პოლინეიროპათია;

კ) ლეიკოენცეფალიტი;

ლ) სპინოცერებრული ატაქსიები, ნათხემის დეგენერაციული დაავადებანი. ფუნიკულური მიელოზი.

3. თავის ტვინის ქერქვეშა კვანძების დაავადებანი:

ა) პარკინსონიზმი გამოხატულია აკინეტიკო-რიგიდული სინდრომით;

ბ) ჰეპატოცერებრული დისტროფია (ჰეპატოლენტიკულური დეგენერაცია; ვილსონის დაავადება).

4. ამოღებულია (9.03.2006 №78).

5. ცენტრალური ნერვული სისტემის სხვა დაავადებანი სწრაფად პროგრესირებადი მიმდინარეობით მამოძრავებელი, მგრძნობელობითი და ვეგეტატურ-ტროფიკული მყარად გამოხატული დარღვევებით, ჩატარებული მკურნალობის არაეფექტურობით:

ა) გვერდითი ამიოტრაფიული სკლეროზი, ბულბარული ფუნქციისა და კიდურების მოტორიკის ღრმა მოშლით;

ბ) სირინგომიელია; სირინგობულბია, მოტორიკის, მგრძნობელობისა და ბულბარული ფუნქციის ღრმა მოშლით;

გ) ვერტებროგენული მიელოპათიები, მოტორიკისა და მგრძნობელობის სფეროს ღრმა მოშლით;

დ) ნერვ-კუნთოვანი დაავადებები (მიასთენია, მიპათია), მოძრაობის ღრმა მოშლით;

ე) ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის ტოქსიკური და დისმეტაბოლური დარღვევები, მოტორიკის, კოორდინაციის, სტატისტიკისა და მგრძნობელობის ღრმა მოშლით.

6. ეპილეფსია ხშირი გულყრებით (ადეკვატური ანტიეპილეფსიური მკურნალობის არაეფექტურობის შემთხვევაში).

7. სრული უსინათლობა, ასევე მდგომარეობა, როცა მყარი პათოლოგიური ცვლილებების ფონზე უკეთ მხედველ თვალში მხედველობის სიმახვილე არ აღემატება 0,05-ს და არ ექვემდებარება კორეგირებას ან ორივე თვალის მხედველობის არე კონცენტრულად შევიწროებულია 100-მდე.

**მუხლი 7.**
**გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი**

1. გულის უკმარისობა IV ფუნქციური კლასი რეზისტენტული სრულფასოვანი მკურნალობის მიმართ:

ა) გულის შეძენილი და თანდაყოლილი მანკები;

ბ) კონსტრუქციული პერიკარდიტი, რომელიც არ ექვემდებარება ქირურგიულ მკურნალობას;

გ) გახანგრძლივებული მიმდინარეობის ბაქტერიული ენდოკარდიტი;

დ) კარდიომიოპათიები (დილატაციური, ჰიპერტროფიული, ობსტრუქციული, რესტრუქციული);

ე) ენდომიოკარდიული ფიბროზი;

ვ) სხვადასხვა გენეზის კარდიოსკლეროზი (მეორადი კარდიოპათიები);

ზ) გულის იშემიური დაავადება (იშემიური კარდიოპათია, მარცხენა პარკუჭის ანევრიზმა);

თ) ესენციური ჰიპერტონია (მძიმე, III ხარისხის), არაკორეგირებადი არტერიული ჰიპერტენზიით.

2. არტერიების დაავადებანი, ორი ან მეტი კიდურის მაგისტრალურ სისხლძარღვთა დაზიანებით, განგრენოზულნეკროზულ სტადიაში:

ა) მაობლიტირებელი ენდარტერიტი;

ბ) მაობლიტირებელი ათეროსკლეროზი.

**მუხლი 8.**
**სასუნთქი გზების დაავადებანი**

1. ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებანი დიფუზიური პნევმოსკლეროზით, ფილტვების ემფიზემით, ქრონიკული ფილტვისმიერი გულით დეკომპენსაციის სტადიაში, სუნთქვითი უკმარისობის III ხარისხით, რეზისტენტული სრულფასოვანი მკურნალობის მიმართ:

ა) ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტი;

ბ) ბრონქიალური ასთმა;

გ) ბრონქოექტაზიური დაავადება;

დ) ფილტვის ქრონიკული გიგანტური აბსცესი;

ე) პლევრის ტოტალური ან სუბტოტალური ემპიემა;

ვ) სხვადასხვა ეტიოლოგიის პნევმოკონიოზები;

ზ) იდიოპათური ფიბროზირებადი ალვეოლიტი;

თ) სარკოიდოზი;

ი) პირველადი ემფიზემა.

**მუხლი 9.**
**საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებანი**

1. ნაწლავებისა და საჭმლის მომნელებელი სისტემის სხვა ორგანოთა დაავადებანი შეწოვის ფუნქციის გამოხატული მოშლით, კახექსიის სტადიაში.

2. სხვადასხვა ეტიოლოგიის ღვიძლის ციროზები, დეკომპენსაციის სტადიაში, პორტული ჰიპერტენზიით, ჰიპერსპლენიზმით, ჰეპატოუჯრედოვანი უკმარისობით, გამოხატული ენცეფალოპათიით, რეზისტენტული სრულფასოვანი მკურნალობის მიმართ.

**მუხლი 10.**
**თირკმლების დაავადებანი**

1. ქრონიკული გლომერულონეფრიტი, ქრონიკული უკმარისობით ტერმინალურ სტადიაში.

2. ქრონიკული პიელონეფრიტი, ქრონიკული უკმარისობით ტერმინალურ სტადიაში.

3. ჰიდრონეფროზი, ქრონიკული უკმარისობით ტერიმინალურ სტადიაში.

4. თირკმლების პოლიკისტოზი, ქრონიკული უკმარისობით ტერმინალურ სტადიაში.

5. ამილოიდოზი, ქრონიკული უკმარისობით ტერმინალურ სტადიაში.

**მუხლი 11.**
**ძვალ-სახსროვანი სისტემისა და შემაერთებელი ქსოვილის დაავადებანი**

1. რევმატოიდული ართრიტი, მაანკილოზებელი სპონდილოართრიტი და სხვა პოლიართრიტები (ფსორიაზული, პოდაგრული, რეაქტიულ-უროგენიტალური და ენტერეკოლიტური ეტიოლოგიის) დაავადების ქრონიკული მიმდინარეობა:

ა) რენტგენოლოგიური სტადია IV;

ბ) მდგრადი, მაღალი პროცესის ანთებითი აქტივობა (III ხარისხი);

გ) სახსრების და ხერხემლის სვეტის გამოხატული ფუნქციური უკმარისობა — III ხარისხის (დაკარგულია თვითმომსახურეობის უნარი), რეზისტენტული ადექვატური მკურნალობის მიმართ.

2. სისტემური ვასკულიტები და სხვა ვასკულოპათიები (კვანძოვანი პერიარტერიიტი, ვეგენერის, ვინივარტერბიურგერის, შენლეინ-ჰენოხის, ტაკაიასუს, ბეჰჩეთის და სხვა):

ა) შინაგანი ორგანოების ფუნქციის შეუქცევადი მოშლით (ტერმინალური სტადია) რეზისტენტული ადექვატური მკურნალობის მიმართ.

3. შემაერთებელი ქსოვილის დიაფუზური დაავადებანი (სისტემური წითელი მგლურა, სისტემური სკლეროდერმია, დერმატომიოზიტი):

ა) შინაგანი ორგანოების ფუნქციის შეუქცევადი მოშლით (ტერმინალური სტადია), რეზისტენტული ადექვატური მკურნალობის მიმართ.

**მუხლი 12.**
**ანატომიური დეფექტები**

გამოწვეული უკანასკნელი სასჯელის მოხდის პერიოდში დაავადების ან ტრავმის შედეგად ზედა ან ქვედა კიდურების მაღალი ამპუტაცია, აგრეთვე, ერთი ზედა და ერთი ქვედა კიდურის მაღალი ამპუტაცია, რომელიც არ ექვემდებარება პროთეზირებას ან ეგზარტიკულაციას.

სამედიცინო დოკუმენტაციის გარდა, სავალდებულოა ავადმყოფის ფოტოსურათი.

**მუხლი 13.**
**აივ ინფექცია/შიდსი**

1. აივ ინფექცია/შიდსის შედეგად განვითარებული ინფექციური და/ან პარაზიტული ავადმყოფობები, C3 კატეგორია, ტერმინალური სტადია.

2. აივ ინფექცია/შიდსის შედეგად განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნეები, C3 კატეგორია, ტერმინალური სტადია.

3. აივ ინფექცია/შიდსის შედეგად განვითარებული სხვა ავადმყოფობები (დემენცია, განლევის სინდრომი, ავადმყოფობები, რომლებიც გათვალისწინებულია ჩამონათვალის სხვა მუხლებში), C3 კატეგორია, ტერმინალური სტადია.

**მუხლი 14.**
**ჰემატოლოგიური დაავადებანი**

1. ჰიპოპლასტიური და აპლასტიური ანემიები, აგრანულოციტოზი — მძიმე ფორმა.

2. თანდაყოლილი ჰემოლიზური ანემიები, თალასემია — მძიმე ფორმა.

3. შეძენილი და თანდაყოლილი კოაგულოპათიები (ჰემოფილია) — მძიმე ფორმა.

4. თრომბოციტოპენიური პურპურა (ვერლჰოფის დაავადება) — მძიმე ფორმა.

## რედაქციისაგან:

ხელისუფლება გამუდმებით ფარისევლობს, რომ პატიმრების მდგომარეობაზე ზრუნვით ათენ-აღამებს, საქართველოს პენიტენციალური სისტემა კი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკებისა და საბჭოთა გულაგებისგან არაფრით განსხვავდება.

ბრძანებას, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო" ექსკლუზიურად გთავაზობთ, ხელისუფლება ამ ექვსი წლის წინათაც კარგად იცნობდა და მის ასამოქმედებლად მხოლოდ პოლიტიკური ნება იყო საჭირო; მაგრამ ხელისუფლება, რომელიც ოცნებობს, რომ „ყველანი ციხეში" გამოგვამწყვდიოს, ბუნებრივია, მის არსებობას საგულდაგულოდ ასაიდუმლოებდა. ჩამონათვალი, რომელსაც ამ ბრძანებაში გაეცანით, ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ აძლევდა უფლებას ავადმყოფ პატიმრებს, ოჯახებს დაბრუნებოდნენ და ახლობელ ადამიანთა გარემოცვაში დაელიათ სული... შესაძლოა, უმრავლესობისთვის სიცოცხლეც შეენარჩუნებინათ. ახლაც შეიძლება ბევრი მათგანის გადარჩენა, მაგრამ... ნაცპოლიტიკა ადამიანებზე ზრუნვას არ ითვალისწინებს, მათთვის მთავარი ძალაუფლების შენარჩუნებაა ნებისმიერი ხერხით — დაშინებით, სისასტიკითა და მკვლელობებით, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთის ადგილებშიც.

ოსვენციმი, ზაქსენჰაუზენი, დაჰაუ... აი, დღევანდელი პოლიტიკური რეჟიმის ორიენტირი. მათ ერთ დროს დემოკრატიასა და პლურალიზმზე მეოცნებე ქართველობა დიდი საკონცენტრაციო ბანაკის ბინადრებად გვაქციეს, ხოლო ამ ბანაკის წესებს დაუმორჩილებელი ნაწილი მკაცრ რეჟიმში მოაქციეს — დილეგებში არაადამიანურ რეჟიმში ყოფნით პარალიზებული, დაბრმავებული, სასიკვდილო სიმსივნეებით დაავადებული ადამიანები კახექსიამდე მიიყვანეს და ბრძანება, რომლის საფუძველზეც ისინი გათავისუფლებას ექვემდებარებიან და რომელიც პირდაპირ უთითებს, რომ მათი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნა დაუშვებელია, მხოლოდ ახლა გაახსენდათ; ახლა, როცა ისევ თავიანთი პიარისთვის დასჭირდათ.

სასიკვდილოდ განწირულთა პატიმრობა ამ ხელისუფლების მანიაკალური აკვიატებაა, თორემ რა საფრთხეს უქადის საზოგადოებას ადამიანი, რომელიც აბსოლუტურად პარალიზებული გაუნძრევლად წევს და დამოუკიდებლად ჭამაც კი არ შეუძლია?

საქართველო მსოფლიო ლიდერია ერთ სულ მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით; საქართველო მსოფლიო ლიდერია ასევე, ამ პატიმრების მიმართ გამოჩენილი არაადამიანური დამოკიდებულებით. დემოკრატიული დასავლეთი კი ან ვერ ამჩნევს ამ ბარბაროსობას (რაც ძნელი წარმოსადგენია) ანდა, რაც კიდევ უფრო უარესია, პატიმრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გამოყოფილი გრანტებით თვითონაც ხეირობს. მათ შეგნებულ წაყრუებას კი ასეულობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

ქვეყანას, რომელსაც ნულოვანი ტოლერანტობის ადამიანები მართავენ, მომავალი არ აქვს. ასეთ სახელმწიფოში ლაპარაკიც ზედმეტია ვინმეს უფლებების დაცვაზე. აქ მხოლოდ ერთი ადამიანის ნება-სურვილზეა დამოკიდებული — მოკვდები თუ იცოცხლებ.

ქართველები სიცოცხლეს ვირჩევთ!

2 – 8 დეკემბერი, 2009 წელი. №40
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რით განსხვავდება ერთმანეთისგან განკითხვა და მხილება, რა არის განსჯა

**ბევრს აინტერესებს, რით განსხვავდება ერთმანეთისგან განკითხვა და მხილება, რა არის განსჯა, რის გამო ითვლება უმადურებად საკუთარი ბედისა და ყოფაცხოვრებისადმი უკმაყოფილების გამოხატვა. დღეს სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრება თბილისის სიონის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის მოძღვარი, დეკანოზი ამირან ამირანაშვილი.**





**— მამაო, რა განსხვავებაა განკითხვასა და მხილებას შორის?**

— უფალი ამბობს: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ, რამეთუ რომლითა განკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქვენ“. რაც შეეხება მხილებას, სახარებაში ვკითხულობთ: „უკეთუ ძმა შენი შესცოდავს, უნდა ამხილო; თუ არ შეისმენს, მაშინ მისი მხილება ორის ან სამის თანდასწრებით უნდა მოხდეს. თუ ამ შემთხვევაშიც არ ისმინა, მაშინ მხილება მოძღვრისა და ეკლესიის წინაშეა საჭირო, ხოლო უკეთუ ეკლესიისაც არ ისმინა, მაშინ იყოს იგი ვითარცა წარმართი“.

**— რა არის განსჯა?**

— წმიდა მამათა სწავლების თანახმად, განსჯა სათნოებათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია.

**— როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისგან განკითხვა, მხილება და განსჯა?**

— ხშირად მორწმუნე განკითხვას უწოდებს მხილებას ან განსჯას, არადა განკითხვა და მხილება ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება.

**— რა არის განკითხვა?**

— განკითხვა სიყვარულს გამორიცხავს. იგი საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის გამო ნათქვამი სიტყვებია. უსიყვარულო ფრაზები პიროვნების დამცირებას იწვევს საკუთარი თავისა და სხვების წინაშე, ცოდვის განვრცობა ხდება მთლიანად ადამიანზე და იჩრდილება მისი კეთილი თვისებები.

**— რას გულისხმობს მხილება?**

— მხილება, უპირველეს ყოვლისა, იმ ადამიანის სიყვარულს გულისხმობს, ვისაც ამხელ. მხილების მიზანი მოყვასის სულიერ გადარჩენაზე ზრუნვაა, მისი შეცდომიდან გამოყვანის მცდელობა. წმიდა წერილიდან მოვიყვან მხილების თვალსაჩინო მაგალითს და შეგახსენებთ, თუ როგორ მოიქცა ნათან წინასწარმეტყველი, როცა მას დავით მეფის მხილება სურდა.

**— რა მოიმოქმედა?**

— უამბო იგავი, თუ როგორ წაართვა ღარიბს მდიდარმა ერთადერთი საყვარელი ბატკანი, რომელსაც შვილივით ზრდიდა და სტუმარს დაუკლა. როცა განრისხებულმა დავით მეფემ ბრძანა, ამის ჩამდენი სიკვდილის ღირსიაო, ნათანმა მაშინ გაუმხილა, რომ მდიდარი, რომელმაც ღარიბის ბატკანი უცხო სტუმარს — ბოროტ გულისთქმას დაუკლა, თავად დავითი იყო, ვინც ურია ხეთელს წაართვა ლამაზი ცოლი — ერთადერთი სიმდიდრე. ამგვარ მხილებას ნაყოფიც მოჰყვა — სინანული. ამით განსხვავდება განკითხვა მხილებისგან. სამწუხაროდ, ხშირად მორწმუნეთა მხილება, თუნდაც სამართლიანი, უსიყვარულობისა და სულმოკლეობის გამო განკითხვას ემსგავსება. დანაშაულის მხილების დროს, რა თქმა უნდა, სიმართლეს ვამბობთ, მაგრამ გამოვრიცხავთ ადამიანის ხსნასა და მისი შეცდომიდან გამოყვანის სურვილს. მერწმუნეთ, უსიყვარულო მხილება ვერასოდეს გამოიღებს კეთილ ნაყოფს.

**— რატომ?**

— ამ დროს ადამიანის მრავალი სხვა ღირსება სრულიად დავიწყებული და უგულებელყოფილია, ვიდრე მოყვასს ვამხელთ, ჯერ ღვთის წინაშე უნდა ვილოცოთ, დავმშვიდდეთ, სათქმელი გავიაზროთ და ისე ვთქვათ. ვიმეორებ, მხილების მიზანი ადამიანის ხსნა უნდა იყოს და არა — მისი დამცირება. როგორც ხედავთ, ჭეშმარიტი მხილება ჩვენგან სულგრძელობას, მოყვასის სიყვარულსა და მოთმინებას მოითხოვს, სხვაგვარად განკითხვასთან გვექნება საქმე, რაც სიძულვილს დათესავს და მის ნაყოფს უთუოდ მოვიმკით, ნაცვლად ერთობისა მოყვასს უფრო დავშორდებით.

**— რატომ ითვლება განსჯა ერთ-ერთ უდიდეს სათნოებად?**

— პავლე მოციქული გვასწავლის: ჩვენ გონება ქრისტესი გვაქვსო. სწორედ რომ სულიერ განსჯას ნიშნავს „გონება ქრისტესი“, რაც გამოცდილებითა და ლოცვით, მარხვითა და სულიერი აზროვნებით მიიღწევა. გამოცდილების შეძენა კი წმიდა მამების ნააზრევისა და მათი ცხოვრების შესწავლით შეიძლება. როცა ადამიანი სულიერი განსჯის უნარს შეიძენს, იგი ქრისტიანობის სწორ ფორმასაც იპოვის და განკითხვისგანაც შორს იქნება. საერთოდ, განკითხვის მიზეზი სულიერი სიზარმაცეა. სამწუხაროდ, სხვათა საქციელისა და მოვლენების სულიერი განსჯა გვეზარება და მექანიკურად, ზედაპირულად ვმსჯელობთ და ვსაუბრობთ.

**— როგორ შევიძინოთ სულიერი განსჯის გამოცდილება?**

— ადამიანი სულიერი განსჯის გამოცდილებას მაშინ შეიძენს, როცა განსაცდელს რწმენით დაძლევს. უფალი მორწმუნეს უამრავ განსაცდელს უგზავნის საკუთარი თავის უკეთ დასანახად, გამოსასწორებლად. ცოდვების განცდითა და დაძლევით სულიერი განსჯის გამოცდილებას ვიძენთ, რომლის წყალობითაც ვხვდებით, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მხილება და განკითხვას თავიდან ვიცილებთ. თუ საკუთარ თავს ვპატიობთ, მოყვასსაც ვაპატიებთ, მაგრამ თუ საკუთარი თავისადმი მკაცრები ვართ, მაშინ გვესმის, როგორ უჭირს სხვას და კაცთმოყვარენი, მოწყალენი და შემწყნარებელნი ვხდებით. წმიდა წერილი გვასწავლის: „სხვისი ტვირთი მან იტვირთოს, ვინც თქვენს შორის ძლიერი, განსწავლული და გამოცდილია“.

**— როგორ დავძლიოთ განკითხვის ცოდვა?**

— თუ სულიერად არ ვიქნებით განსწავლულები, განკითხვისგან ვერასოდეს გავთავისუფლდებით, შური და ღვარძლი შეგვჭამს, რაც ერთობ ცუდ ნაყოფს გამოიღებს.

**— სამწუხაროდ, თანამედროვე ცხოვრების ტემპი საკუთარ თავში ჩაღრმავების საშუალებას არ იძლევა...**

— ბევრი იმართლებს ამით თავს, მაგრამ სწრაფი ტემპიც, ჩვენი ცხოვრებისადმი არასწორი დამოკიდებულებების შედეგია. უფალი გვასწავლის: ნუ ზრუნავ ხვალისთვის, რადგანაც ყოველ დღეს თავისი სიბოროტე ეყოფა. რაც ჯერ არ მომწიფებულა, მაინც გვინდა, მოვწყვიტოთ, ვზრუნავთ იმაზე, რასაც საფუძველი არ აქვს და რეალობის ნაცვლად წარმოსახვის სამყაროში გადავდივართ, სწორედ ეს იწვევს ცხოვრების ტემპის დაჩქარებას.

**— ალბათ, ეს პროცესი შეუქცევადია, რა უნდა ვქნათ?**

— გეთანხმებით, მაგრამ ცალკეულ პიროვნებებს შეუძლიათ, შეცვალონ თავიანთი ცხოვრების რიტმი და გამოცდილებით, განსწავლულობით სულიერი განსჯის უნარი შეიძინონ, ამის საფუძველი იესო ქრისტეს სიყვარულია, რაც თავისთავად გულისხმობს მოყვასის სიყვარულს.

**— უამრავი ადამიანი ემდურის ბედს, თავის ყოფაცხოვრებას. რატომ ითვლება ცოდვად უკმაყოფილების გამოხატვა?**

— გასაკვირი ის არის, რომ ბედისადმი უკმაყოფილებასა და უმადურობას მარტო ისინი კი არ გამოხატავენ, ვინც მატერიალურ და სხვა ცხოვრებისეულ გაჭირვებას განიცდის, არამედ წარმატებული ადამიანებიც, მიუხედავად იმისა, რომ ყველა პირობა აქვთ შექმნილი ბედნიერი ცხოვრებისთვის.

**— ბევრი ადამიანია ამ ქვეყანაში უსამართლოდ დაბრკოლებული?**

— ჩვენც გვიზიარებენ თავიანთ გულისტკივილს, იმაზეც დარდობენ, ხელი არ გვემართებაო, ზოგს ის აღელვებს, რომ ხშირად ბოროტი და ურწმუნო ადამიანები გაცილებით უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე მართალნი. ერთნი მთელ დღეს შრომობენ, მეორენი კი იოლი გზით, უშრომელად ახერხებენ ცხოვრებას, ბოროტებას თესენ და ღმერთიც თითქოს ხელს უმართავს, როცა სხვები, მიუხედავად იმისა, რომ სიკეთეს ემსახურებიან, მაინც გასაჭირში იმყოფებიან.

**— ნამდვილად ასეა, ამიტომაც რა გასაკვირია, თუ ბედს უჩივიან?**

— გახსოვდეთ, როცა ბედისადმი უკმაყოფილებას გამოთქვამთ, ცხოვრების მიმართ უმადურობას გამოხატავთ, ამით სიკეთისა და მადლის მომნიჭებელ უფალ ღმერთს შეურაცხყოფთ, რადგანაც სინამდვილეში მას ადანაშაულებთ და ხშირად უსამართლობასაც სწამებთ ხოლმე ამქვეყნიური ცხოვრებისთვის საჭირო მადლის განაწილებაში, თითქოსდა ზოგს უსამართლოდ ანიჭებს წყალობას, ზოგსაც დაუმსახურებლად სჯის. შეგახსენებთ, რომ ადამიანი ღმერთმა გააჩინა და ყველა სიკეთე ღვთისგან მოდის, რადგანაც თავად ღმერთია ჭეშმარიტი სიკეთე. ადამიანში რაც რამ კეთილია, ღვთისგანაა, არსებობისთვის აუცილებელ მადლსა და ძალას ღმერთისგან იღებს. მან მოგვცა ნათელი გონება, რადგანაც თავად არის გონებაცა და ნათელიც. უფალმა იცის, რაც სჭირდება კაცს ამქვეყნად. მას ყველასთვის სიკეთე სურს, რადგანაც თავად გაგვაჩინა და თითოეულს იმდენ მადლსა და წყალობას აძლევს, რამდენიც მას სჭირდება. უფალი იმისთვის კი არ მოგვკითხავს პასუხს, რომ ნაკლები მადლი და ნიჭი მოგვეცა, არამედ იმისთვის, თუ როგორ გამოვიყენეთ ღვთისგან ბოძებული თუნდაც მცირე წყალობა.

**— უკეთესი არ იქნებოდა, ღმერთს ყველასთვის თანაბრად გაენაწილებინა სიკეთე?**

— ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიმახსოვროთ, რომ ამქვეყნად ზეციური მადლი ღვთისგან ყველას ერთნაირად არ მოგვეფინება ისევ და ისევ ჩვენივე კეთილდღეობის გამო. თუ განგებამ ზოგს მაინც მეტი წყალობა არგუნა, ამან არ უნდა შეგვაწუხოს, არ უნდა შეგვშურდეს სხვისი.

**— სამწუხაროდ, ყველა როდი ფიქრობს ასე!**

— როცა საკუთარით დავკმაყოფილდებით, სხვისი არ შეგვშურდება. კაცი იმას უნდა დასჯერდეს, რაც ღვთისგან მიეცა. არ შეიძლება, მორწმუნე ადამიანი თავისი ბედითა და მდგომარეობით უკმაყოფილო იყოს და უმადურება გამოხატოს.

**— თუ თავს ცუდად გრძნობს?**

— დარწმუნებული ხართ, რომ მომეტებული წყალობა არ გაგათამამებთ და არ დაგღუპავთ? თუ ღმერთმა ასე ისურვა, კაცს ვინ ჰკითხავს რამის შეცვლას? მამათა ცხოვრებიდან ვიცით, რომ ღმერთი შეუწუხებიათ გაუთავებელი თხოვნა-ვედრებით, მეტი წყალობა გვიბოძეო. უფალს დაუკმაყოფილებია მათი სურვილები და მიუცია, რასაც ითხოვდნენ, მაგრამ ამ წყალობას დიდი უსიამოვნება და მწუხარება მოჰყოლია.

**— რა მიზეზით?**

— ღვთისგან ითხოვდნენ და იღებდნენ იმაზე მეტს, ვიდრე ეკუთვნოდათ. ასე რომ, ქრისტიანული თავმდაბლობითა და სიყვარულით უნდა შევეგუოთ ბედს. საყვედური არ უნდა დაგვცდეს უფლის მართლმსაჯულებაზე. მთავარია, დაუზარელად შევასრულოთ საქმე, რომელიც გვაკისრია. კეთილსინდისიერი შრომა, ნებისმიერი სახის, ადამიანს ღირსებასა და პატივს მატებს. წმიდა იოანე ათონელი რამდენიმე წლის განმავლობაში სახედრებს უვლიდა. თავის მოვალეობას ისეთივე დიდი სიყვარულით ასრულებდა, როგორც წიგნების თარგმნას. წმიდა მამა კიპრიანე ბრძანებს: „ნეტარ არს, რომელმან დაითმინოს შრომაი მადლობით“. ნუ იქნებით უმადურნი, მარადის მადლობდეთ მოწყალე ღმერთს, რომელსა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ესაუბრა
**ნინო გოჯიაშვილი**



საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დაეხმარეთ მიცვალებულებს

**თუ ადამიანს მარადიული ცხოვრების რწმენა არ აქვს, თავს არც გარდაცვლილი ახლობლებისთვის იწუხებს, მაგრამ გაუცნობიერებელი სულიერი გრძნობა კარნახობს, რომ მიცვალებულის გვამს პატრონობა სჭირდება.**

ვისაც სწამს სულის მარადიულობა, გარდაცვლილს სუფთა კუბოში აწვენს, ხელში ან გულზე ჯვრით კრძალავს. ცოცხლები ახალშესვენებულს სამეფო კარს ვულებთ, ნიშნად იმისა, რომ ცათა სასუფეველში ელიან. ნებისმიერი ადამიანია მოწოდებული იქ შესასვლელად, მაგრამ რაოდენ საცოდავები ვართ, როცა არ შევდივართ.

სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, ცოცხლებმა ცოდვები უნდა შევინანოთ და გამოსწორების გზას დავადგეთ, მიცვალებულებს კი სინანული აღარ შეუძლიათ, მათი სულები დამძიმებულია. განა ბევრს იცნობთ თქვენს ახლობლებს შორის, ვისი ლოცვაც ცეცხლოვანი სვეტივით ზეცამდე ადის? სამწუხაროდ, ყველანი მეტისმეტად მოშვებულები ვართ, ვნებები არ დაგვცხრომია, უფრო მეტიც, მათთან სათანადო ბრძოლაც კი არ დაგვიწყია.

თავს ნუ მოიტყუებთ, არც ჩვენ და არც ჩვენს ახლობლებს იმ ქვეყნად კარგი არაფერი გველის. დამშვიდება, მერწმუნეთ, მეტად სახიფათოა. სანამ გვიან არ არის, მთელი ძალები უნდა მოვიკრიბოთ სულის ხსნისთვის. გულით ვღვაროთ ცრემლი გარდაცვლილთა საცხონებლად, ვევედროთ ღმერთს, რომ მოწყალე იყოს მათ მიმართ და შეუნდოს მოუნანიებელი ცოდვები.



## სულისთვის სასარგებლო რჩევები

**● მზაკვარო წუთისოფელო, გძულვარ? დაე, ასე იყოს! თუ შენი მრისხანება მხოლოდ ღვთის წინაშე ჩემი სიმართლით დავიმსახურე, მლანძღე, მდევნე და გამამწარე რამდენიც მოგესურვება. მზად ვარ, იესო ქრისტესთან ერთად ვეწამო, ამაშია ჩემი ნეტარება!**

**● მივუძღვნათ ჩვენი გონება ღვთის სიტყვაზე ფიქრს, გულისმიერ ლოცვასა და კეთილ განზრახვებს. ამაო აზრები ამაო საქმეებს შობს, კეთილი სურვილი კი კეთილ ნაყოფს ისხამს.**

**● ცუდი სიღარიბე კი არა, ის არის, სიღარიბით უკმაყოფილო რომ ხარ და მას მტერივით უყურებ. ცუდია, როცა ქონება გშურს და სიმდიდრის მოხვეჭის სურვილი გაქვს.**

**● მიწიერი ბედნიერება ამქვეყნიური კეთილდღეობის სიუხვეს კი არა, სულის კმაყოფილებასა და სიმშვიდეს მოაქვს, რაც უმთავრესად, სრულ კეთილდღეობაში მცხოვრები ადამიანისთვის მიუღწეველია.**

**● ადამიანისთვის სასჯელი — მატერიალური კეთილდღეობის დაკარგვა, მწუხარება, ავადმყოფობა და სხვა, ღვთის სიყვარულის გამოხატულებაა, მსგავსად იმ მშობლის საქციელისა, რომელსაც სიყვარული აიძულებს, წაართვას ბავშვს სახიფათო სათამაშო ან მავნე სასუსნავი, მაშინაც კი, თუ პატარა ცრემლად იღვრება. განსაცდელი და მწუხარება მტკივნეული, მაგრამ სიცოცხლის მომნიჭებელი ოპერაციებია, მათი წყალობით სულის მკურნალი კორძებისგან გვათავისუფლებს.**

# მარხვა მოშურნეობაა

**მაკარი ალექსანდრიელი დიდად მოშურნე მოღვაწე გახლდათ. თუ შეიტყობდა, ვინმე ბერმა განსაკუთრებული მადლი იტვირთაო, თავადაც მაშინვე აღასრულებდა.**

ერთხელ შეიტყო, ტაბენესელი განდეგილები მთელი დიდმარხვის განმავლობაში ცეცხლზე მომზადებულ კერძებს არ ჭამენო და სასწრაფოდ დადო აღთქმა, ცეცხლზე მომზადებული საზრდოს მიღებას აღვიკვეთავო. სიტყვა შეასრულა და, მართლაც, 7 წლის განმავლობაში მხოლოდ ნედლი ბოსტნეულითა და წყალში დამბალი ცერცვით იკვებებოდა. ნეტარმა შვიდწლიანი აღთქმის დასრულების მერეც წესად დაიდო უმი საზრდოს მიღება.

ერთხელ მაკარიმ შეიტყო, რომ ვინმე განდეგილი დღეში მხოლოდ 324 გრამ პურს ჭამსო. ნეტარი საღვთო მოშურნეობით აღივსო და თავად იტვირთა ეს ღვაწლი. მთელი პური და ორცხობილა, რაც მას გააჩნდა წვრილ ნაჭრებად დაანაწევრა და ვიწროყელიან ქოთანში ჩაყარა, რომელშიც ხელის მტევანი გაჭირვებით ეტეოდა. ღირსი მამა მხოლოდ იმდენ პურს ჭამდა, რამდენიც მის ხელს ამოჰყვებოდა ხოლმე ქოთნიდან ერთ ამოღებაზე, თანაც დღეში ერთხელ. ხანდახან, როცა ქოთანში ხელს ჰყოფდა, პურის დიდი ნაჭერი მოჰყვებოდა, მაგრამ ქოთნის ვიწრო ყელში ხელი არ ეტეოდა და უკანვე ვარდებოდა, ასე რომ, ქოთანი ჭამის საშუალებას არ აძლევდა.



# სამარხვო კერძები

## ყვავილოვანი კომბოსტოს წვნიანი

წვრილად დაჭრილი ხახვი და მსხვილ სახეხზე გახეხილი სტაბილო ზეთში მოშუშეთ. შეურიეთ გახეხილი პომიდორი ან ტომატი. დაასხით მდუღარე წყალი (სასურველი რაოდენობით). ჩაყარეთ შიგ პატარა კონებად დანაწევრებული ყვავილოვანი კომბოსტო და დაჭრილი ნიორი. როცა კომბოსტო მოიხარშება, მარილით შეაზავეთ, მოაყარეთ წიწაკა, დაჭრილი მწვანილი და ცეცხლიდან მაშინვე გადმოდგით.

**მასალა:** ზეთი 100-150 გრამი, ხახვი — 2 თავი, სტაფილო — 2 ცალი (საშუალო ზომის), ყვავილოვანი კომბოსტო — 1 პატარა თავი, პომიდორი 2-3 ცალი, ან ტომატი — 2 სუფრის კოვზი, ოხრახუში, კამა — თითო პატარა კონა, მარილი და წიწაკა გემოვნებით.



## ბადრიჯნის სალათა

მთელ-მთელი ბადრიჯანი ღუმელში შეწვით. ცივი წყალი გადაავლეთ, კანი მოაშორეთ და ხელით სიგრძეზე აქენით. მოაყარეთ დაჭრილი ხახვი, ნიორი, ქინძი და ოხრახუში. შეურიეთ გახეხილი პომიდორი, შეაზავეთ წიწაკით და მარილით.

**მასალა:** ბადრიჯანი — 2 კილოგრამი, ხახვი — 2 თავი, პომიდორი — 2 ცალი, ქინძი, ოხრახუში — თითო კონა, მარილი, წიწაკა — გემოვნებით, ნიორი — 4-5 კბილი.



# საწოლს მიჯაჭვული ჯანმრთელი ავადმყოფი

## ათეისტის მოქცევა წმიდა სერგი რადონეჟელის მიერ

**სამების ტაძარში ღირსი მამის სერგი რადონეჟელის წმიდა ნაწილებთან სასწაულებრივი კურნებანი აღესრულებოდა. ერთხელაც ამ ეკლესიაში შევიდნენ ვინმე ევგენი — კადრის ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი და მისი ათეისტი მეგობრები. როცა იქიდან გამოვიდნენ, ევგენი ანაზდად უკან გაბრუნდა, ლუსკუმას მიუახლოვდა, სადაც ღირსი მამის — სერგი რადონეჟელის წმიდა ნაწილები ესვენა და უნებლიედ გონებით ასე მიმართა წმინდანს: „წმიდაო სერგი, თუკი მართლაც არსებობ, თუკი შენ გესმის ახლა ჩემი, ისე მოაწყვე, რომ მე ორიოდ წელი დავსნეულდე! ამბობენ, რომ აქ ბევრნი სასწაულებრივად განიკურნებიან, მე კი მინდა, ავად გავხდე, ლოგინად ჩავვარდე!“**

ათეისტი ევგენი ძალზე ჯანმრთელი და ძლიერი სხეულის პატრონი იყო (მას მალე მიავიწყდა ეს ამბავი). სურდოს გარდა არანაირი სნეულება არ მიჰკარებია მის სხეულს. ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ იგი გაცივდა, ადრე ყოველთვის ფეხზე იტანდა ავადმყოფობას — ახლა კი დღითი დღე სულ უფრო ცუდად ხდებოდა... ერთი კვირის შემდეგ კაბინეტში იატაკზე დაგდებული ნახეს.

გონს რომ მოვიდა, თეთრი ჭერი დაინახა, შემდეგ მეუღლის შეშინებული თვალები. „რა ხდება?“ — მხოლოდ ეს გაიფიქრა.

რამდენი დღე იყო ასე, არ ახსოვს... ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ევგენი არ გრძნობდა სასოწარკვეთას. რა თქმა უნდა, სულ არ გახსენებია თხოვნა, რომლითაც ასე ქედმაღლურად მიმართა წმიდა სერგის.

ავადმყოფობის გამო იგი თადარიგში დაითხოვეს. წელიწადნახევარი იმკურნალა სხვადასხვა ჰოსპიტლებში, რაღა არ სცადა, მაგრამ მისი მდგომარეობა არ იცვლებოდა, ლოგინად იყო ჩავარდნილი, საწოლში ნახევრად წამომჯდარს მხოლოდ წიგნის კითხვა და ხელების მოძრაობა შეეძლო.

ერთხელაც გაზაფხულის ერთ კვირა დილას ევგენის რატომღაც კარგ ხასიათზე გაეღვიძა. თვითონაც ვერ აეხსნა, რატომ იყო ასე გახარებული, ბედნიერი. „ჭკუაზე ხომ რა გადავედიო?!“ — გაიფიქრა.

ოთახში შემოვიდა მისი ცოლი. „იცი, — უჩურჩულა მან, — მოდი ეკლესიაში წავალ. მეზობლის ქალმა მითხრა, დღეს აღდგომააო. ამდენი ხანია, ავად ხარ, მე კი ერთხელაც არ ვყოფილვარ ეკლესიაში!“

ევგენიმ გულგრილად უთხრა: „წადი, თუკი გსურსო“. სიხარულის გრძნობა რატომღაც ამოუხსნელმა სევდამ შეუცვალა. მან უკვე სრულიად ცხადად შეიგრძნო, რომ აღარაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ ველარასდროს გამოჯანმრთელდებოდა და სიკვდილი მოუნდა.

მეუღლე ახალი, უჩვეულო შთაბეჭდილებით დაბრუნდა ტაძრიდან. იგი შაბათ საღამოსაც წავიდა ეკლესიაში. ევგენი მარტო დარჩა. მაგიდიდან წიგნი აიღო და გადაშალა. ეს იყო „ცხოვრება ღირსი მამის სერგი რადონეჟელისა, საკვირველმოქმედისა“. აი, სურათებიც: ძველი კედლები, გუმბათები, ლუსკუმა წმიდა ნაწილებით. სერგი, სერგი... „ჰო, მე ხომ ვყოფილვარ იქ!“ — გაიფიქრა ევგენიმ.



ანაზდად ხმა შემოესმა:

— ევგენი!

ეს, ალბათ, ცოლს დარჩა კარი ღია და ვიღაც შემოვიდაო, — გაიფიქრა.

— ევგენი, წამოდექი, შენ ჯანმრთელი ხარ!

საწოლის გვერდით უცნობი მამაკაცი იდგა, ხნიერი, თეთრწვერა, გრძელ, შავ სამოსელში.

— წამოდექი, ევგენი!

იგი პირდაპირ თვალებში უყურებდა ევგენის და მანაც იგრძნო, თუ როგორ აღივსო მთელი მისი არსება ახალი ძალით და წამოდგა.

— ევგენი! — კვლავაც მიმართა მას ალერსიანმა ხმამ, — დღეს ზუსტად ორი წელი შესრულდა! გახსოვს?

მოხუცი უხმაუროდ მოძრაობდა. ახლა ის უკვე ოთახის ბოლოში იყო.

— ახლა შენ სრულიად ჯანმრთელი ხარ, ღმერთს ჰმადლობდე! — ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც ევგენიმ გაიგონა. იგი შემოსასვლელისკენ გაქანდა. კარი გარედან ჩაეკეტა მეუღლეს...

როცა ცოლი შინ დაბრუნდა, ევგენი მუხლებზე დამხობილი დაინახა, მის წინ კი გადაშლილი წიგნი იდო. იფიქრა, საწოლიდან გადმოვარდაო, მივარდა, თვალებში ჩახედა და ძლივსღა იცნო — ევგენი ნათელი, არაამქვეყნიური თვალებით შესცქეროდა. მერე წამოდგა, გაიმართა, მოეხვია ცოლს და კვლავ მუხლებზე დაემხო მასთან ერთად გადაშლილი წიგნის წინაშე, საიდანაც მათ ღირსი მამა სერგი რადონეჟელი შემოსცქეროდა, საკვირველმოქმედი, დიდი კანდელი რუსეთის მიწა-წყლისა.

„ღირსო მამაო ჩვენო სერგი, ევედრე ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის!“ — სიხარულითა და თრთოლვით ჩურჩულებდნენ ისინი.

აი, ასე სასწაულებრივად მოაქცია უფალმა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ათეისტი ევგენი და მისი მეუღლე...

# კითხვა-პასუხი

**რა მნიშვნელობა აქვს იესო ქრისტეს ჯვარცმას?**

— ჯვარცმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ადამის დაცემის შემდეგ ღმერთსა და კაცს შორის ცოდვის კედელი აღიმართა, რაც ადამიანის სულს ღვთაებრივ მადლს აშორებდა. უფლის აღთქმისამებრ, ადამი და ევა ელოდნენ მხსნელს, მესიას, რომელიც კაცთა მოდგმას ამ მდგომარეობიდან გაათავისუფლებდა. ძველი აღთქმა მთლიანად მხსნელის მოლოდინია, მესიასთან შესახვედრად მზადება. ქვეყანას უნდა მოვლენოდა ის, ვინც მოყვასთა შურის გამო, მათი ცილისწამებით, თავისივე ნებით მივიდოდა სამსხვერპლოზე და კრავივით შეეწირებოდა, მერე კი აღდგებოდა და თავისი გამარჯვებით კაცთაც ზეცამდე აამაღლებდა.

**რა სიწმინდეებითაა ცნობილი ალავერდის ეპარქია?**

— ალავერდში ყოფილა ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი (იმ ჯვრისა, რომელზეც მაცხოვარი აცვეს). ისტორიულად ცნობილია, რომ ალავერდის ტაძრის საკურთხეველში, დიდი ტრაპეზის ქვემოთ, წმიდა ქეთევან დედოფლის ნაწილებია დასვენებული. ალავერდის ეპარქიის ტაძრებიდან გატანილი ბევრი სიწმიდე დღეს მუზეუმებშია დაცული. კერძოდ, სახელმწიფო მუზეუმში ინახება ალავერდის ღვთისმშობლის კარედის კიდევ ერთი ხატი — ბოჭორმის წმიდა გიორგი, ალავერდად წოდებული წმიდა გიორგის ხატი; მუზეუმშია დაცული, ასევე, ალავერდის ცნობილი ოთხთავიც.

**ახლადაშენებულ ტაძარშიც იმდენი მადლია, როგორც ძველში?**

— მადლი ყველა ტაძარს ახლავს. ადგილი, სადაც ეკლესია უნდა აშენდეს, წინასწარ იკურთხება, დამთავრების მერე ტაძარს მირონს სცხებენ, გუმბათზე ჯვარს აღმართავენ და ტრაპეზში წმიდა ნაწილს ჩააბრძანებენ, ასე რომ, მადლი ყველგან თანაბრადაა.

**როგორ დავიმორჩილოთ ხორციელი ვნებები?**

— ხორცის დამორჩილება ყველა იმ მცნების აღსრულებას ნიშნავს, რაც უფალმა დაგვიდგინა. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ მთავარი ბრძოლის სურვილია. მაქსიმალურად ეცადეთ, შეინარჩუნოთ სიწმიდის მადლი, რომელიც უფლის სისხლთან და ხორცთან მუდმივი ზიარებით მოგენიჭებათ.

რუბრიკას უძღვება **ნინო გოძიაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «Да пошли все они...»

## მისტრალი ქარია, რომელიც ჩრდილოეთიდან უბერავს

**ქაჩლის თავის მოფხანის მონდომებით რუსთაველის პროსპექტზე ამ შემოდგომაზე დაკიდებული ილუმინაციის ხაბარდა ჭალები ისე მოუხდა ქალაქს, როგორც მამალ სახედარს — ცირკის ცხენის ჭრელა-ჭრულა პომპონები.**

### „ამაღლებულად რეფორმირებული ქვეყანა“

— ალეეე, ჰოპ! — გაიტყლაშუნებს მწვრთნელის მათრახი და გასხვისებული შენობების ფასადებს უკანა ფეხებზე შემდგარი ძაღლებივით აეკვრება დათაფლული ბანერები, ციკლიდან „მე მიყვარს თბილისი“: მიყვარს ბითუმად და ცალობით — ცალკე — რიყე, ცალკე — ნაძალადევი და, რა თქმა უნდა, — ავლაბარი, უპირველესად!

თაფლი არის — მოფრინდა ბუზების ურდო და, როგორც ზაფხულში „მუხომორს“, შავ ასოებად დაეწება და ლოზუნგებად დაეწერა დეკორირებულ თბილისს: „დაპირებები სრულდება“, „საქართველო კორუფციის გარეშე“ და სხვა ამგვარი ბითურობა.

— პარად, ალეე!

და ცირკის ნახერხმოყრილ არენაზე გამოვარდებიან მასხარები წითელი ცხვირებით, ჟონგლიორები, ოინბაზები და ილუზიონისტები — ფერიცვალების დიდოსტატები.

მწყობრ რიგებად მოაბიჯებენ ხელისუფლების ერთგული მსახურნი — ლუსტრირებულნი და საამისოდ გამზადებულები, გაშიშვლებულნი, ანუ რაც მათგან დარჩა „სიმართლის დროში“ მონაწილეობის შემდეგ: პედერასტები, ლესბოსელები... ამაყად მოდიან ტრადიციული ორიენტაციის დაძლევის პროგრესული მოძრაობის მარჯვენაფლანგელები, ასპროცენტიანი ელექტორატი — მიეცი და მოგეცემა!

ცირკში ვართ და „არა გვშია, არა გვინდა რა!“

ჩვენი ამ ბედნიერი ყოფის შესახებ ლეგენდების გასავრცელებლად საქართველოსკენ მოისწრაფის ჩრდილოეთის მისტრალი, „ეხო მოსკვოს“ წითელთმიანი ფერია იულია ლატინინა.

მოჰქრის ჩრდილოეთის ეს ცივი ქარაშოტი და что ты, что ты-ს რითმებით აწყობს სტანსების სტროფებს საქართველოს ხელისუფლების სადიდებლად.

„ჟურნალისტი და მწერალი“ — იტყობინება მის შესახებ „ეხო მოსკვის“ ინტერნეტ-პორტალი.

სწორედ ამ პორტალიდან, აგრეთვე, ტელეეკრანიდან და რადიოეთერით ნიაგარის ჩანჩქერის წყალუხვობით გადმოიღვრება მისი ნააზრევი და წალეკავს მილიონობით რუსეთელი მაყურებლის აზრსა და გონებას.

ჩამოფრინდა საქართველოში.

ადრე ასეთი ვოიაჟების შედეგად შექმნილი და გამოქვეყნებული მასალები იბეჭდებოდა და გადაიცემოდა რუბრიკით „ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა“.

ახლა პირად საქმეზე ჩასვლა ჰქვია. თვითონ ამბობს — პირად საქმეზე ვიყავი ჩასული საქართველოშიო: „კახა ბენდუქიძის ღია (!) უნივერსიტეტში ვკითხულობდი ლექციებს“.

ღიაა და ღიად ვითამაშოთ: კახა ბენდუქიძის მოწვევით მოვლენილ ჟურნალისტ-ლექტორს დამფინანსებლის მიერ დაკვეთილ მუსიკაზე უნდა ეცეკვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კახა ბენდუქიძის თვალით უნდა დაენახა ის, რასაც მასპინძლები დაათვალიერებდნენ, გაემეორებინა ის შეფასებები, რასაც ეტყოდნენ.

რაც უთხრეს.

და ამიტომაა ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიასავით სულისშემძვრელი და ამაღლებული ლატინინას ანგარიშის პირველივე აკორდები: **„საქართველო ამაღელვებლად (!) რეფორმირებული ქვეყანაა... შემიძლია პატიოსნად ვთქვა, რომ არის ორი ქვეყანა, რომელთა მთავრობებით აღფრთოვანებული ვარ. ეს არის საქართველო და ჩინეთი“.**

წაიკითხავ ამას და კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ სიტყვის თავისუფლების პირობებში, პატიოსნება ფრიად პირობითი მცნებაა.

ახლა კი დროა, გავარკვიოთ, თუ რისმა ხილვამ აღაფრთოვანა ქალბატონი მისტრალი, ოღონდ არა გაბრიელა — ბრწყინვალე ჩილიელი პოეტი ქალი, ლატინინა, ოღონდ არა ლარისა — ლეგენდარული საბჭოთა ტანმოვარჯიშე, — „პროსტო“ იულია, იულია ლატინინა, რომელიც ბენდუქიძის მიერ რეფორმირებული საქართველოს ხილვამ „დაადნო ღორის ქონივითა“.

ღორი დღეს მოდაშია, მით უფრო — ამ კონტექსტში.

### ვინ არის ტიტანი საქართველოში?

აღფრთოვანება პირველი: ქვეყანა, სადაც 7 წლის წინათ პანკისს თავშეფარებული მშიერი „ბოევიკები“ ბავშვებს იტაცებდნენ და გამოსასყიდად ძროხას თხოულობდნენ: **„ქვეყანა, სადაც თბილისში არ იყო არც სინათლე, არც წყალი, არც ასფალტი გზებზე, ეს ქვეყანა შვიდი წლის განმავლობაში — დროის ფანტასტიკურად მოკლე პერიოდში გადაიქცა დასავლეთის ქვეყნად, სადაც მენტები** (ასე უწოდებენ რუსეთში მილიციელებს. — ა.ს.), **უფრო ზუსტად, პოლიცია, რეალურად არ იღებს ქრთამს... ეს არის პოლიცია, რომელიც ეხმარება ადამიანებს, რომელიც იჭერს დამნაშავეებს. ეს გამაოგნებელი შთაბეჭდილებაა.. და ყველაფერ ამის მისაღწევად საჭიროა ტიტანური ენერგია ლიდერის“.**

აი, ასე!

ამას უყვება მილიონობით რუსეთელს კერძო თუ პირად საქმეზე საქართველოში ჩამოსული ბენდუქიძის სტუმარი ქალბატონი.

ბენდუქიძის მოწვევა დაშიფრული კოდის გასაღებია.

ვინ ეტყოდა ქალბატონს, რომ მისი აღფრთოვანების საგანი — ძალოვანი სტრუქტურა ყოველგვარი გამოძიებისა და გასამართლების გარეშე, მხოლოდ აგენტურულ ინფორმაციაზე დაყრდნობით კლავს ახალგაზრდებს ქუჩაში; „სამხილების“ შედეგებით „კერავს“ საქმეებს და აპატიმრებს „არასასურველ“ პირებს; მასობრივი მიტინგების წინააღმდეგ მასობრივ დარბევებს აწყობს; აყალიბებს



ხალხზე დაგეშილ ზონდერბრიგადებს; რომ არჩევნების გაყალბებაში მისი ნაქები სტრუქტურა პირველი ვიოლინოს როლს თამაშობს და ა.შ.?

წესრიგია ქუჩებში? არის. შეწყდა მანქანების ქურდობა? — შეწყდა, მაგრამ რომელ ტოტალიტარულ სახელმწიფოშია სხვაგვარად? მით უფრო, — პოლიციურში? და როდიდან გახდა ეს მახასიათებლები დემოკრატიის მაჩვენებელი?

ვინ მოუყვება სპეცდავალებით ჩამოყვანილ „ჟურნალისტსა და მწერალს“, რომელიც, ჩამოვიდა თუ არა, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში წაიყვანეს („Приезжаю я в страну, отвозят меня в новое здание МВД“), რომ საყოველთაო თვალთვალი და მიყურადება ჩვენთან დამკვიდრებული წესია, რომ ახლა ამას ჩხრეკაც დაემატა — ვისაც ვისი და როცა მოესურვება.

საქართველოში ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება გაუქმებულია. სასწაულია! მაგრამ ამ სასწაულის შედეგად, სად და რომელ ხრამში გადაიჩეხა (როგორც ამ ზაფხულს „პატრიოტების“ ბანაკისკენ მიმავალი ავტობუსი) ან გადაიჩეხება (ღმერთმა დაგვიფაროს!) მეორადი მოხმარების გაცვეთილი ავტომობილი, არავინ უწყის. ამას არავინ ეტყოდა ლატინინას.

ამიტომაცაა აღფრთოვანებული.

ვერ გეტყვით, მისი ამაღლებული განწყობილების მიზეზი რომელი უფროა — რეფორმირებული პოლიცია, პოლიციის შუშის შენობები თუ „ლიდერის ტიტანური ენერგია“, თუ ყველაფერი ერთად. მით უფრო, რომ **არ აზუსტებს, ვის უნდა ვუმადლოდეთ ყოველივე ამას, ვინაა ეს ლიდერი — ვანო მერაბიშვილი თუ მიხეილ სააკაშვილი?**

**ან, იქნებ, ბენდუქიძე?**

დავტოვოთ ეს შეკითხვა უპასუხოდ და გადავიდეთ აღფრთოვანების მომდევნო წყაროზე, რაიც აგვისტოს ომის შედეგად ლტოლვილების ახალ, 30-ათასიან ტალღას შეეხება. ყველანი დაბინავებულები არიანო, უკვირს და უხარია ლატინინას. განსაკუთრებით, 1200-სახლიანი ახალი სოფლის ხილვით აღფრთოვანებულა და ქებათაქების სიტყვებს არ იშურებს ხელისუფლების მიმართ, რომელმაც უკარმიდამო სახლები აუშენა მშობლიურ კუთხედაკარგულ ადამიანებს.

უცხოეთის დახმარების ხარჯით.

და კრინტსაც არ ძრავს იმ მიზეზთა კომპლექსზე, რამაც ეს ტრაგედია გამოიწვია და ამ ქოხმახების მშენებლობა გახადა აუცილებელი.

არც არავის უთქვამს.

სამაგიეროდ წაიყვანეს სიღნაღში და რაზეც იქ დაელაპარაკებოდნენ, თქვენთვის ახალი არ იქნება. მაგრამ მოულოდნელი ის დასკვნაა, რომელსაც ლატინინა ამ პოტიომკინის სოფლის ხილვის შემდეგ აკეთებს. **იგი ერთმანეთს ადარებს ევროკავშირის მიერ ლტოლვილებისთვის აგებული და საქართველოს შესაბამისი სამინისტროების მიერ აშენებული სახლების ღირებულებას და, ფასთა სხვაობიდან გამომდინარე, ასკვნის: „ეს ნიშნავს, რომ კორუფცია ევროკავშირში ორჯერ უფრო დიდია, ვიდრე საქართველოში“.**

ესე იგი რა?

ის, რომ, **პირველი**: საქართველოში კორუფცია მაინც ყოფილა. არადა, იმავე პუბლიკაციაში ავტორი ეკამათება ირაკლი ალასანიას და ცუდად დაფარული ირონიით ცდილობს, გაუბითუროს შეფასება, რომ საქართველოში კორუფცია არის, მაგრამ ელიტარულად ტრანსფორმირებული.

**მეორე:** რა ჯანდაბად გვინდა ევროკავშირი, თუ იქ კორუფციის დონე ჩვენსაზე ორჯერ მაღალია?!

ესეც — საქართველოა უკეთესი თუ ევროკავშირი, ლატინინას განსჯისა და კიდევ ერთი აღფოთრვანების საგანია.

### ამას ჟირინოვსკიც არ იკადრებდა

უსმენ ამ ქალბატონს და გემცნობა — მისი მსჯელობის მიმარულებაც, დასკვნებიც და ფაქტებიც — სადღაც უკვე მოგისმენია.

დიდი დაფიქრება არაა საჭირო, რომ მიხვდე — ეს ყველაფერი ელემენტარული პლაგიატია მიხეილ სააკაშვილის რომელიღაც სატელევიზიო გამოსვლის ან პარლამენტისთვის წარდგენილი ანგარიშის, ან ორივესი ერთად.

ამ დასკვნამდე მივყავართ თავად ავტორს, რომელიც შესაშური სიზუსტით იმეორებს მიხეილ სააკაშვილის არგუმენტებს, რომლებიც მან „გააჟღერა“ 200-ათასიანი მიტინგის მონაწილეთა საპროტესტო მოტივაციის ასახსნელად. **ესენიო, — განაცხადა პრეზიდენტმა, — არიან რეფორმებით, კორუფციის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლით უკმაყოფილო ადამიანები — ან უმუშევრად დარჩენილები, ან დაპატიმრებულთა ოჯახების წევრები და ნათესავ-მეგობრები.**

ოპოზიციის მხილების მაგალითებიც ათასჯერ მოსმენილი და ტელეგაპიარებულია. ახლა კი, არ დაიზაროთ და, თუ უკვე არ დაიღალეთ იულია ლატინინა-მისტრალის „მოგზაურის შთაბეჭდილებებით“, წაიკითხეთ „ეხო მოსკვით“ გადაცემული მისი საუბრის დასკვნითი ნაწილი:

**„როგორ აისახება ყველა ეს მხილება ოპოზიციის რეიტინგზე? პასუხი: ოპოზიციის რეიტინზე იგი პრაქტიკულად არანაირად არ აისახება, რადგან საქმე ის კი არ არის, რომ ოპოზიცია შეურაცხადია (!), საქმე ის არის, რომ ელექტორატი, რომელსაც იგი ეყრდნობა არის შეურაცხადი (!). ეს არის საბჭოთა ელექტორატი. საქართველოში 800 ათასი პენსიონერია, ვისაც 50-ლარიან პენსიას უხდიან. საქართველოში 75 ათასი პოლიციელია, რომლებიც სამსახურიდან გააგდეს.**

**როცა ახლადდანიშნულ ეკონომიკის მინისტრთან კახა ბენდუქიძესთან ევროკავშირის კომისრები მივიდნენ, კახამ უთხრა: „ათას ხუთას ადამანს ვათავისუფლებ სამინისტროდან“. კომისარი ქალი ეკითხება: „როგორ აპირებთ ამ ადამიანების შრომით მოწყობას?“ „А пусть идут на хрен!“ — უპასუხებს ბენდუქიძე** (ლატინინა-მისტრალს აშკარად მოსწონს ბენდუქიძის „ბლატაობა“, მისი ქედმაღლური დამოკიდებულება ქართველი ადამიანების ბედისადმი. კახასავით იულიასაც ფეხებზე ჰკიდია ჩვენი ხალხი. — ა.ს.). **ქალიშვილი ატირდა.**

**ეს ათას ხუთასი, სხვა ათას ხუთასი კიდევ და კიდევ ათას ხუთასი — ყველა ისინი ქუჩაში აღმოჩნდნენ, ყველანი ძალიან გაბრაზებულია სააკაშვილზე. ყველას არ შეუძლია ვერბალიზაცია თავიანთი პრეტენზიებით. მათ შეუძლიათ თქვან: „ჩვენ ძველებურად გვინდა ცხოვრება. ჩვენ გვინდა, რომ იღებდნენ ქრთამს. ჩვენ გვინდა, რომ თბილისში არ იყოს სინათლე, რომ თბილისში არ იყოს წყალი“.**

ვლადიმერ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკისაც არ უკადრებია ქართველების ასეთი რამე. როგორი უნდა იყოს დაფინანსების ოდენობა, შეურაცხადი რომ გაგხადოს და გაგაბედინოს სხვა ერის ასეთი შეურაცხყოფა, რადგან სპონსორს ასე სურს?

ან, ეგებ, სისხლში გაქვს შოვინიზმის ბაცილა, რომელიც ღორის გრიპივით მთელ შენს სხეულსაა მოდებული?

ღორის ტილს ფეხზე თუ დაისვამ, აგაღოღდება და ასეთ რამესაც გაკადრებს:

**„ქართული ოპოზიცია, რაგინდ პარადოქსულადაც შეიძლება მოგეჩვენოთ, ქართველ ერზე ამბობს იგივეს, რასაც რუსეთის ხელისუფლება რუს ერზე ლაპარაკობს. ქართული ოპოზიცია ამბობს, რომ ქართველ ერს ახასიათებს მექრთამეობა, ახასიათებს ნეხვში (!) ცხოვრება“.**

მე არ გამიგონია. თქვენ?

ოღონდ ხელისუფლება დაიცვან და სხვა ყველა ჩაძირონ, ასეთ შეურაცხყოფასაც არ ერიდებიან ნაყიდი ჟურნალისტები.

ეს საერთოდ.

ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ასეთი სიბილწის მოსმენის შემდეგ დიდი სურვილი მებადება, კახა ბენდუქიძეს დავესესხო:

„Да пошли все они на хрен!“

**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ხელისუფლების არაძალადობრივი დამხობის 198 ხერხი

## გიგა ბოკერიას საწვრთნელი სახელმძღვანელო




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №38-39

### თავი 2

### მოლაპარაკებათა საშიშროება

დიქტატურასთან ბრძოლის მწვავე პრობლემების წინაშე (რომლებიც პირველ თავში იყო აღწერილი) ზოგიერთი ადამიანი პასიურად მორჩილი ხდება. სხვები, ვინც დემოკრატიის მოპოვების იმედს კარგავს, შეიძლება მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მარადიულ, როგორც ისინი მიიჩნევენ, დიქტატურასთან მოლაპარაკება, რათა „მორიგების", „კომპრომისისა" და „მოლაპარაკების" გზით შეინარჩუნონ რაღაც პოზიტიური ელემენტები და ბოლო მოუღონ სისასტიკეს. ერთი შეხედვით, რეალური არჩევანის არქონის პირობებში ასეთი მიდგომა გამართლებულია.

ულმობელი დიქტატურის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა არასასიამოვნო პერსპექტივის შემცველია. რატომ უნდა დავდგეთ ამ გზაზე? განა არ შეიძლება ჭკვიანურად ვიმოქმედოთ და მოვძებნოთ მოლაპარაკების გზები, ვიპოვოთ დიქტატურის თანდათანობით განადგურების საშუალებები? განა არ ძალუძთ დემოკრატებს, მოუწოდონ დიქტატორებს ადამიანურობისკენ და დაარწმუნონ, თანდათანობით შეკვეცონ თავიანთი აბსოლუტური ძალაუფლება, რათა საბოლოო ჯამში, ეგებ, წარმოიქმნას შესაძლებლობა დემოკრატიული მთავრობის შესაქმნელად?

ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ სიმართლე ყოველთვის ერთ მხარეს არ დგას. ეგებ, დემოკრატები ბოლომდე ვერ უგებენ დიქტატორებს, რომლებსაც კეთილი სურვილები ამოძრავებთ ძნელ მდგომარეობაში? სხვები მიიჩნევენ, რომ დიქტატორები სიხარულით გადადგებიან მძიმე სიტუაციაში, რომელშიც ქვეყანა შეიძლება აღმოჩნდეს, ოღონდ საჭიროა მათი წახალისება და დაყოლიება. ისიც შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დიქტატორები „ფრეზე" დათანხმდებიან, როცა ყველა მხარე მოგებული დარჩება. საჭირო აღარ იქნება შემდგომ ბრძოლაში გარისკვა და ტანჯვა, თუ დემოკრატიული ოპოზიცია მზად იქნება, მშვიდობიანად მოაგვაროს კონფლიქტი მოლაპარაკების გზით (შეიძლება, გამოცდილი პიროვნებების ან სხვა ქვეყნის მთავრობის მონაწილეობით).

განა ეს უმჯობესი არ არის იმ მძიმე, თუნდაც არაძალადობრივ, ბრძოლასთან შედარებით, რომლის დროს საომარი მოქმედება გამორიცხულია?

### მოლაპარაკების დადებითი და უარყოფითი მხარეები

მოლაპარაკება ფრიად სასარგებლო საშუალებაა კონფლიქტებში გარკვეული ტიპის პრობლემების მოსაგვარებლად, არ შეიძლება მისი იგნორირება ან უარყოფა, თუ იგი გაიმართება იქ, და იმ დროს, სადაც და როცა საჭიროა. იმ შემთხვევაში, როცა წყდება არაპრინციპული საკითხები და ამიტომ კომპრომისი მისაღებია, მოლაპარაკება შეიძლება იქცეს კონფლიქტის მოსაგვარებელ მნიშვნელოვან საშუალებად.

ხელფასების მომატების მიზნით მუშების მიერ გამართული გაფიცვა, კონფლიქტის დროს მოლაპარაკების მნიშვნელოვანი როლის კარგი მაგალითია: მიღწეული შეთანხმებით შეიძლება გაიზარდოს ხელფასი ისეთი პროპორციით, რომელიც საშუალო იქნება ორივე მხარის მიერ თავიდანვე შეთავაზებულ ოდენობას შორის.

მაგრამ შრომითი კონფლიქტები, ოფიციალური პროფკავშირების მონაწილეობით, აბსოლუტურად განსხვავდება იმ პრობლემებისგან, როცა დიქტატურის გაგრძელების ან პოლიტიკური თავისუფლების დამყარების პრობლემები წყდება.

როცა დღის წესრიგში დგება ფუნდამენტური ხასიათის საკითხები, როგორიც რელიგიის პრინციპების, ადამიანის უფლებათა პრობლემების ან საზოგადოების სამომავლო განვითარების პრობლემებია, მოლაპარაკება ვერ იქნება პრობლემის ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების მიღების საშუალება, ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე კომპრომისი შეუძლებელია. **მხოლოდ დემოკრატის სასარგებლოდ ხელისუფლების შეცვლას ძალუძს მოცემული საკითხის ადეკვატურად გადაწყვეტა. ამგვარი ცვლილება ბრძოლით მიიღწევა და არა — მოლაპარაკების საშუალებით.**

ეს არ ნიშნავს, რომ მოლაპარაკებას არასოდეს არ უნდა მივმართოთ. **მოლაპარაკება არ არის რეალისტური საშუალება ძლიერი დიქტატურის მოსაცილებლად მძლავრი დემოკრატიული ოპოზიციის არარსებობის დროს.**

ბუნებრივია, მოლაპარაკების გამართვის შესაძლებლობა შეიძლება არც წარმოიქმნას. მყარად დამკვიდრებულმა დიქტატორებმა, რომლებიც დარწმუნებულნი არიან



თავიანთ მდგომარეობაში, შეიძლება უარი თქვან მოლაპარაკებაზე თავიანთ დემოკრატიულ ოპონენტებთან. ან, მოლაპარაკების დაწყების შემდეგ, დემოკრატიის მხრიდან მონაწილენი შეიძლება უკვალოდ გაქრნენ.

### ოპოზიციის დანებება მოლაპარაკების მსვლელობისას?

ზოგიერთი პირი და ჯგუფი, რომლებიც დიქტატურასთან ოპოზიციაში იმყოფება და მოლაპარაკებას მხარს უჭერს, ხშირად კეთილშობილური მიზნებით არის გამსჭვალული, განსაკუთრებით, მაშინ, როცა დაუნდობელ რეჟიმთან შეიარაღებული შეტაკებები წლების განმავლობაში გრძელდება და გადამწყვეტ გამარჯვებას ვერ აღწევს. ცხადია, რომ ამ დროს ნებისმიერი პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანს მშვიდობა სურს. მოლაპარაკების წარმოება დემოკრატებში განსაკუთრებით სასურველი ხდება მაშინ, როცა დიქტატორებს უდაო სამხედრო უპირატესობა აქვთ და მსხვერპლი და ნგრევა საკუთარ ქვეყანაში გაუსაძლისი ხდება. ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე, საკუთარი ინიციატივით, მათ შეუძლიათ აღადგინონ პიროვნების ღირსებისა და ადამიანის უფლებათა მიმართ პატივისცემა, გაათავისუფლონ პოლიტიკური პატიმრები, შეწყვიტონ წამება, შეაჩერონ სამხედრო ოპერაციები, გამოვიდნენ მთავრობიდან და ბოდიში მოუხადონ ხალხს.

როცა დიქტატურა ძლიერია, მაგრამ არის გამაღიზიანებელი წინააღმდეგობა, დიქტატორებმა შეიძლება გადაწყვიტონ ოპოზიციასთან მოლაპარაკება, რათა აიძულონ დანებება „მშვიდობის" დამყარების მოტივით. მოლაპარაკებისაკენ მოწოდება მიმზიდველიც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ მოლაპარაკების მიმდინარეობისას გამორიცხული არ არის სერიოზული საშიშროება.

მეორე მხრივ, თუ ოპოზიცია განსაკუთრებით ძლიერია და დიქტატურისთვის ჭეშმარიტ საშიშროებად წარმოგვიდგება, დიქტატორებს შეუძლიათ შემოგვთავაზონ მოლაპარაკება, რათა, რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება ან სიმდიდრე შეინარჩუნონ.

ორივე შემთხვევაში დემოკრატები არ უნდა დაეხმარონ დიქტატორებს მიზნების მიღწევაში.

დემოკრატები უნდა მოერიდონ ხაფანგებს, რომლებსაც დიქტატორები შეგნებულად დაუგებენ მოლაპარაკების მსვლელობისას. მოწოდება მოლაპარაკებისკენ, როცა ფსონად დადებულია პოლიტიკურ თავისუფლებათა საკითხები, შეიძლება აღმოჩნდეს დიქტატორების მცდელობა, აიძულონ დემოკრატები მშვიდობიანად დათმონ პოზიციები. ასეთ კონფლიქტებში მოლაპარაკებამ შეიძლება შეასრულოს დადებითი როლი მხოლოდ მაშინ, როცა დიქტატორების ძალაუფლება დამხობილია და ისინი საერთაშორისო აეროპორტებში მოხვედრის ნებართვას ითხოვენ.



### ძალაუფლებისა და სამართლიანობის საკითხები მოლაპარაკების დროს

თუ აღნიშნული თეზისი ზედმეტად მკაცრი ჩანს მოლაპარაკების თემის განხილვისას, აუცილებელია მასზე რომანტიკული შეხედულების დაცხრობა. ზუსტად უნდა გვესმოდეს, როგორ წარიმართება მოლაპარაკება.

მოლაპარაკება არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ორი მხარე მიუჯდება მაგიდას და თანასწორობის საფუძველზე გადაწყვეტს წინააღმდეგობებს, რომლებმაც მათ შორის კონფლიქტი გამოიწვია.

აუცილებელია, გვახსოვდეს ორი ფაქტი.

**პირველი, მოლაპარაკების დროს შესაძლო შეთანხმების შინაარსი არ განისაზღვრება კონფლიქტური შეხედულებებისა და მიზნების შედარებითი სამართლიანობით.**

**მეორე, შესაძლო შეთანხმების შინაარსს დიდწილად განსაზღვრავს თითოეული მხარის რეალური ძალა.**

აუცილებელია, გავითვალისწინოთ რამდენიმე რთული საკითხი.

რისი გაკეთება შეუძლია მხარეთაგან თითოეულს შეთანხმების დადების შემდგომ, თუ მეორე მხარე გატეხავს სიტყვას და, შეთანხმების მიუხედავად, არსებულ ძალებს თავისი მიზნების მისაღწევად გამოიყენებს?

მოლაპარაკების გზით პრობლემები ვერ გადაწყდება განსახილველი პრობლემის სამართლიანობის შეფასებით, თუმცა ეს შეიძლება იყოს ინტენსიური განხილვის საგანი. **მოლაპარაკების რეალური შედეგი დგება მონაწილე მხარეების აბსოლუტური და შედარებითი ძალების შეფასებიდან გამომდინარე.**

რისი გაკეთება შეუძლიათ დემოკრატებს, რათა მათი მინიმალური მოთხოვნები უარყოფილი არ იქნას? რისი გაკეთება შეუძლიათ დიქტატორებს, რათა შეინარჩუნონ ძალაუფლება და მოახდინონ დემოკრატების ნეიტრალიზება? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ შეთანხმება დაიდება, ძირითადად იმის შედეგად, რომ მხარეთაგან თითოეული თავის შესაძლებლობებს მოწინააღმდეგე მხარის შესაძლებლობებს ადარებს და განსაზღვრავს, რა შედეგის მოტანა შეუძლია ღია ბრძოლას.

აუცილებელია, ყურადღება მივაპყროთ იმასაც, თუ შეთანხმების მისაღწევად რა დათმობაზე წასასვლელადაა მზად მხარეთაგან ნებისმიერი. წარმატებულ მოლაპარაკებას თან ახლავს კომპრომისი, ურთიერთდათმობა. თითოეული მხარე იღებს ნაწილს იმისას, რასაც ითხოვს და თმობს საკუთარ მოთხოვნათა ნაწილს.

რისი დათმობა შეუძლიათ პროდემოკრატიულ ძალებს დიქტატორებისთვის ექსტრემალური დიქტატურის პირობებში? დიქტატორების რომელ მიზნებს შეიძლება დაეთანხმონ პროდემოკრატიული ძალები? უნდა დაუტოვონ თუ არა დემოკრატებმა დიქტატორებს (პოლიტიკურ პარტიას თუ სამხედრო ხროვას) კონსტიტუციით გარანტირებული მუდმივი როლი მომავალ მთავრობაში? რაში გამოიხატება აქ დემოკრატია?

რომც წარმოვიდგინოთ, რომ მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს, უნდა დავსვათ კითხვა: რა ხასიათის მშვიდობა დამყარდება? ცხოვრება გაუმჯობესდება თუ გაუარესდება, როგორი იქნება, თუ დემოკრატები დაიწყებენ ან განაგრძობენ ბრძოლას?

### „დამთმობი" დიქტატორები"

დიქტატორებს თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად შეიძლება განსხვავებული მოტივები და მიზნები ჰქონდეთ: ძალაუფლება, მდგომარეობა, სიმდიდრე, საზოგადოების გარდაქმნა და ა.შ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ მიზანთაგან ვერც ერთს ვერ მიაღწევენ, თუ ისინი თავიანთ დომინირებულ მდგომარეობას დაკარგავენ. მოლაპარაკების შემთხვევაში დიქტატორები შეეცდებიან, შეინარჩუნონ ის, რისკენაც ისწრაფვიან.

რაგინდარა დაპირება თქვან დიქტატორებმა მოლაპარაკების ჩარჩოებში, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიქტატორები შეიძლება ნებისმიერ რამეს დაგვპირდნენ დემოკრატიული ოპოზიციის მხრიდან დათმობათა მისაღებად, შემდეგ კი უხეშად დაარღვიონ შეთანხმება.

თუ დიქტატორები დათანხმდებიან, შეწყვიტონ წინააღმდეგობა რეპრესიების შეჩერების სანაცვლოდ, მათ ფრიად გაუცრუვდებათ იმედი. წინააღმდეგობის შეჩერებას იშვიათად მოსდევს რეპრესიების შემცირება. შიდა და საერთაშორისო ოპოზიციის მოცილების შემდეგ დიქტატორებს შეუძლიათ დათრგუნვა და ძალადობა უწინდელზე უფრო დაუნდობელი გახადონ. სახალხო წინააღმდეგობის დაშლას ხშირად „თამაშიდან გამოჰყავს" გაწონასწორებული ძალა, რომელიც ზღუდავს დიქტატურის ძალაუფლებას და დაუნდობლობას.

**როცა საკითხი ფუნდამენტურ პრობლემებს ეხება, მდგომარეობის შესაცვლელად მთავარია წინააღმდეგობის გაწევა და არა მოლაპარაკება.** თითქმის ყველა შემთხვევაში, როცა მიზნად დასახული გვაქვს დიქტატორების დამხობა, წინააღმდეგობა უნდა გაგრძელდეს. წარმატება უმეტეს შემთხვევაში მიიღწევა არა მოლაპარაკებით შეთანხმებაზე, არამედ წინააღმდეგობის ყველაზე უფრო შესაფერისი და მძლავრი საშუალებების კომპეტენტური გამოყენებით.

დარწმუნებული ვართ, რომ **თავისუფლების მებრძოლთა ყველაზე მძლავრი საშუალება პოლიტიკური დაუმორჩილებლობაა, ანუ არაძალადობრივი ბრძოლა,** რაზეც დაწვრილებით ვილაპარაკებთ ქვემოთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# მარიამ საყვარელიძე: ხელისუფლება მაიძულებს, ჩემი შვილის მკვლელებს პირადად გავუსწორდე

**სატრაბახო თემაგამოლეული ნაცები ხშირად იბრიქებიან — „ვარდების რევოლუცია“ უსისხლოდ ჩავატარეთო და საზოგადოებას ამით ამუნათებენ. ამ ფონზე, გაუგებარია, რატომ მიჩუმათდა და არავინ არაფერს ამბობს „ვარდების რევოლუციის“ პირველ მსხვერპლზე, პირველ სისხლზე, რომელიც 2003 წლის 22 ნოემბერს თბილისში, გორგასლის ქუჩაზე დაიღვარა. ამ დღეს მსუბუქ ავტომანქანასთან ჯავშანტრანსპორტიორის შეჯახების შედეგად 23 წლის ახალგაზრდა დავით საყვარელიძე გარდაიცვალა. სამძიმარი დაზარალებულ ოჯახს ზურაბ ჟვანიამაც გამოუცხადა. მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებამ დაადგინა, რომ დამნაშავე ჯავშანტრანსპორტიორის მძღოლი იყო და შესაბამისი განაჩენიც უნდა გამოტანილიყო, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი შეიცვალა. საქმეში მაღალჩინოსნები ჩაერთნენ. მათივე დაკვეთით შეიცვალა ექსპერტიზის დასკვნები და გამოძიება სულ სხვა „შედეგზე გავიდა“. 2003 წლიდან დღემდე ოჯახი დამნაშავის დასჯას უშედეგოდ ითხოვს.**
**„საქართველო და მსოფლიო“ საყვარელიძეების ოჯახს დაუკავშირდა.**



## „ბეტეერსაც“ და იმ სამხედროსაც ერთი ბოთლი ბენზინი ეყოფოდა ჩადენილის საზღაურად

**დათოს დედა, მარიამ საყვარელიძე ასე იხსენებს იმ ავბედით დღეს:**

„2003 წლის 22 ნოემბერს გადავწყვიტეთ ჩემი შვილის მანქანით წავსულიყავით რაჭაში ჩემს ძმასთან და გავუარეთ ჩემს დას, რომელმაც თან წამოიყვანა თავისი სამი მცირეწლოვანი შვილი. ვერც კი წარმომედგინა, დათოს ოდესმე ავარია თუ შეემთხვეოდა და თანაც ჩემს გვერდით. **დღესაც გული მეკუმშება, შოკში ვარ მომხდარით.** ორთაჭალაში, გორგასლის ქუჩაზე, ცოტათი განიერი ადგილია და მას „გამწვანებას“ ეძახიან, სანამ მას მივუახლოვდებოდით, იქვე, ბენზინგასამართ სადგურში საწვავი ჩავასხით. შემდგომ, დაახლოებით რვაასი მეტრი გავიარეთ და მოულოდნელად ხმაურით ჩაგვიქროლა ტრანსპორტმა, რომელსაც არემარე თან მიჰქონდა. ეს იყო სამხედრო მანქანა. თვალის დახამხამებაში მეორეც უკან მოჰყვა, შეგვეჯახა და... გაგვაუბედურა. ამ შეჯახებამ ჩვენს მანქანას ორივე კარი მოაგლიჯა, წინა ფრთა მოანგრია. მაშინ შემთხვევის ადგილის დათვალიერებაც ცხადყოფდა, რომ ბორდიურთან ახლო იყო ჩამონაყარი მინის ნამსხვრევები. როდესაც დაგვეჯახა, დაგვატრიალა და საწინააღმდეგო მხარეს გავჩერდით. იქვე იდგა „ჟიგულის“ მარკის მანქანა. როგორც ჩანს, „ბეტეერის“ მძღოლმა იმას ააცილა და... **ასე გამინადგურდა ოჯახი. 23 წლის შვილი და მისი საქორწინო სამზადისი სამუდამოდ დამისამარდა.**

**მომაკვდავი, გასისხლიანებული შვილი კალთაში ჩამივარდა. გაუბედურებული დედა გიჟივით ვყვიროდი, შველას ვითხოვდი.** გამვლელთა დახმარებით შვილი საავადმყოფოში წავიყვანე. ენით აუწერელ მდგომარეობაში ჩავვარდი. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი და გარდაცვლილი მიეყვანათ საავადმყოფოში. დაღუპული და, მომაკვდავი შვილი, დაშავებული დისშვილები — ეს ყველაფერი შემზარავი იყო. ასე გავნადგურდით საბოლოოდ. მიკვირს, როგორ გადავურჩი ამდენ უბედურებას. დღეს, კი ვსულდგმულობ, მაგრამ, აბა, ამას რა ფასი აქვს“.

**შვილმოკლულ დედას ყველაზე მწარედ, „ბეტეერის“ გრუხუნი დაამახსოვრდა.**

იგი საავადმყოფოში მთელ ხმაზე გაჰკიოდა, რომ სამხედრო მანქანა დაეჯახათ... **ოჯახს შვილის გადარჩენის იმედი ჰქონდა, თუმცა ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.** მომხდარზე მეორე დღიდან მთელი ქალაქი საუბრობდა:

— მიკვირს, ამ ამბის მერე როგორ ვსულდგმულობ. **ყველას ეგონა, რომ შევიშალე.** ჩემმა ძმისშვილმა გადაწყვიტა, წასულიყო და რამე გაერკვია. კრწანისის რეზიდენციასთან მისულა. იქვე უნახავს „ბეტეერი“, რომელსაც ავარიის კვალი ეტყობოდა და ჩვენი მანქანის საღებავი იყო გადასული. ამ საბრძოლო მანქანის მძღოლი გამოუძახებია და გამოლაპარაკებია. მათ, რა თქმა უნდა, იუარეს. თურმე ეგონათ, რომ ამ ავარიით ყველანი დავიხოცებოდით. სინამდვილეში კი, მე და ჩემი დისშვილები გადავრჩით. ჩემი ძმისშვილი ხალხის წასაყვანად გამობრუნდა. ჩვენი ახლობლები რომ მივიდნენ, „ბეტეერი“ ვერ ნახეს, უკვე გადაემალათ. იმ დღესვე შეცვალეს მისი ნომერიც, მოკლედ **გასაყალბებლად ყველაფერი იღონეს.**

ექიმებმა დამიმალეს, რომ ჩემი დათოს მდგომარეობა უიმედო იყო და ვერ გადარჩებოდა. ეს იმთავითვე რომ მცოდნოდა, სხვანაირად ვიმოქმედებდი. ასეთ გაუბედურებას არავის შევარჩენდი. „ბეტეერსაც“ და იმ სამხედროსაც ერთი ბოთლი ბენზინი ეყოფოდა მომხდარის საზღაურად. მაშინ ნახავდნენ, როგორი უსისხლო რევოლუცია იქნებოდა.

მომხდარის გამოძიება სამხედრო პროკურორს, გოჩა სხირტლაძეს დაევალა. ქალბატონ მარინეს თქმით, პროკურორი საქმეს ობიექტურად იძიებდა, ბოლომდე მიჰყვა, მაგრამ, როდესაც დამნაშავის დასჯაზე მიდგა ჯერი, სხირტლაძეს საქმე ჩამოართვეს და უშიშროების სამინისტროს გადასცეს. „სხირტლაძემ არ დაიცვა მთავრობა და „ბეტეერის“ მძღოლი, ყველაფერი კანონის ფარგლებში გააკეთა, მაგრამ... ჩემი შვილის საქმეზე სამი ექსპერტიზა ჩატარდა. დაიდო დასკვნა, რომ ჩემი შვილი დამნაშავე არ იყო. ამ ყველაფრის შემდეგ, მხოლოდ დამნაშავე უნდა დასჯილიყო, მაგრამ

**სხირტლაძეს საქმე ოქრუაშვილმა ჩამოართვა და უშიშროებას გადასცა გასაყალბებლად.**

უნდა გითხრათ, რომ სხირტლაძეზე იმთავითვე იყო ზეწოლა. სურდათ, საქმე სხვა გზით გამოეძია, მაგრამ ის ღვთისნიერი და პატიოსანი პიროვნება აღმოჩნდა და სიმართლეს გვერდი არ აუარა. **საქმის გამოძიება ვიტალი სადათიერაშვილს გადააბარეს. დღემდე ვწყევლი ამ პიროვნებას.** ეს იყო 2004 წლის მაისში. ამ დღიდან 2005 წლის აპრილამდე პროკურატურაში საქმის გასაყალბებლად დანიშნა ხელახალი ექსპერტიზა. ბოლოს დადო უსაფუძვლო დასკვნა, რომ ავარიის ზუსტი წერტილი ვერ დგინდებაო. ხელმეორედ გადაწერეს ინსპექტორ იური ბარკაძის ჩვენებაც. ჩართეს ცრუ მოწმეებიც და **ამ სამარცხვინო პროცესს ეყრდნობოდა გამოძიება, ზუსტ ჩვენებებსა და დასკვნებს გვერდი აუარეს.** ასე გაყალბებული საქმე გადასცეს უზენაეს სასამართლოს. **გაუბედურებული და გამწარებული დედა უფრო გამაცოფეს**. მოსამართლე გახლდათ სულიკო ციცვიძე. ჩატარდა სამარცხვინო სასამართლო. პროცესზე არ იყო მოპასუხე მხარე და არც ეჭვმიტანილი „ბეტეერის“ მძღოლი. წარმოიდგინეთ, განადგურებულ დედას მოსამართლემ მკითხა — საჩივარი წავიკითხოო? არ ვიცი, რამდენად დამიჯერებთ, მაგრამ გეტყვით, მოსამართლე **ციცვიძემ წესიერად კითხვაც კი არ იცის, დამარცვლით ძლივს ამოიკითხა, სიტყვა „ჯავშანტრანსპორტიორი“. დამარცვლა ერთია, მაგრამ, რომ წაიკითხა, აზრი ვერ გამოიტანა, თუ რას ნიშნავდა ეგ სიტყვა და ხელისქნევით მკითხა, — ქალბატონო, თქვენ რომელ ტრანსპორტში იჯექითო.** ვუპასუხე, „ბეტეერში“ ვიჯექი-მეთქი და დაიჯერა. სადათიერაშვილისა და ციცვიძის მსგავსი მოსამართლეების ხელში რომ ვართ, ამიტომაა ეს ცხოვრება კარგად აწყობილი. **მე საქართველოში სამართალი ვერ ვიპოვე.** როგორ შეიძლება, მოსამართლემ ვერ გაიგოს, „ბეტეერში“ ვიჯექი თუ მანქანაში?! თვე-ნახევრის შემდეგ, საქმე ძლივს რომ შეისწავლა, ძველი გადაწყვეტილება გააუქმა და გამოძიებას ხელახლა დაუბრუნდა. 2005 წლის აპრილიდან საქმე დღემდე ქალაქის პოლიციის სამმართველოშია.

„ადვოკატი მყავს აყვანილი, მაგრამ რად მინდა, ქალაქის პოლიციის სამმართველოში ყველაფერი მიუღწეველია. დამტანჯეს, დღემდე სამართალი ვერ მიპოვნია.

**არ ვიცი, როგორ ვთქვა, მაგრამ ერთ-ერთ გამომძიებელს ჩემი შვილის ცოდვამ უკვე უწია. ისიც წელიწად-ნახევარი დამალობანას მეთამაშებოდა. არაფერი გაუკეთებია, ვერც ვნახულობდი. ისეთი ავარია შეემთხვა, რომ ნაგლეჯ-ნაგლეჯ აკრიფეს.**

მართალია, გამწარებული და შვილმკვდარი დედა ვარ, ასე არ უნდა ვსაუბრობდე, მაგრამ ღირსი იყო. მათ, ვინც ჩემი შვილის საქმის გაყალბებას ფიქრობენ და სამართალს გვერდს უვლიან, ღმერთი არ აპატიებს. ახლა საქმეს პროკურორი სალომე ჯანუაშვილი კურირებს. ღმერთმა მასაც მოჰკითხოს ჩემი ცოდვებისთვის. რა ვქნა, არ ვიცი, გამომძიებელი წამდაუწუმ იცვლება. ვიდრე ახლის გვარს გავიგებ, წასულია და ასე გრძელდება უსასრულოდ. ქალაქზე ვრეკავ, პასუხს არავინ მაძლევს, მობილურზეც არავინ მპასუხობს. თუ შემთხვევით ვიღაცამ აიღო ყურმილი და დამელაპარაკა, არ არის, გასულიაო, — მპასუხობენ. სულ გასულები თუ არიან, საინტერესოა, რაში იღებენ ხელფასს? მასხრად აგდების მეტს არაფერს მიკეთებენ. თითქმის ყოველდღე დილომში დავდივარ. **ვწერ, ვწერ და ისევ მე ვკითხულობ. დასტებად მაქვს განცხადებები, მაგრამ რა აზრი აქვს?** გამომძიებელს ველაპარაკები და მპასუხობს, გენაცვალე, მე არაფერ შუაში ვარ, პროკურორზეა ყველაფერი დამოკიდებულიო. პროკურორს ვურეკავ და მუდმივად წასულია. განგებ არ იძიებენ. **ამისთანა უბადრუკი ქვეყანა არ არსებობს.** „ბეტეერს“ **ავთანდილ მამალაძე მართავდა. ჩემი შვილის ცოდვით არ გაიხაროს.** ღმერთი კი გადაუხდის, მაგრამ მე რა დავაშავე, ეს უბედურება რომ დამემართა. არ იძიებენ იმიტომ, რომ „ვარდების რევოლუცია“ უსისხლო უნდა იყოს თურმე... ყველას, ვინც ამ საქმის გამყალბებელია, ღმერთმა საკუთარი სისხლის ფასად აზღვევინოს. რისთვის, რატომ? დამნაშავე დაიჭირონ, რა იქნება. ექვსი წელიწადია, ჩემი შვილი მიწის პატიმარია და მკვლელი ერთი საათითაც არ აუყვანიათ. ისე გავზარდე, რომ არ მიფიქრია, ოდესმე პოლიცია დამჭირდებოდა. ახლა კი დღე და ღამე დილმის პოლიციის სამმართველოში ვარ, მაგრამ რისთვის? არავინ არაფრად მაგდებს. ვის არ ვთხოვე დახმარება — არ დამიტოვებია არც ერთი ინსტანცია, პოზიცია, ოპოზიცია, სახალხო დამცველი, კანცელარია და ა.შ. ყველა ერთსა და იმავეს მეუბნება, **მართალი ხარ, ქალბატონო, დამნაშავე უნდა დაისაჯოსო, მაგრამ დამსჯელი არავინაა**. ადრე საყვარელიძე იყო ქალაქის პროკურორი. ძლივს მოვახერხე მასთან შეხვედრა. მოვუყევი ჩემი უბედურება. მიპასუხა, ქალბატონო, გავეცნობი საქმეს და დაგეხმარებიო. ამით მთავრდება ყველაფერი. შემდგომ არ არსებობს, ვინმე რამით დაგვეხმაროს. ოჯახში მომდის შეტყობინება, სადაც ორიოდე სიტყვით წერია, თქვენი საქმე ძიებაშიაო. ეს დაცინვაა. 2003 წლის 22 ნოემბრიდან დღემდე ძიებაშია. არადა, ხუთი დღეც არ დასჭირდებოდა დამნაშავის დაპატიმრებას და ციხიდან აქამდე ცხრაჯერ გამოვიდოდა.

ოდესმე კი ვიპოვი სამართალს, მაგრამ ვიქნები მანამდე ცოცხალი? უბრალოდ, სულიერ სიმშვიდეს მაინც მომგვრიდა, მამალაძეს რომ პასუხისგება დაკისრებოდა.

**დღეს შვილიშვილების მოვლით უნდა ვიყო დაკავებული, მე კი დავრბივარ სასამართლოში, რომ დამნაშავე რამენაირად დაისაჯოს.**

მაიძულებენ, პირადი ანგარიშსწორებით მოვუღო ბოლო. ჩემთვის არც ეს იქნება ძნელი. იქამდე მიმიყვანენ, რომ დამნაშავეს საბოლოოდ მე მოვუღებ ბოლოს.

უკვე შურისძიებაზე ვფიქრობ. სიცოცხლით სავსე ბიჭი იყო, საცოლეც ჰყავდა, მალე ნიშნობა უნდა შემდგარიყო.

**ავთანდილ მამალაძეს რატომ აფარებენ ხელს სააკაშვილი და პროკურატურა?**

მას არც ნაწილიდან გამოსვლის უფლება ჰქონდა. მართვის მოწმობა აქვს, სადაც ნომერი არაა მითითებული. როგორ შეიძლება, სახელმწიფომ გასცეს მართვის მოწმობა ნომრის გარეშე? გაყალბებულია ყველაფერი.

სტრასბურგშიც უნდა გავასაჩივრო. იქნებ, იქ ვიპოვო სამართალი, მაგრამ საქმეს არ ასრულებენ. ვეხვეწები, დასკვნა გამოიტანეთ, როგორც გინდათ, ისე დაწერეთ განაჩენი, მაგრამ ამაოდ.

**ირმა ჩიტაია**

**P.S. მომხდარმა ორი ოჯახი გააუბედურა. უპატრონოდ დარჩნენ ქალბატონ მარინეს დისშვილები. ბავშვებმა დედა, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდათ, სწორედ მაშინ დაკარგეს. მარინე საყვარელიძის თქმით, ბავშვებს კალთაში ედოთ მკვდარი დედა. მაშინ ისინი 10, 11 და 12 წლისანი იყვნენ.**

## მოსამართლე ციცვიძემ წესიერად კითხვაც კი არ იცის, დამარცვლით ძლივს ამოიკითხა სიტყვა «ჯავშანტრანსპორტიორი»

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რატომ მფარველობენ «ბარიგებს»?!

**თბილისის სააპელაციო სასამართლომ ზაურ ბოიახჩიანს ჩაუდენელი დანაშაულისთვის 8 წელი და 6 თვე მიუსაჯა. მას პროკურატურა ნარკოტიკების შეძენა-შენახვასა და გასაღებაში სდებდა ბრალს. თავად ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და ამბობს, რომ სამი აბი სუბოტექსი ჩაუდეს. ადვოკატი თამაზ ილიაშვილი ამტკიცებს, რომ ბოიახჩიანი იმ „ბარიგის“ მსხვერპლია, რომელმაც, საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ, „პროკურატურაში ერთი ადამიანი „ჩაუშვა“, თუმცა რამდენად შეესაბამება მისი ნათქვამი სიმართლეს, ამას პროკურატურისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ის ბარიგა კი კიდევ ბევრ უდანაშაულოს გააუბედურებს“, — ამბობს ილიაშვილი.**

## «ხელს აძლევთ ასეთი ადამიანების თავისუფლად პარპაში, რადგან მხოლოდ ნარკოტიკებზე მიღებული ჯარიმებით 12 მილიონი შედის ბიუჯეტში»

ბოიახჩიანი 2008 წლის 5 ნოემბერს დააკავეს. საბრალდებო დასკვნაში პროკურორი წერს, რომ: **„ბოიახჩიანი ვინმე ქარჩავას ჩვენების საფუძველზე დააკავეს. იგი საღამოს ექვს საათზე ქავთარაძის ქუჩაზე სოდის სამმა თანამშრომელმა აიყვანა. პირადი ჩხრეკის შედეგად შარვლის ჯიბიდან ამოღეს სამი აბი წარწერით „ბ8“ და ოთხი ცალი აბის ნატეხი. ხოლო მისი დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას კარადაში დადებული ფეხსაცმლიდან ამოიღეს ერთჯერადი მოხმარების საინექციო შპრიცი სითხით“.**

ბოიახჩიანი ამბობს, რომ ქარჩავასთან მიდიოდა ნარკოტიკების შესაძენად. იგი არ უარყოფს, რომ მომხმარებელია, თუმცა კატეგორიულად უარყოფს, რომ ნარკოტიკებს ყიდდა. ამასვე ამტკიცებს ქარჩავაც, თუმცა პროკურატურამ დაუჯერა და შეიბრალა ის, ვინც პირველმა მოასწრო „ჩაშვება“.

ბოიახჩიანის დაკავებას მოწმეები არ ჰყავს. დაკავებული ამბობს, რომ იგი ითხოვდა, მოწმეების თანდასწრებით გაეჩხრიკათ, მაგრამ სოდის თანამშრომლებმა ყოველგვარი წესისა და კანონის დაცვის გარეშე დააკავეს. პროკურორი სოდის თანამშრომლების ამ ქმედებას შეცდომას უწოდებს, თუმცა სასამართლოს სთხოვა, რომ, მიუხედავად ამისა, წარდგენილ ბრალდებას ენდონ.

დაკავების ფაქტით აღშფოთებული ადვოკატი თამაზ ილიაშვილი აცხადებს, რომ ეს სოდისა და პროკურატურის ერთგვარი პოლიტიკაა.



**„ბოიახჩიანს საქალაქო სასამართლომ ცხრა წელი, ექვსი თვე და 3 000 ლარი ჯარიმა დააკისრა, თუმცა ვერ გეტყვით, რის საფუძველზე გამოიტანა მოსამართლემ განაჩენი. ზაურ ბოიახჩიანის ბრალდების საქმე განეკუთვნება იმ კატეგორიას, როდესაც უდანაშაულო პიროვნებას მსჯავრი დაედო დანაშაულისთვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. უკვე განხილული საქმე ამის კლასიკური მაგალითია, რაც, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათია დღევანდელ სინამდვილეში.**

**საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აღიარებს საყოველთაო სამართლებრივ დებულებებს ადამიანის უფლებათა შესახებ. კონსტიტუციური და სისხლისსამართლებრივი ნორმები ადამიანის უფლებების, კანონიერებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპებიდან გამომდინარე, ყოველგვარი დათქმის გარეშე ადგენს, რომ კანონდარღვევით მიღებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არ აქვს. გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. პირველი ინსტანციის სასამართლომ კი გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაუდო საპროცესო ნორმათა დარღვევით შეკრებილი და დაუშვებელი მტკიცებულებები.**

**ბოიახჩიანის ჩხრეკის დროს დაირღვა კანონით დადგენილი წესი, რის გამოც ჩხრეკის დროს ამოღებული საგნები მტკიცებულების მნიშვნელობას კარგავს. ბრალდებული ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ეპიზოდშიც უნდა გამართლდეს, ვინაიდან განაჩენი ამ ნაწილში ემყარება მხოლოდ ქარჩავას გათქმას, რასაც ბოიახჩიანი უარყოფს,“** — ამბობს თამაზ ილიაშვილი.

სააპელაციო სასამართლომ ბრალდებული მხოლოდ ნარკოტიკების გასაღების ეპიზოდში გაამართლა, თუმცა ამ განაჩენის შემდგომ პროკურატურას არანაირი რეაგირება არ მოუხდებია ქარჩავას წინააღმდეგ. არადა, ქარჩავას ცრუ დასმენა თითქოს ბოიახჩიანი ნარკოტიკებს ყიდდა, არ დადასტურდა.

**„ბოიახჩიანი ამტკიცებს, რომ ნარკოტიკების გამსაღებელი ქარჩავაა, მაგრამ ასეთი ადამიანები სჭირდება დღევანდელ სოდს, პროკურატურას და, საერთოდ, დღევანდელ სახელმწიფოს. ქარჩავა გააგრძელებს თავის საქმიანობას, იგი კიდევ ბევრ უდანაშაულო ადამიანს დააბრალებს იმას, რასაც თვითონ აკეთებს და დაუსჯელი დარჩება. ხელს აძლევთ ასეთი ადამიანების თავისუფლად პარპაში, რადგან მხოლოდ ნარკოტიკებზე მიღებული ჯარიმებით 12 მილიონი შედის ბიუჯეტში“,** — ამბობს თამაზ ილიაშვილი.

# ძმამ ძმა მოკლა... ხვრინვისთვის

**შემზარავი მკვლელობა მოხდა გორის რაიონში. ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ძმამ ძმა მოკლა. მკვლელობის შემდეგ ეჭვმიტანილი მიიმალა. სამართალდამცავებმა იგი სამი დღის შემდეგ დააკავეს. დაკავებულმა დანაშაული აღიარა და მკვლელობის მოტივზეც ისაუბრა.**

დანაშაული გორის რაიონის სოფელ კარალეთში 8 ნოემბერს მოხდა. 34 წლის ელგუჯა იარღანაშვილმა დანით საკუთარი ძმა — გურამ სუხიტაშვილი მოკლა. ძმამ ძმას დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. შელაპარაკება კი, როგორც დაკავებულის ჩვენებიდან ირკვევა, სრულიად უმნიშვნელო რამეზე მოუვიდათ.

მკვლელობის დღეს ელგუჯა იარღანაშვილი სახლში ნასვამი მივიდა. იგი მეზობელთან იმყოფებოდა, შეშის დაჩეხვაში ეხმარებოდა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ მეზობლებმა იქეიფეს.

დაკავებულის ჩვენების მიხედვით, ძმამ იმის გამო უსაყვედურა, რომ შინ ნასვამი მოვიდა. მათ შორის დაწყებული საუბარი ჯერ შეკამათებაში, ხოლო შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა. რაც საბოლოოდ, ერთ-ერთის სიკვდილით დასრულდა.

**„სახლში მივედი, მკვლელობის წინა დღეს დავისვენე, მეორე დღეს მეზობელმა დამიძახა მისახმარებლად. მივეხმარე. საღამოთი პური ვჭამეთ და სახლში ნასვამი წამოვედი. სახლში ჩემი ძმა, გურამ**



**სუხიტაშვილი იყო. ჩვენი საუბარი კამათში გადაიზარდა; „ახლა ნასვამი მოხვედი, უნდა იხვრინოო“. მე ვუთხარი, შემეშვი, თუ არ გსიამოვნებს ჩემი ხმა, მე ხომ რძალთან ვარ მოსულიმეთქი. წავკამათდით. ჩხუბი მოგვივიდა და საკუთარი დედმამიშვილი შემომაკვდა,“ — ამბობს თავის ჩვენებაში იარღანაშვილი.**

ჩხუბის დროს იარღანაშვილმა ძმას დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. გამოძიების მასალების მიხედვით, მრავლობითი ჭრილობების შედეგად გურამ სუხიტაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა.

საქმეს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველო იძიებს. დაკავებულს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.

ელგუჯა იარღანაშვილი წარსულში ქურდობისთვის არის ნასამართლევი.

# 11 წელი — სიძის მკვლელობისთვის

**ვარკეთილის მესამე მასივში 28 წლის მიხეილ პატიაშვილმა შელაპარაკების ნიადაგზე საკუთარი სიძე, 42 წლის დემურ ივეჩიანი დანის ერთი დარტყმით მოკლა.სასამართლოზე დაზარალებული მხარე ბრალდებულის უმკაცრესად დასჯასა და ზარალის ასანაზღაურებლად 25 ათას ლარს ითხოვდა. საქალაქო სასამართლომ კი სიძის მკვლელობაში ბრალდებულ პატიაშვილს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

როგორც დაზარალებული მხარის ადვოკატი ნანა ნანსყანი ამბობს, სასამართლომ პატიაშვილს ჰუმანური განაჩენი გამოუტანა.

სასამართლომ, ასევე, არ დააკმაყოფილა დაზარალებული მხარის მოთხოვნა პატიაშვილის მხრიდან 25 ათასი ლარის ანაზღაურების შესახებ, ვინაიდან არ იყო დაკონკრეტებული, თუ რა ზარალის ანაზღაურებას ითხოვდნენ.

მიხეილ პატიაშვილი ცოლშვილთან ერთად ვარკეთილის მესამე მასივში ცხოვრობს. მისი და, ნონა პატიაშვილი, 6 წელია დემურ ივეჩიანზე იყო დაქორწინებული, მაგრამ შვილი არ ჰყავდათ. ისინი აფრიკის დასახლებაში ცხოვრობდნენ. როგორც ახლობლები და მეზობლები აღნიშნავენ, დემურ ივეჩიანს და მიხეილ პატიაშვილს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და მშენებლობაზე ერთად მუშაობდნენ.

**ახლობლების განცხადებით, მკვლელობის დღეს პატიაშვილის მამის წლისთავი იყო. დემურ ივეჩიანიც, რა თქმა უნდა, იმყოფებოდა სიმამრის წლისთავზე და, როგორც ოჯახის ყველაზე ახლობელი ადამიანი, ამ სუფრას თამადობდა კიდეც. ახლობლების თქმით, დემურ ივეჩიანს სიმთვრალეში ცუდი ხასიათი ჰქონდა, ამ სუფრასთანაც იგინებოდა.**

პატიაშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა:

**„დემური დათვრა და სუფრაზე გინება დაიწყო, მაგრამ მოვახერხეთ და დასაძინებლად დავაწვინეთ. მოგვიანებით, სტუმრებს ვაცილებდი, როცა შემოვბრუნდი დემური სუფრასთან დამხვდა. ვუთხარი, რა იყო, ბიჭო, რა გინდოდა, რას გვაგინებდი-მეთქი. მან მითხრა, ჩემი ხასიათი ხომ იციო და ერთმანეთი გადავკოცნეთ. ჩემი სიძის მანქანა კორპუსის წინა მხარეს იდგა და სადგომზე უნდა დაგვეყენებინა. დემური რომ ჩავიდა, მეც ჩავყევი, რადგან მას მანქანა სიმთვრალეში სწრაფად დაჰყავდა. მანქანა ვერ დაქოქა, რადგან სადენები იყო გაწყვეტილი. ამაზე გაბრაზდა და დამიწყო ჩხუბი – შენ რა კაცი ხარ, შენი ხალხი მანქანას მიძარცვავსო. ვუთხარი, მე გავაკეთებმეთქი, მაგრამ მიპასუხა, შენ რას გამიკეთებ, შე ინდაუროო. მეჩხუბებოდა და, რომ ვერაფრით დავაწყნარე, ჯიბიდან დანა ამოვიღე, რომელიც სასაფლაოდან წამომყვა. შევაშინე, ვენებს გადავიჭრი და მერე ხომ დაწყნარდები-მეთქი, მაშინ ცალი ხელით დანიანი ხელი დამიჭირა და მეორეთი მახრჩობდა.**

**დედაჩემმა და ჩემმა დამ ჩვენი გაშველება სცადეს, მაგრამ მან ჩემს დას ხელი დაარტყა. ჩვენ ბორდიულთან ვიდექით, დედაჩემსაც ფეხი აუსხლტდა, წაიქცა და ჩვენც თან გადაგვიყოლა, რა დროსაც დემური წამოეგო დანას.**

დემურ ივეჩიანი მეზობლის მანქანით მაშინვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. მაგრამ მას კისრის არტერია ჰქონდა გადაჭრილი და მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

დაცვის მხარემ სასამართლოზე განაცხადა, რომ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს, რომ ივეჩიანისთვის დანა არ დაურტყამთ. თავად პატიაშვილი აღიარებს და ინანიებს დანაშაულს, არ უარყოფს რომ სიძე მისი ხელით მოკვდა, მაგრამ ამბობს, რომ მას არ ჰქონდა განზრახული მისი მოკვლა.

მოკლულის და, ლილი ივეჩიანი აცხადებს რომ ეს განზრახ მკვლელობა იყო:

**„დემური მიშას ყოველთვის ძმასავით ედგა გვერდით. ყოველთვის ყველაფერში ეხმარებოდა, ფულითაც ბევრჯერ დახმარებია. ჩემი ძმა არ იყო მისი მხრიდან მოკვლის ღირსი. ეს არ არის შემთხვევითი მკვლელობა. ალბათ, ფული ექნებოდა წაგებული, ჩემს ძმას მოსთხოვდა ფულს და ამაზე იჩხუბებდნენ. როგორც ჩანს, დემურიმ ფულის მიცემაზე უარი უთხრა და ამ უმადურმა სასიკვდილოდ გაიმეტა.**

გარდაცვლილის მეუღლე და ბრალდებულის და, ნონა პატიაშვილი აცხადებს, რომ მომხდარის შემდეგ მეუღლის ნათესავები მის ახლობლებს ემუქრებიან და ფულს სძალავენ:

**„რაც ჩემი ქმრის მკვლელობის შემდეგ ხდება, საშინელებაა და შეიძლება არავინ დაიჯეროს. რაც მე და ჩემს ქმარს ექვსი წლის განმავლობაში გვქონდა შეძენილი, ყველაფერი წაიღეს – ბინა გაალეს და გაიტანეს ყველაფერი. ხუთი ათასი დოლარი ჩემი ხელით გადავეცი და ახლა 25 ათასს მთხოვენ. გვემუქრებიან, აგაფეთქებთო. აღდგომას მამაჩემის საფლავზე ყუმბარა დადეს და ააფეთქეს. იქ მარტო ჩვენი ოჯახის წევრები კი არა, უამრავი ხალხი შეიძლებოდა დაზარალებულიყო. ეს მათი გაკეთებულია, რადგან სხვა მტერი ჩვენს ოჯახს არ ჰყავს. მე დაზარალებულად არ მცნეს, არადა ორმაგად დაზარალებული ვარ – ჩემმა ძმამ ჩემი ქმარი მოკლა. მეუბნებიან, თუ ქმარი გიყვარდა, მაშინ ქმრის მკვლელი ძმა მოკალიო, მაგრამ მე რა უნდა ვქნა, რას მერჩიან? მინდა, ჩემი ქმარი მშვიდად ვიგლოვო.**

გვერდი მოამზადეს
**სალომე გოგოხიამ და მაკა ქობალიამ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# წვერი და უძო

## სკვირეთის ხეობა

**მდინარეს, რომელიც ვერეს სახელწოდებით ჩამოგვიდის თბილისში, ადრე სკვირეთი ერქვა. ვერე მხოლოდ იმ ერთ-ერთი შენაკადის სახელი იყო, რომელიც სკვირეთს წყლულეთთან უერთდება. ამ შენაკადის სათავესთან ცნობილი ლასტის ციხის ნაშალია. სკვირეთის ხევის მარცხენა მხარეს არის რამდენიმე პატარა სოფელი და ნასოფლარი: შავთა, ვანათი, ღვევი, წყლულეთი, ნახშირგორა და ბოლოს ვერე, რომელიც დღეს თბილისის უბანია და ტოპონიმით ატენის ხეობიდან უნდა მოდიოდეს. ხეობის მარჯვენა კალთებზე არის შემდეგი სოფლები და ნასოფლარები: დრე, წვერი, კვესეთი, ბეთანია, აკურისი, ახალდაბა, უძო, წყნეთი.
კოჯორი და კიკეთი სკვირეთისა და ალგეთის წყალგამყოფი ქედის კორტოხზეა.**


წვერის „ღვთისმშობელი"




წვერის „წმიდა გიორგი"

ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებს: **„ვანათს ქვეით არს ციხე წვერისა... ამას ქვევით, სამხრით, ყოვლადწმიდის მონასტერი ბეთანია... ამას ქვეით არს ახალდაბა და მის დასავლით უძო, ეკლესია წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა — მჭვრეტი კოჟრისა და ტფილისისა".**

ხეობისაკენ ნოემბრის შუა რიცხვებში გავწიეთ გამოდარების ამაო ლოდინის შემდეგ. „მიცუბიშის" პატრონი ალექსანდრე მაისურაძე (სასულიერო აკადემიის სტუდენტი) და ოპერატორი მალხაზ ღუღუნიშვილი, რომლებიც შიშველი ენთუზიაზმით და ციხეტაძრების სიყვარულით დამყვებიან, წვიმასა და ქარს არც ამჯერად შეუშინდნენ. განსაკუთრებული ჯაფა ალექსანდრეს ადგას: ტყეში გამავალ ოღრო-ჩოღრო და თიხანარევ გზაზე მანქანა თუ მოცურდა, ხევში ამოვჩნდებით.

თავდაპირველად წვერი გვაქვს სანახავი.

სოფელი წვერი, რომელიც ამჟამად მოზრდილი საგარაკო დასახლებაა, ზედ მდინარის ნაპირზე მდებარეობს. ძველი სოფლიდან შემორჩენილია განვითარებული შუასაუკუნეების დარბაზული ეკლესია, რომელიც ახლახან, მართლაც, კარგად აღუდგენიათ მოახალშენეებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მცირე ტაძარი (7,3X4,7 მ) მანამდეც აღუდგენიათ, მაგრამ, ჩანს, ძველი ქვების ნაწილი გაზიდული დახვედრიათ და მათ ნაცვლად აგური გამოუყენებიათ, ორ ადგილას ბუნის ქვა და მცირე ემბაზიც ჩაუყოლებიათ. ეკლესია მოვლილია.

ამ ეკლესიასა და სოფელს თავს დაჰყურებს ერთი მაღალი, ციხესიმაგრის მსგავსი კლდე, რომელზეც ვახუშტი ბატონიშვილის ნახსენები წვერის ციხე უნდა მდგარიყო. ციხის კედლები დღეს აღარ არსებობს. მის ნაცვლად მიუდგომელ კლდეზე წმიდა გიორგის ეკლესიაა წამომართული. იგი კარგად მოჩანს წყნეთიდან მანგლისისკენ მიმავალი ტრასიდან მარჯვენა მხარეს. აქ დიდი ხნის წინათ ვარ ნამყოფი, მას შემდეგ კი ვიღაც მადლიანს კიბე აუყვანია კლდის კორტოხზე. ეს მინიატურული ეკლესია, რომელიც XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზეა აგებული, ხუროთმოძღვრულად დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა და მშენებლის ღვაწლი უსათუოდ ყურადსაღებია. შეწირული ხატებით სავსე ეკლესიის ჩრდილოეთ კედელში (ინტერიერში) ჩადგმულ ფილაზე ქტიტორის საინტერესო გალექსილი წარწერაა:

**„ჩემი დრონი და სიცოცხლე
ხშირად ლხინით გავატარე,
მოკეთესა და უცნობსა,
რაც შემეძლო, დავეხმარე,
ძე არ მომცა მეუფემა,
თუმცა ბევრი ვემუდარე.
ეკლესია აღვაშენე,
ჩემის ოფლით მოვაგვარე,
წვერის წმინდა გიორგისა
გზა და წყარო ვამდინარე,
ვინც ჩემს შემდეგ მოუვლისა,
ღმერთო ისიც გაახარე.
ამირანა სიმონის ძე
ვარშაკიძე ვარ მდებარე,
წამკითხველო, გევედრები,
შენდობითა გამახარე.**
***შობიდან 77 წლისა გარდაცვალე 1910 წლის 25 მარტს".***

თითქმის იგივე სიტყვებს იმეორებს მისი მეუღლე სოფიო იოსების ასული, რომელსაც ქმართან ერთად უშენებია ეს ეკლესია.

ეკლესია შიგნიდან მთლიანად არის მოხატული ოღონდ არაკანონიკურად და რამდენადმე რუსული სკოლის მიბაძვით. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ კედელზე მთელი ტანით გამოსახული თამარ მეფის მოხატვისას ფერმწერს შეძლებისდაგვარად გაუმეორებია ბეთანიისა და ყინწვისის ფრესკების ფორმები. როგორც ჩანს, ამირან ვარშაკიძეს ფული და ცდა არ დაუკლია იმისათვის, რომ საყდარი ყოველნაირად დაემშვენებინა. ისტორიისთვის უცნობი ამ პიროვნების ასეთი ღვაწლი დიდად დასაფასებელია.

გაოცებას იწვევს ერთი გარემოება, რომელიც უნებლიედ ჰეროდოტეს მიერ აღწერილი ბაბილონის გოდოლის სალოცავს მახსენებს, სადაც თურმე რჩეული და ერთადერთი ქურუმი ქალი ათევდა ღამეს და ღმერთ მარდუქის გამოჩენას სარეცელზე წამოწოლილი ელოდა. წვერის წმინდა გიორგის ეკლესიის დარბაზში დასავლეთ კედელთან მიდგმული, წითელი ნაჭრით შემოსილი ტახტი იმას მაფიქრებინებს, რომ აქ იშვიათად, მაგრამ მაინც ათევდნენ ღამეს უშვილობით შეწუხებული მლოცველი ქალები. სხვა დატვირთვა ამ წითლად შემოსილ ტახტს რა უნდა ჰქონდეს, წარმოუდგენელია — ეს ხომ საყარაულო ჯიხური არ არის! როგორც ჩანს, ვიღაცამ, წაიკითხა რა ვარშაკიძეების ეპიტაფია, დაასკვნა — რაკი ცოლ-ქმარი ნიადაგ ძის გაჩენას შეთხოვდა უფალს, ეკლესია ამ სავედრებელი ლოცვით იქნება გამთბარი და განსაკუთრებული ძალა ექნებაო. ნეტამც!..

ახლო-მახლო სანახებში ეს ამ სახის ერთადერთი ეკლესია არ არის. მეორე ასეთი საყდარი კოჯრიდან ჩრდილო-დასავლეთით 1,5 კილომეტრშია და ზღვის დონიდან 1450 მეტრის სიმაღლეზე, ამ ადგილებში ყველაზე თვალშისაცემ ბორცვზე დგას. ეს უძოს „წმიდა გიორგია". მოზრდილი დარბაზული ტიპის საყდარი (გარე ზომები: 8,6X5,3 მ) XI საუკუნის ნაგებობა უნდა იყოს. იგი კარგად გათლილი მოვარდისფრო და ჩალისფერი ქვიშაქვის დიდი კვადრებით ყოფილა ნაშენი, მაგრამ დანგრეულა და XIX საუკუნეში აღუდგენიათ. როგორც ჩანს, ტაძრის ქვების დიდი ნაწილი გაზიდული ყოფილა და კალატოზს მათ ნაცვლად აგურით დაუსრულებია კედლები. ამიტომ, აღმოსავლეთ ფრონტონში სარკმლის ღიობში ნაჩვრეტებიანი ლითონის ფირფიტა ჩაუდგამთ და ისე შეულესავთ, ქვა გეგონებათ, ხოლო თავსართად — მკვიდრი, ვარდულებიანი სამკაულით მოჩუქურთმებული ლოდი დაუტოვებიათ. ტაძარი, ამის გარდა, მხოლოდ ერთადერთი სამერცხულით ნათდება დღეს. იგი დასავლეთის ფრონტონშია მოთავსებული და ამოჭრილია ერთობ უცნაური რელიეფით შემოწერილ ქვაში. ტაძარს ერთადერთი შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, მაგრამ XIX საუკუნის რესტავრატორს იგი ისე დაუმახინჯებია, რომ არქიტრავს ფორმა დაუკარგავს. დარბაზი შიგნით ნახევარწრიული საკურთხევლის აფსილით სრულდება და ახალი, ხის კანკელით არის გამოყოფილი. კამარების თაღი ოდნავ შეისრულია. ამჟამად მიმდინარეობს ტაძრის შემდგომი შეკეთება და სამონასტრო კომპლექსის სხვა ნაგებობების მშენებლობა.


უძოს „წმიდა გიორგი"

საინტერესოა ტოპონიმი „უძო", რომელიც თავდაპირველად იმ უძოვარი მთისგან წარმოქმნილი სახელი მეგონა, რომელზეც, ეკლესიის არსებობის გამო, საქონლის მიშვება აკრძალული იყო. ეს აზრი მას შემდეგ შემეცვალა, რაც ერთი აქაური მშენებლის სიტყვები მოვისმინე:

— აქ ხშირად ამოდიან უშვილო, უმეტესად კი — უძეოდ მყოფი ახალგაზრდა ქალები და წმიდა გიორგის შველას თხოვენ. ამ ზაფხულს აქ იტალიელი და გერმანელი ქალებიც კი ამოვიდნენ.

აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ უძოვარი მთისგან კი არ მიიღო ეკლესიამ მეორე სახელი, არამედ პირიქით უძეოთა სალოცავის გამო დაერქვა ამ ბორცვს უძო" (უძეო // უძო).

უძო ჩრდილოეთით წყნეთის ერთ-ერთ ახალ უბანს უჭვრეტს, სამხრეთით კი — კოჯორსა და მის ცნობილ ციხესიმაგრეს.

კოჯორში, ამ ციხესიმაგრის გარდა, შემორჩენილია ერთი შვერილაფსიდიანი საყდარი და გვიანი შუასაუკუნეების გაურკვეველი ხასიათის ნაგებობა.

თავად კოჯრის ციხე ამჟამად XVI-XVIII საუკუნეების სამშენებლო ფენებით არის შემონახული, თუმცა აქა-იქ XI საუკუნის (შეიძლება უფრო ადრინდელიც) ქვათა წყობის ნიშნებს ვხედავთ. ამ ციხესიმაგრეს კიდევ სამი სახელი აქვს: **აგარანი, აზეულა და ქოროღლი.** ეს უკანასკნელი მარნეულის შემოგარენში მცხოვრები ბორჩალოელი თარაქამების მიერ გამოგონილი სახელია. სხვათაშორის, თარაქამებმა იგივე სახელი დაანათლეს ფოლადაურის ხეობაში არსებულ ბერდიკის ციხესაც.

კოჯრის სამი სახელწოდებიდან ყველაზე ძველია აგარანი, რომელიც მრავალგზის გვხვდება „ქართლის ცხოვრების" ქრონიკებში. პირველად იგი ნახსენებია XI საუკუნის პირველ ნახევარში: როცა საქართველოს მეფე ბაგრატ IV აფხაზეთს იდგა, **„მოვიდა ფადლონ** (თბილისის ამირა — გ.ქ.) **და მოადგა აგარათა და მისცნა ციხისთავმან აგარანი".** ამის მცნობელი **„აღმოვიდა მეფე, მოვიდა და მიადგა აგარათა და წარიხუნა აგარანი"** („მატიანე ქართლისაი"); ლორეს ციხის აღების წლისთავზე დავით აღმაშენებელმა **„ივლისს აღიხუნა აგარანი, მეორესა დღესა, ცისკარს, რამეთუ პირველცა ესე ციხე აეღო ბაგრატს, პაპას მისსა, გარნა სამ თვე ბრძოლითა"** (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი). აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომბაგრატ IV-ეს ძალიან გასჭირვებია კოჯრის ციხის დაბრუნება; სწორედ აქ, **აგარაში იდგა გიორგი III 1177 წელს, როცა დემნას მომხრეთა აჯანყების ჩაქრობას ხელმძღვანელობდა.** აქედან გადავიდა იგი ლორეში, სადაც დემნა და ივანე ორბელი იყვნენ გამაგრებულნი („ისტორია და აზმანი შარავანდედთანი"); **ამ ციხეს მოადგა ლაშა-გიორგის მეფობის ჟამს მონგოლთა ლაშქრის მზვერავი რაზმიც** (ლაშა-გირგის დროინდელი მემატიანე), მაგრამ კოჯრის ციხე და მისი შემოგარენი ერთი ტრაგიკული ამბის მომსწრეც არის: ბასილ ეზოსმოძღვარი წერს, რომ ნაჭარმაგევს დასნეულებული თამარ მეფე ჯერ თბილისში წამოიყვანეს, შემდეგ კი აგარანში, სადაც **„ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა"** და სადაც გარდაიცვალა ქართველთა უდიდესი სახელმწიფოს პატრონი. ამასვე იმეორებს ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე. „ისტორია და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ ადგილს: **„მიიცვალა მეფე თამარ ხმელსა დგომასა შინა".** ეს უნდა იყოს აგარანის ციხის ქვევით არსებული მართლაც ხმელი ადგილი, ანუ ისეთი გარემო, სადაც ძალიან ცივი ზამთარი და ძალიან ცხელი ზაფხული იცის. იქ, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, **თამარის მიერ აგებული კაბენის მონასტერია.** ამ ტერიტორიაზე ჩვენ მცირე სასახლის ნაშთებიც ვნახეთ, მაგრამ ეს უკვე სხვა მოგზაურობის მარშრუტია.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-თურქეთის 1877–1878 წლების ომი და საქართველო

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-39

**ყარსის აღებას თავისთავად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამ სიკეთეს ემატებოდა ისიც, რომ აქამდე ამ ციხე-ქალაქის ალყით დაკავებული ნაწილები სხვა უბნებზე მოქმედ ჯარებს შეუერთდნენ და კიდევ უფრო გაზარდეს მათი შეტევისუნარიანობა.**

ომი დასასრულს უახლოვდებოდა, მაგრამ სხვა ფრონტზე რუსთა ჯარის გამარჯვებებს აჭარის მიმართულებით მოქმედი დივიზიის წარმატება არ ემატებოდა. რუსთა სარდლობა ცდილობდა ამ ვითარების გამოსწორებას და ბათუმის აღების გეგმას ადგენდა. 1877 წ. 24 ნოემბერს სვიატოპოლკ-მირსკი მეფისნაცვალს სწერდა, რომ „რუსეთთან ბათუმის შეერთება ამ ომის ყველაზე სასურველი შედეგი იქნება და თუ გვინდა, რომ საზავო მოლაპარაკების დროს ბათუმი ჩვენ დაგვრჩეს, იგი ბრძოლით უნდა დავიკავოთ“. სვიატოპოლკ-მირსკი კარგად ითვალისწინებდა მოსალოდნელ სიძნელეებს და სარდლობას ურჩევდა, ბათუმისაკენ ლაშქრობა ერთდროულად არტაანის, ახლციხისა და ქობულეთის მხრიდან დაეწყო.

1877 წ. 14 დეკემბერს არტაანის რაზმი შავშეთში შეიჭრა და სოფ. ხევი და ხერთვისი დაიკავა. 16 დეკემბერს რუსთა ჯარმა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით აიღო ქ. არტანუჯი, სოფ. ბაცა და ბათუმისაკენ მიმავალ გზაზე გავიდა. 1878 წლის იანვრისათვის მთელი შავშეთი უკვე რუსეთის ჯარების ხელთ იყო.

ბათუმისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მტკიცედ ადგა რუსეთის ორიენტაციას და აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას. სხვების პოზიცია კი გაურკვეველი ჩანდა. ამიტომ რუსთა სარდლობა დიდხანს აჭარაში აქტიურ მოქმედებას ვერ ბედავდა. ბოლოს და ბოლოს შერიფ ბეგის მოთხოვნის თანახმად რუსები ახალციხის მხრიდან შეიჭრნენ აჭარაშიც. დემორალიზებულმა თურქეთის არმიამ ბრძოლის ამ უბანზეც დამარცხება იწვნია.

ციხე-ქალაქი არზრუმი მუხთარ ფაშას ერთადერთ იმედად რჩებოდა. მან მოახერხა გარნიზონის რამდენადმე გაძლიერება. მაგრამ რუსთა მოალყე ჯარი გაცილებით მრავალრიცხოვანი და უკეთ შეიარაღებული იყო. რუსეთის სამმა ქვეითმა დივიზიამ და კავალერიის ნაწილებმა არზრუმის 30 ათასიანი გარნიზონი და 60 ათასი მოქალაქე სრულად მოსწყვიტა გარე სამყაროს. მიუხედავად იმისა, რომ რუს ჯარისკაცებს აკლდათ სურსათი, თბილი ტანსაცმელი და მის რიგებს ტიფის ეპიდემია ანადგურებდა, რუსთა სარდლობა გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა.

როგორც ვხედავთ, რუსეთის არმიამ დიდი წარმატებები მოიპოვა ამიერკავკასია-მცირე აზიის ფრონტზე, მაგრამ გადამწყვეტი ოპერაციები ბალკანეთში გაიშალა. 1877 წ. 10 დეკემბერს რუსთა ჯარმა აიღო ძლიერი ციხე-ქალაქი ბულგარეთში პლევნა, გაანადგურა და დაატყვევა მისი 50-ათასიანი გარნიზონი. ამის შემდეგ გენ. გურკოს ნაწილებმა გადალახეს ბალკანეთის მთები და ბულგარელ მოლაშქრეთა დახმარებით დიდი ზარალი მიაყენეს თურქებს სოფიის დაბლობზე გამართულ ბრძოლებში. 1878 წ. 9 იანვარს გენ. რადეცკის ჯარმა დაატყვევა 21 ათასი თურქი. მალე გენ. გურკოს ჯარის ნაწილებმა გაანადგურეს სულეიმან ფაშას 50-ათასიანი არმია. თურქთა წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. 20 იანვარს რუსთა ჯარმა უომრად აიღო ანდრიანოპოლი და გეზი უშუალოდ კონსტანტინოპოლისაკენ აიღო. თურქეთის სულთანი იძულებული გახდა, ზავი ეთხოვა. 1878 წ. 31 იანვარს დადებულ იქნა დროებითი ზავი, 3 მარტს კი გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება.

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების თანახმად დამოუკიდებლობას ღებულობდნენ ბულგარეთი, ჩერნოგორია, რუმინეთი. რუსეთს უნდა გადასცემოდა ევროპაში ბესარაბია, აზიაში კი – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და დასავლეთ სომხეთის ტერიტორიების დიდი ნაწილი სოღანლუღის მთებამდე.

* * *

რუსეთის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მოსახლეობამ. იგი აქტიურად მონაწილეობდა ამ სახალხო-გამათავისუფლებელ ომში, ეხმარებოდა რუსეთის არმიას როგორც ზურგში, ისე ფრონტზე. ომის მსვლელობაში მრავალმა ქართველმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა გვიჩვენა გმირობისა და თავდადების ნიმუშები. „ქართული ლაშქრის (მილიციის) ნაწილები ფრონტზე მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის არმიის რეგულარული ნაწილების მხარდამხარ. ბათუმის მიმართულებით წარმოებულ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში თავი ისახელეს პირველი და მეორე ქვეითი ქართული რაზმების ნაწილებმა, რომლებშიც ქართლ-კახეთის წარგზავნილები იბრძოდნენ, აგრეთვე, გურიის სახელოვანმა პირველმა ქვეითმა რაზმმა. აფხაზეთის მხრიდან თურქეთის დესანტის შემოტევის დროს გმირულად იბრძოდა ქუთაისის პირველი და მეორე ქვეითი რაზმები და არარეგულარული ცხენოსანი პოლკი. არტაანისა და ყარსისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს ახალციხისა და თიანეთის (თუშების) რაზმებმა.

ქართული ნაწილების სიმამაცესა და მაღალ სამხედრო ოსტატობას ქებით იხსენიებდა რუსეთის არმიის სარდლობა. ქობულეთის მიდამოებში გამართული ერთ-ერთი ბრძოლის მონაწილე გენერალი კოლუბიაკი იტყობინებოდა: „გავიდნენ რა საკმაოდ ჩქარ მდინარე კინტრიშზე და სძლიეს რა მრავალრიცხოვან წინააღმდეგობებს, გაბედული ქართველები სისტემატურად აწარმოებდნენ გააფთრებულ ბრძოლას, იერიში იერიშზე მიჰქონდათ და მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობ ზარალს განიცდიდნენ, მაინც ფრიად წარმატებით მიიწევდნენ წინ“. იგივე გენერალი გურიის პირველი ქვეითი რაზმის შესახებ, რომელსაც შტაბს-კაპიტანი იასე გურიელი მეთაურობდა, წერდა: „ყველანი ხარკს უხდიან გურიის რაზმის დაუვიწყარ გმირობას, ლაშქრისა, რომელიც ამ დღეებში, როგორც ჩვენი მსუბუქი ქვეითი ნაწილი და ადგილმდებარეობასთან უფრო გაცნობილი, მუდამ წინ იყო და თავის მხრებზე გადაიტანა ომის მთელი სიმძიმე“. დაუვიწყარია გმირობა 16 ქართველი გლეხისა, რომლებიც ომის დაწყების პირველივე დღეს მოხალისეებად ჩაირიცხნენ ჯარში. ეს გლეხები სოფ. ლიხაურიდან მოვიდნენ და ხუთი თვის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ. 1877 წლის 23 ოქტომბერს ბათუმის მიმართულებით შეტევის გზაზე უძნელესი საბრძოლო დავალების შესრულების დროს თექვსმეტივე ლიხაურელი ვაჟკაცი გმირულად დაიღუპა.

თურქეთის წინააღმდეგ ომში სახელი გაითქვეს რუსეთის რეგულარული არმიის ქართველმა გენერლებმა და ოფიცრებმა: ზაქარია ჭავჭავაძემ, რომელიც ღირსეულად უფროსობდა მოქმედი კორპუსის ცხენოსან ჯარს და გააფთრებულ ბრძოლებში ექვსჯერ იქნა დაჭრილი; ალექსი ქავთარაძემ, რომელიც მთელი ომის განმავლობაში დარუბანდის 154-ე ქვეითი პოლკის მეთაური იყო და იშვიათი გაბედულებით მიჰყავდა იერიშზე თავისი მებრძოლები; მიხეილ ამირეჯიბმა რომელიც ელიზავეტოპოლის პოლკს მეთაურობდა და ქალაქ არტაანისათვის ბრძოლაში, აგრეთვე, ალაჯის სიმაგრეების იერიშის დროს სიმამაცისა და მხედართმთავრული ოსტატობის მაგალითები გვიჩვენა. თავი ისახელეს, აგრეთვე, ამილახვარმა, მიქელაძემ, კვიტინაძემ, იოსელიანმა, ჭავჭავაძემ, ორბელიანმა, ფანჩულიძემ და სხვ. ქართველმა გენერლებმა, ოფიცრებმა და რიგითმა მოლაშქრეებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვებაში.

მაგრამ ქართველი ხალხის წვლილი რუსეთ-თურქეთის ომში მარტო სამხედრო ოპერაციებში აქტიური მონაწილეობით როდი ამოიწურებოდა. იმის გამო, რომ ომის ასპარეზი მეტისმეტად ახლოს იყო, ზოგჯერ კი საომარი ოპერაციები თვით საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, ჩვენი სამშობლო გადაქცეული იყო სამხედრო ბანაკად და ომში ამა თუ იმ სახით თითქმის მთელი ქართველი ხალხი მონაწილეობდა. მოქმედ არმიას ხალხი დახმარებას უწევდა სურსათით, ფურაჟით, ტვირთების გადაზიდვით, ბინებითა და სხვა მატერიალური საშუალებებით. არმიის შეუფერხებელი მომარაგება საომარი მასალებით და სურსათით უდიდეს ძალ-ღონეს მოითხოვდა. ამ ამოცანის შესასრულებლად ათასობით ქართველი გლეხი მუშაობდა ურმებით, ცხენებითა და აქლემებით.

**დასასრული შემდეგ ნომერში**




## უნივერსალური წყალი „ისიდა“

**მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა**

**სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს და შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს დღიური ნორმის ოდენობით:**

**J იოდი** — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

**F ფტორი** — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

**Ma მანგანუმი** — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

**Ca კალციუმი** — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

**K კალიუმი** — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

**Mg მაგნიუმი** — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

**Na ნატრიუმი** — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

**Zn თუთია** — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და რაც წყაროსი) არ შეიცავს ყველა ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიურ და ხანგრძლივი გამოყენება იწვევს ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს, რომელსაც ეწოდება მიკროელემენტოზი. ამიტომ „ისიდაში“ გადახდილი ყოველი თეთრი დაგიზოგავთ ამ დაავადების სამკურნალოდ გადასახდელ მრავალ ათას ლარს.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკონ თბილისში: 899-16-30-21, 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**






## გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეორე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.





არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «რევოლუციით ორსული ქვეყანა»

**პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, რომელიც უფრო უფლის წყალობაა და გეოპოლიტიკური ქარტეხილების შედეგი, ვიდრე ათეული წლების მანძილზე ორგანიზებული ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება, თითქოს მთელი ერი გაუგებრობაში მოვხვდით. მართლაც, ჩვენ ხომ განცხრომაში ჩაფლული, საკუთარ თავზე უზომოდ შეყვარებული და მიძინებული ერი ვიყავით და, რომ არა უზარმაზარ აღმოსავლურ სივრცეში (სსრკ და აღმოსავლეთ ევროპა) განვითარებული სოციალური და პოლიტიკური კატაკლიზმები, ჩვენ ამისთვის ვერც მოვიცლიდით.**
**ამისთვის მზადაც არ ვიყავით და ამიტომაც იჩინა თავი ქვეყანასა და ხალხში ჩაბუდებულმა პრობლემებმა.**



დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან გავხდით ძალადობისა და ძალმომრეობის მსხვერპლი, როგორც გარე ძალების, ასევე საკუთარი ხელისუფლებისა და პოლიტიკური კლანების მხრიდან, რაც დღესაც გრძელდება. **ამიტომაც ვიქეცით მუდმივად „რევოლუციით დაორსულებულ ქვეყნად“. შეგახსენებთ შტეფან ცვაიგის მარადიულ ფორმულას: „ყოველგვარი ძალმომრეობა საკუთრებას გულისხმობს, ქონებასა და კიდევ უფრო მეტი ქონების სურვილს“.**

**ისიც ხომ კარგად არის ცნობილი, რომ ძალმომრეობით მოხვეჭილ ქონებას მხოლოდ ძალითვე თუ შეინარჩუნებ, იქნება ეს სახელმწიფო თუ სახელმწიფოსთან გაიგივებული ადამიანი — როგორც წესი, შენიღბული გულმხურვალე რიტორიკითა და ხალხსა და ქვეყანაზე თავდადებული ზრუნვით.**

ვინც იზიარებს და ემორჩილება ამ ძალმომრეობის შენიღბულ ფორმებს, ავტომატურად ამართლებს საკუთრების ხელყოფასა და ქონების ყველა ფორმებით მოხვეჭას. მოძალადეს ხელოვნური სიბრმავითა და სიყრუით უმტკიცებენ ერთგულებას, რითაც თვითონაც სარგებლობენ. ზოგი ბევრით, ზოგიც გადმოგდებული ღვეზელის ნაჭრით, ინდაურებით, „დაფასებით“, ყურადღებით თუ მხოლოდ ხელფასით კმაყოფილდება და რა მნიშვნელობა აქვს, რა პროფესიისაა ეს ადამიანი, იქნება ის ელიტა, თვინიერი მოხელე, ღვთისმსახური თუ უბრალო მოკვდავი, ყველა მათგანი ხომ ერთად აქცევს ზურგს იმას, ვინც ძალადობის მსხვერპლია და განწირულია, მუდმივად ლუკმაპურის ძიებაში ამოხდეს სული.

**ადამინები, რომლებიც ქადაგებენ არაძალადობრივ დაპირისპირებას მოძალადესთან, მხოლოდ უხანგრძლივებენ ორივე მხარეს თავის მდგომარეობას. პაციფისტური მოძღვრება მხოლოდ მაძღარი ერების ფილოსოფიაა. რა შეიძლება დაუპირისპირო ძალმომრეობას? მხოლოდ ძალა, და არა აქვს მნიშვნელობა, რამ წარმოშვა იგი — საზოგადოების მღელვარე ენერგიამ თუ ზეწოლის უკუქმედების ენერგიამ.**

ქვეყანა, სადაც მოძალადე რეჟიმის მომხვეჭელობა უსაზღვროა, მოტყუებისა და დათრგუნვის მუდმივ რეჟიმს ინარჩუნებს, მუდმივი რევოლუციითაა ორსულად. **საქართველოც ასეთი ორსულობის პროცესშია. ამ ორსულობის დასრულება, ადრე თუ დროულად, გარდაუვალია და გონიერი მშობელი იმაზე უნდა ზრუნავდეს, როგორ ნაყოფს მიიღებს და ამისთვის მზად იყოს, და არა ორსულობა გაიხანგრძლივოს.**

რა შობს რევოლუციებს, ყველასთვის ცნობილია. მხოლოდ ჭკვიან პოლიტიკოსებზეა დამოკიდებული, როგორ იმოქმედებენ მეანის როლში. **ჩვენ რომ გვყავს, იმაზე უარეს პოლიტიკოსებსაც კი მიუღწევიათ წარმატებისთვის, მთავარია, რეალობა აღიარონ. გონიერი რეჟიმი, როგორც წესი, არ ელოდება რევოლუციას ქვემოდან და არც პროვოცირებას მიმართავს მის დასაჩქარებლად. პირიქით, განსაზღვრავს და ახორციელებს გარდაქმნას, ანუ რევოლუციას ზემოდან — მხოლოდ გარდაქმნას და არა გადალებვას; ერთი ნილბის მეორეთი შეცვლას კი არა, არამედ ძირეულ ცვლილებებს, მაგრამ ჩვენს რეალობაში ამის იმედი არ უნდა გვქონდეს, ვინაიდან ეს რეჟიმი უკვე ახორციელებს ძირეულ ცვლილებებს მხოლოდ ერის ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებით და ამ პროცესების შეჩერება მას არ ძალუძს, როგორც არადამოუკიდებელ პოლიტიკურ გუნდს.**

ხელისუფლების ფენომენი, უპირველესად, იმით განისაზღვრება, როგორი თავისუფლების ხარისხია მის ქმედებებში და რომელი უფრო ჭარბობს მასში — ეგოცენტრული, სამყაროსთან გაიგივებული **მე** თუ უნივერსალური **ჩვენ**. რა ადგილი უჭირავს მის აზროვნებაში ხალხს, საზოგადოებას, ერს და რამდენად რაციონალურია მისი მოქმედების ვექტორი.

**დღევანდელი ხელისუფლების თვისებების ამოცნობა პირველი კურსის სტუდენტსაც კი არ გაუჭირდება, არათუ პოლიტიკოსს.**

**ქვეყნის ლიდერი, რომელსაც ვერ წარმოუდგენია ცხოვრება, თუ სიცოცხლით მთვრალი არ არის, ვერ დაძლევს ეგოისტურ მე-ს. შესაბამისად, ქვეყნისა და ერისთვის სასიკეთო გარდაქმნები შეუძლებელია.**

ნაყოფის მისაღებად მოვემზადოთ.

თუ პროფესიულ ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ — „რევოლუციით ორსული ქვეყანა“ — გამორიცხული არ არის, ამჯერადაც საკეისრო კვეთა დასჭირდეს!

**მერაბ რატიშვილი,**
**პოლიტპატიმარი, პოლიტოლოგი 19.11 2009 წ.**

# „თავსმოხვეული“ უფრო შეურაცხმყოფელია თუ „შარდის ბუშტი“?!

# რატომ უჩივის განათლების პროკავშირების პრეზიდენტი პედაგოგებს?

**საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტი მანანა ღურჭუმელიძე 116-ე სკოლის ორ პედაგოგს დავით ფერაძესა და ქეთევან დოლიძეს ღირსებისა და პატივის შელახვისთვის სასამართლოში უჩივის და მორალური ზარალის ანაზღაურების მიზნით 10 ათას ლარს ითხოვს.**

ქალბატონმა მანანამ სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, რაც სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში დავით ფერაძისა და ქეთევან დოლიძის სამი წერილი დაიბეჭდა.

ავტორები აღნიშნულ წერილებში საუბრობდნენ ძალადობრივ, არალეგიტიმურ და თავსმოხვეულ არჩევნებზე. ისინი, ასევე, ზეწოლის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებად თვლიდნენ 2008 წლის 4 აგვისტოს მანანა ღურჭუმელიძის ინიციატივით აღმასრულებელი საბჭოს მიერ პრეზიდენტისთვის სახელფასო ანაზღაურების 1600 ლარიდან 3000 ლარამდე გაზრდას და საკმაოდ ძვირადღირებული მანქანის შესაძენად ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფას.

სასამართლოში მანანა ღურჭუმელიძის ინტერესებს 4 ადვოკატი იცავს, დავით ფერაძისა და ქეთევან დოლიძისაგან განსხვავებით, რომელთაც, სამწუხაროდ, პედაგოგის სახელფასო ანაზღაურება არ აძლევთ იმის საშუალებას, რომ ადვოკატი დაიქირაონ. მათ უფლებებს სასამართლოში მათი სასამართლო წარმომადგენელი ქალბატონი თამარ ნებიერიძე იცავს.

თამარ ნებიერიძის განცხადებით, მანანა ღურჭუმელიძემ სასამართლოში სარჩელი პედაგოგების დასაშინებლად შეიტანა. „მას სურს, შექმნას პრეცედენტი, რათა სხვა პედაგოგები აღარ დაინტერესდნენ, თუ რაში იხარჯება მათ მიერ გადახდილი საწევრო. განათლების პროფკავშირების პრეზიდენტი ჩემს მარწმუნებელს უჩივის იმის გამო, რომ მათ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ასევე, ადამიანთა უფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლება გამოიყენეს“.



მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ განათლების პროფკავშირების პრეზიდენტისა და აღმასრულებელი საბჭოს არჩევისას მოხდა მთელი რიგი დარღვევები. შესაბამისად, ჩატარებული არჩევნები არალეგიტიმური, ძალადობრივი და თავსმოხვეული იყო. კონკრეტულად, 2007 წლის პირველი დეკემბრის ყრილობაზე ერთდროულად ორი წესდება იქნა გამოყენებული. მანანა ღურჭუმელიძე სასამართლო განცხადებაში თავად ამტკიცებს, რომ მისი არჩევა 2006 წლის 18 იანვრის წესდების საფუძველზე მოხდა. მაშინ, როცა აღმასრულებელი საბჭო 19-კაციანი შემადგენლობით ამავე ყრილობაზე დამტკიცებული წესდებით აირჩიეს. ეს ცვლილებები შესაბამის სტრუქტურებში არ იყო რეგისტრირებული და კანონიერი ძალა არ გააჩნდა.

საგულისხმოა ისიც, რომ 2007 წლის 1 დეკემბერს არჩეულმა საბჭომ, 2007 წლის 8 სექტემბერს 2/3 დადგენილებით განათლების პროფკავშირის ბიუჯეტი დაამტკიცა. ეს სამართლებრივი ცდომილებაც თავად მანანა ღურჭუმელიძის სასარჩელო განცხადებაში არის მითითებული.

საინტერესოა, რა უფლება ჰქონდა, მთელი წლის ბიუჯეტი დაემტკიცებინა სტრუქტურას, რომელიც რეალურად არ არსებობდა?

აღნიშნულ საქმეში ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ განათლების პროფკავშირების პრეზიდენტი პედაგოგებს უჩივის. თავისი სტრუქტურით განათლების პროფკავშირი ის ორგანიზაციაა, რომელიც პედაგოგებს უნდა იცავდეს და არა — დევნიდეს. რაც შეეხება ღირსების შემლახავი ცნობების გავრცელებას, საკითხავია, ვინ ვის შეულახა ღირსება? განათლების პროფკავშირების პერიოდულ გამოცემაში, რომელსაც მანანა ღურჭუმელიძის მეუღლე ზურაბ დათუაშვილი ხელმძღვანელობს, გამოქვეყნდა სტატია. სტატიაში დათუაშვილი პედაგოგ დავით ფერაძეს „შარდის ბუშტად“ და სხვა ამგვარი შეურაცხმყოფელი ფრაზებით იხსენიებს. ამის გამო დავით ფერაძე სარჩელს ამზადებს სასამართლოში შესატანად.

ქართული სასამართლო, იმედია, ობიექტურად დაადგენს, რომელი უფროა პატივისა და ღირსების შემლახავი, როცა კონკრეტულ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით მომხდარს არალეგიტიმურს, ძალადობრივსა და თავსმოხვეულს უწოდებენ, თუ როცა პედაგოგს „შარდის ბუშტად“ მოიხსენიებენ.

**ნათია ქადაგიშვილი**

**P.S. მარტივი მათემატიკური გამოთვლებით, ერთმა პედაგოგმა მინიმუმ 13 წელი უნდა იმუშაოს, არ ჭამოს, არ ჩაიცვას, „ტოიოტა“ RAV-4 რომ შეიძინოს. ქალბატონმა მანანამ კი ამას დროის მოკლე მონაკვეთში პედაგოგების მიერ გადახდილი საწევროების ხარჯზე მიაღწია.**

# 14 ტონა დაყადაღებული დარჩეული თხილი, 98000 ლარი ჯარიმა და გამქრალი მენარმე

**ენგურის მარცხენა სანაპიროს ამჟამად საქართველოს განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის თანამშრომლები აკონტროლებენ. სოფელ რუხის ტერიტორიაზე სწორედ მათ შეამჩნიეს და შემოწმების მიზნით გააჩერეს ,,კამაზის“ მარკის ავტომანქანა, რომელსაც აფხაზეთიდან დევნილი ლექსო ცაავა მართავდა. მანქანაში აღმოჩნდა 14 ტონა დარჩეული თხილი. ვითარების გასარკვევად ჯერ საპატრულო, შემდეგ კი ზუგდიდის პოლიციისა და საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები გამოიძახეს.**

გაირკვა, რომ ლექსო ცაავასა და მის ხუთ თანამონაწილეს აფხაზეთში შეგროვებული თხილი სენაკში ჰქონდათ გატეხილ-დარჩეული და, სავარაუდოდ, ისევ აფხაზეთში გაჰქონდათ სარეალიზაციოდ. აფხაზეთი დე იურე საქართველოს ტერიტორიაა და ამიტომაც ნებისმიერი საქონლის იქ შეტანაც ნებადართულია.

საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებმა მეწარმეს ბრალი დასდეს სათანადო საბუთების გაყალბებასა და არქონაში. თხილის გატეხვის, ანუ მომსახურების საბუთი ცაავამ წარმოადგინა, მაგრამ თურმე ბეჭედი აღმოჩნდა ყალბი და, რაც მთავარია, ადგილზე არ აღმოაჩნდა შიდა გადაზიდვის ზედნადები, ანუ ტრანსპორტირების შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელსაც მეწარმე თვითონ ადგენს, ამიტომაც ასეთი საბუთის გარეშე საქონელი აღურიცხავად ითვლება. ასეთი საბუთი ლექსო ცაავამ მოგვიანებით კი წარმოადგინა, მაგრამ საგადასახადო ინსპექციამ საბუთი არ მიიღო.

ლექსო ცაავას საქონელს ექსპერტიზა ჩაუტარდა. დარჩეული თხილი დააყადაღეს და ჯარიმის სახით დააკისრეს 98000 ლარის გადახდა. ორი თვეა, დაყადაღებული თხილი ერთ-ერთ თხილის ქარხანაშია მიბარებული და მეპატრონე მას ვერ მიიღებს, სანამ დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდის. არადა, ამხელა თანხის გადახდა დევნილ ცაავასა და მის თანამონაწილეებს არ შეუძლიათ. იხვეწებიან, თხილი დაგვიბრუნონ და მისი რეალიზაციის შემდეგ ჯარიმის ფულსაც გადავიხდითო, მაგრამ საგადასახადო ინსპექცია ამის უფლებას არ იძლევა. ამასობაში თხილიც ფუჭდება და სარეალიზაციოდ უვარგისი ხდება.

საგადასახადო ინსპექციაში ირწმუნებიან, რომ თხილი შესაფერის ადგილზე ინახება და არ გაფუჭდებაო, მაგრამ როდემდე უნდა ელოდონ ჯარიმის გადახდას? თხილის რეალიზაცია ცოტა ხანში, სავარაუდოდ, საგადასახადოს მიერვე მოხდება და აღებული ფული ცაავასა და მის თანამონაწილეებს ჯარიმის თანხად ჩაეთვლებათ.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

# ფიტოთერაპია კლასიკურ მედიცინასთან კომპლექსში მკურნალობის უნიკალური სისტემაა

**„უფლის აფთიაქი“ — ასე უწოდეს 2009 წელს გამართულ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯმო) კონგრესზე ფიტოთერაპიული მეთოდით მკურნალობას.**
**XXI საუკუნეში ამ მეთოდმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მსოფლიო მედიცინის კვლევებში. გაჩნდა ახალი მიმართულება ამ კუთხით — ბიოლოგიური მედიცინა, რომელიც მუდმივად სიახლეებს გვთავაზობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულების პრეპარატებით ისეთი რთული დაავადებების მკურნალობა, რომლებიც აქამდე არსებულ არც ერთ კლასიკურ მეთოდს არ ექვემდებარება. კონკრეტულად ეხება ეს ქრონიკულ, ვირუსულ თუ სისტემურ დაავადებებს.**
**მცენარეები ხომ მართლაც ბუნებისგან მიეცემა ადამიანს და განსაკუთრებული ნიჭია საჭირო იმისთვის, რომ მცენარის სამკურნალო თვისებები შეიმეცნო, შეისწავლო და მკურნალობა შეძლო.**
**პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — ყოველგვარი ავადმყოფობაც უფლისგან მოდის. იქნებ, გასაწმენდელად, იქნებ სულიერი თვალის ასახელად...**
**უძველესი, უნიკალური რეცეპტები, რომელთა მეშვეობით მრავალი დაავადების მკურნალობა შეიძლება, განსაზღვრული კლასიფიკაციით დაიწყო და დაამუშავა ცნობილმა მეცნიერმა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ოთარ წიწილაშვილმა, რომელმაც მრავალ ცნობილ ადამიანს დაუბრუნა ჯანმრთელობა, მათ შორის უკურნებელი სენით დაავადებულებსაც.**





**— ბატონო ოთარ, რით გამოარჩიეთ თავის დროზე ფიტოთერაპია კლასიკური მედიცინისაგან?**

— ყველაზე მეტად იმისი მწამს, რაც ღმერთს გაუჩენია. ესენია: მცენარე, ცხოველი, ფრინველი. ამიტომაც მჯერა მათ მიერ გამომუშავებული ნივთიერებების, რომლებსაც ჩვენ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს ვუწოდებთ. სწორედ ისინი წარმოადგენს ჩემი ფიტოწამლების მთელ არსენალს. მახსენდება ფრანგების გამონათქვამი: **„ქიმიური წესით დამზადებული წამალი ერთ დაავადებას არჩენს, მეორეს — აჩენს“.** მჯერა, რომ ის, რაც ღვთისგან გაჩენილა, ადამიანს ზიანს არასოდეს მიაყენებს.

მრავალწლიანმა პრაქტიკამ მიჩვენა, რომ ჩემი შექმნილი მალამო **ოთომალი** სხეულის ნებისმიერ ნაწილს უკვალოდ აცილებს კვანძებს, ნაჭრილობევს, დამწვრობის ნაწიბურს. უფრო მეტიც, ამ მალამოთი შეიძლება შაქრიანი დიაბეტის ფონზე განგრენისა და ყვავილის შედეგად კანზე დარჩენილი ღრმულების მკურნალობა. საყურადღებოა, რომ, თუ ნაწიბურები გამოწვეულია შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით, მაგალითად, მოწამლვით, მისი მკურნალობა ბევრად უფრო გაიოლებულია. ხშირია შემთხვევები, როდესაც მოწამლულ პაციენტებს სახეზე რჩებათ დეფექტები, წყლულები, ჩირქგროვები და ისინი არ ურჩებათ. ეს გამოწვეულია მზის სხივების პროვოცირებით. ამიტომ მათ კლასიკური მალამოები ვერ შველის. **ოთომალი** ამ მხრივ უნიკალურია.

**— ალბათ, მისი უნიკალურობიდან გამომდინარეობს, რომ ის ანტივირუსული ფიტოწამალიც არის, როგორც ეს დამტკიცდა მიმდინარე წლის ახალი გრიპის H1N1 ვირუსის წინააღმდეგ მისი გამოყენებით სრული განკურნების შემთხვევაში?**

— დიახ, ის უნიკალური ანტივირუსული წამალიც არის, განსაკუთრებით გრიპის ვირუსების დროს, რადგანაც მასში თავმოყრილია ისეთი უვნებელი ბუნებრივი კომპონენტები, რომლებიც რამდენიმე საათში ხსნის გრიპს. მე ის წარმატებით გამოვიყენე მიმდინარე პერიოდში როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში, სადაც ამ გრიპის პანდემიის საშიშროება არის.

მე როგორც მეცნიერი, 20 წლის განმავლობაში ვეწეოდი მეცნიერულ კვლევებს უკრაინაში, ამიტომ ვიცნობ მათ ფიტოწამლებს. უნდა გითხრათ, რომ ამ მხრივ ჩვენი ფლორის შესაძლებლობები უნიკალურია, მას ვერ შევადრი ვერც ერთი ქვეყნის ბუნებრივ კომპონენტებსა თუ მცენარეებს.

**— გავიგე, რომ თქვენი მალამო ონკოლოგიურმა პაციენტებმა გამოიყენეს ქიმიოთერაპიის დროს თმის ცვენის შესაჩერებლად, შედეგები როგორია?**

— საუკეთესო შედეგები მაქვს, რადგანაც მე შევისწავლე და დავამუშავე ტიპიური უჯრედის ატიპიურად გარდაქმნის მექანიზმი. პაციენტებმა, რომლებმაც ქიმიოთერაპიის დროს გამოიყენეს მალამო **ოთომალი**, ანუ ის წაისვეს თმაზე მკურნალობის მომენტში, თმა აღარ დასცვივდათ.

**— როგორც სპეციალისტს გკითხავთ, ახლახან აშშ-ში კატეგორიულად აიკრძალა ზოგიერთი მსოფლიოში ცნობილი ბრენდის მალამოები, სახის მოვლის საშუალებები; რამდენადაც ვიცი, თქვენ ამ მხრივაც გამოირჩევით და გაქვთ სახის უნიკალური მალამოები, როგორ ფიქრობთ, რატომ აიკრძალა ყველაზე ცნობილი ბრენდები?**

— ეს აკრძალვა შეეხო სახის მოვლის საშუალებებს, მათ შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი კომპონენტის გამო. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ რამდენიმეს გეტყვით, რათა მკითხველმა შემდგომში გაითვალისწინოს.

ერთ-ერთი აკრძალული კომპონენტია ცნობილი **ლანოლინი,** გარკვეულწილად ეს ეხება **გლიცერინსაც; ლანოლინი წარმოადგენს ნივთიერებას, რომელიც შეიცავს ქოლესტერინსა და იზოქოლესტერინს** — 90 პროცენტით, ანუ სიბერეს და, რატომ შეჰყავთ ის ხელოვნური გზით კანში, გაუგებარია.

**— ეს ხომ თავად სპეციალისტებმაც იციან?**

— კი, ბატონო, მაგრამ თავდაპირველად ეს ნივთიერებები კანს არაჩვეულებრივ სინაზეს სძენს, მაგრამ მისი აქტიური მოხმარება ნაადრევ სიბერეს იწვევს, აგრეთვე, სახეზე თმა ამოყავს. ამიტომ მიმაჩნია, რომ **კოსმეტიკურ საშუალებებში მისი გამოყენება დანაშაულია!** ასევე, დაუშვებელია გლიცერინის გამოყენებაც. ის სამატომიანი სპირტია, კანს აშრობს და წყალსართმევს, თუმცა, როცა გლიცერინი საპონშია გამოყენებული, მისი ქიმიური შემადგენლობა იცვლება.

**— იქნებ, გვითხრათ, აღმოსავლური მედიცინის მიხედვით, წლის რომელ დროს რომელ ორგანოს უნდა გაუფრთხილდეს ადამიანი?**

— აღმოსავლური მედიცინის თანახმად წელიწადში არის 6 და არა 4 დრო. შემოდგომას, ზამთარს, გაზაფხულსა და ზაფხულს კიდევ ორი გარდამავალი დრო — ზამთარსა და გაზაფხულს შორის და შემოდგომასა და ზამთარს შორის პერიოდი ემატება. დღეს ზუსტად ამ პერიოდში ვიმყოფებით, ამიტომ უპრიანია, თუ ვიტყვით — დღეისათვის საუკეთესოა და აუცილებელი ცხარე საკვების მიღება. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ მარხვის პერიოდი, რომლის დაცვაც ორგანიზმს აჯანსაღებს როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. სულიერება ხომ ყველაფრის საწყისია, რომელიც ინტუიტიურად გვკარნახობს, თუ რა გვინდა.

ამის შემდეგ იწყება ზამთარი, რომლის დროსაც ყველაზე მეტად ფილტვები იტვირთება ადამიანის ორგანიზმში. ამ დროს საუკეთესო საკვებია მლაშე საკვები.

გაზაფხულზე ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის ღვიძლსა და ნაღვლის ბუშტზე, ამ დროს კარგია მჟავე საკვების მიღება.

ზაფხულში ყველაზე მეტად აქტიურია გული და წვრილი ნაწლავი, ამიტომ ამ დროს სასურველია მწარე საკვები.

რაც შეეხება გარდამავალ პერიოდებს — ამ დროს აქტიურდება კუჭი, კუჭქვეშა ჯირკვალი და ელენთა, ამიტომ საკვებად ტკბილი პროდუქტი სჯობს. ძალზე მნიშვნელოვანია ერთი რამ: ფიტოწამალში შემავალი მცენარეული კომპონენტი, საცხოვრებელი ადგილიდან 800 კილომეტრის რადიუსში უნდა იყოს მოკრეფილი, ანუ — შენს ქვეყანაში, სხვა შემთხვევაში წამლის მიღება, რასაკვირველია, შეიძლება, მაგრამ შედეგი ნაკლებეფექტური იქნება.

**— ამბობენ, რომ ავიტამინოზის საუკეთესო წამალი ხილია. თქვენ ვიცი, რომ სხვა მოსაზრება გაქვთ...**

— ჩემი აზრით, ავიტამინოზის საუკეთესო წამალი საქონლის ან ქათმის ღვიძლია, რომლისგანაც უნდა მოვამზადოთ პაშტეტი ან, უბრალოდ, შევწვათ ხახვთან ერთად.

**— შეიძლება თუ არა დისბაქტერიოზის მკურნალობა ხალხური მეთოდით, ის გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი მძიმე დაავადებაა?**

— დისბაქტერიოზის კომპლექსური მკურნალობისას, ექიმის დანიშნულებასთან ერთად, კარგია ასეთი ფიტოწამალი. აიღებთ ერთ ჭიქა მუხის ქერქს, გვირილის ყვავილს ან სალბის ფოთოლს, დაასხამთ 1 ჭიქა ადუღებულ წყალს და დააყოვნებთ 2 საათით. შემდეგ გაწურავთ და მიიღებთ 2 სუფრის კოვზს დღეში.

**მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს ბატონ ოთარ წიწილაშვილის ახალი წიგნიდან, რომელიც მალე გამოვა და, ვფიქრობთ, შესანიშნავი საჩუქარი იქნება მკითხველისთვის.**

### დიარეის სამკურნალო ფიტოწამალი

ასეთ დროს ერთმანეთში ვურევთ თანაბარი რაოდენობით ჭინჭრისა და მაყვლის ფოთოლს, ვიღებთ 2 ჩაის კოვზ ნარევს, ვასხამთ ჭიქანახევარ მდუღარე წყალს და 2 საათით ვაყოვნებთ, შემდეგ ვწურავთ.

**მიღება:** ვიღებთ ნახევარ ჩაის ჭიქას დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

### ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის გაწმენდა

საჭიროა, აიღოთ ნახევარი კილოგრამი შავი ქლიავის ჩირი, 50 გრ. ხეშავას ქერქი და ხოლოსასი — ასკილის ნაყოფის ექსტრაქტი შაქრის სიროფით (იყიდება აფთიაქებში). ამ ყველაფერს მოათავსებთ ემალის მომინანქრებულ ჭურჭელში, რომელსაც დგამთ მეორე, უფრო დიდი ზომის წყლიან ქვაბში და შუშავთ. შემდეგ ასხამთ ორ ლიტრ ანადუღარ ცივ წყალს და ერთი კვირით აყოვნებთ მაცივარში, ბოლოს კი მტკიცე ქსოვილში წურავთ.

**მიღება:** მიიღება ვახშმიდან 2 საათის შემდეგ. სასურველია, ამის შემდეგ არაფერი ჭამოთ, არც წყალი დალიოთ.

### გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი

ფიტოთერაპიაში ამ დაავადების სამკურნალო უამრავი რეცეპტი მოიპოვება, მაგრამ უნივერსალურად მიიჩნევა კარტოფილის წვენი.

კარტოფილი უნდა გაიხეხოს და დოლბანდში გაიწუროს.

**მიღება:** დილით უზმოზე 100 გრამი.

### კუჭის მჟავიანობის დარეგულირებისთვის

უნდა აიღოთ 100 გრ. შვრიის ფქვილი, დაასხათ 1 ლიტრი მდუღარე წყალი და 1 საათის განმავლობაში ადუღეთ დაბალ ცეცხლზე.

გაციების შემდეგ დაუმატეთ 1 ყავის კოვზი მარილი, 2 სუფრის კოვზი თაფლი, 1 სუფრის კოვზი ხმელი კამის ფოთოლი და 2 სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი ნიგოზი.

**მიღება:** ეს ნარევი უნდა მიიღოთ დღეში 2-ჯერ, ჭამის წინ, მკურნალობის კურსი 6 დღეა.

### ენტერიტის მკურნალობა

ხალხური რეცეპტის გამოყენება შეიძლება მხოლოდ ენტერიტის იოლი ფორმის დროს ან კომპლექსური მკურნალობისას.

ერთმანეთში ვურევთ თითო კოვზ მატიტელას, კრაზანას, მუხის ქერქს, მრავალძარღვას ფოთოლს, გვირილას ყვავილს; 3 სუფრის კოვზ ნარევს ვასხამთ 2 ჩაის ჭიქა წყალს, ვდგამთ ცეცხლზე და წამოვადუღებთ 5 წუთი.

6 საათის განმავლობაში ვტოვებთ შეფუთულს და შემდეგ ვწურავთ.

**მიღება:** დღეში 3-ჯერ ნახევარი ჩაის ჭიქა.

### გასტრიტის მკურნალობა

აიღეთ 3 ჩაის კოვზი დაქუცმაცებული კორდისკბილა, დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და წამოადუღეთ, გააჩერეთ ნახევარი საათი, შემდეგ გააციეთ და გაწურეთ.

**მიღება:** მესამედი ჩაის ჭიქა ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

გვერდი მოამზადა **ეთერ კასრელიშვილმა**

# ჯაკუზში ბანაობა საშიშია ჯანმრთელობისთვის



**ჯაკუზში ნებივრობამ შეიძლება ჯანმრთელობა დაგვიზიანოს, — აცხადებს ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერი რიტა მოიესი.**

მისი აზრით, ჯაკუზიდან ამოღებულ 1 ჩაის კოვზ გამდინარე წყალში აღმოჩენილია 138 სახეობის ბაქტერია, მთელ ჯაკუზში კი მათი რაოდენობა 2 მილიონამდე აღწევს. ამდენად, ამ წყალში არის ნაწლავური ბაქტერიები, სოკოვანი და სტაფილოკოკური მიკრობები.

რიტა მოიერის აზრით, ამ ბაქტერიებმა შეიძლება გამოიწვიოს შარდსასქესო ორგანოების, კანისა და ფილტვების დაავადებები როგორც ბავშვებში, ასევე, სუსტი იმუნიტეტის მქონე ადამიანებში.

# როდის დაიძინოს მოზარდმა?



**არ არის შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მედიცინის მუშაკები ბავშვებსა და მოზარდებს ურჩევენ, დაიძინონ არაუგვიანეს 22 საათისა.**

ამ დასკვნამდე მეცნიერები იმ მასშტაბური კვლევის შემდეგ მივიდნენ, რომელიც ჩატარდა 15500 მოზარდზე.

კვლევებმა აჩვენა, რომ ის ბავშვები რომლებიც შუაღამისას იძინებენ, თავიანთ თანატოლებზე 25-ჯერ მეტად ავადდებიან დეპრესიით.

გაირკვა, რომ თუ ისინი მართლაც დაიცავენ ასეთ რეჟიმს, არ დაემართებათ მოზრდილთა დეპრესია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რა თქვა სიკვდილმისჯილმა?




**სპეციალური კვლევის შედეგების მიხედვით, ადამიანები, რომელთაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, სიცოცხლის ბოლოს სიყვარულზე ლაპარაკობენ.**

ტეხასის შტატში 1976 წლიდან სიკვდილით დასჯილი 446 დამნაშავის უკანასკნელ სიტყვებში სიტყვა „სიყვარული“ 630-ჯერ გაჟღერდა.

მეორე ადგილზეა სიტყვა „მადლობა“, ის 243-ჯერაა დაფიქსირებული, მესამე ადგილას მდგომი „მაპატიეთ“ სიკვდილმისჯილებმა 210-ჯერ წარმოთქვეს. გარდა ამისა, სიკვდილის წინ ადამიანები ხშირად საუბრობენ რელიგიაზე, ჯოჯოხეთსა და სამოთხეზე, ჩადენილის მონანიებისას კი ხშირად ირწმუნებიან, რომ უდანაშაულონი არიან. კვლევის 446 ობიექტიდან ერთადერთმა თქვა, რომ „ეშინია“.

ტეხასი აშშ-ის შტატებს შორის სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულების მხრივ პირველ ადგილზეა და სიკვდილით დასჯის შემთხვევათა თითქმის ნახევარი სწორედ იქ ხორციელდება.

# ვინ შეიპარა თეთრ სახლში?

**თეთრ სახლში აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ ინდოეთის პრემიერის საპატივცემულოდ გამართულ ოფიციალურ სადილზე აღმოჩნდა წყვილი, რომელიც სტუმართა სიაში არ ფიგურირებდა. ეს ამ რანგის მიღებების ისტორიაში პირველი შემთხვევაა.**



დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ტარიკ და მიშელ სალახებმა კი წვეულებაზე უამრავ ცნობილ ადამიანთან, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან ერთად ფოტოების გადაღებაც და მათი Facebook-ში გამოქვეყნებაც მოახერხეს.

თეთრი სახლის პრესსამსახური წვეულებაზე დაუპატიჟებელი სტუმრების შეღწევის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ წვეულებაზე მისული ერთი წყვილის სახელები სტუმართა სიაში გულდასმით არ გადაუმოწმებიათ. სალახებმა სტუმართათვის დაწესებული ყოველგვარი შემოწმება გაიარეს. ეს ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებიდან მის მიერ გამართული პირველი ოფიციალური სადილი იყო და დაუპატიჟებელი წყვილის გარდა მასზე 338 სტუმარს ელოდნენ.

# აღმოსავლური ექსპრესი

**აშშ მკვეთრად ცვლის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს და ეს, შესაძლოა, ყველაზე რადიკალური ცვლილებები იყოს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე. პირველ რიგში გადახედვას აზიის წამყვან ქვეყნებთან ურთიერთობები დაექვემდებარა. სწორედ ამის დემონსტრირება იყო რეგიონის ქვეყნებში ობამას ბოლოდროინდელი ტურნეც და ინდოეთის პრემიერმინისტრის ვაშინგტონში ვიზიტიც.**






ინდოეთზე აშშ სუპერთანამედროვე ბირთვულ ტექნოლოგიებს ყიდის და ინფრასტრუქტურის განვითარებას ჰპირდება, ამ ყველაფერში კი ამერიკული ეკონომიკის ზოგიერთი სფეროს გადარჩენის პერსპექტივას ხედავს. ამ დროს აშშ-ის ძველი სტრატეგიული პარტნიორი — პაკისტანი — მეორე ადგილზე გადადის. პეკინში ობამას პრიორიტეტები არა მხოლოდ ეკონომიკურ, პოლიტიკურ ქვეტექსტსაც ატარებს: აშშ პირველად აღიარებს ჩინეთის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ზესახელმწიფოს სტატუსს და ფაქტიურად ახალი, ორპოლარული მსოფლიოს თანამართვას სთავაზობს. პეკინი აშშ-ს ჯერჯერობით მტკიცედ პასუხობს „არა“.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მანმოხან სინგხას ვაშინგტონში ვიზიტს მსოფლიო მასმედია დღეში სულ მცირე 10 000 სტატიას უძღვნიდა. მართალია, სინამდვილეში მნიშვნელოვანი განცხადებები ორი ქვეყნის ლიდერებს არ გაუკეთებიათ, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ დახვდნენ ინდოეთის პრემიერს ამერიკაში, ცხადი ხდება — ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო.

ფორმალურად შეხვედრისას მანმოხან სინგხსა და ბარაკ ობამას მნიშვნელოვანი შეთანხმებებისთვის ხელი არ მოუწერიათ. მათ მხოლოდ დაადასტურეს, რომ ადრე მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად — ბირთვული ენერგიის, ტერორიზმთან ბრძოლისა და ინდოეთში ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციის საკითხებში თანამშრომლობისთვის მზად არიან. მაგრამ დიპლომატიის უკან ვაშინგტონის სამხრეთ აზიაში გააქტიურებისა და შტატების კურსის რადიკალური ცვლის დამალვა ველარ ხერხდება.

მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად, ვაშინგტონი ინდოეთს ყველაზე თანამედროვე ბირთვულ ტექნოლოგიებს მიჰყიდის. ამით, ერთი მხრივ, დაირღვევა აშშ-ში ბოლო 30 წლის მანძილზე მოქმედი ბირთვული ტექნოლოგიების ექსპორტის მორატორიუმი; მეორე მხრივ, ინდოეთს ბირთვული იარაღის წარმოების გამო 1974 წელს დადებული ემბარგო მოეხსნება. ეს, ერთი მხრივ, ინდოეთისადმი ნდობის ნიშანია, მეორე მხრივ, — ამერიკული კომპანიებისთვის მუშაობის შესაძლებლობა. სანაცვლოდ ინდოეთი მთლიანად გაუხსნის საკუთარი ატომური ელექტროსადგურების ბაზარს აშშ-დან მოწოდებულ საწვავსა და აღჭურვილობებს და ამერიკულ ინვესტიციებსაც. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, ინდოეთში ატომური ენერგიის ბაზრის მოცულობა უახლოეს 30 წელიწადში 150 მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამავე ოდენობის თანხას ჩადებენ ამერიკული კომპანიები ინდოეთის ენერგეტიკაში.

საინტერესოა, რომ აღნიშნული შეთანხმებები ჯერ კიდევ 2006 წელს, ჯორჯ ბუშის პრეზიდენტობის დროსაა ხელმოწერილი, მაგრამ აშშ მის ამოქმედებას არ ჩქარობდა. ეს საბოლოოდ გადაუსვამდა ხაზს აშშ-ისა და რეგიონში მის უმთავრეს მოკავშირეს — პაკისტანს (რომელსაც ინდოეთი კაშმირის შტატის გამო უკვე ორჯერ ეომა და ისევ საომარი კონფლიქტის ზღვარზეა) შორის ურთიერთობებს. სწორედ ეს გააკეთა სინგხას ახლანდელმა ვიზიტმა, თუმცა — მას შემდეგ, რაც ცხადი გახდა, რომ პაკისტანი საბოლოოდ ჩაიძირა შიდა წინააღმდეგობებსა და ქვეყნის დასავლეთში მებრძოლებთან გამკლავებაში. ამასთანავე, ისლამურ ქვეყანაში სულ უფრო ხშირად ისმის განცხადებები, რომ ამ ყველაფერში დამნაშავეა აშშ-თან მჭიდრო „მეგობრობა“, რის შედეგადაც პაკისტანში პირველად გაჩნდნენ და ფაქტიურად დამკვიდრდნენ კიდეც თალიბები.

ფორმალურად ობამა პაკისტანთან თანამშრომლობაზე უარს არ ამბობს, დელისა და ისლამაბადის კონფლიქტს კი ორმხრივი ურთიერთობის პრობლემას უწოდებს. მაგრამ ინდოეთის პრემიერთან შეხვედრისას ობამამ ტერორისტებთან კავშირში ეჭვმიტანილი პაკისტანელების ინდოეთისთვის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით პირველად დადო პაკისტანზე ზეწოლის პირობა.

ინდურ-ამერიკული ურთიერთობების ახალი ეტაპი სწორედ ობამას გაპრეზიდენტებიდან დაიწყო. გაჭიანურებული კრიზისიდან გამოსასვლელად პრეზიდენტი იძულებული გახდა, ახალი ბაზრები მოეძიებია; მეორე მხრივ, მთელ მსოფლიოში აშშ-ის ავტორიტეტის კატასტროფული ვარდნის პირობებში მოსახლეობის რაოდენობით მეორე ქვეყნის სრული მხარდაჭერის აუცილებლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. გარდა ამისა, პაკისტანთან დაძაბული ურთიერთობების ფონზე ობამას სასწრაფოდ სჭირდებოდა ახალი საიმედო მოკავშირე მეზობელ ავღანეთში სიტუაციის დარეგულირების ახალი გეგმის განსახორციელებლად.

და ბოლოს, კრიზისის პირობებში საერთო შიდა პროდუქტის 6,5%-იანი ზრდითა და სამომავლო 9%-იანი ზრდის გეგმებით ინდოეთი თავისთავად მზარდი ეკონომიკის ქვეყანაა. გაეროს მონაცემებით, 2050 წელს ინდოეთის მოსახლეობა 1,61 მილიარდს შეადგენს და ამ მაჩვენებლით ჩინეთს 200 მილიონით გადააჭარბებს. პეკინისთვის ჯერჯერობით მიუწვდომელ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ძლიერი ენერგეტიკული სისტემით დელის აქვს შანსი, რომ თავის ძლევამოსილ მეზობელს ეკონომიკურადაც გაუსწროს.

სინგხას საპატივცემულოდ ვაშინგტონში გამართულ მიღებაზე ობამამ ინდოეთი მიახვედრა, რომ აშშ-სთან თანასწორი თამაშისთვის აზიურ ქვეყანას კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი.

# ვინ არის ყველაზე ჩლუნგი?



**ბრიტანეთში ტელე და რადიოვიქტორინების ყველაზე სულელი მონაწილეების ათეული გამოაქვეყნეს. ათეული შედგა ახლახან გამოსული კრებულის „ჩლუნგი ბრიტანეთი“ მეორე ტომის მიხედვით.**

ათეულში მოხვდა BBC-ის ისტორიული რადიოვიქტორინის „Radio Merseyside“-ს მონაწილე, რომელმაც კითხვაზე, რა ერქვა ჰიტლერს, უპასუხა **ჰაილი**. პოლიტიკური ვიქტორინის მონაწილემ, რომელსაც ჰკითხეს, ვინ იყო პრემიერი ტონი ბლერის წინ, უპასუხა: **ჯორჯ ბუში**. ტელევიქტორინაში ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ ძველი რომაელების ძირითადი ენა ბერძნული იყო.

„ჩლუნგი ბრიტანეთის“ პირველი ტომი 2009 წლის გაზაფხულზე გამოვიდა და მასშიც მსგავსი შემთხვევებია ჩამოთვლილი. მაგალითად, კრებულის ერთ-ერთი „გმირი“ ამბობს, რომ ეგვიპტისა და ისრაელის **ექვსდღიანი ომი ორ კვირას გაგრძელდა**, მეორე კი კითხვაზე, **ევროპის რომელ ქვეყანაშია ვულკანი ეტნა**, პასუხობს — **იაპონიაში**. ამ უკანასკნელს ვიქტორინის წამყვანმა შეახსენა, რომ საუბარი მხოლოდ ევროპის ქვეყნებს ეხებოდა. მანაც შეასწორა პასუხი და თავდაჯერებით განაცხადა — **მექსიკა**.

95.8FM BBC 95.8FM
RADIO MERSEYSIDE

# რას მალავენ მსოფლიოს ბანკები

**მთელი მსოფლიოს მასშტაბით ბანკები ფინანსური კრიზისით გამოწვეული დანაკარგების დაახლოებით 50%-ს მალავენ, — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტმა დომინიკ სტროსს-კანმა. მისი აზრით, ეკონომიკის გაჯანსაღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ორგანიზაციების მოღვაწეობის შესახებ მონაცემები „გასუფთავდება“.**




„დარჩენილია მნიშვნელოვანი გაუცხადებელი დანაკლისები: 50% შესაძლოა ბანკების შედეგებში იმალებოდეს. ევროპაში ეს დამალული დანაკლისები უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ში. ვიმეორებ: საბანკო კრიზისების ისტორია, კერძოდ, იაპონიაში, აჩვენებს, რომ ჯანსაღი ეკონომიკური ზრდა ბანკების შედეგების სრული „გასუფთავების“ გარეშე ვერ მოხდება“, — ამბობს მსოფლიოს ფინანსური გურუ.

მან აღნიშნა, რომ ბანკების სიდიდის შეზღუდვა საჭირო არ არის, მაგრამ მათ საკუთარ თავზე უნდა აიღონ საერთაშორისო ფინანსური სისტემისთვის ზომიერად სახიფათო ფინანსური ვალდებულებები. „ამ სადაზღვევო პრემიას ორი უპირატესობა ექნება: ბანკი საკუთარ თავზე აიღებს ნაკლებ რისკს და დააგროვებს რესურსებს მომავალში შესაძლო საბანკო კრიზისთან გამკლავებისთვის“, — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა და დაამატა, რომ ევროპისთვის ძნელია, წინ აღუდგეს აშშ-ისა და ჩინეთის ეკონომიკებს, რომლებიც „დე ფაქტო ერთიან სავალუტო ზონას“ წარმოადგენს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ახალი კრიზისის თავიდან ასაცილებლად განვითარებულ ქვეყნებს მოუწოდა, შეცვალონ თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკა, შეამცირონ სახელმწიფო დანახარჯები და გაზარდონ გადასახადები. მისი ხელმძღვანელის აზრით, უახლოეს თვეებში ანტიკრიზისული სტიმულირების მასშტაბური პროგრამები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი პოსტკრიზისული სტრატეგიით უნდა შეიცვალოს. მის ფარგლებში იგეგმება არა მხოლოდ სახელმწიფოთა შემოსავლების ზრდა, დანახარჯების შემცირება, ფინანსური სექტორის გამჭვირვალობის ამაღლება, ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოოპერაციების გაუმჯობესება და წამყვანი ქვეყნების საკრედიტო-ფულადი თუ ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფა.

ამ ყველაფრის პარალელურად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა მონეტარულ პოლიტიკაში ცვლილებების შეტანას დაუჭირეს მხარი. მათი გათვლების თანახმად, ცენტრალურმა ბანკებმა ნელ-ნელა უნდა გაზარდონ საკვანძო საპროცენტო განაკვეთი.

ცალკე რეკომენდაცია გაუგზავნეს ფინანსისტებმა აზიის ქვეყნებს, რომლებიც ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს აჩვენებენ. „ვფიქრობ, ჯერ ძალიან ადრეა გამოსვლაზე (სტიმულირების პოლიტიკაზე უარის თქმა) საუბარი. თუ დროზე ადრე გამოხვალთ, მოკლავთ აღდგენის პროცესს, თუ ძალიან გვიან გახვალთ — შექმნით პირობებს ახალი კრიზისისათვის“, — დააკონკრეტა დომენიკ სტროსს-კანმა.

მან, ასევე, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ გადასახადების გაზრდა მოსახლეობის უმუშევრობის ზრდის გამო ისედაც შემცირებულ შემოსავალთა კლებას გამოიწვევს. „მომხმარებელთა ქცევა შეიცვლება. საოჯახო ფინანსური პრობლემები და უმუშევრობის მაღალი დონე დანაზოგის გაზრდის მიზეზი გახდება. კრიზისი უმუშევრობის მკვეთრი ზრდით დიდხანს დარჩება მომხმარებლის ცნობიერებაში“, — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა და დასძინა, რომ მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ძველი მოდელი ორიენტირებული იყო აშშ-ში სულ უფრო მზარდ სამომხმარებლო მოთხოვნილებებზე. სწორედ ამის წყალობით მუდმივად იზრდებოდა სხვა ქვეყნებიდან იმპორტის მოცულობა. ახლა კი ეს მოდელი, ექსპერტის აზრით, „უკანასკნელ დღეებს ითვლის“.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# უკრაინის ნარინჯისფერი ტრაგედია

**უკრაინისთვის „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ხუთი წლისთავი დღესასწაულად კი არა, საგანგაშო შედეგების დაჯამების, გაუმართლებელი იმედებისა და დანაკარგების გაცნობიერების მიზეზად იქცა.**




პირველი „ნარინჯისფერი ხუთწლეული“ შესაძლოა, იმავდროულად უკანასკნელიც აღმოჩნდეს და ერთადერთიც. 17 იანვარს უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებია და, წინასწარი რეიტინგების მიხედვით, ვიქტორ იუშჩენკო, უკვე კარგა ხანია, ხალხის მხარდაჭერით აღარ სარგებლობს. მათ, ვინც 2004-ში მის გაპრეზიდენტებას მოითხოვდა, კარდინალურად შეიცვალეს შეხედულებები. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თანახმად, დღეს მოქმედი პრეზიდენტის სასარგებლოდ ხმას მოსახლეობის 2-3% მისცემს, იუშჩენკოს მიერ 2004 წლის არჩევნების მესამე ტურში დამარცხებულ ვიქტორ იანუკოვიჩს კი ახლა მოსახლეობის 27% უცხადებს ნდობას.

თავად პრეზიდენტი მზად არაა, საკუთარი მოღვაწეობის ამგვარი შეფასება მიიღოს. „პოლიტიკური რეიტინგი სულაც არ ნიშნავს პოლიტიკის მცდარობას. არ დაგვავიწყდეს, რომ უმრავლესობა ხშირად ცდება, დავაზუსტებ: როგორც წესი, ცდება“, — განაცხადა იუშჩენკომ რევოლუციის ხუთი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

როგორც ჩანს, 2004 წელს იუშჩენკოს მხარდამჭერი მილიონობით ადამიანი მიხვდა, რომ მაშინ სერიოზული შეცდომა დაუშვა. ეს შეცდომა უკრაინას სიცოცხლის ხუთ წელიწადად დაუჯდა. სამაგიეროდ, ნარინჯისფერებმა ამავე საბედისწერო ხუთ წელიწადში მოახერხეს და ქვეყანა უიმედო კრიზისში ჩაძირეს — უკრაინა რუსული გაზის გარეშე იყინებოდა, ბიზნესმენებს წარმოების ნაციონალიზაცია აფრთხობდა, ამცირებდა მრეწველობას. უმაღლესი რადა ცირკის არენად იქცა, დეპუტატები თმებით ითრევდნენ ერთმანეთს, უარს ამბობდნენ ხმის მიცემაზე, ნიშნავდნენ ვადამდელ არჩევნებსა და უნდობლობას უცხადებდნენ პრეზიდენტს. იგივე ხდებოდა ნარინჯისფერ მთავრობაში, სადაც უმთავრესი თემა იმის გარკვევა იყო, ვინ უფრო მნიშვნელოვანია იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს შორის.

ნარინჯისფერთა ყველაზე დიდი დანაშაული რუსებისა და უკრაინელების გადაკიდების მცდელობა იყო. ანტირუსული პოლიტიკა გეგმაზომიერად და თანმიმდევრულად ხორციელდებოდა, ეკონომიკური რეფორმისგან განსხვავებით, დავა შავი ზღვის ფლოტის ირგვლივ, რუსულ ენაზე უარის თქმა და მრავალი სხვა. სტრატეგიის აპოგეად სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში უკრაინელი მებრძოლებისა და საბრძოლო ტექნიკის საქართველოს მხრიდან მონაწილეობა იქცა.

დღეს ისინი, ვინც დემოკრატიისა და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისთვის მაიდანზე ათენებდა და აღამებდა, პირშიჩალაგამოვლებულია — ვერც ერთი მიიღეს და ვერც მეორე. 2004 წლის ნოემბერში გადატრიალების მონაწილეებს ჯეროდათ, რომ უსინდისო პოლიტიკოსებისა და უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მათი ბელადები კი პატიოსანი და ქმედუნარიანი ხელმძღვანელები იქნებოდნენ. მათ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ მხოლოდ სტატისტები იყვნენ ამერიკელი პოლიტტექნოლოგების სცენარში, რომელიც უკვე გამოსცადეს საქართველოსა და სერბეთში. პოსტსაბჭოთა სივრცეში ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და კონსტიტუციური თავისუფლებებისთვის კი არა, გავლენის სფეროებისთვის იბრძოდნენ.

ბრძოლის რომანტიკამ ათეულათასობით ადამიანი გააბრუა. მეტი დამაჯერებლობისთვის გადატრიალების ორგანიზატორები ხელოვნურად ამწვავებდნენ ხალხის აღშფოთებას. საზოგადოებრივი აზრით მანიპულაციის სიმბოლოდ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობა იქცა — მისი გარდაცვალება დანაშაულებრივ რეჟიმს დაბრალდა. ოფიციალური ვერსიის თანახმად, თავად ვიქტორ იუშჩენკოც დაზარალდა მტრებისგან. გამოცხადდა, რომ ვიღაცას პრეზიდენტობის კანდიდატის დიოქსინით მოწამვლა სურდა, რის შედეგადაც მას სახე დაუწყლულდა. მაგრამ ექიმები დღემდე ვერ მივიდნენ საერთო აზრამდე იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა სინამდვილეში — თავდასხმას ჰქონდა ადგილი თუ არჩევნების წინ პოლიტიკოსმა გამაახალგაზრდავებელი პროცედურების ჩატარება მოინდომა, მაგრამ ოპერაცია წარუმატებელი აღმოჩნდა.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, თავისუფლებაზე ყველაზე ბევრს ის ყვირის, ვისაც თავისუფლება მხოლოდ თავისთვის სურს. „ნარინჯისფერ ხუთწლედში“ უკრაინის უშიშროების სამსახურმა უსაზღვრო ძალაუფლება მიიღო და პოლიტიკურ კონფლიქტებში ღიად ჩარევა დაიწყო.

თავისუფლება მითად დარჩა, მაგრამ ისინი, ვისი ხელითაც კეთდებოდა „ნარინჯისფერი რევოლუცია“, ამის აღიარებისთვის კიდევ დიდხანს არ იყვნენ მზად. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ მათ ატყუებდნენ და იყენებდნენ ხელისუფლების ბანალური შეცვლისთვის — იანუკოვიჩის იუშჩენკოთი ჩანაცვლებისთვის.

საინტერესოა ისიც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერადი რევოლუციების პერიოდში ამერიკას რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში მართავდა. ახალი პრეზიდენტი დემოკრატი ბარაკ ობამა გახდა და პოსტრევოლუციური საქართველოსა და უკრაინისადმი დამოკიდებულებაც მნიშვნელოვნად შეიცვალა. სავსებით ნათელია, რომ ობამას ადმინისტრაცია იუშჩენკოს რეჟიმზე ფსონს არ ჩამოდის, ამერიკამ ჩამოწერა იუშჩენკო, რომელსაც ასეთი დაბალი რეიტინგი აქვს და ასე ცოტა მხარდამჭერი ჰყავს ქვეყნის მოსახლეობაში.

დასავლელი კურატორების კეთილგანწყობისა და ხალხის მხარდაჭერის გარეშე ვიქტორ იუშჩენკო პოლიტიკური გვამია. თუმცა დაუსრულებელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისებთან გამკლავების უუნარობამ, მხოლოდ იუშჩენკოს კი არა, ყველა ნარინჯისფერს გაუტეხა სახელი და მათი იდეური დეგრადაცია დაამტკიცა.

# რამდენს იწონის მის არაბეთი?



**მუვადა ნური დასავლეთის მოდელებს არაფრით ჰგავს, მაგრამ როდესაც პოდიუმზე გაიარა, „მის არაბული სამყარო 2009“-ის ჟიურიმ ერთხმად მიანიჭა უპირატესობა.**

ყველაფერი წესის მიხედვით იყო — აღნიშნული შემთხვევის დამახასიათებელი აპლოდისმენტები, სიხარულის ცრემლები, ყვავილები, დედოფლის გვირგვინი და ასე შემდეგ, მაგრამ მუვადა ნური 90 კილოგრამს იწონის, ხიჯაბს ატარებს და ტრადიციულ მისებთან საერთო არაფერი აქვს.

საზოგადოება აღშფოთებულია. განსაკუთრებული რადიკალურობით ქალები გამოირჩევიან. როგორც ზოგიერთი ამბობს, „მუვადა არის ქალი, რომელიც სასურველი სარძლოა სადედამთილოებისათვის, მაგრამ ყველა ბიჭს არ ენდომება ასეთი ცოლი“. ზოგიერთი იმასაც ამბობს, რომ გამარჯვებულის ბედი პოლიტიკამ გადაწყვიტა — საუდის არაბეთის წარმომადგენელი აქამდე არასდროს გამხდარა „მის არაბული სამყარო“.

ახლა მუვადა ინტერვიუებში ამბობს, რომ ოჯახის შექმნა და შვილები უნდა. არც ჟურნალების გარეკანებისთვის ფოტოგრაფირებაზე ამბობს უარს, ოღონდ ერთი პირობით — მხოლოდ ხიჯაბით.

# ვინ გადაურჩა ვამპირს?

**მიჩიგანის შტატის ქალაქ ნორტონ შორსში პოლიცია უჩვეულო საქმეს იძიებს. ვამპირებზე ფილმის „ნისლები. საგა. ახალმთვარობა“ პრემიერისას კინოთეატრში არასრულწლოვან ერინ უესტრეიტს 30-40 წლის უცნობმა მამაკაცმა ყელში უკბინა.**



როგორც გოგონა იხსენებს, მის წინა რიგში მჯდომი მამაკაცი მთელი სეანსის განმავლობაში უჩვეულოდ იქცეოდა. „რამდენჯერაც ჩემს მეგობარს დაველაპარაკე, იმდენჯერ მობრუნდა და სექსუალური ქვეტექსტის შენიშვნა მომცა“, — იხსენებს დაზარალებული.

როდესაც ფილმის ჩვენება დასრულდა და ხალხი გასასვლელისკენ დაიძრა, მამაკაცი უკნიდან ეცა გოგოს, თმებით მოიზიდა და ყელში ჩააფრინდა კბილებით. მას კინოთეატრებში დამონტაჟებული კამერების ჩანაწერების მიხედვით ეძებენ.



# ომი შუა გზაზე

**ბარაკ ობამას ავღანეთთან მიმართებაში ახალი სტრატეგია აქვს. თეთრი სახლის მიერ ავღანეთში სამხედრო კონტინგენტის 34 ათასით გაზრდის განზრახვის ოფიციალურ დადასტურებამდე პენტაგონი გამარჯვებას ზეიმობდა.**

ამ 34 ათასის შენახვა გადასახადების გადამხდელებს წელიწადში მილიონი დოლარი დაუჯდებათ. სამაგიეროდ ვაშინგტონი პირობას იძლევა, რომ უკვე რვა წლის განმავლობაში მიმდინარე ავღანეთის ომი სადღაც რვა-ცხრა წელიწადში დასრულდება. ამის თაობაზე თეთრი სახლის პრეს-მდივანმა რობერტ გეიტსმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა.

ახლახან ავღანეთში ამერიკული სამხედრო წარმომადგენლობის უზომო ზრდის (რასაც დაჟინებით მოითხოვენ პენტაგონი და ქაბულიც) მოწინააღმდეგეთა ბანაკს ავღანეთში აშშ-ის ელჩი კარლ აიკენბერიც შეემატა. პრეზიდენტისთვის მიწერილ წერილში დიპლომატმა ავღანეთის ახალი ხელისუფლების კომპეტენტურობისადმი ეჭვი და მისი კორუმპირებულობის გამო შეშფოთება გამოთქვა. შემდეგ კი დასძინა, რომ რესპუბლიკაში დამატებითი ჯარების გაგზავნა ცუდი იდეაა.

ორიოდე დღის წინათ კონტინგენტის გაზრდის მოწინააღმდეგეებს ახალი არგუმენტები ჩაუვარდათ ხელში.

თეთრი სახლის ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველომ ავღანეთში საომარი კამპანიის გაგრძელების ხარჯთაღრიცხვა გამოაქვეყნა. მისი მონაცემების თანახმად, ავღანეთში გაგზავნილი ყოველი დამატებითი ჯარისკაცი ხაზინას წელიწადში 1 მილიონი დოლარი დაუჯდება.

ამრიგად, უკვე მომავალი წლიდან ბიუჯეტის დატვირთვა შესაძლოა 30-40 მილიარდი დოლარით გაიზარდოს და ამ ხარჯში გათვალისწინებული არაა, რომ მომავალი წლიდან საომარი კამპანიისთვის დანახარჯები ისედაც გაორმაგდება და 65 მილიარდ დოლარს შეადგენს.

აშშ-ის ტრილიონიანი საბიუჯეტო დეფოლტის პირობებში ამგვარი არითმეტიკა ადმინისტრაციას სავსებით გასაგებ და საფუძვლიან შიშს უღვივებს და თეთრი სახლის პოლიტიკით უკმაყოფილოთა რაოდენობას კი ცალსახად ზრდის.

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ავღანეთში დამატებით 34 ათასი



ჯარისკაცის გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. CNN-ის სამხედრო უწყების მაღალჩინოსანი ანონიმი რესპონდენტი ამბობს: „პენტაგონი ბარაკ ობამას მოსალოდნელი გადაწყვეტილების წინ დაახლოებით 34 ათასი ჯარისკაცის გაგზავნის (ავღანეთში) გეგმას ამუშავებს. ავღანეთთან დაკავშირებული საბოლოო გადაწყვეტილება პრეზიდენტს ჯერ კიდევ არ გამოუცხადებია, მაგრამ პენტაგონში პასუხისმგებელმა პირებმა მიიღეს დავალება, მოემზადონ დამატებითი 34 ათასი სამხედრო მოსამსახურის გაგზავნისთვის, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ სწორედ ამ რაოდენობას მოიწონებს ობამა“.

ამ ყველაფრის პარალელურად აშშ ცდილობს, ნატოს მოკავშირეებისგანაც მიაღწიოს ავღანეთში სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის გაზრდას. ნატოს გენერალურმა მდივანმა უკვე მოიწონა ამერიკული ინიციატივა, მაგრამ ალიანსისა და ვაშინგტონის მოწოდებას ჯერჯერობით მხოლოდ ლონდონი გამოეხმაურა.

„მე საკუთარ თავზე ავიღე ვალდებულება, თხოვნით მივმართო სხვებს ევროპაში და მის საზღვრებს გარეთ, მხარი დაუჭირონ პარტნიორობის სტრატეგიას ავღანურ შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით. ვთვლი, რომ შეგვიძლია ავღანეთში კიდევ 5 ათასი სამხედრო მოსამსახურე გავგზავნოთ და საომარი ოპერაციის ტვირთი გავინაწილოთ“, — განაცხადა რამდენიმე დღის წინათ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა — გორდონ ბრაუნმა.

# ვის ეყოლა შვილი კოსმოსში?

**გუნდ „ატლანტისის“ ასტრონავტი რენდოლფ ბრესნიკი ღია კოსმოსში პირველი გასვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ მამა გახდა. პატარას რამდენიმე დღით ადრე ელოდნენ, მაგრამ იგი არ ჩქარობდა.**



საბრალო მამიკომ ახლობლებს სთხოვა, კოსმოსში გასვლის ექვსი საათის განმავლობაში მშობიარობის შესახებ მისთვის არაფერი ეცნობებინათ, რათა მოვალეობებზე კონცენტრირების საშუალება ჰქონოდა. არადა მისი შვილი სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა. „ატლანტისის“ ეკიპაჟს კოსმოსში გასვლისთანავე მიულოცეს გოგონას დაბადება. რენდოლფ ბრესნიკი პირველი ასტრონავტი არაა, ვისაც შვილის დაბადება დედამიწიდან ძალიან შორს, კოსმოსში ახარეს. 2004 წელს მაიკ ფინკმა დედამიწის ორბიტაზე შეიტყო, რომ გოგონა ეყოლა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ქრონოგრაფი

## რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 2-დან 8 დეკემბრამდე?

### 2 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**სახიფათოა იყო მართალი, როცა ხელისუფლება ცდება!**
**ვოლტერი**

**1728 წელს** დაიბადა იტალიელი ეკონომისტი, ღირებულების თეორიის ავტორი ფერდინანდო გალიანი.
**1804 წელს** ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორად გამოაცხადეს.
**1816 წელს** ფილადელფიაში გაიხსნა ამერიკაში პირველი შემნახველი ბანკი.
**1823 წელს** ამერიკის პრეზიდენტმა გამოაცხადა მონროს დოქტრინა: „ამერიკა ამერიკელებისთვის.“
**1837 წელს** დაიბადა ინგლისელი ფიზიკოსი, შერლოკ ჰოლმსის პროტოტიპი ჯოზეფ ბელი.
**1923 წელს** დაიბადა ბერძენი მომღერალი, მსოფლიოს უდიდეს საოპერო თეატრთა სოლისტი მარია კალასი.
**1942 წელს** ჩიკაგოს უნივერსიტეტში იტალიელმა ფიზიკოსმა პირველი ჯაჭვური ბირთვული რეაქცია მოახდინა.

### 3 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**სანამ მე პარტიას ვხელმძღვანელობ, ის უჯიშო ლიტერატორებისა და სალონური ბოლშევიკების სადისკუსიო კლუბად არ გადაიქცევა!**
**ადოლფ ჰიტლერი**

**1596 წელს** დაიბადა იტალიელი ვიოლინოს ოსტატი, გვარნერისა და სტრადივარიუსის მასწავლებელი ნიკოლო ამატი.
**1621 წელს** გალილეო გალილეიმ ტელესკოპი გამოიგონა.
**1690 წელს** დაიბადა კურლანდიის გრაფი, ანა იოანეს ასულის ფავორიტე, რუსეთის მმართველი (1740 წ.) ერნსტ ბირონი.
**1818 წელს** ილინოისი ამერიკის 21-ე შტატი გახდა.
**1910 წელს** პარიზის გამოფენაზე პირველად წარმოადგინეს ნეონის ნათურები.
**1917 წელს** გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე გრძელი, კვებეკის ხიდი, რომელიც წმ. ლავრენტის მდინარეზე გაიდო.
**1945 წელს** აშშ-ში დამტკიცდა პროექტი „ტროიანი“, რომლის მიხედვითაც ბირთვული ომი სსრკ-ის წინააღმდეგ 1950 წლის 1 იანვარს უნდა დაწყებულიყო.
**1947 წელს** ბროდვეიზე გაიმართა პრემიერა ტენესი უილიამსის პიესისა „ტრამვაი, რომელსაც სურვილი ჰქვია“.

### 4 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**ვერც ერთი ხელისუფლება უცენზუროდ ვერ იარსებებს: იქ, სადაც ბეჭდვითი სიტყვა თავისუფალია, ვერავინ იქნება თავისუფალი!**
**თომას ჯეფერსონი**

**1795 წელს** დაიბადა ინგლისელი მწერალი და ისტორიკოსი, „გმირთა კულტის“ თეორიის ავტორი თომას კარლეილი.
**1892 წელს** დაიბადა ესპანელი დიქტატორი, გენერალისიმუსი ფრანცისკო ფრანკო.
**1928 წელს** დაიბადა ამერიკელი ასტრონავტი ჯეიმს ლოუელი, რომელმაც პირველმა შემოუფრინა მთვარეს.
**1926 წელს** მოულოდნელად გაუჩინარდა ინგლისელი მწერალი აგათა კრისტი, რომელიც 11 დღის შემდეგ დაბრუნდა და განაცხადა, წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდაო.
**1932 წელს** სსრკ-ში მიიღეს დეკრეტი, რომელიც უსაქმურებისა და პარაზიტებისთვის სასურსათო ბარათების გაცემას კრძალავდა.
**1949 წელს** მაო ძე დუნის ჯარებმა მთლიანად დაიპყრეს კონტინენტური ჩინეთი.
**1977 წელს** ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დიქტატორმა ბოკასამ თავი იმპერატორად გამოაცხადა (და მსოფლიოში ყველაზე ძვირად — 85 ათას დოლარად ღირებული ფეხსაცმელი ჩაიცვა).

### 5 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**სკოლის მასწავლებლები ისეთ ძალაუფლებას ფლობენ, პრემიერ-მინისტრებს რომ არც დაესიზმრებათ.**
**უინსტონ ჩერჩილი**

**1349 წელს** ნიურნბერგში ებრაელთა მასობრივი დარბევა განხორციელდა იმ მოტივით, რომ მათ ჭირი გაავრცელეს.
**1456 წელს** ნეაპოლი მიწისძვრამ დაანგრია. დაიღუპა 35 ათასი კაცი.
**1496 წელს** პორტუგალიის მეფე მანუელ I-მა ქვეყნიდან ებრაელების გაძევება ბრძანა.
**1766 წელს** ყოფილმა საზღვაო ოფიცერმა ჯეიმს კრისტიმ ლონდონში თავისი პირველი აუქციონი გამართა (ამჟამად კრისტის აუქციონი ეწოდება).
**1791 წელს** საეჭვო გარემოებებში აღესრულა მოცარტი.
**1872 წელს** ატლანტის ოკეანეში აღმოაჩინეს ამერიკული ბრიგანტინე „მარია სელესტე,“ რომელიც აფრებაშვებული, მაგრამ უეკიპაჟოდ მიცურავდა.
**1902 წელს** გამომგონებელმა გ. მარკონიმ ატლანტიკის გავლით პირველი რადიოსიგნალი გადასცა.

# აპოკალიფსი — 2009

**„სამყაროს დასასრული“ არაერთხელ უწინასწარმეტყველებიათ. მათ შორის ყველაზე „პოპულარული“ 2012 წლის ბოლო დღეა, რომელიც ცენტრალური ამერიკის უძველესმა ხალხმა — მაიამ იწინასწარმეტყველა.**



მაია მიიჩნევდა, რომ კაცობრიობის შექმნის დღიდან უკვე 4 ციკლმა განვლო, რომელთაგან თითოეული იმ დროისთვის არსებული ცივილიზაციის სრულად გაქრობით მთავრდებოდა, ანუ დღეისათვის ადამიანთა ოთხი რასა შეიცვალა, რომელიც ოთხი კატაკლიზმის (მიწისძვრა, ქარიშხალი, ცეცხლოვანი წვიმა და წარღვნა) შედეგად დაიღუპა.

ჩვენ ახლა შექმნის მეხუთე ეპოქის, ანუ მეხუთე მზის ბოლო ოცწლეულში ვცხოვრობთ. მაიას ვარაუდით, ამჟამინდელი ციკლის დასრულებისას დედამიწა გარკვეულ მოძრაობას შეასრულებს, რაც ჩვენი ცივილიზაციის დაღუპვის მიზეზი შეიქნება, თუმცა, მაიას ვერსიით, 2012 წლის 21 დეკემბრის (სხვა ჰიპოთეზით, 23 დეკემბრის) შემდეგ კაცობრიობის 0,5 პროცენტი გადარჩება.

მაიას კალენდრის მიხედვით, 2012 წელს მზის სიტემის პლანეტები ერთ ხაზზე ჩამწკრივდებიან, რაც გლობალურ კატაკლიზმებს გამოიწვევს: უძლიერესი მიწისძვრები, ცუნამი და ვულკანების ამოფრქვევა ქვეყნებსა და კონტინენტებს ნანგრევებად აქცევს...

თუმცა ასტრონომიული მონაცემებით, ნახსენები პლანეტები (დედამიწა, იუპიტერი, მარსი და სატურნი) 21.12.2012-ში მზის სისტემის სხვადასხვა წერტილში აღმოჩნდებიან, თანაც არა იმ ხაზზე, რომელზეც დედამიწა და მზე მოხვდებიან, რაც ე. წ. „პლანეტების აღლუმს“ გამორიცხავს.

ახლახან ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, რომ 2012 წლის სექტემბერში დედამიწას „მზის დარტყმა“ ელოდება. თუმცა, მათი აზრით, მზის მაღალი აქტივობის შედეგად სერიოზული ტექნოგენური კატასტროფაა მოსალოდნელი. მეცნიერების გამოთვლით, 2012 წლის შემოდგომაზე, როცა მზე თავისი აქტივობის ზენიტში იქნება, ე. წ. „იდეალური მზის“ ელექტრომაგნიტური ქარიშხალი ამოვარდება, რომლის ენერგიაც დედამიწის „ფარს“ გაარღვევს და მთელ „ელექტროენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას“ გაანადგურებს. ეს ყველაფერი კი ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისის საფუძველი შეიქნება.

არსებობს აპოკალიფსის სხვა პოპულარული ვერსიაც — 2012 წელს დედამიწა „მკვლელ პლანეტა“ ნიბირუს შეეჯახება. ეს პლანეტა ჯერ კიდევ შუმერებმა აღმოაჩინეს, თუმცა ამ კატასტროფას ჯერ 2003 წლის მაისისთვის წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ რაკი „გადავრჩით,“ ეს თარიღი გადაიტანეს და მაიას კალენდარს „მიაბეს.“ ამერიკელებმა აეროკოსმოსური სააგენტო nasa იმაშიც კი დაადანაშაულეს, რომ ის სახიფათო პლანეტის შესახებ სიმართლეს მალავდა. მეცნიერებმა ნიბირუს შესახებ ინფორმაციას ინტერნეტმისტიფიკაცია უწოდეს და განაცხადეს: ნიბირუ რომ არსებობდეს და მასთან შეჯახება შესაძლებელი იქნეს, პლანეტას ბოლო ათწლეულის განმავლობაში მეცნიერები უთუოდ შენიშნავდნენ, დღეს კი მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც იქნებოდა შესაძლებელი.

მაიას კალენდრისგან ცუდს არაფერს მოელის 2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატიც, ასტროფიზიკოსი ჯონ მაზერი: „ვფიქრობ, ასტრონომებს ამგვარი ისტორიებისა არ ჯერათ. არსებობს სხვა ისტორიაც იმის შესახებ, რომ სამხრეთ ამერიკის მცხოვრებთა კალენდარში ციფრების უკმარისობაა, ამიტომაც მთავრდება მათი კალენდარი 2012 წელს. ასეთია ჩემი თეორია.“

# სიცოცხლე მარსზე

**აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ნაციონალური სამმართველოს სპეციალისტებმა მარსზე სიცოცხლის არსებობის დამადასტურებელი ახალი მტკიცებულებანი წარმოადგინეს.**



მათ დაადგინეს, რომ მიკროსკოპული წარმონაქმნები მარსული წარმოშობის მეტეორიტზე, რომელიც დედამიწაზე 13 ათასი წლის წინათ ჩამოვარდა, გაქვავებული ბაქტერიებია. ისინი მეტეორიტის ზედა ფენის ქვეშ აღმოაჩინეს, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეს წარმონაქმნები არამიწიერ ობიექტზე დედამიწაზე მის ჩამოვარდნამდე არსებობდა.

„ეს მარსზე სიცოცხლის არსებობის ძალიან სეიოზული მტკიცებულებაა“, — განაცხადა ნასასთან არსებული კოსმოსური ცენტრის წამყვანმა მკვლევარმა დევიდ მაკკეიმ, რომელიც 1984 წელს აღმოჩენილი მეტეორიტის შემსწავლელი ჯგუფის წევრია.

გარდა ამისა, მკვლევარები შეისწავლიან კიდევ ორ მარსული წარმოშობის მეტეორიტს: NAKHLA-ს, რომელიც 1911 წელს ეგვიპტეში ჩამოვარდა და YAMATO-ს, რომელიც ანტარქტიკაში იაპონურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა. ბაქტერიული სიცოცხლის კვალი მათზეც შეინიშნება.



მეტეორიტი Allan Hills 84001, მკვლევართა ვარაუდით, მარსის ზედაპირს ასტეროიდის ზემოქმედებით მოსწყდა და დედამიწაზე დაშვებამდე კოსმოსში 16 მლნ წელი იფრინა. მისი მარსული წარმოშობა ქიმიური შემადგენლობითა და პლანეტის მახასიათებელი გაზების პროპორციით დადასტურდა. მეტეორიტის შესწავლისას გამოითქვა ვარაუდი, რომ მარსზე თხევად მდგომარეობაში წყალი არსებობს. ერთ-ერთი გამოცემის ცნობით, უწინ მეცნიერებმა ამ პლანეტაზე ოკეანის კვალსაც მიაგნეს.

საგულისხმოა, რომ დედამიწაზე ჩამოვარდნილ მეტეორიტზე აღმოჩენილი ბაქტერიები, შესაძლოა, განამტკიცებდეს პანსპერმიის თეორიას სხვა პლანეტებიდან დედამიწაზე სიცოცხლის შემოტანის შესახებ.



# საიდან გაჩნდა შავი მატერია?

**ჩვენი სამყაროს ყველა გალაქტიკა დიდი სისწრაფით ბრუნავს ერთი ცენტრის გარშემო.**

თუმცა, როდესაც მეცნიერებმა გალაქტიკათა საერთო მასა გამოთვალეს, აღმოჩნდა, რომ ისინი ერთობ მსუბუქია, რის გამოც, ფიზიკის კანონების მიხედვით, ეს კარუსელი დიდი ხნის წინათ უნდა მოშლილიყო, მაგრამ ეს არ მომხდარა.

ამის ასახსნელად მეცნიერებმა წამოაყენეს ჰიპოთეზა, თითქოს სამყაროში არსებობს რაღაც შავი მატერია, რომლის დანახვაც შეუძლებელია. მაგრამ, რას წარმოადგენს ეს შავი მატერია, ასტრონომებმა არ იციან.

ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ მისი მასა სამყაროს მასის 90 პროცენტს შეადგენს. ამგვარად, ჩვენ ვიცნობთ სამყაროს მხოლოდ ერთ მეათედს, რომელიც გარს გვარტყია.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «მხეცის რიცხვის» საიდუმლო ამოხსნილია?!



**666 — „მხეცის რიცხვი“ ბიბლიის განმმარტავებს აქამდე მოსვენებას არ აძლევს. მისი საიდუმლო „წმიდა წერილის“ ერთ-ერთი მთავარი გამოცანაა. XX საუკუნის ბოლოს „მხეცის ციფრის“ გამო ბობოქარი დავა ატყდა: მას შტრიხკოდებსა და მოსახლეობის მოსალოდნელ მასიურ იდენტიფიკაციას უკავშირებდნენ. ის კი არა, რიცხვ 666-ს აღმოაჩენდნენ შესაკრავებსა და ღილებზე, ფეხსაცმელსა და საკრედიტო ბარათებზე, ახალი კომპიუტერების ნომრებსა და საბანკო კოდებში.
თუმცა თავად რიცხვის საიდუმლოს ამოხსნა მოდავეებს არც უფიქრიათ, რადგან ამისთვის, სულ მცირე, თვლა მაინც უნდა იცოდე!**

**იოანე ღვთისმეტყველი** 666-ს აპოკალიფსური მხეცის რიცხვად აცხადებს და იქვე ადამიანურ რიცხვადაც ასახელებს. მას შემდეგ 666-ს ყველგან ეძებენ შიშის ან ცნობისმოყვარეობის გამო.



ნერონი

ეკლესიასტეში 666 ისრაელის მეფის — სოლომონის რიცხვია. დამარცხებულ ქვეყნებს ის სწორედ ამდენ ოქროს ტალანტს ართმევდა. ძველი იუდეველები პარმაღზე ამოკაწრავდნენ 666-ს, რადგან ის ბედნიერებისა და წარმატების თილისმად მიაჩნდათ. ქრისტიანული ეკლესია 666-ს სიმბოლურ რიცხვად მიიჩნევს, რომელშიც ადამიანის სახელია დაშიფრული, ანუ ეშმაკისა და მისი ბნელეთის მოციქულების ამოსაცნობად ამ ადამიანის სახელის თითოეული ასო ციფრად უნდა აქციო და შეაჯამო. ნუმეროლოგიაში ეს ძალიან ცნობილი ტექნიკაა, რომელიც, ასევე, სოლომონიდან მომდინარეობს, მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებით მსოფლიოში არსებულ სახელთა 4 პროცენტის რიცხობრივი მნიშვნელობა 666-ია! მაშინ გამოდის, რომ დედამიწის 6 მლრდ-იანი მოსახლეობიდან 240 მლნ კაცი ეშმაკის სახელს ატარებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ეს მეთოდი გამოუსადეგარია.

კომენტატორები ვერ შეთანხმებულან, ვის გულისხმობს ეს გამოცანა, სამაგიეროდ, ერთხმად ირწმუნებიან, რომ ე. წ. გემატრია შესაძლოა წარმოადგენდეს მის ამოსახსნელ მექანიზმს. გემატრია უძველესი მეთოდია, რომლითაც, სიტყვის დაფარული მნიშვნელობის ამოსახსნელად, ციფრობრივი და ასოითი მნიშვნელობები ერთმანეთს ეფარდება. გემატრია ეფუძნება იმ ფაქტს, რომ კლასიკურ ბერძნულსა და ივრითს არ გააჩნდათ სპეციალური ციფრობრივი აღნიშვნები, ამის ნაცვლად ასოს აღმნიშვნელს იყენებდნენ. ამ პრინციპით, ანბანის პირველი ასო შეესაბამებოდა ციფრ 1-ს, მეორე ასო — 2-ს და ა.შ., ანუ თითოეული სიტყვა ორივე ენაზე ციფრების ჯგუფად განიხილება. ციფრების დაჯამებით კი ვიღებთ რიცხვს, რომელიც სიტყვას შეესაბამება. სახელის შემთხვევაში ე. წ. „ადამიანის რიცხვს“ მივიღებთ. ეს რიცხვები იმ შემთხვევაში გამოიყენებოდა, როცა პირდაპირი ნომინირება (დასახელება) მოუხერხებელი ან სახიფათო იყო.

ამის თვალსაჩინო მაგალითია ქალაქ პომპეიში ნაპოვნი წარწერა: „მე მიყვარს ის, ვისი რიცხვიც 545-ია.“ ამ გზით შეყვარებულს შეეძლო გაეგო, რომ ადრესატი თვითონ იყო, სხვათათვის კი ეს ინფორმაცია დაფარული იქნებოდა. სავარაუდოდ, ბიბლიურ „ადამიანის რიცხვთან“ (გამოცხადება 13,18) დაკავშირებით ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ავტორს, ალბათ, არ უნდოდა, რომ სახელი უცხო ადამიანებს სცოდნოდათ და ამიტომ ის დაშიფრა. იმავდროულად, ქრისტიანები ციფრებს მიღმა დაფარულ სახელს იოლად ამოიკითხავდნენ. თუმცა უკვე მეორე ასწლეულში წმიდა ირინეუსი აღიარებდა, რომ არ იცოდა, ვინ იგულისხმებოდა ამ რიცხვის მიღმა. მას ჰქონდა სამი მოსაზრება, რომელთაგან ვერც ერთი, დღევანდელი გამოკვლევების ფონზე, სავსებით დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება.

გემატრიამ მოგვიანებით განვითარება პოვა ციფრებსა და რიცხვებზე ორიენტირებულ მაგიის მრავალრიცხოვან სახეობებზე. ძველბერძნული ტაძრები გარკვეული გემატრიული შეფარდებებით იგებოდა.

ამოცანის ამოხსნა ისტორიკოსებმაც სცადეს. მხეცური რიცხვი — 666 მიეწერებოდათ რომის პაპს, ჯონ კნოქსს, მარტინ ლუთერნსა და ნაპოლეონს. მეორე მსოფლიო ომის დროს იშვა შემდეგი იდეა: თუ ასო „ა“-ს შევუსატყვისებთ რიცხვ „100“-ს, მაშინ ასო „ბ“ 101-ის შესაბამისი იქნება და ა.შ. ამ შემთხვევაში ჰიტლერის სახელის საერთო ჯამი ასევე 666-ს გაუტოლდება. თუმცა ყველა ამ ამოხსნათაგან ერთი გამორჩეულად სავარაუდოა: თუ სახელს **კეისარი ნერონი** (ბერძნული ფორმა Hero) ებრაული ასოებით ჩავწერთ, მისი ციფრობრივი მნიშვნელობა 666-ს გაუტოლდება. ეს ვარაუდი იმითაც დასტურდება, რომ ერთ-ერთი ავტორიტეტული ბიბლიური ხელნაწერი შიფრით „C“ (ეფრემი, მეხუთე ასწლეული) 666-ის ნაცვლად, 616-ს იძლევა, რადგან ეს რიცხვი **ნერონის** ლათინურ ფორმას შეესატყვისება. ამ შემთხვევაში ორივე ვერსია მისი სახელის რიცხობრივ მნიშვნელობას შეესაბამება, ამიტომ მხეცი ტექსტში ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე მძვინვარე მოწინააღმდეგის აღსანიშნავად გამოიყენება...

### მისტიკური არითმეტიკა

პირველი 36 ციფრის ჯამი 666-ის ტოლია. ზოგს მიაჩნია, რომ 36 წლის ასაკში ადამიანს ენერგეტიკა ეცვლება, დგება სიმშვიდისა და თანაბარზომიერების პერიოდი. კაზინოს რიცხვთა ჯამი, ისევე, როგორც ბიბლიის თავებისა 666-ია; დოლარის ბანკნოტების სიგანე 66,6 მმ-ია, ავტომანქანები ნომრით 666, უფრო ხშირად ყვებიან ავარიაში; ამერიკაში არსებობს გზატკეცილი, რომლის ნომერი 666-ია...

თუმცა ბიბლიაში ინფორმაციის რამდენიმე ფენაა დაშიფრული, მოდი, ამ რიცხვს ისე შევხედოთ, როგორც ჰარმონიის აღმნიშვნელს... რიცხვი 666 ბინარული სისტემების სიმკვიდრის ზედა დიაპაზონს აღნიშნავს. ბინარული სისტემები მკვიდრია მხოლოდ 1/3-დან 2/3-მდე (ანუ 3,33333-დან 6,66666-მდე) დიაპაზონში. ეს რას ნიშნავს? რომელიმე ეკონომიკურ სისტემას თუ ავიღებთ, მაგალითად, სააქციო საზოგადოებას, ყველაზე სარგებლიანად ის იმ შემთხვევაში იფუნქციონირებს, თუ ხმათა 2/3 პროცენტი — ერთი აქციონერის, ყველა დანარჩენი კი სხვების კუთვნილებაში იქნება.

პოლიტიკაში ამ კანონმა ასახვა პოვა „პარეტოს პრინციპზე,“ როცა ხმათა უმრავლესობა ერთ პოლიტიკოსს აქვს. ეკონომიკაში ეს ლაფერის მრუდია, რომელიც უჩვენებს, გადასახადების როგორი მაქსიმალურად ოპტიმალური პროცენტული შემადგენლობა უნდა არსებობდეს საზოგადოებაში, რომ ყველას შეეძლოს მისი გადახდა და სოციალური დაძაბულობა არ შეიქმნას (მაქსიმუმი 33,3%-ია...).

ასევე, განიხილება ყველა ბინარული სისტემა ოპტიმალობის თვალსაზრისით (სიკეთე/ბოროტება, ლამაზი/მახინჯი, სტატიკური/დინამიკური, მეგობრები/მტრები, მორწმუნეები/ერეტიკოსები, შესაძლო/შეუძლებელი და.ა. შ.).

რას ნიშნავს 66,6 დიაპაზონიდან გასვლა ბინარული სისტემისთვის? ეს წონასწორობისა და ოპტიმალობის პრინციპის დარღვევა და ბინარულ საზღვრებს გაცდენაა, როცა ყველა ბინარული მახასიათებელი თავის ნიშნებს კარგავს. ამიტომაც უწოდებენ ოკულტისტები ამ რიცხვს უდიდეს საიდუმლოებებთან ზიარების გასაღებს...

# უცნაური სიგნალი



**1970-იან წლებში აშშ-ში დაიწყო უცხოპლანეტელთა რადიოსიგნალების ძიების პროგრამა. ამისთვის ცის კაბადონის სხვადასხვა ნაწილისკენ მიმართეს რადიოტელესკოპები, რომლებიც ეთერს სხვადასხვა სიხშირით ასკანირებდნენ, რათა ხელოვნური წარმოშობის სიგნალი აღმოეჩინათ.**

რამდენიმე წლის განმავლობაში ცდები უშედეგოდ მიმდინარეობდა. შემდეგ კი 1977 წლის 15 აგვისტოს ასტრონომ ჯერი ეჰმანის მორიგეობისას, თვითჩამწერმა, რომელიც ყველაფერს არეგისტრირებდა, რაც კი რადიოტელესკოპის „ყურს“ ხვდებოდა, ლენტაზე სიტყვა WOW-ის აღმნიშვნელი მრუდი გამოიყვანა. სიგნალი 1420 მეგაჰერცის სიხშირეზე 37 წამს გრძელდებოდა. საერთაშორისო შეთანხმებების თანახმად, ამ დიაპაზონზე დედამიწის არც ერთი გადამცემი არ მუშაობს. სიგნალი მშვილდოსნის თანავარსკვლავედიდან მოემართებოდა, რომლის უახლოესი ვარსკვლავი დედამიწიდან 220 სინათლის წლით არის დაშორებული. დღემდე არავინ იცის, ეს სიგნალი ხელოვნური იყო თუ არა...

## ქრონოგრაფი

# რა მოხდა მსოფლიოში სხვადასხვა წელს 2-დან 8 დეკემბრამდე?

### 6 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**ისტორიაში არ მომხდარა რევოლუციები. იყო მხოლოდ კონტრრევოლუციები.**
**გილბერტ ჩესტერტონი**

**1273 წელს** ქრისტიანმა თეოლოგმა თომა აქვინელმა თავისი ძირითადი საღვთისმეტყველო წიგნის წერა შეწყვიტა და აღარც დაუსრულებია.
**1421 წელს** დაიბადა ინგლისისა და საფრანგეთის მეფე ჰენრი IV.
**1492 წელს** კოლუმბმა ჰაიტი აღმოაჩინა.
**1768 წელს** გამოიცა პირველი ბრიტანული ენციკლოპედია.
**1774 წელს** ავსტრია იქცა მსოფლიოში პირველ ქვეყნად, რომელმაც განათლების სახელმწიფო სისტემა შემოიღო.
**1778 წელს** დაიბადა ფრანგი ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ბორის აღმომჩენი, ჰიდრომეტრისა და სპირტომეტრის გამომგონებელი ჟოზეფ გეი-ლუსაკი.
**1805 წელს** დაიბადა ფრანგი ილუზიონისტი, თანამედროვე მაგიის საძირკველჩამყრელი ჟან-ეჟენ რობერ-გუდენი.
**1865 წელს** აშშ-ში ოფიციალურად გადავარდა მონობა.
**1877 წელს** ნიუ-ჯერსიში თომას ედისონმა პირველი ფონოგრამის მუშაობის დემონსტრირება მოახდინა. ეს იყო ლექსი „მერის ჰყავდა ბატკანი“.
**1938 წელს** საფრანგეთმა და გერმანიამ თავდაუსხმელობის პაქტი დადეს.
**1989 წელს** დრეზდენში კა-გე-ბეს ოფიცერი ვლადიმერ პუტინი (ამჟამად რფ-ის პრემიერ-მინისტრი) მარტო შეეგება განრისხებულ გერმანელთა ბრბოს და დაშლაზე დაითანხმა.

### 7 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**როცა გმირები სცენას ტოვებენ, მას მასხარები იკავებენ.**
**ჰაინრიხ ჰაინე**

**43 წელს** მოკლეს რომაელი ორატორი ციცერონი.
**1678 წელს** ლუი ჰენელინმა ნიაგარის ჩანჩქერი აღმოაჩინა.
**1683 წელს** ეშმაკის მსახურებისთვის სიკვდილით დასაჯეს ინგლისელი მწერალი, საპარლამენტო ოპოზიციის ხელმძღვანელი ა. სიდნეი.
**1769 წელს** ეკატერინე II-მ დააარსა გიორგი მძლეველის ორდენი.
**1787 წელს** დელავერი აშშ-ის პირველ შტატად იქცა.
**1815 წელს** ღალატისთვის დახვრიტეს ნაპოლეონის გვარდიის მეთაური, მარშალი მ. ნეი.
**1822 წელს** დაიბადა ფრანგი ქიმიკოსი და ბიოლოგი, მიკრობიოლოგიის შემქმნელი ლუი პასტერი.
**1835 წელს** ნიუნბერგსა და ფიურტს შორის პირველი რკინიგზა გაიხსნა.
**1907 წელს** ლონდონში რინგზე მყოფი რეფერი პირველად მოემსახურა მოკრივეთა ორთაბრძოლას.
**1942 წელს** პირველად გაუშვეს ზღვაში მსოფლიოში უდიდესი სამხედრო ხომალდი — ლინკორი „ნიუ-ჯერსი“.
**1982 წელს** ფორტ-უორტში (ტეხასი) მსოფლიოში პირველად განაჩენის აღსრულებისას სასიკვდილო ინიექცია გამოიყენეს.

### 8 დეკემბერი

**დღის ციტატა:**
**ვინ არის მეამბოხე? კაცი, რომელმაც თქვა „არა!“**
**ალბერ კამიუ**

**ჩვ. წ. აღ.-მდე 65 წელს** დაიბადა რომაელი პოეტი ჰორაციუსი.
**1542 წელს** დაიბადა შოტლანდიისა (1542-67 წ.წ.) და საფრანგეთის (1559-60 წ.წ.) დედოფალი, ინგლისის ტახტის პრეტენდენტი მარია სტიუარტი.
**1793 წელს** სიკვდილით დასაჯეს საფრანგეთის მეფის, ლუდოვიკო XV-ის უკანასკნელი ფავორიტი ჟანა დიუბარი.
**1813 წელს** გაიმართა ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიის პრემიერა.
**1844 წელს** დაიბადა ფრანგი მხატვარი, მულტიპლიკაციის პიონერი ემილ რეინო.
**1861 წელს** დაიბადა კინოხელოვნების პიონერი, სტოპ-კადრის გამომგონებელი, ერთ-ერთი პირველი კინოსტუდიის შემქმნელი, ფრანგი ჟორჟ მელიესი.
**1941 წელს** აშშ-მა და ბრიტანეთმა ომი გამოუცხადეს იაპონიას.
**1942 წელს** ესპანეთის დიქტატორმა, გენერალმა ფრანკომ განაცხადა: „მსოფლიო არჩევანს აკეთებს კომუნიზმსა და ფაშიზმს შორის და მე ამ უკანასკნელს ვირჩევ“.
**1966 წელს** სსრკ-მა და აშშ-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კოსმოსში ბირთვული გამოცდების აკრძალვის შესახებ.
**1980 წელს** ნიუ იორკში მოკლეს ჯგუფ „ბითლზის“ ლიდერი ჯონ ლენონი.
**1987 წელს** ვაშინგტონში მ. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა განიარაღების „ნულოვანი ვარიანტი“ მიიღეს.

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

# მადლობა პატრულს,

## ანუ ფეხბურთის ფედერაცია თუ პოლიციის ახალი განყოფილება

**21 ნოემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ახალი აღმასკომი აირჩიეს. ყველასთვის მოულოდნელად, აღმასკომის წევრების რიგებში მაღალჩინოსანი პოლიციელი მოხვდა, სამაგიეროდ, მის მიღმა ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბების წარმომადგენლები დარჩნენ. საინტერესოა, რამდენად იქნება აღმასკომს მიღმა დარჩენილი კლუბების უფლებები დაცული იმის ფონზე, რომ ფედერაციის „კირკიტიზაცია“ მიდის და სახელმწიფო, ნაცვლად იმისა, რომ წავიდეს ფეხბურთიდან, ფეხბურთში პოლიციელებსა და პარლამენტარებს „გზავნის“. პოლიცია თუ ფეხბურთის ფედერაცია? გადაარჩენს თუ არა პატრული ქართულ ფეხბურთს?**



აღმასკომში სულ 18 წევრი აირჩიეს, ხოლო მე-19 ავტომატურად თავად ფედერაციის პრეზიდენტი, სიჭინავა გახდა. გარდა რეგიონების წარმომადგენლებისა, **აღმასკომში სამი მეტად საინტერესო პირია: დავით ნამგალაური — ახალგაზრდობისა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გიორგი ასანიძე — პარლამენტის წევრი და გიორგი გეგეჭკორი — თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი. ფედერაციამ და, საერთოდ, ქართულმა ფეხბურთმა არველაძეები ლატარეაში მოიგო. ფედერაციის შტაბში რეზი არველაძე ახალკაცის დროსაც მუშაობდა, მაგრამ, დარღვევების მიუხედავად, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე არ აუღია. მართალია, სიჭინავამ განაცხადა, რომ ყველაფერი შეიცვლებოდა, მაგრამ არველაძე კვლავ გენერალური მდივნის თანამდებობაზე რჩება. როგორც კულუარებში ამბობენ, ის ვანო მერაბიშვილის კადრია და, შესაბამისად, — ხელშეუხებელი...**

ფეხბურთელებმა და ფეხბურთის სპეციალისტებმა ქართულ ფეხბურთს ვერ უშველეს და პატრულის შეფი გიორგი გეგეჭკორი მესიად უნდა მოგვევლინოს?! თურმე, ნუ იტყვით და, გეგეჭკორი ფედერაციაში ნარკომანიასთან ბრძოლას აპირებს. საინტერესოა, პოლიციელს ნარკომანიასთან ბრძოლისთვის როდიდან სჭირდება ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრობა?!

გახსოვთ, ალბათ, ირაკლი ოქრუაშვილი რომ გახდა გენპროკურორი, მისთვის „სახელის მოსახვეჭად“ ხელისუფლებამ როგორი პიარკამპანია ჩაატარა — ცნობილი სატელევიზიო დაჭერები და შევარდნები საროსკიპოებში. დაახლოებით, ანალოგიური სცენარით განვითარდა მოქმედება ფედერაციაშიც.

**არჩეული არ იყო ახალი აღმასკომი, როცა შეიკრიბნენ და გეგეჭკორმაც დადო მტკიცებულებები, ტყუილად არ აგვირჩევიართ, ნაკრებში ნარკომანები გვყავსო; რატი ალექსიძე და ლევან ცქიტიშვილი ნარკოტიკების მოხმარებაში ყოფილან შემჩნეულები, „წაჭერილები“ და „გაშვებულები“; ხოლო პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელი დიმიტრი რამიშვილი ნარკოტიკების მოხმარების გამო 500 ლარით ყოფილა დაჯარიმებული. გეგეჭკორს ამის გასამხელად, რატომღაც, ფედერაციის აღმასკომის წევრობა დასჭირდა.**

**არავინ დაიჯერებს** იმ სასაცილო არგუმენტს, რომლითაც გეგეჭკორის აღმასკომის წევრობას ხსნიან. ფედერაციაში დიდი ფული ტრიალებს; **სავარაუდოდ, პატრულის შეფი ამ ფულადი ნაკადების საკონტროლებლად მიიყვანეს, „სიჭიმაც“ ნოდარ ახალკაცივით მილიონიანი ვალი რომ არ დატოვოს, თორემ, გეგეჭკორს არველაძეების „პალაჟენიასთან“ საბრძოლველად რომ არ მიიყვანდნენ ფედერაციაში, ცხადზე ცხადია.**

**ფედერაციის ახალი პრეზიდენტი და კირკიტაძე მეგობრობენ. კირკიტაძე სულ იმაზე წუხდა, „ზესტაფონის“ (იგულისხმება საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“) ლობით არის სავსე ფედერაციაო და ახლა აისრულა ნატვრა; თავის დროზე გიორგი ნემსაძის კანდიდატურა ახალკაცით დაუძირა მეორე სახელისუფლო შტომ, ახლა უკვე ხელში „უჭირავს“ ფედერაცია, რომელიც მისი ნაცნობმეგობრებით ან, უბრალოდ, ხელქვეითებით არის სავსე.**

დავით ნამგალაურმა სპორტის სხვა სახეობა ხომ ააშენა, ახლა ფეხბურთს მიადგა. გიორგი ასანიძე კი, ალბათ, ქართველ ფეხბურთელებს ძალოსნობაში ავარჯიშებს.

**გიორგი ნემსაძემ, ლევან ყიფიანმა (დავით ყიფიანის ვაჟი, ბავშვთა ფეხბურთის სპეციალისტი) უარი თქვეს ახალი ფედერაციის დაკომპლექტებაში მონაწილეობაზე; ეტყობა, ორივე მიხვდა, რომ ახლაც წინა ფედერაციის ანალოგი იქნება: ნამგალაური, ასანიძე, გეგეჭკორი — აღმასკომის წევრები; მურთაზ ხურცილავა სფფ-ის პრეზიდენტის მრჩეველი, რეზი არველაძე — გენერალური მდივანი. ისეთი პირი უჩანს, ძველი ფედერაცია მონაგონი იქნება.**

პარლამენტში პრეზიდენტის ადრინდელი გამოსვლა მახსენდება: **აღმასკომის ნულოვანი ტოლერანტობა სფფ-ის პრეზიდენტის, ფეხბურთელების, კლუბების მიმართ!!! არ იქნება შედეგი? — ყველანი ციხეში!!!**

მადლობა პატრულს!!!

**მაგდა კლდიაშვილი**

**P.S. ისე, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად შევნიშნავ, რომ პატრულის ახალი განყოფილების საზეიმო გახსნასა და ამაში სკოლის მოსწავლეების სამარცხვინო გამოყენებას, შსს-ს მესვეურებს ერჩივნათ, ფედერაციის შენობაში გაეხსნათ „საფეხბურთო პატრულის“ ახალი განყოფილება. მართალია, არქიტექტურულად არც ფედერაციის შენობა ბრწყინავს, მაგრამ იმ „აკვარიუმებს“, რომლებშიც პოლიციის განყოფილებებს ხსნიან, ნამდვილად აჯობებდა.**

# ფოთი — თავისუფალი ეკონომიკური თუ ფულის გათეთრების ზონა

**ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონის, კერძოდ, მისინაირსახეობის, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (თიზ) შექმნის შესახებ დოკუმენტს საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გასულ წელს ფოთის პორტში, ღია ცის ქვეშ, ტრიუმფალურად მოაწერა ხელი და ახალი სლოგანი ,,ოქროს საწმისის ქალაქში ოქროს საწყისი დაიწყო“ შემოგვთავაზა. მას შემდეგ სამუშაოები მხოლოდ ჭიანურდება და ყოვნდება. შესაბამისად ყოვნდება პრეზიდენტის მიერ ფოთელებისთვის დაპირებული 10 000 სამუშაო ადგილიც.**

ფოთელებისთვის დაპირებულ სამუშაო ადგილებს რა პერსპექტივა ელის, ერთი მაგალითიდანაც ჩანს. კერძოდ, **თიზის** განვითარების პირველი ფაზა 2009 წელს შემოღობვითი სამუშაოებისა და ცენტრალური და მეორადი გზების მშენებლობის დასრულებას ითვალისწინებდა. დღეს კი რაც კეთდება, იმ სამუშაოებზეც კი ფოთელები კანტიკუნტად არიან დასაქმებულნი. **„ეტყობა, ნიჩბით მიწის სათხრელადაც არ ვვარგივართ ფოთელები და ამიტომ ამ სამუშაოებზეც კი სხვა ქალაქებიდან ჩამოჰყავთ მუშახელი“,** — შემოგვჩივლა სპეციალობით ინჟინერმა, 24 წლის უმუშევარმა გიორგიმ, რომელიც მზადაა, ნებისმიერი საქმე შეასრულოს, ოღონდ კი ოჯახში პურის ფული შეიტანოს.

რაც შეეხება უშუალოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს, ასეთი ზონები მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მოვლენაა და იქ გამოყენებული ეკონომიკური წესები, ბერკეტები და სპეციალური ადმინისტრაციული კანონები ამსუბუქებს სამართლებრივ და სამეურნეო რეჟიმს.

XXI საუკუნის დასაწყისისთვის მსოფლიოს 120 ქვეყანაში მოქმედებდა 2000-ზე მეტი სხვადასხვა სახის თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელთა ჯამური წლიური ბრუნვა 60 მლრდ აშშ დოლარს აღემატებოდა.

ქართულ ეკონომიკაში მსგავსი პრაქტიკა და გამოცდილება არავის აქვს. ამ ინიციატივას თავის დროზე ზურაბ ჟვანია ლობირებდა, ის თეზის შემოღებას სწორედ ფოთის ნავსადგურში გეგმავდა და ამისთვის პრემიერს შესაბამისი ტერიტორიაც მიღებული ჰქონდა, მაგრამ მისი გარდაცვალებისა თუ ლიკვიდაციის შემდეგ ამ პროექტმა ჩაილურის წყალი დალია.

თუმცა მოგვიანებით, 2006 წლის მიწურულს, მიხეილ სააკაშვილმა ამ ინიციატივით ბიზნესმენებს ერთ-ერთ შეხვედრაზე განუცხადა: — **ფოთში საწარმოების დარეგისტრირება 15 წუთში მოხდება. დავები 1-2 საათში გაირჩევა. კანონის განხორციელება მყისიერი იქნება, ბიუროკრატია არ იარსებებს. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ექსპორტისა და მწარმოებლებისთვის იდეალური პირობები შეიქმნება და ამას ყველაფერს მომავალ წელს გავაკეთებთო.**

მართალია, დანაპირების შესრულება „მომავალ 2007“ წელს ვერ მოხერხდა, მაგრამ „მომავლის“ მომავალი, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გახსნამ არა მარტო ეკონომიკური, პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა.

**მიუხედავად იმისა, რომ ფოთელებმა ნაკლებად იციან, რა სარგებლობა მოაქვს თიზს, მაინც იმედი აქვთ, რომ რაღაც შეიცვლება, ეს რაღაც კი არაბი შეიხების ეფემერულ ცხოვრებას თუ არა, ცოტა ნაკლებს მაინც გულისხმობს. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გახსნაზე სააკაშვილი მარტო ფოთელებს 10000 სამუშაო ადგილს, 200 მლნ დოლარის ინვესტიციას, 400 ახალ საწარმოსა და ცათამბჯენებს დაჰპირდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სიღარიბისგან თავისუფალ აჭარა-გურია, სამეგრელოსა და იმერეთზე.**

პრეზიდენტმა აღიარა, რომ ყველაფერს უახლოეს 50 დღეში ვერ მოასწრებს და ამ პროექტის განხორციელებას 5 წელზე მეტი და ათწლეულები დასჭირდება. ვინ რამდენად დაიჯერა პრეზიდენტის „გულწრფელობა“ უახლოეს არჩევნებში ბიულეტენებზე აისახება. არჩევნები იქით იყოს და, რაც შეეხება ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, ამიერიდან ყველაფერი იმ მოდელებზეა დამოკიდებული, რომლითაც უნდა განხორციელდეს ეს პროექტი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პარლამენტში მომზადებულ კანონპროექტში „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საუბარია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის უგულებელყოფაზე. **კანონპროექტის თანახმად, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაზე არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქცია, ხოლო სპეციალური ზონისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს (ეს კი მთლიანი ინვესტიციის თითქმის 80%-ს შეადგენს), ნათელი ხდება რა „ბრწყინვალე პერსპექტივა“ ელის ფოთს.**

**როგორც წესი, ინვესტორები „ცარიელ ადგილზე“ არ მოდიან, როდესაც სააკაშვილი 200-მილიონდოლარიან ინვესტიციაზე საუბრობს, წარმოიდგინეთ, ამ დროს 80%-მდე წილობრივი მონაწილეობა ფოთის ბიუჯეტისთვის რამხელა ტვირთი იქნება.**

ამას გარდა, ექსპერტების აზრით, მსგავს ზონებში მუშახელის ექსპლუატაციასა და გარემოს დაბინძურებაზე ქვეყნის მთავრობა ხშირად თვალს ხუჭავს. ფოთში შექმნილი თიზი შავიზღვისპირეთის ქვეყნებისთვის მიმზიდველი მაშინ იქნება, როცა ამაღლდება საქართველოს ბიზნეს-იმიჯი.

**არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონები ბევრგან ფულის გათეთრების, იარაღით ვაჭრობისა და კიდევ ბევრი სხვა არალეგალური საქმიანობის ცენტრიცაა. აქედან გამომდინარე, რამდენად ენდობა მსოფლიოს მსხვილი ბიზნესი ახალ ეკონომიკურ ზონას, ამას დრო გვიჩვენებს. თეზის კონცეფციის გარდა, საჭიროა, ხელისუფლებას ხელთ ჰქონდეს მძლავრი ეკონომიკური ბერკეტები ეკონომიკური მდგრადობის გასაუმჯობესებლად,** მაგრამ ამას სჭირდება კომპლექსური რეფორმები, როგორც სამართლებრივი, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

**ზურაბ ხომასურიძე**

**P.S. იმედს ვიტოვებთ, რომ XXI საუკუნის პრობლემა, ეკონომიკური კრიმინალი, ფოთის თიზის შემთხვევაშიც არ გახდება აქტუალური და ჯერჯერობით ექსპერტების მიერ პანაცეად დასახული კონცეფცია გაამართლებს.**

საქართველო ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net